კვირის პალიტრა

გზა

N45 (335) 9/XI- 15/XI

ფასი 60 თ.

1168
2006

„ბზის" ჩეაღუჩი ბოუ

ზურა ნატალის რქების მომტვრევით დაემუქრა

„ყინულის დედოფლის" ბედნიერების საიდუმლო და ახალი ამპლუა

რა მოსწონს ქეთათოში მის პარტნიორს

რა მსხვერპლი გაიღო მარლენ დიტრიხის ქართველმა ორეულმა

ტელეფონის აპარატში ჩამონტაჟებული „ხოჭო" ანუ ფრთხილად, თქვენ გისმენენ!

ლია გუდაძე: „არასდროს ვყოფილვარ ურიგო მეწყვილე..."

ქართულმა შოუბიზნესმა ჩანასახის პოზა მიიღო

მანქანის საბარგულში გამომწყვდეული ქალები ანუ პირველი გამოცდა ემიგრანტის ჯოჯოხეთურ გზაზე

ახდენილი ნატვრა



მკითხველის ოცნებებს მკითხველები ასრულებენ!

კვირის პალიტრა
ყველა ქვირეული ბანდი

ყველა სიახლე

თქვენ შეგიძლიათ, ინატროთ და ნატვრა აიხდინოთ!
თქვენ შეგიძლიათ, ნატვრა აუხდინოთ ადამიანებს!

ამისთვის კი საჭიროა, მონაწილეობა მიიღოთ
„კვირის პალიტრისა“ და „ყველა სიახლის“
ერთობლივ ახალ პროექტში

„ახდენილი ნატვრა“

№45 (335)
9 – 15 ნოემბერი, 2006
ფასი 60 თეთრი

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

„ზურა: ღამე მშვიდობის. თუმცა, რაღა ღამეა?! უკვე თენდება კიდეც. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ.

ზურა: ისევ წასულხარ. ვერ მოგარჯულე, ვერა! სულ ცოტაც მაცალე და მოგამტვრევ მაგ პატარა რქებუნებს. გკოცნი“.

17

მარგალიტები ღამის შავი ცის ფონზე...

„ახალწლის წინაღამეს, პოზიციებზე ყოფნისას იურას დაუდგენია, რომ მათ წინ აფხაზები იდგნენ. გადასულა და შორიდან შეხმიანებია: ბიჭებო, ღვინო თუ გაქვთო? არ

ჰქონიათ აფხაზ მებრძოლებს ღვინო საახალწლოდ. იურას აუღია 20-ლიტრიანი ბოცით ღვინო და გადაუტანია მოწინააღმდეგე პოზიციაზე“.

10

მამუკა კაციტაძის სიყვარულის მარადიულობის ფორმულა

„სიყვარული საკუთარი თავის პოვნაა – არა აქვს მნიშვნელობა, შენ თვითონ იპოვი, თუ სხვა გაპოვნინებს. ისევე, როგორც შენ – სხვას აპოვნინე“.

28

ძვირფასი ძვეზი, რომლებიც ავი თვალისგან გვიცავენ

მერწყულისთვის სასურველია ძოწი, ზოლიანი ონიქსი, ცირკონი. ეს ქვები მათთვისაა, ვისაც არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება უყვართ. ისინი ინტელექტის მუშაობას ერთგვარ სტიმულს აძლევენ.

34

■ მინიატურები
მოვემზადოთ ზამთრისთვის ანუ „გაიჩერეთ დედამიწა, ვიძინებთ!..“ 3
■ ერთი კითხვა 4
■ გაბრაზებულები
„გაბრაზება რა შუაშია?!“ 5
■ უცხოური პრესა
გაზი ძვირდება, ურთიერთობა უფასურდება 6
■ ჟურნალისტის როლში
„ყინულის დედოფალი“ ქეთათო და ავანტიურისტი კაკაბაძე თანამშრომლები გახდნენ 8
■ ერთი მიწის შვილები
მარგალიტები ღამის შავი ცის ფონზე... 10
■ პრობლემა
თუ თქვენი მიშენებული ლოჯია ავარიულია... 13
■ კრიმინალი
„ვითხოვ, ამიხსნან – რისთვის მომიკლეს უდანაშაულო შვილი“ 14
■ გულშემატკივარი
„ვის არ უნდა ასეთი სიყვარული?“ 16
■ რეალური
შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 17
■ ხვედრი
მანქანის საბარგულში გამომწყვდეული ქალები... 20
■ მსახიობი
„ლია გუდაძე ყველა მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა“... 23
■ გზავნილები
დაკარგული ინდაურები, ნაპოვნი საოცრება და თავზე გადაფხრეწილი „გზავნილები“ 24
■ ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი 28
■ შინ
მამუკა კაციტაძის სიყვარულის მარადიულობის ფორმულა 28
■ ცხოვრება
8 თვის ასაკში მიტოვებული ჩვილი, გასისხლიანებული ხელები და დაუნდობელი პოლიციელები 30

გამოკითხვა

„გზის“ ერთგული მკითხველებისთვის!

ძვირფასო მკითხველო! ჩვენ ყოველდღე ვგრძნობთ თქვენს ყურადღებას „გზის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გამო, მაგრამ ვისურვებდით, თქვენთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას. ამიტომ გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა (გვ. 63): თქვენი შეხედულებები დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ჟურნალი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს.

■ ჯანმრთელობა
✓ მონონუკლეოზი — ვის ემუქრება ეს დაავადება? 32
✓ პოლიომიელიტმა კვლავ შეგვახსენა თავი 32
✓ შარდის შეკავება 33
✓ ფრანგები მობილურ ტელეფონს უფრთხიან 33
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ძვირფასი ქვები,
რომლებიც ავი თვალისგან გვიცავენ 34
✓ მითხარი, როგორი კოცნა იცი
და გეტყვი — ვინ ხარ შენ 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
■ წმინდანები
...ქრისტიანული წესით მონათლული
და ნეტარ მამა ნეოფიტედ მოვლენილი 42
■ მეტამორფოზები
ქართველი დიტრიხი
გერმანელებს გერმანიაში მიპყავთ 43
■ ქალი-ლეგენდა
მარლენ დიტრიხის უკანასკნელი სიმღერა 46
■ ვარსკვლავები 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ უავორიტები
„ფეხბურთის ღმერთი“ 46 წლისაა 54
■ თინეიჯერული პონტები
სუპერგამომწვევი გოგონები,
გატაცებული „საცოლე“, სკანდალური მოსწავლე 56
■ სპეცსამსახური
ტელეფონის აპარატში
ჩამონტაჟებული მოსასმენი „ხოჭო“... 58
■ მესიჯომანია
მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ... 60
■ გამოკითხვა 63
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ პოროსკოპი
კვირის (9-15 ნოემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66
■ ავტო 67
■ ნამდვილი ამბავი
არა შეჯდა მწყერი ხესა... 68
■ შოუ
მოხატული სხეულის ხელოვნება, შიშველი გოგონები
და ქართველი ბიჭების ყალყზე დამდგარი თმა 69
■ ტესტი
კონსტიტუციურად ღარიბი თუ
კონსტიტუციურად მდიდარი? 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ბედის ირონია

„დღესაც ვერ ამიხსნია, რა მოხდა. ბედის ირონიაა, აბა რა არის! ვიდრე ქმარი გახდებოდა, მასზე ჭკუა მეკეტებოდა, როდესაც დავქორწინდით, უკვე აღარ მინდოდა“.

24

„ფეხბურთის ღმერთი“ 46 წლისაა

უკვე კარგა ხანია, რაც იგი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ოპონენტი და კუბელი ხალხის „დიდი ბელადის“, ფიდელ კასტროს ერთგული მეგობარია.

54

მარლენ დიტრიხის უკანასკნელი სიმღერა

სასოწარკვეთის წუთებში ის ფიქრობდა, რომ ყველაფერი დასრულდა და მის ცხოვრებაში უკვე აღარაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ ის ცდებოდა. მისი ცხოვრება ჯადოსნურად შეიცვალა.

46

თეთრი სიკვდილი

— ეს შავი კამერაა, ძმაო, და აქ ყველას მაგრად ჰკიდია, რას გაბრალებს პროკურატურა. თანაც, „სტროგ“ რეჟიმში ხარ. პირველი „სუდიმოსტები“ ტვინს გაგიბურღავდნენ ბლატაობით: ახლავე გვითხარი, მართლა შენ მოკალი ის კაცი თუ არაო? აქ ამას არავინ გკითხავს და თუ გკითხავენ, მხოლოდ ზონაში და უკვე გასამართლებულს...

50

მივემზადოთ ზამთრისათვის ანუ „გააჩერეთ დედამიწა, ვიძინებთ!..”

მახსოვს, სკოლაში მასწავლებელი საკონტროლო წერას რომ გვიტარებდა, რატომღაც ყველა ბავშვი ერთნაირად ვიწყებდით: „წელიწადის ოთხივე დრო თავისებურად ლამაზი და საყვარელია, მაგრამ მე განსაკუთრებით მიყვარს ზამთარი. თეთრ საბანში გახვეულა მთა და ბარი, უხარიათ ბავშვებს“... ეჰ, ნეტავ, რა გვიხაროდა?! ალბათ, გიჟები ვიყავით ან არ გვციოდა, ან — ორივე ერთად: გიჟებიც ვიყავით და არც გვციოდა, გიჟებს ხომ არ სცივათ! ახლა — ?!.

მესმის, რომ ზამთარი ბუნების კანონზომიერი მოვლენაა, ღერძისა და მზის გარშემო დედამიწის მუდმივი ბრუნვის შედეგია, მაგრამ იმ სიმღერისა არ იყოს — „გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ“, — ნუთუ არ შეიძლება, სადღაც გაზაფხულის ფაზაში რომ გავჩერდეთ? ან კიდევ, თუ ვერ ვაჩერებთ, ზამთარში ცოტათი სწრაფად დავატრიალოთ, რომ მალე გავცდეთ ამ სიცივეებს. დენისა და გაზის ხარჯიც ნაკლები გვექნება და აღარც რუსეთთან მოგვიწევს მათხოვრობა.

ხომ გაიგონეთ, რა თქვა „გაზპრომმა“ — ორჯერ გავზრდი ფასსო!.. ჩემი ნება რომ იყოს, სიტყვა „გაზპრომში“ ასო „მ“-ს სხვა ასოთი შევცვლიდი მათი ასეთი პრო„მ“ული საქციელისთვის. ატყდა მთავრობაში მორიგი ფაციფუცი, დსთ-დან გამოსვლაც კი გადაიფიქრეს, რუსეთის გული რომ მოეგოთ, ჩვენც დაგვამშვიდეს — სანამ გილაური გვყავს მინისტრად, ნუ გეშინიათო... არ გვეშინია, ბატონო, მაგრამ გვცივა და რა ვქნათ?! გაზი და დენი თუ არ მექნა, გილაური რას მიზამს, დამიჯდება სიცხიანს სასთუმალთან და შალის წინდებს მომიქსოვს?! თვითონ „რა ენაღვლება“, იმდენს დარბის გაზის ალტერნატიული წყაროების მოსაძებნად, რომ ორი ზამთარი არ შესცივდება.

ისე, მეც მგონია, რომ ირანი და თურქეთი არ გვეტყვის უარს. რაც ამ ორ ქვეყანას ჩვენზე ისტორიული ამაგი აქვს, რაღა ახლა გაუწყრებათ ღმერთი?! თუ მაგათთანაც ვერაფერს გავაწყობთ, ამომავალი მზის ქვეყანას შევაწუხებთ და ერთ-ორ ვულკანს გვასესხებს. ვიძახოთ მერე, ცხელი ლავა გვიახლოვდება-თქო, ვსვათ „ფანტა“ და ვიყოთ ბამბუჩები. ლავას თურმე, წიფლის შეშაზე მეტი სითბო ჰქონია...

სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ უგაზობასა და უშუქობასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები: ხალხი უახლოვდება ერთმანეთს, ეხუტება, ეფერება და ასე თბება. მაგალითად, ჩემი ზედა მეზობელი, ფანჯარასთან სიგარეტს რომ ვეწეოდი, იმაზეც კი მეჩხუბებოდა, კვამლი შემოდის ჩემთან და მაწუხებსო. შარშან ზამთარში კი „პაკრიშკა“ რომ დავწვი ღუმელში და მილი გავყავი გარეთ, მადლობა მითხრა, მეორე მილით თვითონ წააგრძელა და ცხელი ჭვარტლი სახლში შეუშვა.

ასევე, სიცივისგან შეწუხებულ ერში იკლებს პროსტიტუცია, ქუჩის მეძაობა; საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჯიბგირობა ნულამდე ეცემა, რადგან ყველას საკუთარ ჯიბეში აქვს ხელები ჩამალული და სხვისი ხელის ადგილი აღარ რჩება. ივსება ბიუჯეტი მედიკამენტების რეკორდული რეალიზაციით, ყვავის ტრავმატოლოგია — მოყინულ ასფალტზე დაცემულთა სიმრავლით და კიდევ ათასი რამ. მოკლედ, რაც უფრო უპატრონოა ქვეყანა და ცივი — ზამთარი, მით უკეთესია ამ ქვეყნისათვის...

მით უმეტეს, როცა ჩვენნაირ ქვეყანაზეა ლაპარაკი, რომელსაც იმავე რუსეთის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ბლოკადის გამო იმდენი ღვინო და „ბორჯომი“ დაუგროვდა, რომ აღარ იცის, სად წაიღოს... არსადაც არ წავიღოთ, თვითონ ვსვათ და აკლოჰოლის გრადუსით შევებრძოლოთ ზამთრის სიცივეს. მეორე დილით „ბორჯომით“ „გამოვიპახმელიოთ“, საღამოს — ისევ ღვინო და ა.შ. ამდენი ჭაჭაც არყადაა გამოსახდელი და რაღა გვიჭირს?! მთავარია, დასალევი იყოს, მისაყოლებელი სულ გამოჩნდება...

P.S. *პაციენტთა რიგში, პლასტიკური ქირურგიის კლინიკასთან:*

მამაკაცი:

— უკაცრავად, თქვენ რისთვის ელოდებით?

ქალი:

— კაცად მინდა გადაკეთება, ცოლ-შვილს უნდა მოვეკიდო.

მამაკაცი:

— არ გირჩევთ. აი, მე ოჯახში ჯოჯოხეთი მაქვს: არა — გაზი, არა — შუქი, სიცივე და ცოლის საყვედურები! კაცობაში რა ყრია, ნერვიულობის მეტი?!

ქალი:

— აა, თქვენ ქალად გადაქცევა გინდათ?

მამაკაცი:

— არა, მე უნდა ვთხოვო, დათვად გადამაკეთოს. ამ ზამთარს კი გავატარებ ძილში და მერე გამოჩნდება რამე...

პროვოკატორი

„კოკოითს ამომრჩევლის იმედი არა აქვს“

— ცხინვალი სეპარატისტული არჩევნებისთვის ემზადება. თქვენი აზრით, რა შედეგს გამოიღებს კრემლისა და კოკოითის ალიანსი 12 ნოემბერს?

გივი თარგამაძე, *თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— შედეგებზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია, რადგან რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რათა მისთვის სასურველ მიზანს მიაღწიოს. საქართველოს ხელისუფლება არ აღიარებს კოკოითის სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნულ არჩევნებს, მაგრამ დე ფაქტო პრეზიდენტის კონკურენტი ჯგუფის მიერ ორგანიზებული არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებას ხელს ვერ შეუშლის. არ არის გამორიცხული, რომ ე.წ.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დანიშნულ ალტერნატიულ არჩევნებში კოკოითის რეჟიმზე განაწყენებული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღოს მონაწილეობა. ხალხი დაიღალა იმ ქაოსისა და უკანონობისგან, რომლებიც ამ რეგიონში სუფევს. ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ჩართული არ არიან სეპარატისტულ დანაშაულებრივ კლანებში, მშვიდობას ნატრობენ. კრემლმა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება მშვენივრად იცის, ამიტომ რუსეთს ერთადერთი გზა დარჩა — საქართველოს ომი გამოუცხადოს. პრაქტიკულად ახდა საქართველოს ხელისუფლების ვარაუდი, რომ კონფლიქტის ზონაში პროვოკაციები უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებდა. გამორიცხული არ არის, ამას სიტუაციის უფრო დიდი ესკალაცია მოჰყვეს. ამით კოკოითისთვის არასასურველი შედეგების დაფარვას შეეცდებიან. რადგან კოკოითს ამომრჩეველთა მხარდაჭერის იმედი არა აქვს, ის სიტუაციიდან თავის დასაძვრენად, სისხლის ღვრასაც არ მოერიდება, მით უმეტეს, რომ რუსეთის დირექტივებს ასრულებს. ეს საფრთხე რეალურია, მაგრამ ჩვენც ყველანაირი პროვოკაციის აღსაკვეთად მზად ვართ. ■

„კოდორი ზამთარშიც სათანადოდ იქნება დაცული“

— რამდენად საფუძვლიანია იმის შიში, რომ ზამთრის დადგომასთან ერთად, კოდორში მიმოსვლა გაჭირდება, ამით კვიციანის დაჯგუფება ან სეპარატისტები ისარგებლებენ და ხეობაში პროვოკაციების სერია განხორციელდება?

შოთა მალაშხია, *ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე:*

— საქართველოს ხელისუფლება მზად არის, წლის ნებისმიერ დროს დაიცვას კოდორის ხეობა მოსალოდნელი პროვოკაციებისგან. მკაცრი კლიმატური პირობები ზემო აფხაზეთის მოსახლეობის უსაფრთხოებას ხელს ვერ შეუშლის. ჩვენ საომარ მოქმედებებს არ ვაპირებთ, სამშვიდობო გეგმის მიხედვით მივიწვევთ წინ. ამ გზით გვინდა არაკონტროლირებად ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქცია აღვადგინოთ. მზად ვართ, ხეობაში საერთაშორისო მონიტორინგის ჩასატარებლად. მაგრამ თუ სახელმწიფოს ინტერესებმა მოითხოვა, იქ შესაძლებელია სპეცოპერაციის ჩატარება — თუნდაც, კვიციანის ან მისნაირების წინააღმდეგ. ამაში ვერც ზამთარი შეგვიშლის ხელს და ვერც გაეროს რეზოლუცია. პოლიციას ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარება ნებისმიერ კუთხეში შეუძლია. თუმცა, კვიციანის გააქტიურებაზე ლაპარაკი, ჩემი აზრით, არასერიოზულია. როცა ის თავისი ამალით ხეობაში იმყოფებოდა, მაშინ ვერაფერი მოახერხა და ახლა რა უნდა ქნას?.. რაც შეეხება რუსეთს, მას აქ საომარი მოქმედებების განახლება და პროვოკაციები ყოველთვის სჭირდება, მთავარია, მივცემთ თუ არა ამის საშუალებას. დღეს კოდორის ხეობა ის ტერიტორია აღარ არის, რომელსაც წლების მანძილზე წარმოადგენდა. ჩვენთვის ის სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილია და სათანადოდაც იქნება დაცული. ■

„გადასახადების შემცირებით, უმუშევრობის პრობლემა მოიხსნება“

— მეწარმეები საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას მოითხოვენ. მათ ინიციატივას პარლამენტართა ნაწილიც უჭერს მხარს. თქვენი აზრით, კოდექსის ლიბერალიზაცია უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს?

ალეკო შალამბერიძე, *საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:*

— ჩვენს მეზობლებთან — აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით, საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი დაბალია. ბიზნესმენებისგან რაც უფრო ნაკლებ ფულს ამოვიღებთ, მით უფრო განვითარდება ეს სექტორი და სამუშაო ადგილების ნაკლებობის პრობლემაც გადაიჭრება. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია მოხდა. 21 სახის გადასახადიდან, სულ 7 დარჩა, მათ შორის, საშემოსავლო გადასახადი 20%-დან 12%-მდე შემცირდა, სოციალური გადასახადი — 33%-დან 20%-მდე, შემცირდა დამატებითი ღირებულების გადასახადიც. მაგრამ საჭიროა, კიდევ უფრო მეტი ლიბერალიზაცია განხორციელდეს. გადასახადების შემცირებას ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სოციალური გადასახადი 5 ან 10%-მდე უნდა შემცირდეს, მოგების გადასახადი — 10%-მდე, საშემოსავლო კი, დიფერენცირებული გახდეს. თუ 100-ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანს კიდევ 12%-ით დაბეგრავ, მისი სოციალური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, ამიტომ სასურველია, 100-ლარიანი ხელფასი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდეს, 100 ლარის ზევით კი, დიფერენცირებულად დაიბეგროს. საგადასახადო განაკვეთების შემცირება ბიზნესს მნიშვნელოვან რეზერვს შეუქმნის. მათ მუშახელისა და მათი ხელფასების ოდენობის დამალვა აღარ მოუწევთ. უმუშევრობის პრობლემაც მოიხსნება და უფრო მეტად განვითარდება სამეწარმეო საქმიანობა. ■

ვინ გახდება უნივერსიტეტის რექტორი?

— უნივერსიტეტში რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო. მიმდინარე რეფორმების მოწინააღმდეგე მეცნიერთა შორის, ვინმე თუ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას?

ჯემალ მეგონია, *პროფესორი:*

— საქართველოში ბევრი ღირსეული მეცნიერია, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობას შეძლებდა, მაგრამ ამ არჩევნებში მონაწილეობას რა აზრი აქვს?! პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომი-

ტეტის თავმჯდომარემ მოგვახსენა: მთავარია, პოლიტიკური ნება და არა — კანონიო. ამის შემდეგ, როგორ შემიძლია, ვიფიქრო, რომ თსუ-ის რექტორად აირჩევენ ადამიანს, რომელმაც უნივერსიტეტისთვის სასარგებლო საქმე უნდა გააკეთოს?.. მავანისთვის თვალის ასახვევად, შესაძლებელია, რამდენიმე კანდიდატურაც დაასახელონ, შექმნან მოჩვენებითი, კონკურენტუნარიანი გარემო, მაგრამ საბოლოო ჯამში, ვინც ლომაიას უნდა, ე.წ. სამეცნიერო საბჭო იმას დაუჭერს მხარს. თანაც, იმ პირობებში, რომლებიც დღეს საქართველოშია შექმნილი, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება რექტორი — გია ხუბუა, რუსუდან ლორთქიფანიძე თუ ვინმე სხვა. ლომაიას ნებართვის და უშუალო მითითების გარეშე, უნივერსიტეტში არაფერი წყდება. მისი ავტონომიურობის ხარისხი, ნულის ნიშნულს ქვემოთაც კი ჩამოვიდა. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელ კაბინეტში შევა და ვინ რა თანამდებობას დაიკავებს, — მთავარი ისაა, რომ სასწავლო პროგრამები ყოვლად უსახურია, ფუნდამენტური სპეციალობები გაუქმებულია და უნივერსიტეტი ინგრევა. სანამ ლომაია თავის თანამდებობაზეა, არც განათლებას ეშველება, არც მეცნიერებას და რექტორის არჩევნებიც ფარსი იქნება. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

როდესაც რუბრიკისთვის რესპონდენტს ვარჩევდი, ბევრი არ მიფიქრია — სახალხო დამცველს, სოზარ სუბარს მივანიჭე უპირატესობა: მასა და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა დეპარტამენტის თავმჯდომარეს შორის ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ომბუდსმენი, ახალაიაზე, როგორც თავად ამბობს, გაბრაზებული სულაც არ ყოფილა... „გაბრაზება რა შუაშია?! მსჯავრდებულების მიმართ ციხის ადმინისტრაციის აგდებული და არაადამიანური დამოკიდებულება მაწუხებს“, — ამბობს ბატონი სოზარი და ბაჩო ახალაიას ვითარების გამოსწორებისკენ მოუწოდებს. პატიმრები საკნებში შიშის ქვეშ ცხოვრობენ. მათ პირობების გაუმჯობესებას დაჰპირდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა — ახლა გაცილებით უარეს პირობებში ცხოვრობენ. რამდენიმე მათგანს ციხიდან ვადამდე ადრე გათავისუფლებაც ეკუთვნის, მაგრამ იმის გამო, რომ შესაბამისი კომისია საქმის განხილვას, ნებსით თუ უნებლიეთ, აჭიანურებს, მსჯავრდებულები ისევ საპყრობილეში რჩებიან...

„გაბრაზება რა შუაშია?!“

თამარ როსტიაშვილი

— ბატონო სოზარ, თუ გახსოვთ, როდის და რასთან დაკავშირებით გაბრაზდით პირველად თქვენს ყოფილ მოადგილეზე — ბაჩო ახალაიაზე?

— გაბრაზება რა შუაშია?! გაბრაზებული სულაც არ ვარ. ყოველთვის ვამბობ იმას, რასაც ვხედავ და მივიჩნევ საჭიროდ. ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ ახალი გადასული იყო, როდესაც მე-7 საპყრობილეში პატიმრების ადვოკატებს არ უშვებდნენ და მე ამის შესახებ განცხადება გავაკეთე. რასაკვირველია, ეს კანონდარღვევა იყო და ახალაიას პირველად, სწორედ მაშინ მივმართე შესაბამისი რეკომენდაციით.

— მერე, ექსშეფის შენიშვნაზე ახალაიას მაშინ როგორი რეაქცია ჰქონდა?

— აღარ მახსოვს. ყოველ შემთხვევაში, ადვოკატებს საპყრობილეებში შესვლასთან დაკავშირებით შეზღუდვები მოეხსნათ. მაგრამ სამაგიეროდ, სხვა პრობლემა გაჩნდა. აზრთა სხვადასხვაობა ჩვენ შორის მანამდეც ყოფილა და მისი აზრი, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, გამითვალისწინებია. პენიტენციარული სისტემის თავმჯდომარის მოქმედების სტრატეგია არ მომწონს. ჩემთვის მიუღებელია მისი დამოკიდებულება პატიმრების მიმართ.

— სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა საპყრობილეში კანონდარღვევის შესახებ ოქმი 15 სექტემბერს შეადგინეს, საზოგადოებას კი ამის შესახებ დაგვიანებით აცნობეთ. რატომ?

— როდესაც ჩემი თანამშრომლები 15 სექტემბერს რუსთავის №6 საპყრობილეში მივიდნენ და ნახეს, თუ როგორ ისხდნენ კარცერში გაშიშვლებული პატიმრები, რასაკვირველია, ოქმი მაშინვე შეადგინეს. ამის შესახებ პრესის მეშვეობით, მესამე თუ მეოთხე დღეს განვაცხადე. მიმაჩნია, რომ ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულიყო.

— ახალაია თქვენს ყველა ბრალდებას უარყოფს და აღნიშნავს, რომ თქვენ მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები საფუძველსმოკლებულია. თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც პატიმრებთან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ადასტურებს?

— მას შემდეგ, რაც გაზეთში ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ციხეებში პატიმართა უფლებების დარღვევებზე ვლაპარაკობდი, ვფიქრობ, აღნიშნული საკითხით პროკურატურა, შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია და თავად ბაჩო ახალაია უნდა დაინტერესებულიყვნენ. აუცილებლად უნდა დაწყებულიყო გამოძიება. სამივე უწყებას აქვს პრესსამსახური და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი პრესასა აქტიურად ადევნებენ თვალყურს. ზუსტად ვიცი, რომ პრესაში დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუ არ გამოეპარებოდათ, მაგრამ რატომღაც, იგნორირება გაუკეთეს. იმის გამო, რომ საპყრობილეებში აუდიო, ვიდეო თუ ფოტოაპარატების შეტანა სამწუხაროდ, აკრძალულია, ვერ ხერხდება პატიმართა ყოფის ამსახველი კადრების საზოგადოების წინაშე წარდგენა.

გაგრძელება იხ. გვ. 12

ბაგი ძვიჩდე

— გაზის ტრადიციული შემცვლელი მაზუთია. პრინციპში, საქართველოს მაზუთის მიღება სხვადასხვა რეგიონიდან შეუძლია, რადგან მისი ტრანსპორტირება ყველა სხვა საშუალებასთან ერთად, საზღვაო გზითაც შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა, რომ მაზუთი ნავთობზე ბევრად ძვირი ღირს. ამიტომაც, რუსული გაზის ფასის მნიშვნელოვანი გაზრდის შემთხვევაშიც კი, საქართველოსთვის გაზის გამოყენება მაზუთზე ბევრად უფრო რენტაბელური იქნება.

სრული ალავერდი

(Итоги, *რუსეთი*)

„У ксенофобии расширилось меню. Обогатилось, так сказать, включив Чечню, всех этих азеров, всех этих черножопых, всех хачиков. И могут мизантропы глядеть на жизнь повеселее по части выбора...“, — ასე იწყებოდა ჯერ კიდევ 2002 წელს გამოქვეყნებული ერთი ჩემი ლექსი. დღეს კი არ შემიძლია, სინანულითა და სირცხვილით არ ვაღიარო, რომ „კერძების ჩამონათვალში“ კიდევ ერთი — ქართული — სტრიქონი გაჩნდა. თანაც ისე, სასხვათაშორისოდ კი არა, არამედ — უმაღლეს სახელმწიფო დონეზე.

პოეტი და დრამატურგი ვადიმ ქუკი

მე ნაზი სიყვარულით მიყვარს ქართული კულტურა. ბედნიერი ვარ, რამდენიმე შესანიშნავ თბილისელთან მეგობრობით და სული მელევა ნიკოლაი ზაბოლოცკის თარგმანზე — „На двух Арагвах пели соловьи“. საქართველოში ორჯერ ვარ ნამყოფი და მისი სიტურფის, სტუმართმოყვარეობის დავიწყება არაფრით შემიძლია. საქართველოში ყოველი ჩასვლა ჩემს ცხოვრებას ცვლიდა და ახალი ძალებით ავსებდა. თუმცა, ქართველების ადგილზე დღეს ნებისმიერი სხვა ეროვნების ხალხი რომ აღმოჩენილიყო, მის დისკრიმინაციაზეც იგივე რეაქცია მექნებოდა. საქმე ესტონელებზე რომ მიმდგარიყო, მე იმ მშვენიერ ტალინელ გოგონას — კატია ვინოვესკის გავიხსენებდი, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი. ლიტველების შევიწროება რომ დაეწყოთ, იმაზე მოვყვებოდი, თუ რაოდენ დიდი ბედნიერება იყო ბანიონისთან საუბარი. ნებისმიერი სახის ოსტრაკიზმის *(განდევნა, გაძევება. — მთარგ.)* გამომჟღავნება მხოლოდ კონკრეტული ადამიანის მიმართ შეიძლება. მთელ ერთან ომი კი სრული ნონსენსია და სამარცხვინო მარცხისთვისაა განწირული. ამის მიუხედავად, საკმარისია, რაიმე ხელჩასაჭიდი გაჩნდეს, რომ ასეთი ომისთვის მზადმყოფნიც უმალ გამოჩნდებიან. ამჯერად, საქართველოსთან „ომობენ“. თანაც, როგორი იეზუიტური მანევრებით! არადა, ხომ ყველას გვახსოვს, რითიც დაიწყეს? — მინერალური წყლებითა და ღვინით. და ეს მას შემდეგ, რაც 1985 წელს „ბრძნული“ საბჭოთა პოლიტიკის წყალობით, უნიკალური ვენახები, სწორედ ის ვაზი გაიჩეხა, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდა სერგო ზაქარიაძის გმირი — „ჯარისკაცის მამაში“...

რუსეთი ყოველთვის მრავალეროვანი სახელმწიფო იყო. ეს არის სწორედ ის მთავარი, რითიც უნდა ვიამაყოთ და გულმოდგინედაც გავუფრთხილდეთ. არადა, სულ პირიქით კი ხდება ყველაფერი. სულსწრაფობა განსაკუთრებით მაშინ იწვევს ეჭვს, როცა მას თავგადადებული ბრიყვები იჩენენ. გახსოვთ, ალბათ, არცთუ დიდი ხნის წინათ, ჩვენში ნარკოტიკებთან ბრძოლა რომ წამოიწყეს, რომელიც კინაღამ ვეტერინარის პროფესიის აკრძალვაში გადაიზარდა. დღეს ვითომ ქართულ მაფიას დაერივნენ, ამ გამოცხადებული აქციის (მაინც რა საზიზღარი სიტყვაა!) შედეგად კი, ის უამრავი ადამიანი დაზარალდა, რომლებსაც არც სააკაშვილის და არც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებთ. თვით წერეთელსაც კი აუხირდნენ: ეტყობა, ვიღაცამ იფიქრა: მოდი, ბაბუა ზურაბსაც გავკრათ ცოტათი კბილიო. აბა, გადასახადების გამო მარტო აკუნინმა ხომ არ უნდა იტეხოს თავი... (ისე, გულახდილად რომ გითხრათ, წერეთელს მე თვითონაც დიდი ხნის წინ ავუმხედრდებოდი იმ თავდადებული მეგობრობისთვის, რომელიც მას იური ლუჟკოვთან აკავშირებს). პასუხისმგებელ მუშაკებს ალბათ, ისიც უნდა შევახსენოთ, რომ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც ბევრი ქართველი იყო. მაშ, იქნებ, კრემლის კედლიდან მათი (სერგოთი დაწყებული და იოსებ ბესარიონოვიჩით დამთავრებული) „გამოჩიჩქნის“ დროც დადგა?

ის, რისი გაკეთების უფლებასაც განურჩევლად ყველა ქართველის წინაალმდეგ აძლევს თავს ჩვენი ხელისუფლება, მარტო ნაციონალურ შუღლს კი არ აღვივებს, იმ სერიოზული სენის არსებობასაც ადასტურებს, რომელიც ჩვენს საზოგადოებას მოსდებია. ყოველ ჩვენგანს, „შავების“ შემოსევის გამო წუხილი ერთხელ და ორჯერ როდი მოგვისმენია. ისე, ცოტათი მე თვითონაც „წავიშავებ“. როცა პირადი ტრაგედიის შემდეგ მართლა გაშავებული და სახედაკარგული საცხოვრებლად მოსკოვში გადავედი, ქუჩაში მეც ხშირად მაჩერებდნენ და მამოწმებდნენ. მეორე მხრივ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ყოფითი დონის ნაციონალიზმის შემოტევა ერთი-ორჯერ, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს განუცდია. დავუშვათ, უყურებ ფეხბურთის მატჩს, რომელშიც ვთქვათ, ილირიელები მონაწილეობენ და არნახულად იბოღმები, რადგან ხედავ, რომ ისინი უსინდისოდ და თავხედურად სიმულანტობენ. თუმცა, იმასაც ხვდები, რომ მსგავსი განცდები წამიერი და აბსოლუტური სისულელეცაა, რომელთაც, საკმარისია, ერთი-ორი წამი გაუძლო, რომ მას უთუოდ აღზრდა და გონიერება ჩაახშობს.

თუმცა, მე ისიც გავიგე, რომ ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით ისინი, ვინც ქართველთა ეთნიკურ დისკრიმინაციას უჭერენ მხარს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ლამის ოთხმოც პროცენტს შეადგენენ. ეს, როგორც იტყვიან, ლომის წილია, მაგრამ ალბათ გახსოვთ, რომ ლომი მტაცებელია. ჩვეულებრივ, ის სუსტს ართმევს ხორცის დიდ ნაწილს და მას მარტო ნთქავს. ძალიან მინდა, მჯეროდეს, რომ ლომისგან განსხვავებით, ადამიანს გონება და სულიც აქვს. პირადად მე კურდღლის ან თუნდაც, სპილოს კუთვნილი ოცი პროცენტი (რომელშიც მეც შევდივარ), სავსებით მაკმაყოფილებს.

რეჟისორ ალექსანდრ სოკუროვს აქვს ფილმი, რომელსაც „ადამიანის მარტოხელა ხმა“ ჰქვია. მივიჩნევ, რომ სწორედ ეს ხმაა ძალზე მნიშვნელოვანი. მერე რა, რომ მარტოა, ის მაინც უნდა ისმოდეს! მეც ვიტოვებ იმის თქმის უფლებას, რომ დღევანდელ რუსეთში ქართველებს არაადამიანურად ანუ, როგორც ძველ რუსულ პროზაში შესანიშნავად ამბობდნენ — „არაკაცობრიულად“ ექცევიან. მაგრამ ყველაზე სამწუხარო კი მაინც ის არის, რომ როგორც ჩანს, ისიც აღარავის გაუკვირდება, თუ პოლიტიკური ვექტორი უცბად სხვა მხარეს გადაიხრება და მტრად ახალ, სხვა რომელიმე ხალხს გამოაცხადებენ და ჩვენც მათზე შურისძიებას იმავე გულმოდგინებით შევუდგებით. ღმერთო, მაინც რა ზერელედ, რა უმწიფრად და ყმაწვილურად ჟღერს დღეს ეს სიტყვა — შურისძიება! ყმაწვილი კი ვახსენე, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის მტკენს გულს, რომ ის ყმაწვილი უკვე კაი ზორბა, დონდლო და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, აბსოლუტური ბრიყვიცაა. შენ კი იმის გამო, რომ ამ „ყმაწვილის“ ნეკა თითი ხარ, არნახული სირცხვილი გიპყრობს. ერთხელაც ხომ მოხდება ისე, რომ ღმერთი რამაზ ჩხიკვაძეს შემახვედრებს და ისიც მეტყვის: „ვადიკ, ეს როგორ მოხდა?“ რა ვუპასუხო? ან რეზო გაბრიაძეს როგორღა შევხედო თვალებში? რუსეთისა და საქართველოს ხალხს შორის ბზარის გაჩენაში ხომ ერთგვარად მეც მიმიძღვის ბრალი. შემთხვევითი როდია, რომ ლექსი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე, სტრიქონით — „А главное, как стыдно-то, как стыдно“ — მთავრდება...

„ულოველის ლეღოფალი“ ქეთათო

ლალი ფაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ყოველ კვირას ახალი გადაცემა — „არტ-კლუბი“ გადის. გადაცემა კულტურის საკითხებს მიმოიხილავს. მას მუსიკოსი ქეთათო პოპიაშვილი უძღვება. მისი მეწყვილე — კაკადუ, იგივე დათო მაჭავარიანი გახლავთ. დათო პროფესიით მხატვარია, მაგრამ წლების განმავლობაში ირაკლი ჩარკვიანთან ჯგუფში დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა. დრამერია. ორივე მათგანისთვის ტელეწამყვანის ამპლუა უცხო და ახალია, თუმცა ცდილობენ, კარგად გაართვან თავი. ჩვენს რუბრიკაშიც უჩვეულო — ჟურნალისტისა და რესპონდენტის როლები აქვთ შესასრულებელი...

და ავანტიურისტი კაკადუ პარტიორები გახდნენ

ჟურნალისტი – ქეთათო
რესპონდენტი – კაკადუ

— დარწმუნებული ვარ, ქეთათოს ეცოდინება, რაც უნდა მკითხოს. ალბათ კითხვები წინასწარ ჩამოწერა კიდეც *(ჟურნალისტს, საუბრის დაწყებას, რესპონდენტი ასწრებს. — ავტ.)*.

— კაკადუ, ბედნიერი ხარ?

— ბედნიერება პირობითი ცნებაა. ასე რომ, გააჩნია, რა იგულისხმება: რაღაცაში ბედნიერი ვარ, რაღაცაში — არა.

— მაინც, რამდენი პროცენტით ხარ ბედნიერი?

— ვიტყვი, რომ საკუთარი ცხვირით ვსუნთქავ, ჩემი თვალებით ვხედავ, ჩემივე ხელებით ვგრძნობ, აგრეთვე — დავდივარ და ვმოძრაობ საკუთარი ფეხებით. მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზე მაქვს. ეს ის პრიმიტიული ბედნიერებაა, რომელზეც მთელი ცხოვრება იგება... 50%-ით — კაკადუ ვარ, დრამერი, რომელიც ხალხისთვის არსებობს, 50%-ით — დათო ვარ, მხატვარი.

— კარგია, რომ 100%-ს ორად ყოფ და შენში სხვადასხვა პერსონაჟი არ არის. ზოგი ისეთი დანაწევრებულია, გაოცდები, შეიძლება, 100 ნაწილისგან შედგებოდეს...

— კი, მე გაორება მჭირს...

— ისე, ხარ თუ არა ბედნიერი? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი მაინც არ გამეცი...

— არა ვარ, მაგრამ ვარ! ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. შენ თუ ხარ ბედნიერი?

— ვარ და იცი, რატომ? ცხოვრებაში შეკვდი ადამიანს, რომელსაც უნდა შეკვედროდი. ეს იმდენად მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რომ ამისთვის ღირდა ცხოვრება. ერთხელ ცხოვრობ ადამიანი და აუცილებლად რაღაცისთვის. მე რისთვისაც დავიბადე, ეს ჩემი მისია შევასრულე. ამიტომაც მივიჩნევ თავს ბედნიერად. ბედნიერება საკუთარი თავის რეალიზებაა და იმ ადამიანის მოძებნა, ვინც შენთვის — მთელი სამყაროა. მე ეს შევძელი და როგორ ვთქვა, უბედური ვარ-მეთქი?!

— შენთვის მთავარი — მიზანია და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა გზით ცდილობ მის მიღწევას? ანუ — მიზანი ამართლებს საშუალებას?

— რიგ შემთხვევაში — კი, თუ მიზანი დიადია. მხატვარი ხარ, ამასთან, დასარტყამ ინსტრუმენტებზეც უკრავ. ახლა წამყვანიც გახდი, ჩემთან ერთად მიგყავს გადაცემა „არტ-კლუბი“. როგორ შეხვედი ახალ როლში?

— ჟურნალისტობა და წამყვანობა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ახლა მიწევს, რადგან რისკის გაწევა მომიხდა. ბუნებით ავანტიურისტი ვარ, ავანტიურაზე წასვლა ჩემში ადრენალინს აძლიერებს. დღეს მაყურებლის წინაშე გამოვდივარ და სიტყვას ვამბობ, ვცდილობ, სწორი სიტყვა ვთქვა, თუმცა ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი... სხვათა შორის, „ბარაბანს“ რომ მივუჯექი, ჩემგან ესეც ავანტიურა იყო...

— კაკადუ, რა ფერი გიყვარს, როგორც მხატვარს — საქმეში და როგორც ადამიანს — ცხოვრებაში?

— ვერ გეტყვი, რადგან ხატვისას ხაზს უფრო ვაქცევ ყურადღებას. გრაფიკოსი ვარ და ხაზს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ის დახვეწილი უნდა იყოს. რაც შეეხება სამოსს, — რა ფერის იქნება, ეს მეორეხარისხოვანია.

— როგორ გგონია, შეიცვალე?

— მაგრად შევიცვალე. თუმცა, ირაკლი მეუბნებოდა, შენ სულ 17 წლის ხარო... ცოტა ხნის წინ, ჩემი დიდი ხნის მეგობარი ვნახე. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რამდენად შევძელით და შევეხეთ ცხოვრებაში ბავშვობის ოცნებას.

— შეეხე?..

— შევეხე...

— ისე, მეც ამიხდა ბავშვობის ოცნება. მთავარია ის, თუ რამდენად კარგად ოცნებობ, ოცნებაში შეზღუდული არ უნდა იყო. იოცნებე გულით, სულით და ყველაფერი მოგეცემა...

— მთავარია, ოცნება რეალური იყოს. ოქროს სასახლეზე ოცნება სიგიჟეა...

— მეექალთანე ხარ?

— ქალი მიყვარს ძალიან *(იცინის)*.

— ქალებს თუ უყვარხარ?

— მგონი, კი. მყავს ცოლი და შვილს დეკემბერში ველოდები... ცხოვრებაში რაღაც-რაღაცები ხდება, მთავარია, ორი ადამიანიდან თითოეულმა საკუთარი და მისი მეწყვილის შეცნობაც იცოდეს, აცნობიერებდეს, რომ მე ვარ — მე და შენ ხარ — შენ და ამიტომ ვართ ერთად.

— ბედნიერება სწორედ ერთად ყოფნას ნიშნავს. ერთმანეთის „საზღვრების“ პატივისცემას. როდესაც ამ „საზღვარს“ გადადიხარ, ეს მარაზმია და მაშინ შორდები კიდეც მეორე ადამიანს... შენი აზრით, ქალი რა ფენომენია?

— მე ვფიქრობ, რომ ქალი მამაკაცური ენერგიის რეზერვუარია. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ ქალს სახლში სიმყუდროვის შექმნა შეუძლია, მაშინ ყველანი კარგად გრძნობენ თავს. ამიტომ, მან რეალურად უნდა გააცნობიეროს, თუ რა შეუძლია მას, მის ქმარს და ცხოვრებაც ისე უნდა აეწყოს. ის მეორე ადამიანის — ანუ ქმრის „გადაკეთებას“ არ უნდა ეცადოს, რადგან შეუძლებელია, დედამიწას ტყავი გადააკრა და ზედ ფეხშიშველმა იარო. ფეხსაცმელი უნდა ჩაიცვა...

— შენს მეწყვილეში მაინც, საუკეთესო მხარეები უნდა დაინახო... კაკადუ, შეგიძლია, გულწრფელი იყო და შემაფასო?

— ვეცდები *(ფიქრობს)*. ქეთათო, შენ ადამიანების იმ კატეგორიას მიეკუთვნე-

ბი, რომელიც გარეგნულად ცივი, მიუკარებელი ჩანს. მე снежная королева-ს გიწოდებდი. ერთი მხრივ, ეს მომწონს შენში. მაგრამ ცუდია, სხვისი აზრების მიმართ შეუწყნარებელი რომ ხარ, მათ კეთილ რჩევებს არ იღებ, თუნდაც — შენი თავის საზიანოდ.

— რჩევას არ ვითვალისწინებ?

— ჰო. რაღაც მომენტში, ეს ცუდი არ არის, თავის გადასარჩენად — კარგია, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობი, დამოუკიდებელი ხარ. მაგრამ ამ შენს შეუვალობაში ადამიანური სითბოც გამოსჭვივის, რაც ვფიქრობ, შენს снежная королева-ს იმიჯს აბალანსებს.

— როგორი თანამშრომელი და პარტნიორი ვარ? გიჭირს ჩემთან მუშაობა?

— ქეთათო, შენ ყოველთვის ირაკლის გვერდით, მეორე პლანზე იდექი. იმ პერიოდში, ცოტათი ნერვებს მიშლიდი, როდესაც რეპეტიციებზე ირაკლისთან ერთად, შემოქმედებით საკითხებზე კამათს იწყებდი. მე ჩემთვის ვიჯექი ინსტრუმენტთან და ვფიქრობდი — ნეტავ, მალე მორჩნენ კამათს, რომ რეპეტიცია დავიწყოთ-მეთქი, — თუმცა, თქვენ შორის კონსტრუქციული დიალოგები იმართებოდა... დღეს გადაცემაზე ერთად გვიწევს მუშაობა, შენით უკმაყოფილო არ ვარ. კარგი პარტნიორი და თანამშრომელი ხარ.

— გმადლობ. ალბათ ორივე, მშვილდოსნები რომ ვართ, იმიტომ.

ჟურნალისტი – კაკაფუ
რესპონდენტი – ქეთათო

— ბავშვობიდან მიცნობ. როგორ გგონია, შეივიცვალე?

— რაც დღემდე შემოგრჩა, ისაა, რომ მეგობრებთან ბოლომდე იხარჯები. ვფიქრობ, ცოტათი „ჩემნაირი გამყინვარება“ გჭირდება. ის, რაც შენს სულიერ სამყაროში ხდება, ჯერ შენგან მოითხოვს პატივისცემას და მერე — ირგვლივ მყოფებისგან. თუ მაჩვენებ, რომ შენ საკუთარ თავს არ უფრთხილდები, — მეყვარები, მაგრამ პატივს არ გცემ. არადა, სიყვარულზე მნიშვნელოვანი — პატივისცემაა ანუ „საზღვრების“ ზუსტი განსაზღვრა.

— ჩემს სულიერ სამყაროში მხოლოდ ის ქალი შემომყავს, რომელიც ჩემთვის ძალიან ახლობელია.

— შენს სამყაროში საყვარელ ქალს შეიყვან თუ იქ მეგობრებისთვისაც გექნება ადგილი, — ეს შენი საქმეა, მაგრამ მიმაჩნია, რომ პატარა „ჩინური კედელი“ გჭირდება. ბავშვი აღარ ხარ და თავდაჯერებულობა გჭირდება. მეჩვენება, რომ სხვებს ზედმეტად უსმენ, ბევრმა „გარეშე“ აზრმა არ უნდა აგრიოს.

— ჭკვიანად მიგაჩნია შენი თავი?

— არ მიმაჩნია.

— როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთოს ჩვენმა გადაცემამ, რა გვევალება?

— საქართველოში ყველა სერიოზული და მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა დააფიქსიროს და მიაწოდოს მაყურებელს. მოწვეულ სტუმართან საინტერესო დიალოგი გამართოს. ამა თუ იმ საკითხს ოდნავ მაინც უნდა ჩავუღრმავდეთ, მაყურებელს საინტერესო თემების მიმართ ინტერესი გავუღვივოთ. ჩვენ შუალედური რგოლივით ვართ.

— შეგიძლია, საკუთარი თავი დაახასიათო? ან ვთქვათ, ქეთათომ ქეთათოზე წიგნი რომ დაწეროს, შეგიძლია?

— მახსოვს, ერთხელ ხილვა მქონდა, ირაკლისაც ვუთხარი ამის შესახებ: საკუთარი თავი დავინახე ისე, რომ სალ კლდეზე მივცოცავდი — არადა, შორს ვარ მთამსვლელობისგან. ისეთი შეგრძნება მქონდა, ვიცოდი, რომ არ ჩამოვვარდებოდი. არ არსებობს ისეთი სიმაღლე, რომელზეც ვერ ავალ...

— შეგიძლია, შენი კარგი და ცუდი თვისებებიც დაასახელო?

— მაქსიმალისტი ვარ. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი. ისე, ცოტათი ხელს კი მიშლის... ზედმეტად ემოციური ვარ. კარგი ის არის, რომ მიზნის მიღწევა შემიძლია. სიყვარულის გამო ყველაფრის დათმობაც.

— მიზნის მისაღწევად, შენთვის ყველაფერი მისაღებია?

— ათ მცნებას ვერ დავარღვევ. მორალი არ მომცემს ამის ნებას. ვერც „ბარიგა“ გავხდები...

— შენთვის რა არის ხელოვნება?

— ხელოვნება — ცალკე განზომილებაა, რომელსაც თვითონ იგონებ ან რაღაც ძალა გაგონებინებს. ხელოვნება სამყაროა, შენ მიერ შექმნილი, დანახული და აღქმული. ხელოვნებას ზემოქმედება შეუძლია. ხელოვნება არის პოლიტიკა. ჩემთვის ასეა.

— შეგიძლია, ხელოვნებით ხალხი მართო?

— შემიძლია. ეს ბევრს აქვს გაცნობიერებული. ამიტომ, როდესაც ხელოვნებას უახლოვდები, სიფაქიზე უნდა გამოიჩინო, ისე უნდა იმოქმედო, რომ არ ჩაგითრიოს და სხვებზე ზედმეტი გავლენა არ მოახდინო...

— შენს ცხოვრებაში ახლა რა ეტაპია?

— სერიოზული ეტაპია. 10 წლის განმავლობაში, ცხოვრების სხვა სტილს ვიყავი მიჩვეული. ახლა 180 გრადუსით შევტრიალდი, სულ სხვა სტილი მაქვს. ადრე სახლში ვიყავი, ოღონდ — სახლში ყოფნა ჩემთვის პასიურობას არ ნიშნავდა. რეალურად, ბევრი რამის გაკეთება მოვახერხე. ჩემ ირგვლივ ახლა ყველაფერი შეიცვალა და მეც ვიცვლები.

— მოგწონს შენი ცხოვრების დღევანდელი ეტაპი?

— ყველა ეტაპი ჩემია, მე უნდა გავიარო... ეს მეორე საკითხია — მომწონს თუ არა.

ვერ ვიტყვი, რომ კომფორტული ვარ, თუმცაღა, დისკომფორტსაც არავის შევუქმნი...

— გადაწყვეტილების მიღება გიჭირს?

— გადაწყვეტილებას ადვილად ვიღებ.

— ვის უთანხმებ?

— დედიდან დაწყებული — ყველას შემიძლია ვუთხრა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. შენ კი ამბობ, სხვების აზრს არ ისმენო, მაგრამ ყველას აზრი მაინტერესებს.

— მეც მაინტერესებს სხვების აზრი... კომფორტული ადამიანი ხარ?

— ჩემი თავისთვის ძალიან კომფორტული ვარ. ვისაც მინდა, მას შემიძლია, კომფორტი შევუქმნა. ყველას კომფორტს ვერ შევუქმნი, არ დავიხარჯები — რატომ?.. მაგრამ თუ ვხედავ, რომ ნორმალური ადამიანი ხარ, მაშინ — კი. ისინი, ვინც ნებისმიერს უქმნიან კომფორტს, თვითონ საშინელ დისკომფორტს განიცდიან. აქ ენერგეტიკულ კომფორტზეა ლაპარაკი. შენ?

— ვერ ვიტყვი, რომ კომფორტული ვარ, თუმცაღა, დისკომფორტსაც არავის შევუქმნი...



არ არსებობს ისეთი სიმაღლე, რომელზეც ვერ ავალ...

მარგალიტები ღამის შავი ცის ფონზე...

ჟურნალისტმა თემურ მიქაუტიძემ ახალი რუბრიკის შემოღების წინადადებით მოგვმართა. მისი ჩანაფიქრი და ამ რეალური ამბების ამსახველი ნარკვევების ნაწილი არა მარტო საინტერესოდ, არამედ ძალზე სასარგებლოდაც მივიჩნიეთ და დღეიდან მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს. ვიმედოვნებთ, ისინი არ დაგტოვებთ გულგრილს. უფრო მეტიც: ვფიქრობთ, ბევრი თქვენგანი, ორი ერის შვილთა სასიკეთო ურთიერთობის ამსახველ, თქვენთვის ცნობილ ამბებსაც გაგვიზიარებთ, რასაც რედაქციაც და რუბრიკის ავტორიც სიხარულით მიიღებენ...

თემურ მიქაუტიძე

ჩაიარა ომის შემდგომმა 15 წელმა და... რას დატოვებდა, აბა, მძიმე მოგონებების მეტს?..

თუმცა, არც ისეა, რომ მარტო უარყოფითი გვახსოვდეს და ყველაფრის დავიწყებას ვცდილობდეთ. ომს, როგორც ექსტრემალურ მოვლენას, ადამიანის ცხოვრებაში ბევრი დადებითი მომენტის გახსნა-გამომზეურებაც შეუძლია. ასეთ ვითარებაში ავლენენ ადამიანები ზნეობრივი და მორალური ფასეულობების „შედევრებს“ — როგორც მარგალიტებს, ღამის შავი ცის ფონზე...

გმირობა შეგნებული ზნეობრივი აქტია და არა მხოლოდ ემოციის გამოვლინება. იქ, სადაც ტრაგიზმია და ადამიანის პიროვნული ღირსება უბედურების გარდაუვალობას ეჯახება, მხოლოდ დიდსულოვან და დიდბუნებოვან ადამიანებს შეუძლიათ გაიბრწყინონ. ერმა კი ეს გაბრწყინება უნდა დაინახოს, შეაფასოს და დააფასოს. არდანახვა — უმადურობა და უმწიფრობაა.

ამ რუბრიკის შემოღება სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

იმ ადამიანთა უმრავლესობას, ვისი ცხოვრებისეული თავგადასავლის ამსახველ ამბებსაც შემოგთავაზებთ, სასწაულებრივი არაფერი ჩაუდენია — ისინი ცხოვრობდნენ საკუთარი მორალური კოდექსის მიხედვით და... მათი ქცევები მშვენიერია.

ჩვენს მონათხრობში თითქმის არ არსებობს მტერი. წინა პლანზე წამოწეულია ადამიანი, რომელიც საკუთარ თავთან პირისპირ დგას და არა — კონფლიქტში, ფრონტის ხაზზე. აქ ადამიანები ისე იქცევიან, როგორც ნამდვილ ადამიანებს შეშვენით. აქ ადგილი მხოლოდ სიყვარულისთვის არსებობს და ისინიც, მიუხედავად მათი, ხშირ შემთხვევაში, არაფრით გამორჩეულობისა, ულამაზესნი არიან — სულით ულამაზესნი, — და სწორედ ამაშია მათი გმირობა.

ეს — ნამდვილი გმირები — დღემდე ელოდებიან თავიანთ შემფასებელს და როცა ის გაჩნდება, აღარც ხელოვნება დააყოვნებს, თვითონ იპოვის მათ — ულმობელი და სასტიკი ფრონტის ხაზზე (რომელიც — მჯერა — წარსულს ჩაჰბარდა) თუ სადმე სხვაგან, მოკრძალებულ ადამიანთა მოკრძალებულ ყოფიერებაში...

ჩვენ ვცდილობთ, ჩვენი თვალით დანახული შემოგთავაზოთ. მარგალიტები ღამის შავი ცის ფონზე.

ლიკა ესვანჯიას მონათხრობიდან

მე ომი არ მახსოვს. უფრო სწორად, ნამდვილი მონაწილენი იმდენად სხვადასხვაგვარად ჰყვებიან ომის ამბებს, რომ ეჭვი მეპარება — ის, რაც ჩემს ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა, რაიმე კავშირში იყოს ომთან.

მახსოვს, მამამ ერთ მშვენიერ დღეს, ბევრი საჩუქარი რომ მოგვიტანა მე და ჩემს უფროს ძმებს.

წინა დღეებში ჩვენთან სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მამის მეგობრები და მეზობლები. ბევრს და გვიანობამდე საუბრობდნენ ისეთ რამეებზე, რაც ჩვენთვის მოსასმენი არ იყო. მე მაინც ვხვდებოდი, რომ ბიძიები უკმაყოფილოები იყვნენ, ბევრი რამ არ მოსწონდათ. ერთი უცნაური ფრაზაც კი მახსოვს, „პოლიტიკური გვამები გავლენის სფეროებს იყოფენ“. მამას ვკითხე, მერე, როცა ბიძიები წავიდნენ, — გვამები რა არის-მეთქი? მამამ ამიხსნა, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე — გვამებს როგორ უნდა გაეყოთ სფეროები და ამით როგორ უნდა გაჭყლეტილიყო ხალხი...

მახსოვს, ჩვენი გამომგზავრების წინაღამეს, ჩვენთან იურა ბიძია მოვიდა. მამამ და მან ერთხანს ისაუბრეს. დედა და მამა იმასაც ეუბნებოდნენ — ჩვენთან ერთად წამოსულიყავიო. იურა ბიძიამ უპასუხა — თქვენ უნდა წახვიდეთ, ბავშვები გყავთო, მეც რომ გავიქცე, არ ვიქნები მართალიო.

მე არ ვიცოდი მაშინ, ბავშვები რა შუაში ვიყავით. მით უმეტეს, რომ მე მაინცდამაინც არსად მინდოდა წასვლა. სვეტა და ადა არსად მიდიოდნენ. გოგონებმა მითხრეს — ჩვენებმა თქვეს, წასასვლელი არსად გვაქვს და ისევ აქ დარჩენა ჯობს, ღმერთი სულ ხომ არ გაგვწირავსო... ჩვენ წასასვლელი გვქონდა. მე შემიგროვეს ყველა სათამაშო და რაც მანქანაში არ ჩაეტია, ხელში დამაჭერინეს. ზოგი რაღაცები გოგონებსაც დავუტოვე. ძალიან დამენანა, მაგრამ აღარ ჩაეტია. მამა გაღიზიანებული იყო. მინდოდა, მეტირა, მაგრამ დედამ მკაცრად გამაფრთხილა — ახლა ტირილი არ დაიწყო, თორემ მოგხვდებაო. სხვა გზა არ იყო.

იურა ბიძიამ გაგვაცილა და ხელი დაგვიქნია.

დანარჩენი უკვე მამისაგან ვიცი...

მამა დედაქალაქში ექვსი თვე უმუშევარი დადიოდა. ყოველ საღამოს დაღლილი მოდიოდა სახლში და დასაძინებლად წვებოდა. დედა ჩურჩულით გველაპარაკებოდა ხოლმე. ჩემმა ძმებმა აქაურ სკოლაში დაიწყეს სიარული. ერთბაშად უამრავი პრობლემა შეექმნათ. ხან სკოლაში მისატანი ფული არ გვქონდა, ხან ფეხ-

იურა ომანაძე (მარცხნივ) თანამებრძოლებთან ერთად

საცმელში წყალი შესდიოდათ, ხან — რა და ხან — რა. რამდენჯერ უთქვამთ — ხვალ სკოლაში აღარ წავალთო! — მაგრამ მაინც მიდიოდნენ. დედას მე მგონი, სულ დავავიწყდი. სულ სახლში ვიყავი გამოკეტილი და ნაქირავები ბინის მეცხრე სართულის ფანჯრიდან ვიყურებოდი ეზოში. აქედან არც ზღვა ჩანდა, არც თოლიები და არც პარკი...

ერთხელ ტელევიზორში დედა რაღაც გადაცემას უყურებდა. მე უკვე კარგა ხანია, „მულტიკებს“ აღარ მაყურებინებდნენ. მგონი, ამ ტელევიზორში არც იყო „მულტიკები“. მამაც სახლში იყო. დედამ — აი, სოხუმია, სოხუმს აჩვენებენო! ბავშვები სიხარულით გავექანეთ ტელევიზორისკენ. რაღაც ნანგრევებს აჩვენებდნენ. ისინი იწვოდა და ბოლი ასდიოდა. ვაგზალიო, — თქვა მამამ და გაჩუმდა. დედამ თვალებზე ხელი აიფარა. მამამ კიდევ ერთი სიტყვა თქვა — დაიწყოო... — და ტელევიზორი გამორთო. ჩვენ გვიბრძანეს, რომ დაგვეძინა.

აქედან დაწყებულა „მართალი ომი“.

დაწყებიდან რამდენიმე ხანში, ჩვენი სოხუმელი მეზობლებიც გვეწვივნენ. უღელტეხილზე გადმოვედითო... მე ძალიან გამიხარდა მათი ნახვა და მინდოდა, სულ ჩვენთან დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად. მაგრამ ასე არ მოხდა. ისინი მალე სადღაც გადავიდნენ. მათ შემდეგ, სხვები მოგვადგნენ. მათ ჩამოიტანეს იურა ბიძიას დაღუპვის ამბავი. ამ ამბის გაგების შემდეგ, მამა ერთი კვირა სამუშაოდ არ გასულა...

ეს ყველაფერი 12-13 წლის წინ იყო. სკოლაშიც წავედი. იქ ჩემნაირი ბავშვი ბევრი აღმოჩნდა. ეს მე მაშინ, პირველ კლასში მისვლისას გავიგე. თურმე, ლტოლვილების სკოლა ცალკე ყოფილა. არა, შენობა ერთია, მაგრამ ჩვენ მეორე წყებაში ანუ შუადღის შემდეგ დავდივართ. დილის ცვლაში კი — „ჩვეულებრივი“ ბავშვები. სხვანაირადაც ამბობენ — ეს სკოლა იმათია, ჩვენ კი — შემოგვიკედლესო...

ახლა უკვე საცაა, მე-11 კლასს დავამთავრებ. ვამთავრებ „სხვის“ სკოლას. ჩემი კი, ისე მოხდა, რომ საერთოდ არ მქონია. მე ლტოლვილი მქვია და სხვაგან ვცხოვრობ. „ჩემი“ დარჩა იქ, სადამდეც მეხსიერება ბუნდოვნად სწვდება. ხოლო ის, რაც გავიარე და კარგად მახსოვს — არ არის „ჩემი“.

მე, დედა და მამა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მახსენებდნენ, რა არის და სად არის „ჩემი“: ჩემი ეზო და ჩემი სახლი, რომლებიც ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მახსოვს. ჩემი ქუჩა, რომელიც არ ვიცი, სად იწყება და სად მთავრდება, ჩემი სკოლა, რომელში შესვლაც ვერ მოვასწარი, ჩემი ნათესავები, რომლებიც სამ, ოთხ თუ ხუთ ქვეყანაში არიან მიმოფანტულნი. მათგან უმრავლესობა — ლტოლვილია, უმცირესობა კი — მათი ჭირისუფალი, პატრონი და მასპინძელი. გვყავს ჩვენი გარდაცვლილებიც. მაგრამ ყველაზე მეტად რაცაა „ჩემი“, ეს — იურა ომანაძეა. თუმცა — არა როგორც გარდაცვლილი. მამა ყველაზე მეტს მასზე ლაპარაკობდა და ლაპარაკობს ახლაც. მან აქცია იურა ომანაძე ჩვენთვის ყველაზე ახლობელ და დაუვიწყარ ადამიანად.

„გავა დრო და ამ ომის შესახებ სხვაგვარად ილაპარაკებენ, სხვაგვარად შეაფასებენ ყველაფერს, მათ შორის ადამიანებსაც და მათ მიერ ჩადენილ საქციელსაც, ილაპარაკებენ ადამიანურ ღირსებასა და კეთილშობილურ ქმედებებზეც, — გვარიგებდა მამა მე და ჩემს ძმებს. — იურა ომანაძე მათ შორის, ერთ-ერთი დიდი ადამიანი იყო.“

ერთხელ, ერთ ჩვენს ნაცნობს მანქანა დაეჯახა. მანქანის პატრონმა დაზარალებული მიატოვა და მიიმალა. ვინ არის მაგის პატრონი, ვინ იპოვის ახლა დამნაშავესო? — გაიძახოდნენ. ძალიან გვიან, შემთხვევით გაიხსნა ეს საქმე. დამნაშავე დაზარალებულის ნაცნობი აღმოჩნდა.

მაშინ გაიხსენა მამამ: იურა ომანაძე, დევივით კაცი, ბავშვივით გულის მქონე, მხიარული და სიცოცხლის მოყვარე, ნადირობის ტრფიალიც ყოფილა. რამდენიმე დღისა და კვირის სავალზე დადიოდა თურმე, კავკასიონის მთებში სანადიროდ, მარტოკა, თოფითა და მცირე საგზლით. წავიდოდა, დაიკარგებოდა და კვირის ბოლოს გამოჩნდებოდა, ჯიხვით ან ტახით.

ერთხელ ჯიხვებზე ნადირობისას, მეზობელსოფლელი სომხის ბიჭი შემოჰკვდომია შემთხვევით: მის მიერ გასროლილ ტყვიას ჯიხვის ტანში გაუვლია და მას უკან მოხვედრია მეორე მხარეს მყოფ ბიჭს. იურას მისი იქ ყოფნის ეჭვიც არ ჰქონია. თავზარი დასცემია ვაჟკაცს. ჩასულა, ხევიდან ამოუყვანია, გადაჩეხილი. ორი დღე და ღამე ზურგით უტარებია. სახლში მშობლებისთვის მიუსვენებია, უბედური და უთქვამს — ასე იყო, მე შემომაკვდაო.

დიდი ყოფილა გლოვა და ზარი. მშობლებთან ერთად, უჭირისუფლია იურას. თვითონ გაუღია დაკრძალვის ხარჯები. სოფელიც დახმარებია. დაკრძალვის შემდეგ თავისი ფეხით წასულა სასამართლოში. მანამდე არ დაუკავებიათ: მისი ვაჟკაცობისთვის არ უკადრებიათ. ყველა იცნობდა და ენდობოდა, თურმე. მომჩივანიც არ ჰყოლია, მაგრამ სასამართლოც თვითონ მოუთხოვია და სასჯელიც. სასჯელის მოხდის შემდგომ ისევ მისულა ბიჭის ოჯახში და უთქვამს — მტრად ნუ მიგულებთ, ისევ თქვენთან ერთად, ჭირისუფალი ვარ და ისევ ტვირთი მაწევსო...

რატომ ჩვენსავით არ გამოერიდა ომსმეთქი? მამამ მიპასუხა — იურა იმ კუთხის, იმ სოფლის შვილი იყო, დაუოჯახებელი კაცი იყო, მისთვის ყველაფერი მისი სოფელი და მისი მეგობრები იყვნენ, ალბათ, სხვაგან ვერც იცხოვრებდაო. მაგრამ ომი დაწყებულა და მასში მონაწილეობა გარდაუვალ რეალობად ქცეულა იურასათვის, გარდაუვალ რეალობად და აუცილებლობად. იძულებული გახადა, ომის კანონები და წესები მიეღო. თუმცა, მას თავისი ვაჟკაცობის წესები არ დავიწყნია და აქაც ვაჟკაცად დარჩენილა.

მაინც ის ომიანი „თავისეთი“ ერჩივნა ყველაფერს. იქ ყველა იცნობდა, მტერი არსაით მხარეს არ ჰყოლია. არავის ეგონა, თუ მას ტყვია მიეკარებოდა. არც იმის სჯეროდათ, თუ იურა თვითონ ვინმეს გაიმეტებდა. ოღონდ, ერთია — მანამდე ლაღ, გულღია და უწყინარ ვაჟკაცს, გადამთიელების მიმართ აუტანლობა დასჩემებია.

ბუნებრივად ალღოიან, ფიზიკურად ძლიერ და გამჭრიახ ვაჟკაცს მალე მოუხვეჭია გამორჩეული მეომრის სახელი, მით უმეტეს — უნდილი და თავზეხელაღებული „ურაპატრიოტების“ ფონზე.

ერთხელ, პოზიციური ბრძოლებისას, როდესაც ხიდის გადმოღმა ქართველები მდგარან, ხოლო გადაღმა გადამთიელების პოზიცია ყოფილა გამაგრებული, იურას უთქვამს — მე მოგგვრით მაგ პოზიციას აქ ხვალ დილითო. ღამით ხიდის ქვემოდან, კონსტრუქციებზე, მარტო ხელებით დაკიდებული გადასულა მეორე მხარეს, თავს წამოსდგომია ხუთკაციან საგუშაგოს, განუიარაღებია და, თავისი ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით, ცხვრებივით მოულალავს აქეთ. რამდენჯერმე



მსგავსი საარაკო რამ მოუწყვია გადამთიელთათვის. თავლაფდასხმულ და გამწარებულ გადამთიელებს ცალკე, განსაკუთრებულ სამიზნედ მოუნიშნავთ იურა ომანაძე და მკვდარი თუ ცოცხალი, 50.000 დოლარად შეუფასებიათ. დიდხანს ნადირობდნენ უშედეგოდ. იურას აინუნშიაც არ ჩაუგდია მოწინააღმდეგე. თვითონაც არ სჯეროდა ალბათ, თუ მისწვდებოდნენ.

თუმცა, არც დიდი სიფრთხილის გამოჩენით შეუწუხებია თავი.

მთელ აფხაზეთში ჰყვებოდნენ კიდევ ერთ ამბავს: ერთხელ თურმე, ახალწლის წინაღამეს, პოზიციებზე ყოფნისას იურას დაუდგენია, რომ მათ წინ აფხაზები იდგნენ. გადასულა და შორიდან შეხმიანებია: ბიჭებო, ღვინო თუ გაქვთო? არ ჰქონიათ აფხაზ მებრძოლებს ღვინო საახალწლოდ. იურას აუღია 20-ლიტრიანი ბოცით ღვინო და გადაუტანია მოწინააღმდეგე პოზიციაზე. ჩამოუსხამს. იქვე პირველი ჭიქა ასწია, გაგვიმარჯოსო! — და თვითონვე დაულევია. მერე ერთხანს დამსხდარან ერთად. ომზე მძიმედ უთქვამთ: ერთი სიტყვით, არ არის ეს სწორი საქმეო, — და მეტი აღარც არაფერი დასცდენიათ თურმე. აფხაზებს თხა ჰყოლიათ დაკლული. შუაზე გაუჭრიათ. ერთი ნახევარი გადაუკიდიათ იურასთვის მხარზე და ისე გამოუშვიათ.

დილიდან ისევ გავარდნილა თოფი. ისევ დაწყებულა ომი, თავისი კანონებით. ეს კანონებიც კარგად სცოდნია იურა ომანაძეს.

მამას რომ ვკითხე — როგორ გაბედამეთქი? — აფხაზების ვაჟკაცობას ენდობოდა და არც იმათ იკადრეს უმსგავსობა, ვაჟკაცობა არც 50.000 დოლარზე გაყიდეს და არც მეტზე გაყიდდნენ; იცოდა იურამ, ვისთანაც მიდიოდა და იმათაც იცოდნენ, ვინ მოდიოდაო...

დარწმუნებული ვარ, იმ აფხაზებს შორის, სვეტას და ადას მამებიც იქნებოდნენ. დარწმუნებული ვარ...

მაინც იპოვა ტყვიამ იურა ომანაძე. ბრმა ტყვიამ. ჩვეულებრივი პოზიციური ბრძოლების დროს იპოვა. ალბათ, არც იურა იყო ყველაფრის მცოდნე. ან იქნებ, ომის კანონებით ცხოვრება და სიცოცხლისათვის გამუდმებით სამალავიდან ცქერა მოსწყინდა თავმოყვარე კაცს?.. მოსწყინდა და პროტესტის ნიშნად, გაიშალა წელში?..

მისი დაღუპვის ამბავი აფხაზებსაც გაუგიათ; შესანდობარი უთქვამთ: კაი ვაჟკაცი გაფუჭდაო. ომს, როგორც გარდაუვალ აუცილებლობას, ვერ გადაურჩა ცოცხალი ვერც იურა ბიძია...

ხანდახან ვფიქრობ — რა სახე, რა ფორმა და რა გემო უნდა ჰქონოდა ომში ჩვენს გამარჯვებას და როგორი უნდა ყოფილიყო გამარჯვებული იურა ბიძია? ან საერთოდ, რა შინაარსი დევს „ჩვენს“ გამარჯვებაში? ვინა ვართ ეს „ჩვენ“?..

მე მგონი, იურა ბიძიას თუ არ გაუმარჯვია, ჯერ არც დამარცხებულა. მისი ომი კიდევ გრძელდება. ჩვენს ომთან ერთად...

მერე, მის დაკრძალვაზე თავი გამოუდვია ერთ მედროვეს: მტერს იურას სიკვდილს არ შევარჩენო! — დაუფიცავს ვითომ. მის საფლავზე ტყვეები მიუყვანია, ორი ახალგაზრდა კაცი. იურას 14 წლის დისშვილი წაუქეზებიათ — ბიძაშენის სისხლი აიღეო! — და მოუკვლევინებიათ ორი კაცი.

ცუდი ამბავი მოხდაო, — ახლა ამბობენ, — იურას ვაჟკაცობასა და ღირსებას არ ეკადრებოდა ასეთი დამცირება და შებღალვა, ბავშვსაც ცოდვა ააღებინეს საკუთარ თავზე, მაგრამ ამის მთქმელი არავინ ყოფილა მაშინ — მაშინ სხვანაირი დრო იყოო... ერთადერთი, ვისაც ამის თქმა შეეძლო, ისევ თვითონ იურა იყო, მაგრამ იურა მკვდარი იყოო უკვე...

მერე, ეს თავგამოდებული შურისმაძიებელი, ე.წ. „დიდი კაცი“ გამხდარა. ალბათ, ესეც გარემოებათა გამო მოხდა, იმ გარემოებათა გამო, რომელთა გადახედვისა და ზნეობრივი ღირებულებების გადაფასების იმედიც მამას აქვს და ჩემს თაობას ევალება. რომელთა გამოც, ეს ომი უნდა დამთავრდეს.

მე ახლა ვზივარ და ვწერ ომზე, რომელიც არ მინახავს; სახლსა და ზღვაზე, რომელიც არ მახსოვს; ადასა და სვეტაზე, რომელთაც ჩემი ბავშვობის ტყუპისცალი ბავშვობა ჰქონდათ; იურა ბიძიაზე, რომელიც საფლავში მწოლი, ალბათ ისევ განსასჯელის მოლოდინშია. ვწერ იმ არშემდგარ წარსულზე, რომელიც ჩემი უნდა ყოფილიყო იმ აწმყოდან, რომელიც შედგა, მაგრამ ვითარებათა გამო, ჩემად ვერ მივიჩნიე.

ნეტავ, რას გვკარნახობს გარდაუვალი რეალობა დღეს? რა არის მომავლის აუცილებლობა? რას გვეუბნებიან ჩვენი გულები?.. ■

„ბაბრაზებბა რა ფუაფია?!“

დასაწყისი იხ. გვ. 5

— ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან მოხსნას მოითხოვენ. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნა?

— მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა იმ კანონდარღვევების შესახებ, რომლებიც პენიტენციარულ სისტემაში არსებობს, მართებული იქნებოდა, ბაჩო ახალაიას გაეკეთებინა განცხადება იმის შესახებ, რომ ის ამ საქმეებს გამოიძიებდა. მაგრამ ეს არ მომხდარა. მან ყველა ბრალდება უარყო და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში დამადანაშაულა. ჩემი ყოფილი თანამშრომელი ზურაბ კვიციანი ახლა სასჯელაღსრულების დაწესებულების ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელია. მან საკუთარი თვალით იხილა კარცერში მყოფი გაშიშვლებული პატიმარი — ანუ ის, რომ ახალაიამ არ იცის, თუ რა ხდება მის უწყებაში, — გამორიცხულია. რაც შეეხება მის პასუხისმგებლობას, მიმაჩნია, რომ ეს გამოძიების პრეროგატივაა და არა — სახალხო დამცველის. პარლამენტში რამდენიმე დღის წინ ჩემ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში პენიტენციარულ სისტემაში არსებულ კანონდარღვევებზე გავაკეთე აქცენტი. მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერზე დაწესებულების ხელმძღვანელს, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა მოეთხოვოს. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ შარშანდელთან შედარებით, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტების რიცხვი გაიზარდა. კანონმდებლობა უფრო მეტად გამკაცრდა, დაწესდა გაცილებით დიდი შეზღუდვები (ვგულისხმობ პაემნების რაოდენობის შემცირებას და ა.შ.); კანონმდებლობა ადრე გაცილებით ლიბერალური იყო. ის, რომ ზოგ შემთხვევაში, პატიმარს სრულიად ეკრძალება გრძელვადიანი პაემნის გამოყენება, არ ეძლევა ოჯახთან შეხვედრის უფლება, — არ მიმაჩნია მართებულ პოლიტიკად. მსგავსი დამოკიდებულება უსამართლოა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი. მსჯავრდებულთა მიმართ ამგვარი მიდგომა საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

— პენიტენციარულ სისტემაში არსებული ვითარება საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკასაც იწვევს. თქვენი აზრით, პრობლემის მოსაგვარებლად რა ზომების მიღებაა საჭირო?

— მართალია, პენიტენციარულ სისტემაში ბევრი პრობლემაა დაგროვილი, მაგრამ გარკვეული ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად იდგმება. საკნებში რომ პატიმართა ორჯერ მეტი რაოდენობა ცხოვრობს, ახალი არ გახლავთ. ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი საპყრობილის აშენება ამ პრობლემას ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს. ადრე ციხეში სიტუაციას ავტორიტეტული ქურდები აკონტროლებდნენ. ეს პრობლემაც, მთლიანად თუ არა, გარკვეულწილად მაინც გადაიჭრა. მე-7 საპყრობილეში პატიმრებს წიგნის კითხვა არ შეეძლოთ და ჩვენი რეკომენდაციით, ნათურები დაამონტაჟეს. ამასთანავე, მთელი რიგი პრობლემებისა, კვლავ გადაუჭრელი რჩება. მსჯავრდებულთა მიმართ, ციხის ადმინისტრაციის აგდებული და არაადამიანური დამოკიდებულება განსაკუთრებით მაწუხებს.

— ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ სუბარი ხელისუფლებას თვალში არ მოსდის და თქვენი გადაყენების გეგმაც არსებობს. რას იტყვით ამის შესახებ?

— ხელისუფლებას რამდენად მოვწონვარ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ჩემი გადაყენების ერთადერთი მექანიზმი იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ სისხლის სამართლის დანაშაულს ჩავიდენ, რასაც ნამდვილად არ ვაპირებ. მსურს, სახალხო დამცველის სტატუსით მუშაობა კვლავინდებურად შემართებით გავაგრძელო. რიგით მესამე სახალხო დამცველი ვარ და ჩემს წინამორბედებს ამ პოსტზე დიდხანს არ უმუშავიათ. ვფიქრობ, რომ ამ ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად და მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად საჭიროა, საქმე ბოლომდე მივიყვანო. სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის რეიტინგი საკმაოდ მაღალია. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში, კანონმდებლობა არ გვაძლევს რეალურ ბერკეტებს. მაგალითად, კანცელარიის წინ მოშიმშილე ვეტერანთა კანონიერი აქცია საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა უცერემონიოდ დაარბიეს და ყოველგვარი დასაბუთებისა და მოტივის გარეშე, მოშიმშილეთა ნარკოლოგიური შემოწმება მოითხოვეს. ის, რომ მათი უფლებები დაირღვა და სახალო დამცველის აპარატმა ამის შესახებ განაცხადა, ვფიქრობ, საკმარისი არ არის. დიდი სიამოვნებით გამოვიძიებდით და დავსჯიდით იმ ადამიანს, რომელმაც მოშიმშილე ვეტერანთა აქციის დარბევის ბრძანება გასცა.

— როდესაც სახალხო დამცველის პოსტზე დაინიშნეთ, ოპონენტები ხელისუფლების მიერ ხელდასხმულ კადრად მიგიჩნევდნენ. ბოლო დროს, შეიძლება ითქვას, უფრო ხშირად, ოპოზიციონერთა გულს იგებთ, ვიდრე ხელისუფლებისა...

— ხელისუფლების ნებაა, რომ ამ ქვეყანაში დამყარდეს დემოკრატია და შემცირდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. სწორედ ამ საქმეს ვემსახურები. ვის მოსწონს და ვის — არა, ამასთან დაკავშირებით ძიებას ნამდვილად არ ვაწარმოებ. მიმაჩნია, რომ იმ საქმეს, რომელიც მევალება, კარგად ვაკეთებ.

■

მართალია, დაბრეცილი ლოჯიებისა და აივნების ცქერას თვალი უკვე შევაჩვიეთ, მაგრამ შეჩვევა საფრთხის აცილებას არ ნიშნავს. შექმნილ სიტუაციაში, მოსახლეობას სახელმწიფოს იმედი აქვს და მომხდარ თუ მოსალოდნელ უბედურებაში მასვე ადანაშაულებს; სახელმწიფო კი პასუხისმგებლობას იხსნის. ეს, ფაქტი გახლავთ და რაოდენ მიუღებელიც არ უნდა იყოს, ვფიქრობთ, ხალხს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მოსალოდნელი საშიშროების მიმართ დამოკიდებულება მცირედით მაინც შეიცვალოს.

მტკივნეულ საკითხზე სასაუბროდ, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილეს, გიორგი საგინაშვილს შევხვდით.

თუ თქვენი მიშენებული ლოჯია ავარიულია...

ეთერ ერაძე

— უკანონო მშენებლობებს შორის, ყველაზე სახიფათოდ ისევ მიშენებული ლოჯიები და აივნები მიიჩნევა. სამწუხაროდ, მერია ამ საკითხს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ამას წინათ, დადიანის ქუჩაზე ისეთი ბინები ვნახე, სადაც მიშენებასა და კორპუსს შორის ახალდაგებული პარკეტი რამდენიმე სანტიმეტრზეა გადახსნილი. ხალხი ღვთის ანაბარადაა მიტოვებული...

— კი, მაგრამ თავად მოსახლეობა რატომ ვერ ხვდება, რომ ეს საშიშია?..

— ხვდება და ქალაქის მერიასაც მრავალჯერ მიმართეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა... მერიას მხოლოდ იმაში შეუძლია შველა, რომ გაარკვიოს — მართლაც ავარიულობასთან გვაქვს საქმე თუ არა. რაც თქვენ ბრძანეთ, ის კონსტრუქციის „ჯდომის“ პროცესმაც შეიძლება, გამოიწვიოს. ასეთი რამ ზოგჯერ მაშინაც ხდება, როცა კორპუსი დიდი ხნის „დამჯდარია“, ხოლო მიშენება — ისევ „ჯდება“ და კორპუსს სცდება. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ავარიულობას. რომც ნიშნავდეს, ამაზე გეტყვით — მერია, გარდა ავარიულობის დადგენისა, სხვას ვერაფერს გააკეთებს. ასე რომ, მოსახლეობას შეუძლია, დარეკოს მერიის ზედამხედველობის სამსახურის ცხელ ხაზზე — 37-78-70, ასევე, ზავრიევის სახელობის სეისმომედეგობის ინსტიტუტში — 33-40-58 — ან წერილობით მოგვმართოს და ადგილზე საკითხის შესასწავლად, კონსტრუქტორებისა და ინჟინრების კომისიას გავგზავნით.

— ანუ გინდათ თქვათ, რომ მერია საკითხის შესწავლის გარდა, სხვას ვერაფერს იღონებს და მიშენების ჩამონგრევას მშვიდად დაელოდება?!

— ეს არ მითქვამს. თუკი მართლაც, საშიში მდგომარეობაა, ჩვენ შეგვიძლია, უფასოდ ჩავატაროთ მიშენების დემონტაჟი. მოსახლეობას შეღავათს ამით გავუწევთ.

— ეს რა შეღავათია? ხალხი უსახლკაროდ დარჩეს?..

— აბა, რა ვქნათ? უკანონო კონსტრუქციების გამაგრების თანხა ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. მათ მშენებლობასთან ხომ ჩვენ კავშირი არ გვქონია! თავის დროზე, ისინი მოსახლეობამ უკანონოდ, თავისსავე სახსრებით გააკეთა და კეთილი ინებოს, გამაგრებასა და საკუთარი თავის უსაფრთხოებაზეც იზრუნოს.

— მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე, დიდი უკანონობა იყო გამეფებული, შეუძლებელია, მშენებლობა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი მოიცვა, შესაბამის სამსახურებთან არ ყოფილიყო შეთანხმებული...

— გარწმუნებთ, რომ ლოჯიების მხოლოდ 1%-ია კანონიერად აგებული. მათზე მხოლოდ მშენებლობის დაწყების ბრძანებები იყო გაცემული, ნებართვები კი — არა. სხვათა შორის, უკანონოდ მიშენებული ლოჯიები ბინის პატრონთა საკუთრებას არ წარმოადგენს...

— ეი. ვთქვათ, მე რომ ლოჯიამიშენებული ბინის ყიდვა მინდოდეს, ბინას ვიყიდი, ლოჯიას კი — ვერა?!

— ოფიციალურად, ლოჯიას ვერ იყიდით, თქვენ შეიძენთ მხოლოდ ძირითად ფართს, ლოჯია კი, ჰაერში გამოკიდებული დარჩება.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება იტოვებს უფლებას, ლოჯიები, როცა უნდა, მაშინ მოანგრიოს?

— ამას ხელისუფლება არ გააკეთებს. ის ხალხი, რომელიც ლოჯიიან ბინაში ცხოვრობს, არც ისე ცოტაა. სხვათა შორის, ჩვენ ვცდილობთ, რომ 2001 წლამდე აშენებული ლოჯიები მოსახლეობას დავუკანონოთ, მაგრამ ამის საშუალებას საბუთები არ გვაძლევს. 2001 წლიდან კი, უკანონო მშენებლობები აიკრძალა.

— ბატონო გიორგი, ლოჯიათა გამაგრებას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება, ისინი მოსახლეობას არ გააჩნია...

— აბა, სახელმწიფო საიდან მოიტანს უკანონო მშენებლობისთვის „კანონიერ“ თანხას?!. თუკი მოსახლეობამ თავის დროზე შეძლო, ამ კონსტრუქციაში არცთუ ისე ცოტა ფულის გადახდა, ალბათ, მათ გასამყარებლად საჭირო თანხასაც მოძებნის. სხვა რა გზაა?.. ჩვენ დავადგენთ, ავარიულია თუ არა მდგომარეობა და მერე, საჭიროების შემთხვევაში, მობინადრეებმა თვითონ უნდა მიმართონ კერძო სამშენებლო ფირმებს. სხვათა შორის, ჩემს კორპუსშიც ერთ-ერთი სადარბაზოს ლოჯიები მეორისაზე გადაწვა. სხვა გზა რომ არ გვქონდა, შევაგროვეთ ფული და კონსტრუქცია გავამყარეთ.

— ბრძანეთ, რომ 2001 წლიდან, უკანონო მშენებლობები აიკრძალა. დიდ ობიექტებზე შეგნებულად არაფერს ვიტყვი, რადგან ეს საუბრის თემას არ ეხება, მაგრამ ბოლო დროს, არაერთი ახალი აივანი ვნახე...

— მართლა? ჩვენ საგანგებოდ გამოყოფილი მუშაკები გვყავს, რომლებიც ყველა მსგავს შემთხვევას აღნუსხავენ. ამასთანავე, ამხანაგობების თავმჯდომარეებიც გავაფრთხილეთ, რომ მსგავსი ფაქტების შესახებ გვაცნობონ. ასეთ აივნებს აუცილებლად გაუკეთდება დემონტაჟი. ზოგიერთი უკვე დავანგრიეთ... სადღაც მე-10 ან მე-15 სართულზე ლამის 2 სმ დიამეტრის სინკარებზე გადმოდგეს აივნები! არ მესმის, რა ფართი უნდა შეიძინოს იმ ხალხმა იმის ფასი, რომ სიცოცხლეს ასეთ საფრთხეში იგდებს!. აქვე უნდა გითხრათ: თუკი აივნები კანონიერად არის მიშენებული, მათი გამყარება გვევალება... კორპუსებსაც ვამაგრებთ...

— ბრძანეთ, უკანონო აივნებს (მშენებლობებს) დემონტაჟს ვუკეთებთო. ხომ არ ჯობდა, საქმე დემონტაჟამდე არ მიგეყვანათ და მშენებლობა იმთავითვე აღგეკვეთათ?

— ჯობდა. მაგრამ ყველაფერს თავიდანვე ხომ ვერ გავიგებთ. ამიტომ, ჯერ მეპატრონეებს გამაფრთხილებელ წერილს ვუგზავნით, მერე კი, საჯარო განხილვას ვმართავთ. დემონტაჟი ამის შემდეგ ხორციელდება. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. ამასთანავე, მეპატრონემ 6.000 ლარის ოდენობის ჯარიმაც უნდა გადაიხადოს... უნდა ვთქვათ ისიც, რომ მფლობელს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლებაც აქვს. მაგრამ სასამართლოს დრო შეზღუდული აქვს — საქმე მაქსიმუმ ერთ თვეში უნდა განიხილოს.

P.S. ასეთია ხელისუფლების პოზიცია. ცუდია ის თუ კარგი — ვფიქრობთ, მოსახლეობა თავად განსჯის. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ დანამდვილებით ვიცოდეთ — გვემუქრება თუ არა საშიშროება. იმედი გვაქვს, ამ უფლებით ნამდვილად ვისარგებლებთ და საკუთარ სიცოცხლეს გავუფრთხილდებით... ■

„ვიცხოვ, ამიხსნან – რისთვის მომიკლეს უდანაშაულო შვილი"

კუს ტბაზე მოკლულის ნათესავები საეჭვო ქალის ვინაობის გარკვევას მოითხოვენ

მოკლული ზურა დემეტრაშვილი

სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც თბილისელი, 19 წლის ზურა დემეტრაშვილის მკვლელობის ფაქტზე აღიძრა, მრავალმა ბუნდოვანმა დეტალმა მოიყარა თავი. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ გამოძიება ობიექტურად მიმდინარეობს. დაზარალებული მხარის თქმით კი, საქმეში არის კითხვები, რომლებზე პასუხიც დიდი ხანია, უნდა მიეღოთ. შეგახსენებთ, რომ ჩადენილ დანაშაულში ორი პირია ბრალდებული — გაგა არზიანი და მისი მამიდაშვილი, გიორგი ალიმონაკი. გამოძიება არზიანს უშუალოდ მკვლელობაში, ხოლო ალიმონაკს — დანაშაულის დაფარვაში სდებს ბრალს. არზიანმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა. ალიმონაკმა დანაშაულთან კავშირი უარყო.

მეგი ცანავა

2006 წლის 18 აგვისტოს, ზურა დემეტრაშვილის დაცხრილული გვამი კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. გამოძიების ვერსიით, მკვლელმა თუ დანაშაულში მონაწილე სხვა პირმა, მობილურ ტელეფონზე გაგზავნილი მესიჯების საშუალებით, ზურა კუს ტბაზე გაიტყუა, იქ მისულს კი, ზედიზედ 6 ტყვია დაახალა... ჰქონდა თუ არა ზურა დემეტრაშვილს სხეულზე ცეცხლნასროლი ჭრილობების გარდა სხვა სახის დაზიანება, ჯერჯერობით, საბოლოოდ დადგენილი არ არის. მომხდარი მკვლელობიდან ორ თვეზე მეტია გასული. გამოძიებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ჯერ არ მიუღია...

დაზარალებულის ოჯახი საქმის ობიექტურად და ოპერატიულად გამოძიებას მოითხოვს. მის წევრებს მიაჩნიათ, რომ სამართალდამცველები ინერტულობას იჩენენ, რის შედეგადაც, გამოძიების პროცესი საკმაოდ ჭიანურდება. მოკლულის მშობლებს დანაშაულის მოტივი აინტერესებთ. ოფიციალური ვერსიით, მკვლელობა შურისძიების მიზნით მოხდა. გამოძიების ინფორმაციით, ამჟამად დანაშაულში ბრალდებულმა — გაგა არზიანმა, რომელიც მოკლულის ბიძაშვილის ყოფილი ქმარი გახლავთ, 2006 წლის 18 აგვისტოს ზურა დემეტრაშვილი სახლიდან გაიტყუა და მას კუს ტბის ტერიტორიაზე ჩაუსაფრდა. გაგა არზიანი ფიქრობდა, რომ ოჯახი მას ცოლის ნათესავების ინიციატივითა და უხეში ჩარევით დაენგრა. განაწყენებულმა, შურისძიება გადაწყვიტა, სასტიკ ანგარიშსწორებას ის ყოფილი ცოლის ნებისმიერ ნათესავზე გეგმავდა. სწორედ წინასწარი განზრახვითა და იმ მოტივით, რომ ზურა მისი ყოფილი ცოლის ნათესავი იყო, კუს ტბაზე ჩასაფრებულმა არზიანმა მას „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან ტყვიები დაახალა. ვერსიის თანახმად, იქვე იყო ალიმონაკიც. მკვლელობის შემდეგ, არზიანი შემთხვევის ადგილიდან, თავის მამიდაშვილთან ერთად, მიიმალა.

საქმეში ქალიც ფიგურირებს. გამოძიების მიერ ამოღებული, სატელეფონო ზარების დეტალური ამონაწერის მიხედვით, მკვლელობის წინა დღეებში, ისევე, როგორც შემთხვევის დღეს, ზურა დემეტრაშვილს მესიჯებს ახალგაზრდა ქალი უგზავნიდა და მას სწორედ კუს ტბაზე შეხვედრას სთავაზობდა. მანამდე, მსგავსი მესიჯები იმავე ნომრიდან არზიანის ყოფილი მეუღლის ძმის ტელეფონზეც იგზავნებოდა...

დაზარალებული ოჯახი ირწმუნება, რომ ზურა დემეტრაშვილს, ისევე, როგორც მათი ოჯახის დანარჩენ წევრებს, ბიძაშვილის გათხოვებასთან ან მისი ოჯახის დანგრევასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მათივე თქმით, ამის შესახებ თავად არზიანმაც კარგად იცოდა. ამის გამო, მოკლულის მშობლები ზურასადმი ყოფილი სიძის აგრესიასა და მის მიერ ჩადენილ უსასტიკეს, დაუნდობელ მკვლელობას ვერაფრით ხსნიან. პასუხს ისინი გამოძიებისგან ელიან.

რატომ გახდა სრულიად უდანაშაულო ადამიანი, გაგა არზიანის შურისძიების სამიზნე, ყოველგვარ ლოგიკას და საფუძველს მოკლებული ანგარიშსწორების მსხვერპლი? მშობლებს აინტერესებთ, რატომ მოუკლეს მათ 19 წლის ერთადერთი ვაჟიშვილი?

ლია დემეტრაშვილი, მოკლულის დედა:

„არზიანების ოჯახთან, არც თავად გაგა არზიანთან ახლოს არასდროს ვყოფილვართ. უფრო მეტიც, ნინოს (არზიანის ყოფილი მეუღლე) ოჯახთანაც არ გვქონდა ხშირი მიმოსვლა. ჩემს შვილს ნინოსთან, როგორც ბიძაშვილთან, ჩვეულებრივი, კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ასევე ჩვენც — ოჯახის დანარჩენ წევრებს, მაგრამ ერთმანეთის პირად საქმეებში არასდროს ჩავრეულვართ. არც ნინოს გათხოვება-„გამოთხოვების" ამბის მონაწილეები ვყოფილვართ. მით უმეტეს ზურას ამ ამბავთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამ საქმეში არასდროს ჩარეულა. ამიტომაც არ მესმის, რით იყო განპირობებული მისდამი ამხელა აგრესია? რის გამო შეეწირა ჩემი შვილი ამ ამბავს? ქმრის ოჯახიდან ნინოს წამოსაყვანად დედამისი ისე წავიდა, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ჩვენთვის არც უთქვამს და ურთიერთობიდან გამომდინარე, არც იყო საქმის კურსში ჩვენი ჩაყენება საჭირო. მომხდარის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვეთ. რა თქმა უნდა, უსიამოვნო ამბავი მოხდა, მაგრამ ამ საკითხში ჩარევა ზურას არც უფიქრია და არც ჩარეულა, არც მანამდე, არც — შემდეგ. ამიტომაც გვიჭირს ამ ყველაფრის ახსნა და მხოლოდ ობიექტური გამოძიებისგან ველით ამდენ ბუნდოვან კითხვაზე პასუხს. რაიმე სხვა დაპირისპირებას ჩვენს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია. პირადად ზურასადმი კი, ისეთი ბუნების ადამიანი გახლდათ, არ შეიძლებოდა, ვინმეს აგრესია გასჩენოდა. საოცრად თბილი, უშუალო და მეგობრული იყო. უამრავი მეგობარი ჰყავდა, მტერი კი — არც ერთი. თუმცა, თურმე, გაგა არზიანის სახით ჰყოლია, ფარულად, ისე, რომ ამას ვერასდროს წარმოვიდგენდით. ამ საშინელ ტრაგედიამდე ვინმეს რომ ეთქვა, ზურას ვიღაც ემტერებაო, ვერც დავიჯერებდით. ამის საფუძველი არ გაგვაჩნდა, რადგან კონფლიქტი არ მოსვლია, არც მოზარდობის პერიოდში, არც შემდეგ. მისი ასაკის ბიჭებისთვის დამახასიათებელ „გარჩევებში" მონაწილეობა არასდროს მიუღია, ჩხუბითაც კი არ უჩხუბია. ვინც ზურას იცნობდა, ამას უთუოდ დაგიდასტურებთ. ვარიგებდი ხოლმე — შვილო, ქუჩაში გვიან ღამით ნუ ივლი, შინ დაღამებამდე დაბრუნდი-მეთქი. გაიცინებდა და მეტყოდა — ღამით ქუჩაში სიარულის რატომ უნდა მეშინოდეს? ცუდი არავისთვის არაფერი გამიკეთებია, მტერი არავინ მყავს და ვინ დამიშავებს რამესო? მაინც ვაფრთხილებდი — ათასი ბოროტი და გზას აცდენილი ადამიანი დაეხეტება, რაიმე ხიფათს არ გადაეყარო-მეთქი. ისეთი შვილი მყავდა, სანერვიულო არაფერი მქონდა, მაგრამ დედის გული ხომ იცით? 19 წლის ბიჭის დედა ვიყავი და ვფრთხილობდი. რა აზრი არ გამირბენდა თავში, ასეთ უბედურებას კი ვერაფრით წარმოვიდგენდი... იმ საშინელ დღეს შინ არ ვიყავი. მე და ჩემი ქალიშვილი ბორჯომში გახლდით წასულები. საღამოს, შინ რომ დავბრუნდით, დედამთილმა მითხრა — ზურა კუს ტბაზე მანქანით ასულა, იქ უჩხუბია და დაუჭერიათ, განყოფილებაში ჰყავთ წაყვანილიო.

ბუნებრივია, ავნერვიულდი, განვიცადე, მაგრამ არ შემშინებია, თავი ხელში ავიყვანე და ვთქვი — ახლავე გავიგებ, რომელ განყოფილებაში ჰყავთ, მივაკითხავ და წამოვიყვან-მეთქი. ეჭვი არ შემპარვია, რომ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რომ ყველაფერს გაარკვევდნენ და შვილს შინ გამომატანდნენ. მაგრამ წასვლამდე, იმის დასადგენად, თუ ზუსტად რომელ განყოფილებაში ჰყავდათ ზურა, ქმრისა და ახლობლების ტელეფონებზე დავიწყე რეკვა. ვერავის ვუკავშირდებოდი, ტელეფონი ყველას გამორთული ჰქონდა, ჩემს ქმარსაც. ბოლოს, როგორც იქნა, მიპასუხა მეუღლემ. ცოცხალ-მკვდარმა მითხრა — სად უნდა მოხვიდე, ლია, რომელ განყოფილებაში? შვილს ახლა გამზადებულს მოგიყვანენო... ასე მოულოდნელად, რაღაც წამებში გავუბედურდი... საშინელი გმინვა აღმომხდა, დედამთილი მომვარდა და დამიყვირა — არ იტირო, ხმა არ ამოიღო, ეს სიმართლე არ იქნებაო!.. დაჯერება არ უნდოდა... საუბედუროდ, სიმართლე იყო. ცოტა ხანში შვილი სახლში მომისვენეს... ირგვლივ — მეზობლებს, ნათესავებს, ყველას სცოდნია თურმე, მომხდარი მკვლელობის შესახებ. მხოლოდ ჩვენ — ოჯახის წევრებმა არ ვიცოდით არაფერი. ვერავინ გვეუბნებოდა. ჟურნალისტებიც მოსულან თურმე, მაგრამ ჩემი დედამთილისთვის რომ შეუტყვიათ, არაფერი იცოდა, ვეღარაფერი უთქვამთ — ჩხუბი მომხდარა, ექვსი ზურა დემეტრაშვილია და ვეძებთ, ვინ არისო...

ამ უბედურებით თავზარდაცემულმა, ფანჯარა გავაღე და მოთქმით შევტირე ღმერთს — თუ ჩემს შვილს რამეში ბრალი მიუძღვის, ალალი იყოს მკვლელზე, თუ უდანაშაულო იყო, ღმერთო, მის მკვლელს ნუ გაახარებ-მეთქი!.. იმ საღამოს, ეჭვმიტანილები დაკავეს კიდეც... ზურა, ალიმონაკს თითქმის არ იცნობდა. როგორც ვიცი, ერთხელ ჰყავდა ნანახი. გაგა არზიანი და ნინო რომ გაიპარნენ, არზიანის მამიდის ოჯახში მისულან. როცა ნინოს ნათესავებმა მიაკითხეს, მათ შორის ჩემი შვილიც იყო და მაშინ მოუკრავს თვალი — ის ბიჭი ერთი წამით დავინახე, გვერდით ოთახში გავიდაო. ამის შემდეგ ურთიერთობა მასთან არ ჰქონია. პირადად მე, არზიანი ორჯერ თუ მეყოლება ნანახი. მახსოვს, ერთხელ ქუჩაში შემხვდნენ ის და ნინო. დაქორწინება მივულოცე ორივეს, გაგა არზიანი თავაზიანად მოვიკითხე და ბედნიერება ვუსურვე... მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თავად რა უბედურება მელოდა. რას ვიფიქრებდი, თუ ჩემი შვილის მკვლელის წინაშე ვიდექი?.. მისგან თავი ყველას შორს ეჭირა, არა მარტო ჩვენ. გაირკვა, რომ არზიანი სამი სხვადასხვა სახელითა და გვარით სარგებლობდა. მე-10 კლასამდე მას ყველა იცნობდა, როგორც გიორგი მუმლაძეს. სკოლაში თურმე, სწორედ ამ სახელითა და გვარით სწავლობდა. სკოლის შემდეგ, ცოტნე არზიანად, ხოლო მოგვიანებით — გაგა გასვიანად აცნობდა ხალხს თავს. ახლა, გაგა არზიანი გახდა. ამის მოწმეები რეალურად არსებობენ. გამომძიებელსაც არაერთხელ ვუთხარით ამის შესახებ. ამ საკითხის გამოძიება შეუძლიათ. გასაკვირი არაა, რომ ადამიანი, რომელსაც ზოგი — ერთი სახელითა და გვარით იცნობდა, ზოგი — მეორეთი, უსიამოვნო და საეჭვო შთაბეჭდილებას ტოვებდა გარშემო მყოფებში. ზურას, არზიანი ან მისი მამიდაშვილი საერთოდ არ უხსენებია, არც მკვლელობის წინა დღეებში. სატელეფონო ზარების დეტალური ამონაწერიდან შევიტყვეთ, რომ საეჭვო ნომერი, რომლისგანაც ზურა მესიჯებს იღებდა, ვიღაც, ჯერჯერობით დაუდგენელ ქალს ეკუთვნის. ქალი რომ იყო, მესიჯების შინაარსიდან ჩანს: უცნობი ქალი ჩემს შვილს შეხვედრას სთხოვდა, მასთან დაახლოების სურვილს გამოთქვამდა და შეხვედრას კუს ტბის ტერიტორიაზე სთავაზობდა. გამოძიება დღეს ამბობს, რომ სინამდვილეში, არანაირი ქალი არ არსებობს. ზურას, ბრალდებული ან დანაშაულში მონაწილე სხვა პირი სწერდა მესიჯებს, ქალის სახელით, რომ გაეტყუებინაო. მე კი ამის არ მჯერა. ჩემი შვილის ბუნებიდან გამომდინარე, არ არსებობს, რომ ის უცნობი ადამიანის, თუნდაც ქალის ნათქვამზე გარეთ გასულიყო. ეჭვი მაქვს, რომ ვიღაცასთან დაალაპარაკეს, ზურამ მისი ხმა იცნო და ამიტომაც წავიდა შეხვედრაზე. ჩემი ვარაუდით, ამ საქმეში ნაცნობი გოგოცაა გარეული. მოწმის თქმით, იმ დღეს, კუს ტბაზე მისულ ზურას იქ მომუშავე გამცილებლისთვის უკითხავს — აქ გოგო ხომ არ ამოსულაო? მას უპასუხია — ოთხი ბიჭი და ერთი ყვითელთმიანი ქალი იყვნენ ამოსულები, სხვა არავინ შემინიშნავსო. გამოძიებისგან მოვითხოვ — იმ გოგოს ვინაობა დადგინდეს და ყველა ის პირი გამოვლინდეს, ვინც ამ საქმეშია გარეული. საინტერესოა ქიმიური ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის მიხედვითაც, დენთის კვალი არზიანსაც და ალიმონაკსაც, თანაც, ორივეს — მარცხენა ხელზე აღმოაჩნდა. იარაღთან რომ ორივეს კავშირი ჰქონდა, ნათელია. გამოძიება ვალდებულია, დაადგინოს, რა მოხდა სინამდვილეში. უნდა ამიხსნან, რისთვის მომიკლეს უდანაშაულო შვილი, რატომ გამოასალმეს ასე უდროოდ და მუხანათურად სიცოცხლეს? ბრალდებულის ადვოკატებს უმორჩილესად ვთხოვ, ტყუილებით ნუ ეცდებიან საქმის მოგებას, თავინთი დაცვის ქვეშ მყოფები სიმართლით დაიცვან. გამწარებული დედა ვარ, მაგრამ სულაც არ მინდა უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს. ნურც ისინი მოისურვებენ ტყუილებით ამ სასტიკი დანაშაულის დაფარვას. მე მხოლოდ სიმართლის დადგენა მაინტერესებს.“

არზიანი და ალიმონაკი პოლიციამ ერთად აიყვანა. როგორც შევიტყვეთ, ბიძაშვილ-მამიდაშვილი ერთმანეთს განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დაუახლოვდნენ. ბოლო დროს არზიანი ალიმონაკების ოჯახში ცხოვრობდა. ალიმონაკისგან ისიც ხდება ცნობილი, რომ არზიანი ცეცხლსასროლ იარაღს მკვლელობის წინა დღეებშიც დაატარებდა. თავის ხელზე დაფიქსირებული დენთის კვალი ალიმონაკმა იმით ახსნა, რომ მკვლელობამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, კუს ტბის ტერიტორიაზე, მამიდაშვილმა მას პისტოლეტიდან გაასროლინა; ტყვია ხეს მოხვდა. ალიმონაკი ამბობს, რომ ამ ხის ჩვენება ახლაც შეუძლია. რაც შეეხება არზიანს, მისი ამჟამინდელი პოზიცია ჯერჯერობით უცნობი რჩება. მკვლელობაში ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არ შეგვხვდა.

გიორგი ალიმონაკს ადვოკატი ეკა ბესელია იცავს. მისი თქმით, დანაშაულის დაფარვასა და მუქარაში ბრალდებული ალიმონაკი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აღნიშნულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. ადვოკატი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი, მკვლელობის დღეს შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა და მკვლელობის მომენტი მას არ დაუნახავს.

ეკა ბესელია:

„გიორგი ალიმონაკი (ის ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის — ლერი ალიმონაკის შვილი გახლავთ) საოცრად განათლებული, კულტურული და დახვწილი ახალგაზრდაა. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია. თანატოლებისგან ყოველთვის გამოირჩეოდა, რადგან სხვა ფასეულობებითა და მისწრაფებებით ცხოვრობდა. წარმოუდგენელია, მსგავს დანაშაულთან მისი დაკავშირება. ალიმონაკს გამოძიებისთვის თავი არ აურიდებია, პირიქით, ძიებას სწორედ ის დაეხმარა და მისმა ჩვენებამ დააყენა კვალზე სამართალდამცველები. ალიმონაკმა მაშინვე თქვა ყველაფერი, რაც იცოდა მომხდარის შესახებ. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, მას დანაშაულის დაფარვის ბრალდება წაუყენო. ფაქტობრივად, ალიმონაკმა გამოძიებას არზიანის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. დაუფარავად და სრულიად გულწრფელად უთხრა სამართალდამცველებს, რომ არზიანი მკვლელობის წინა დღეებში მისი მობილური ტელეფონით სარგებლობდა, მესიჯებს გზავნიდა და ვიღაცებს ურეკავდა. ისიც დაფიქსირა თავის ჩვენებაში, რომ შემთხვევის დღეს არზიანი მისთვის უცნობ ახალგაზრდას შეხვდა, შემდეგ კი გასროლის ხმაც გაიგონა. იმ მომენტში ის მკვლელობის ადგილზე არ ყოფილა და არაფერი დაუნახავს, მხოლოდ ხმა გაიგონა. თავად ზურა დემეტრაშვილს კი, საერთოდ არ იცნობდა და მასთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია“.

საქმის სხვა დეტალებზე კომენტარისგან ადვოკატი ჯერჯერობით თავს იკავებს, რადგან ძიების დასრულებამდე ეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. გამოძიების პროცესთან დაკავშირებით კი, ადვოკატმა აღნიშნა, რომ სამართალდამცველების მხრიდან რაიმე გაჭიანურების ან ინერტულობის ფაქტს არ ადასტურებს.

რაც შეეხება ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, თუ რატომ დაფიქსირდა დენთის კვალი ორივე ბრალდებულის მარცხენა ხელებზე, მალე უნდა გაირკვეს. როგორც შევიტყვეთ, უახლოეს მომავალში გამოძიებამ ბრალდებულები დამატებით უნდა დაჰკითხოს. საქმეში არსებულ აქამდე ბუნდოვან კითხვებსაც, ალბათ, პასუხი გაეცემა. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 61

„ვის არ უნდა ასეთი სიყვარული!“

მკითხველები კვლავ აქტიურად ეხმაურებიან ჩვენი რომანის გმირებს. სიმართლე გითხრათ, ნატალი და ზურა გულშემატკივრების მესიჯებს კითხულობენ და კრიტიკას მწვავედ განიცდიან, მაგრამ პანდორას მიაჩნია, რომ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწორონ.

მარი ჯაფარიძე

„პანდორას და ზურას გულშემატკივარი ვარ. მჯერა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ერთად იქნებიან. ჩემო ლამაზებო, იბრძოლეთ თქვენი სიყვარულისთვის. კლარა“.

„ზურას და პანდორას ამბის კითხვას რომ ვამთავრებ, ვტირი და მხოლოდ ამ 3 სიტყვას ვამბობ — „როდის მოვა ხუთშაბათი?“ ორივეს ულევ სიხარულსა და სიყვარულს ვუსურვებ. ძალიან მინდა, მათი გაცნობა. გკოცნით. ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთი გფარავდეთ. მარი“.

„ნატალი, შენი მშურს, რადგან ასეთი სიყვარული შეგიძლია და თან, გრძნობებს ასე საქვეყნოდ რომ გამოხატავ. გისურვებ ბედნიერებას“.

„ვისაც ნატალისა და ზურას ბედნიერება არ უნდა, მთელი ცხოვრება უბედურმა იაროს. მათ კი ულევ სიყვარულს ვუსურვებ“.

„ნატას ვურჩევდი, კარგად გაიაზროს, რომ ზურას ცხოვრებაში მუდამ მეორე ადგილზე იქნება. ამიტომაც, კიდევ ბევრჯერ დასწყდება გული, როცა ზურა საკუთარი ოჯახის ინტერესების გამო მარტო დატოვებს. ასეთია საყვარლის ხვედრი. ნატა, გირჩევ, გათხოვდე და შვილები გააჩინო. მაპატიე, თუ გული გატკინე, მაგრამ სიმართლე ყოველთვის ასეთი მწარეა. მედეა“.

„მინდა, ნატალის ვუთხრა, რომ ცოდვის მორევშია გადავარდნილი და ეს ცოდვა მეათე მცნებით განისაზღვრება. ინტერნეტის გამოგონებით, კაცობრიობის ამ თანამედროვე მიღწევის საშუალებით, ზურა და ნატალი სოდომისა და გომორის გამეორებას უწყობენ ხელს. მათ გულშემატკივრობა კი არა, გონზე მოსასვლელი რჩევა სჭირდებათ და ყოველმა საღად მოაზროვნე ადამიანმა მათ სწორი გზისკენ უნდა უბიძგოს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ცოტანი არიან. და კიდევ, ზურასა და პანდორას თავადაც უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული ის შეცდომა, რასაც სჩადიან“.

„ნატალი, არ შეშინდე და შენს მოღალატე ზურას ჭკუა ასწავლე. ამას მარტო თუ ვერ შეძლებ, მაშინ ჩვენ დაგეხმარებით. ისე შევარცხვინოთ, როოომ... ჩვენ შენთან ვართ და გგულშემატკივრობთ. ნინი“.

„ზურა, ასეთ კარგ გოგოს რომ ეჩალიჩებოდი, არ იცოდი, რომ დიდი პასუხისმგებლობა დაგეკისრებოდა? გთხოვ, ნატალის არ აწყენინო. ის ძალიან კარგი ადამიანია და პატივისცემას იმსახურებს. არ გეგონოს, შენ არ მოგვწონხარ. შენც ძალიან კარგი ხარ, მაგრამ ის ქალია და მოფრთხილება, მოფერება სჭირდება“.

„ჩვენ შევიყვარეთ ამ რომანის პერსონაჟები. ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ, ისინი მარიმ გამოიგონა? თუნდაც ასე იყოს, მაინც მაგარია. ეს კიდევ ერთი ხელოვნებაა — ადამიანებს მოგონილი ისე მიაწოდო, რომ ეჭვი არავის შეეპაროს. თუმცა, გულის სიღრმეში მაინც მჯერა, რომ ზურა და ნატალი მართლაც არსებობენ და სადღაც, ჩვენ გვერდით არიან. მათი ფანი ვარ. სალომე მეგრელიძე“.

„გამარჯობა, ნატალი. იცი, მინდოდა, ზურასთვის მიმეწერა ორიოდე სიტყვა, მაგრამ არ მსურს, რომ იეჭვიანო და ინერვიულო. შენ ხომ ყველაფერი გულთან მიგაქვს. ზურასთვის კარგი სიტყვების თქმა მინდოდა, რადგან არაჩვეულებრივი მამაკაცია, რომელსაც რომანტიკული სიყვარული შეუძლია. ბევრს შურს შენი. მე კი გულით გისურვებ ბედნიერებას“.

„გუშინ სამსახურში ვარჩევდით თქვენს ამბავს. ნუ გეწყინებათ, რადგან ყველას თავისი აზრი აქვს, თქვენ ასეთი პოპულარულები ხართ და რა თქმა უნდა, აუცილებლად ილაპარაკებს ხალხი. ჰოდა, ზოგი შენ გამტყუნებდა — ცოლიანი კაცი რად უნდაო, უმეტესობა კი მხარს გიჭერდა. ვისაც ოდესმე ნამდვილი სიყვარული გამოუცდია, ის არ გაგამტყუნებს. მხოლოდ ის გაგიკიცხავს, ვისაც სიყვარულის ნიჭი არა აქვს“.

„მსგავსი ამბავი მეც გადამხდა თავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე ის ტელეფონით გავიცანი. თანაც, არ ვიცოდი, ცოლიანი რომ იყო. ეს ამბავი მხოლოდ 8 თვის შემდეგ გავიგე. მძიმე დარტყმა მივიღე, მაგრამ ყველაფერი გადავიტანე, რადგან უზომოდ მიყვარდა. 26 წლის გასათხოვარმა გოგომ, სიყვარულის გამო ბევრ რამეზე დავხუჭე თვალი. ის ჩემი პირველი მამაკაცი იყო. როგორ გგონიათ, ეს იოლი გადასაწყვეტია? ალბათ, მეც შენსავით საქვეყნოდ რომ მომეყოლა ჩვენი სიყვარულის ამბავი, ამდენი მტერი არ მეყოლებოდა. ამას წინათ, დათოს ვკითხე, კითხულობს თუ არა თქვენს ამბავს. თურმე, კითხულობს. მერე ისიც მითხრა: დედაჩემიც კითხულობს მთელი მონდომებით და ნატალის გულშემატკივრობსო. ძალიან გამიკვირდა, რადგან, როდესაც მან ჩვენი ურთიერთობის შესახებ გაიგო, ისეთი ამბავი ატეხა, მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ალბათ, გაცილებით იოლია, სხვას გაუგო, რადგან ეს შენ არ გეხება. ნუთუ, მას ჰგონია, რომ მე და მის შვილს თქვენზე ნაკლებად გვიყვარს ერთმანეთი? ბედნიერი იყავი, ნატალი. გკოცნი“.

„გამარჯობა. არ მეგონა, თუ ოდესმე რომანი ასე ჩამითრევდა. პატარა ბიჭი არ გეგონოთ, რადგან მესიჯის მოწერა გადავწყვიტე. მეგონა, პრესაში სიახლეს ველარ შემოგვთავაზებდნენ — უკვე ყველაფერი მოგონილი და დაწერილია. როდესაც ტელევიზიით „გზის“ რეკლამა ვნახე, სადაც აცხადებდნენ: რეალური შოუ „გზაშიო“, ვიფიქრე, რომ რაღაც ბლეფი იყო, მაგრამ ის მაინც წავიკითხე. ასეთს ნამდვილად არ მოველოდი. ამას მოფიქრება არ უნდა? მარი, შენ გაქვს უნარი, ნარკოტიკივით შეუშვა მკითხველში შენი ნააზრევი, ის მასზე დამოკიდებული გახადო და ტყუილად კი არ წერო, არამედ, რასაც წერ, უკანასკნელ ასომდე წააკითხო ყველას. იდეის ავტორს ჩემი აღტაცება, „გზას“ მადლობა იმისათვის, რომ განსხვავებული ჟურნალია, შოუს გმირებს კი, ბედნიერება! ბადრი“.

„ნატალი, მაგარი თავგადასავალი გაქვს. დიდი ინტერესით ვკითხულობ შენს ამბავს. არა, კი არ ვკითხულობ, ერთი ამოსუნთქვით ვშთანთქავ იმ 3 გვერდს, რომელსაც მარი ყოველ ნომერში წამალივით გვიზოგავს. კარგი, რა, მარი, არ გეცოდებით?“

„ძალიან მაგარი ამბავია, მაგრამ... ზურა ხშირად საყვედურობს ხოლმე ნატალის, რომ ყველაზე საინტერესო ადგილზე წყვეტს თხრობას. მარი, შენც ასე ხარ — სადაც ყველაზე დაძაბული მომენტია, სწორედ იქ წყვეტ თხრობას. რა გაძლებს ახლა ხუთშაბათამდე?“

„ხალხო, თქვენ ხომ არ გაგიჟდით? ხომ არ გინდათ, რომ ყველა „გზის“ მკითხველს ნევროზი დაემართოს? ჩვენს მოთმინებას ცდით? გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!.. მარი, „გამოუშვი“ ცოტა მეტი „ონლაინი“. რა იყო, გენანება?“

„ზურა, მინდა, შენ მოგმართო. ძალიან მაგარი ტიპი ხარ. ქალის „შებმა“ მაგრად გამოგდის. ნატალის მსგავსი გოგოს „შეხვევა“ კი, იოლი არ უნდა იყოს. ფსიქოლოგი ეგ კი არა, შენ ხარ. გაიხარე, ძმაო. ბექა“.

„ვის არ უნდა ასეთი სიყვარული? ალბათ, ბედნიერ ვარსკვლავზე უნდა დაიბადო, რომ მსგავსი რამ განიცადო. შურიანი არ გეგონოთ, მაგრამ მეც მინდა, ასეთი რომანტიკული და კარგი მამაკაცი შემხვდეს. ნეტავ, მეღირსება ოდესმე? მათ ამბავს ძალიან განვიცდი და ხშირად, თვალზე ცრემლიც მადგება. მინდა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს“. ■

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-44

ჩვენი რეალური რომანის გმირებს წინა კვირაში განშორებამ მოუწიათ. ზურა მოულოდნელად თურქეთში, ცოლ-შვილთან წავიდა. ნატალიმ ძალიან განიცადა და ცოტა იეჭვიანა კიდეც, ზურას ცოლზე... რამდენიმედღიანი პაუზის შემდეგ, მათი ურთიერთობა ისევ გაგრძელდა. ჩვენც სწორედ იმ მომენტიდან განვაგრძობთ ამბავს.

20 სექტემბერი, სამშაბათი

12:46

ნატალი: წუხელ ყოფილხარ საიტზე და ჩემთვის 2 სიტყვა დაგიტოვებია. ნეტავ, რა გააკეთე ისეთი, რომ მეუბნები — ცუდად მოვიქეცი და შენი კოცნის ღირსი არა ვარო?.. საინტერესოა, რა მოიფიქრე ამჯერად?.. როდის ჩამოხვალ?

22:12

ნატალი: გამარჯობა.

ზურა: გაგიმარჯოს. როგორ ხარ?

ნატალი: კარგად. როგორ ისვენებ?

ზურა: ვერ ვისვენებ, წამოსვლა მინდა. ზეგ წამოვალთ.

ნატალი: ბავშვი როგორ არის?

ზურა: აქაური ჰაერი მოუხდა. კარგად გრძნობს თავს. გმადლობ, რომ დაინტერესდი.

ნატალი: რატომ ხარ ასეთი ოფიციალური? მოხდა რამე?

ზურა: არა, გეჩვენება, ჩემო კარგო. ძალიან მენატრები და შენთან მინდა. ნატალი, უჩემოდ როგორ ხარ?

ნატალი: არაჩვეულებრივად. მე მიჩვეული ვარ შენთან ვირტუალურ ურთიერთობას და ამიტომ არ მიჭირს. აქ, ვირტუალურ სამყაროში არ იგრძნობა დრო და მანძილი. დედამიწის ნებისმიერი წერტილი აქვეა, ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე. ლათინური ასოებით ყველაფრის გამოხატვა შეიძლება — სიყვარულის, სიძულვილის, ლტოლვის, ვნების, ტკივილის, მონატრებისა და ნებისმიერი სხვა გრძნობის. ცუდია, რომ ამ საიტს ქართული შრიფტი არა აქვს.

ზურა: რატომ? ქართული ასოებით გაცილებით უკეთ გამოხატავდი?

ნატალი: რა თქმა უნდა.

ზურა: მაინც, რისი გამოხატვა გსურს?

ნატალი: მაგალითად, შენ მიმართ სიყვარულის.

ზურა: :))) მერე, მიდი, სიამოვნებით მოვისმენ.

ნატალი: კი არ მოისმენ, წაიკითხავ...

ზურა: საკმაოდ ბევრი მოგიწერია ამ დღეებში. არასოდეს გამოგიხატავს ამდენი სითბო ჩემ მიმართ, როგორც ახლა, რაც შენ სიახლოვეს აღარ ვარ. ნატა, ეჭვიანობ?

ნატალი: სიმართლე თუ გინდა, კი, ვეჭვიანობ.

ზურა: მიყვარხარ...

ნატალი: გუშინ რაღაც იდუმალებით სავსე მესიჯი მოგიწერია. რა მოხდა გუშინ?

ზურა: გუშინ საღამოს ცოტა დავლიე. სასმელმა გონება დამიმძიმა და სუფთა ჰაერზე მარტო გასეირნება გადავწყვიტე. ფეხით გავუყევი გზას და სულ მალე, ქალაქის განაპირას გავედი. იქ პატარა სკვერია. მართალია, განათებულია და კეთილმოწყობილიც, მაგრამ მაინც არის ისეთი ადგილები, სადაც შეყვარებულ წყვილს უცხო თვალისგან მიფარვა და განმარტოება შეუძლია. ვიდრე უკან მოვბრუნდებოდი, ერთ ნაკლებად განათებულ ადგილას მდგარ მერხზე ჩამოვჯექი. ჩემ უკან მაღალი ბუჩქნარი იყო. იქიდან ქალისა და მამაკაცის ლაპარაკი შემომესმა. როგორც ჩანს, იქაც მერხი იდგა. თურქულად ლაპარაკობდნენ. რაღაცაზე ხმადაბლა დაობდნენ. ორივე ცდილობდა, რომ ხმისთვის არ აეწია. მივხვდი, რომ მამაკაცი რაღაცას აძალებდა, ქალი კი — უარობდა. უეცრად, ერთ-ერთის მობილური ტელეფონი აწკრიალდა. „შე ბოზო, გამიჩალიჩე, არა? — მომესმა ქალის ქართული ლაპარაკი. ყურები ვცქვიტე. — ამას არ შეგარჩენ, ვის ვალს მახდევინებ, შე ჩათლახო, ჩემი ხორცით გინდა, ვალის გასტუმრება?!“ მერე ცოტა ხანს გაჩუმდა. როგორც ჩანს, მოსაუბრეს უსმენდა. „ფულს არ იხდის ეს ნაბოზარი, მოდი, წამიყვანე, თორემ სად წახვალ? ხვალ ჩემი ხელით გამოგჭრი ყელს!“ — ისევ ჩასძახა ყურმილში. ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ცხოვრებამ ფსკერზე ჩაითრია. როგორც კი ლაპარაკი დაამთავრა, ძიძგილაობის ხმა მომესმა. მივხვდი, რომ მამაკაცი ძალაობდა. მისი ხვნეშის ხმა სწვდებოდა ყურს. ამ ხმამ ჩემი ბავშვობა გამახსენა. მაშინ 6 წლის ვიყავი. ჩვენს მეზობლად კერძო სახლში ერთი მარტოხელა კაცი ცხოვრობდა. ასე, 40-45 წლის იქნებოდა. იქვე ახლოს, მაღაზიაში ხორცს ყიდდა. უშველებელი ფაშვი ჰქონდა და მუდამ ოფლიანი და ცხიმიანი სახე. ეზოს ბავშვები ერთმანეთს მასზე უამრავ საშიშ ამბავს ვუყვებოდით და ჩვენვე ვიჯერებდით ჩვენს ნათქვამს. სულ მეგონა, რომ იმ საქონლის სისხლს სვამდა, რომლის ხორცსაც ყიდდა. სიზმარშიც კი მინახავს, როგორ იყუდებდა სისხლით სავსე ჯამს პირზე... მოკლედ, ამ კაცის, ყველა ბავშვს ეშინოდა. მის ეზოში უამრავი ხეხილი იდგა. ერთხელ, გაზაფხულზე გადავწყვიტეთ, მისი ალუჩა მოგვეპარა, მაგრამ ვინ ითავებდა ამას? მე, როგორც ყველაზე გულადმა, გამოვთქვი სურვილი. მეშინოდა, მაგრამ არ შევიმჩნიე და ღობეზე გადავძვერი. როდესაც უცხო ეზოში მოვხვდი, დავინტერესდი, რა ხდებოდა მის სახლში და მართლა დამხვდებოდა თუ არა მის მიერ გამოცლილი, სისხლიანი ჯამები. ის კაცი (სახელი დღესაც არ ვიცი) წესით, სამსახურში უნდა ყოფილიყო. ამიტომ, როდესაც კარს მივაწექი და ღია აღმოჩნდა, შიგნით შესვლა გადავწყვიტე. თან მუხლები მიკანკალებდა. ერთ-ერთი ოთახიდან ხმაური შემომესმა. კარს მივუახლოვდი და ღრიჭოში შევიხედე. საწოლზე ჩვენი მეზობელი — ასე, 15-16 წლის მანანა იწვა, შიშველი, ზემოდან კი, ეს ქონიანი და ოფლიანი კაცი დასწოლოდა და ხვნეშოდა. მეგონა, რომ ის მანანას ახრჩობდა. ახლაც კი მახსოვს, როგორ გამეყინა სისხლი ძარღვებში. იქიდან ძლივს გამოვედი და თავი სამშვიდობოს დავიგულე თუ არა, ხმამაღლა

ტირილი და ყვირილი ავტეხე. მთელი უბანი შეიყარა. რა თქმა უნდა, მანანას გადარჩენა მინდოდა და ნანახი დაწვრილებით მოვყევი. საშინელი ამბავი ატყდა. დედამ სახლში წამიყვანა. მეორე დღეს კი, უფროსების ლაპარაკს მოვკარი ყური და გავიგე, რომ ორივენი მოკვდნენ. თურმე, მანანას მამა შევარდნილა და შვილიც და ის კაციც ნაჯახით მოუკლავს... ეს ამბავი ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის. მთელი ცხოვრება მომყვება და მაწვალებს. ასე მგონია, რომ მათ სიკვდილში მე მიმიძღვის ბრალი... აქ, მერხზე მჯდარს, სწორედ ეს გამახსენდა. მინდოდა, ავმდგარიყავი და მეშველა იმ ქართველი გოგოსთვის, მაგრამ ვერ ვახერხებდი. უხილავი ხელი ჯიუტად ატრიალებდა წარსულის „ჩანაწერს“ და მანანა მახსენდებოდა. როგორც იქნა, ავდექი და ბუჩქებს გარს შემოვუარე. ერთი ადგილიდან კარგად ჩანდა, თუ რა ხდებოდა იქ. ქალი ბალახზე გულაღმა იწვა, კაცი კი, სვავივით, გაწაფული ხელით ჯიჯგნიდა, ვინ იცის, მერამდენედ გათელილ სხეულს. ქალი წინააღმდეგობას აღარ უწევდა. როგორც ჩანს, ბედს შეეგუა. თვალები დახუჭული და მინაბული ჰქონდა. ეს რომ დავინახე, უკან გამოვბრუნდი. ჩემს ჩარევას აზრი არ ჰქონდა. თუმცა, გული მეუბნებოდა, რომ იმ თურქისთვის სიფათი მიმესწორებინა. ამის მიუხედავად, უკანმოუხედავად წამოვედი იმ ადგილიდან. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, ჩემს ყურს ქალის კვნესაც მოსწვდა... ტაქსიში ჩავჯექი და სასტუმროში დავბრუნდი. დანაშაულის შეგრძნება მქონდა. განვიცდიდი, რომ არ ჩავერიე და მოძალადეს თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოვაყვანინე. მთელი ღამე ვბორგავდი. დილით თითქოს გამიარა.

ნატალი: შენ დამნაშავე არ ხარ. ვერაფერს უშველიდი იმ ქალს. ასე რომ, ტყუილად ნერვიულობ.

ზურა: დილით უკვე ისე აღარ განვიცდიდი. წუხელ კი, ეტყობა, სასმელიც დამეხმარა და მაგრად ვინერვიულე... ახლა შენზე მომიყევი რამე. სამსახურში რა ხდება? როგორ მიგიღეს თანამშრომლებმა შვებულების შემდეგ?

ნატალი: კარგად მიმიღეს. მე ყველას ვუყვარვარ და ვენატრებოდი კიდეც თანამშრომლებს. ამიტომ, ყველამ თბილად მომიკითხა, მე კი ურცხვად ვატყუებდი.

ზურა: რას ატყუებდი?

ნატალი: როდესაც მეკითხებოდნენ — როგორ ხარო? — ურცხვად ვეუბნებოდი — კარგად-მეთქი.

ზურა: ...და ცუდად რატომ ხარ?

ნატალი: იმიტომ, რომ შენ გაგიცანი, იმიტომ, რომ მთელი შვებულება ნერვიულობაში და კომპიუტერთან გავატარე და კიდევ იმიტომ, რომ ახლა უზომოდ მენატრები.

ზურა: მეც ძალიან მენატრები, სიხარულო, მაგრამ 2 დღეში შენთან ვიქნები და მერე სულ შენთან ვიქნები. გულში მენატრები და სულში მენატრები. შენ? შენ სად გენატრები?

ნატალი: მონატრებიათ ქარაფებს
თეთრი, ფუმფულა ნისლები,
ვარდს ენატრება ბულბული,
მეც მონატრებით ვივსები,
ცას ენატრება წვიმა,
ნისლს დაუსველდა ფრთები,
ტყეს ენატრება სიო და...
მეც მონატრებით ვკვდები,
ლოთს მოენატრა ღვინო და
შეხვედრის ეშხით ლოთობს,
მონატრებისგან გულწასულს,
ნამი მიჰკვრია ფოთოლს.

ნატალი: ისე მენატრები... სულელივით ვზივარ და წერილს გწერ. როგორ ხარ? რა გაძლებს ხვალამდე?! ერთხელ დავიძინებ, გავიღვიძებ და მერე მოხვალ?..

ზურა: :))) და შენც ასე, ფოთოლივით გულწასული ხარ, მონატრების გამო?

ნატალი: შეიძლება, გულწასული — არა, მაგრამ „ტვინწართმეული“ კი ვარ.

ზურა: ახლა შენ ტვინი და ჭკუა აღარ გჭირდება, ჩემო პატარავ. შენ გჭირდება დიდი გული, რომ მე დამიტიო.

ნატალი: შენი აზრით, ჭკუა აღარ მჭირდება?

ზურა: შენ ამის შემდეგ მაინც ჩემი ჭკუით უნდა იარო და იცხოვრო. შენი რაღად გინდა?!.

ნატალი: მტერმა იარა შენი ჭკუით! რაც დაგიჯერე, იმასაც ვნანობ.

ზურა: აბა, ახლა ეგეთები არ გამაგონო! ჭკუით იყავი, თორეეეემ...

ნატალი: ჭკუა აღარ გჭირდებაო და...

ზურა: გეხუმრე :(((

ნატალი: წავედი ახლა, თორემ, დაგვათენდა თავზე. ძილი ნებისა, ჩემო სიხარულო. მალე ჩამოდი.

ზურა: კარგად. ღამე მშვიდობის. თუმცა, რაღა ღამეა?! უკვე თენდება კიდეც. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ.

ზურა: ისევ წასულხარ. ვერ მოგარჯულე, ვერა! სულ ცოტაც მაცალე და მოგამტვრევ მაგ პატარა რქებუნებს. გკოცნი.

21 სექტემბერი, ოთხშაბათი

11:14

ნატალი: ჩემს რქებუნებზე ლაპარაკობ? არ გრცხვენია? ჯიუტი შენ ხარ, თორემ, მე ისეთი დამყოლი ხასიათი მაქვს, ვერ წარმოიდგენ. დღეს სონას დაბადების დღეა. მიულოცე, გაუხარდება.

22:35

ნატალი: გამარჯობა, სონა. როგორ ხარ? დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო კარგო. ულევ სიყვარულს გისურვებ!

სონა: ნატალია, როგორ ხარ? გაიხარე, ბუმბულის „კრაოტზე“! შენთვისაც მალე მომელოცოს.

ნატალი: რა უნდა მომილოცო, დაბადების დღე? მე ხომ ზაფხულში მქონდა, დაგავიწყდა?

სონა: დაბადების დღე კი არა, გათხოვება და კაი ამბები... გაისადაც მოვა დაბადების დღე და არ უნდა მოგილოცო? აბა, რა ხდება შენკენ ახალი?

ნატალი: მნიშვნელოვანი არაფერი. ძველებურად ვარ.

სონა: ზურა ჩამოვიდა?

ნატალი: რა ეჩქარება?! ისვენებს ჯერ.

სონა: შენ, რა თქმა უნდა, ისევ სამგლოვიარო განწყობილება გაქვს მაგის გამო. გამოვიცანი?

ნატალი: ვერ გამოიცანი. ალბათ შევეგუე კიდეც, რადგან აღარ განვიცდი ისე ძალიან. უბრალოდ, მენატრება და ეგ არის.

სონა: ძალიან გენატრება თუ ისე რა?

ნატალი: ძალიან, ძალიან...

სონა: საწყალო...

ნატალი: დავანებოთ ზურას თავი. დაბადების დღეს აღნიშნავ?

სონა: არა, არ აღვნიშნავ. მე და რობა წავალთ სადმე და გავისეირნებთ. შენ რომ აქ იყო, იცოცხლე, მოვაწყობდით ჩვენებურ ქეიფს.

ნატალი: ჰო, მაგრამ მე აქ ვარ, შენ — მანდ, ხოლო შუაში დიდი ოკეანე „ჩამოგვიდის“. ამიტომ, ვერაფერს გავაწყობთ.

სონა: ნეტავ, იმ დროისთვის აქ იყო, როცა ბავშვს გავაჩენ!..

ნატალი: ჩამოვალ, სონა, მაგ დროისთვის ჩამოვალ, თუ საკონსულომ გამომიშვა.

სონა: რატომ არ უნდა გამოგიშვან, მაგათი დედა ვატირე? რომელი რეციდივისტი და ტერორისტი შენ ხარ?! ჩამოხვიდოდი 1-2 თვით და დაბრუნდებოდი მერე უკან.

ნატალი: ეჰ, რა ვიცი, აბა. ჩემი ბედის ამბავი ხომ იცი?! ციდან ამერიკაში წასასვლელი ვიზები რომ ცვიოდეს, მე თავში „უარი“ დამეცემა.

სონა: გულს ნუ გაიტეხ, გენაცვალე, ყველაფერი კარგად იქნება. მგონი, გეძინება. კარგი, ჩემო ნატალია, დაიძინე. დროებით.

ნატალი: რითი მატყობ, რომ მეძინება? ნუთუ ნაწერზე მეტყობა?

სონა: გეტყობა. თანაც, მე საქმე მაქვს და უნდა წავიდე. ამ ბოლო დროს ძალიან ჩვილი გული გაგიხდა და ყველაფერი იოლად გწყინს. იმედია, არ გამინაწყენდები. გკოცნი.

01:25

ნატალი: ზურა, ისე მენატრები... სულელივით ვზივარ და წერილს გწერ. როგორ ხარ? რა გაძლებს ხვალამდე?! ერთხელ დავიძინებ, გავიღვიძებ და მერე მოხვალ?.. ინტერნეტში მარტო ყოფნა იგივეა, რომ საკუთარ თავს პენალტს ურტყამდე, მაგრამ ვითომ წერილს გწერ და მტრედს ვატან. ჩემს ბავშვობაში წერილის წერას ასე ვიწყებდით ხოლმე: ხელში ვიღებ საწერ-კალამს და გულითადს გითვლი სალამს... — და მერე მოჰყვებოდი, თუ რამე ახალი იცოდი, ბოლოს მოიკითხავდი დიდი ხნის უნახავ ადამიანებს და დაასრულებდი: პასუხს ველი, როგორც მგელი... რა სასაცილოა, არა? რომელი მგელი ელის საპასუხო წერილს?!. ყველაფერი შეიცვალა. ახლა კომპიუტერთან დაჯდები და მისწერე და მოგწერს... უკვე ძალიან გვიანია, მაგრამ ვერ ვიძინებ. რა უნდა გავაკეთო?.. აქ რომ იყო, ცოტას ვიჭორავებდით. მოდი, გავაგრძელებ ჩემი ამბის მოყოლას. უფრო სწორად, ბაჩოს ამბის. იქიდან გავაგრძელებ, სადაც გასანამ ბაჩოს ბევრი ფული მისცა. ამდენი ფული სად უნდა წაეღო?! შინ ვერ მიიტანდა, რადგან მშობლებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევდა, ბანკში ვერ შეიტანდა, რადგან არასრულწლოვანი იყო, ვერც სხვას მიაბარებდა. ისევ გასანას მიადგა და სთხოვა, მისი ფული შეენახა. იმ წელს ბაჩო სკოლას ამთავრებდა და სასწავლებლად რუსეთის დედაქალაქში აპირებდა წასვლას. ჰოდა, ეს ფულიც სწორედ მაშინ გამოადგებოდა. დასტიდან 500 მანეთი აიღო, ჯიბეში ჩაიდო და გასანას დაემშვიდობა. იმ საღამოს შინ მთვრალი მივიდა. დედამისი გულგახეთქილი დახვდა. ღამით ცუდად ეძინა, სასმელი მოსვენებას არ აძლევდა, გულ-მუცელი უხურდა და გონება ებინდებოდა. დილით საშინელმა თავის ტკივილმა გააღვიძა. პირი უშრებოდა და პირველი, რაც თავში მოუვიდა და თვალწინ წარმოუდგა, ეს იყო „ბორჯომი“. საწოლიდან აიზლაზნა, ჩაიცვა და ჯიბეები მოიჩხრიკა. ყველა ჯიბე ცარიელი ჰქონდა. უცებ გამოფხიზლდა ბოლომდე. კარგად ახსოვდა, რომ სულ 200 მანეთის დახარჯვა მოახერხა, დანარჩენი წესით, ისევ ჯიბეში უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამაოდ იჩხრეკდა ჯიბეებს. — ნაბოზრები!.. — კბილებში გამოცრა იმათი მისამართით, ვინც გუშინ ღირსად ჩათვალა, საქეიფოდ დაპატიჟა და ბოლოს, ჯიბეები ამოუსუფთავა. დედას მენეთიანი სთხოვა და კიბეზე დაეშვა. ვიდრე ბიჭებს მოძებნიდა, გახურებული გული „ბორჯომით“ გაიგრილა. მასთან უბნელი ბიჭი მივიდა, რომელსაც რევაზიჩს ეძახდნენ და ბავშვობიდან ვერ იტანდა. იმან ქვემოდან შესცინა და უთხრა: გინდა, შენი სასიძო გაგაცნოო? — ბაჩოს სისხლი თავში აუვარდა. სახეზე წამოწითლდა. მას ერთადერთი და ჰყავდა, რომელიც უკვე მესამე კურსის სტუდენტი იყო, მაგრამ ბაჩოს ვერასოდეს წარმოედგინა, რომ ის გათხოვდებოდა, ამის გაფიქრებაც კი აცოფებდა... მისი შიშით, ვერავინ ბედავდა შორენასთვის ხმის გაცემას. ახლა კი ეს რა უთხრეს — სასიძოო?!. თანაც — ვინ უთხრა?! ამას გულში ფიქრობდა, გარეგნულად კი სიმშვიდე შეინარჩუნა და ამ ღლაბუცა ბიჭს სრულიად მშვიდი ხმით უთხრა — გამაცანი, ვნახოთ ერთი, რა ბიჭიაო. — ამ საღამოს 7 საათზე სკოლასთან „დავსტრელოთ“, მოგიყვან და გაგაცნობო. ბაჩომ თავი დაუქნია, „ბორჯომი“ მოწრუპა და ნაბიჯი იმ მიმართულებით გადაადგა, საითაც იყურებოდა. მისთვის სულერთი იყო, სად წავიდოდა, მთავარი იყო იმათი პოვნა, ვისთან ერთადაც წინადღეს იქეიფა. სკოლის ხსენებაზე, უსიამოვნოდ გასცრა ტანში, რადგან უკვე 2 კვირაზე მეტი იყო, სკოლაში არ დადიოდა და იცოდა, დღეს თუ ხვალ დამრიგებელი დედამისს შეატყობინებდა ამ ამბავს და სახლში სერიოზული სკანდალი ატყდებოდა. გუნებაში ხელი ჩაიქნია, აქაოდა ფიქრადაც არ ღირსო და სახლის კუთხეში გაუჩინარებულ ერთ-ერთ თანამესუფრეს ხმამაღლა დაუძახა. რამდენიმე წუთში, ყველა ბიჭმა მოიყარა თავი. ყველა უარობდა ფულის მოპარვას. ბაჩო დარწმუნებული იყო, რომ ქურდი არ გამოტყდებოდა, ამიტომ ლაპარაკისას მათ ქცევებსა და თვალებს აკვირდებოდა. 2 მათგანი მოეჩვენა საეჭვოდ, მაგრამ არც ერთს არ აგრძნობინა და გადაწყვიტა, ცოტა მოეცადა. იქიდან წამოსული, ისევ გასანასთან მივიდა და ყველაფერს მოუყვა. შენ რა ხიფათიანი ვინმე ხარ, ბიჭო?! გუშინ, ფული რომ მიგქონდა, უნდა მეთქვა 1-2 სიტყვა, მაგრამ მერე შეგეშვი, ვიფიქრე — ჯობია, თვითონ გააკეთოს საჭირო დასკვნები და საკუთარ შეცდომაზე ისწავლოს-მეთქი; ყველა ძმაკაცი, ძმაკაცი არ არის, ისევე, როგორც ყველა შარვლიანი ვერ იქნება კაცი, პირში რომ გიცინის, პირს უკან სამარეს გითხრის; შენ არ იცი, რომ ქვეყანა ბოზებითაა სავსე? მაგ ფულს ალბათ, ვერ იპოვი, მაგრამ 300 მანეთად კარგი რჩევა მიიღე ყველაზე ბრძენისგან, რასაც ცხოვრება ჰქვია... ბაჩო საღამომდე დარჩა გასანასთან და კიდევ ბევრი მსგავსი დარიგება მიიღო. საღამოს 7 საათისთვის კი, დათქმულ ადგილას მივიდა. იქ მხოლოდ ძველი ნაცნობი დახვდა. ბაჩო გაჩუმებული იდგა, ხმას არ იღებდა და იმ ადამინის გამოჩენას ელოდა, ვინც გაბედა და მისი დის საქმრო უწოდა თავს. მალე სკოლის კუთხიდან მათკენ ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი გამოემართა. ბაჩო კარგად დააკვირდა. მოდის, — აუწყა რევაზიჩმა და ყოველი შემთხვევისთვის, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. — ეს არის? — ბაჩო გაოცებული და პირდაღებული უყურებდა მათკენ მომავალ ბიჭს, რომელსაც გაოცებისგან ბაჩოზე მეტად გაჰფართოებოდა თვალები...

ზურა: შენ ამის შემდეგ მაინც ჩემი ჭკუით უნდა იარო და იცხოვრო. შენი რაღად გინდა?!.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არალეგალი ემიგრანტები — ქალები გორიდან, კასპიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან — დილიდან დაღამებამდე, მუხლჩაუხრელად შრომობენ, ყოფილი ექიმები, ექთანები, პედაგოგები, მეცნიერი-მუშაკები თუ უბრალოდ, დიასახლისები ევროპის დიდ ქალაქებში შინამოსამსახურეებად მუშაობენ, რათა საქართველოში დარჩენილ თავიანთ ოჯახებს სიღატაკის საფრთხე აარიდონ... მათთან დაკავშირება ძნელი არ არის — ალბათ, ნებისმიერ ჩვენგანს ერთი-ორი ასეთი ნაცნობი ან ახლობელი მაინც მოგვეპოვება. ამჯერად, ათენში მცხოვრები არალეგალების შესახებ მინდა გიამბოთ. მინდა, წარმოგიდგინოთ ის ქალბატონები, რომლებიც დეპორტაციის შიშით გულდამძიმებულები, დიდი ჯაფისა და დაუცველობის მიუხედავად, უკეთესი მომავლის იმედით სულდგმულობენ...

მანქანის საბარგულში გამომწყვდეული ქალები

ანუ პირველი გამოცდა არალეგალი ემიგრანტის ჯოჯოხეთურ გზაზე

ლელა ჭანკოტაძე

ნათელა, *42 წლის:*

— ერთხელ, დილით უთენია გამოვედი სახლიდან და მეგობართან აცრემლებული მივვარდი. ჩემს შვილებს ეძინათ. მათი უკმაყოფილო სახეების დანახვა უკვე მაშინებდა: შემეკითხებოდნენ — დედა, რა ვჭამოთო? მერამდენედ უნდა მეთქვა — არაფერი გვაქვს, ცარიელი ჩაი დალიეთ-მეთქი?!. მეგობარმა მომისმინა და მითხრა: მოდი, სამუშაოდ ინგლისში წავიდეთ, იქ ჩემი ბიძაშვილები ცხოვრობენო... მეორე დღიდანვე დავიწყე ნათესავების შემოვლა, ყველასგან ფული ვისესხე; ტელევიზორიც კი გავყიდე, ფული შევაგროვე და ერთ კაცს მივაკითხე — მას მსურველები ინგლისში მიჰყავდა... ინგლისის საელჩო, ისევე, როგორც აშშ-ის, შეუვალი ციხესიმაგრე აღმოჩნდა: წასვლაზე უარი მითხრეს. ბოლოს, გერმანიის საელჩოს მივაშურე. ისევ უარი მივიღე. სწორედ ამ დროს, იმ დალოცვილმა კაცმა შემომთავაზა: თუ გარისკავ, ყოველგვარი ვიზისა და საბუთის გარეშე საბერძნეთში წაგიყვანო. გადავწყვიტე — კანონი დამერღვია და საზღვარზე გადავპარულიყავი. წინასწარ გამაფრთხილეს — 2 საათის განმავლობაში ავტობუსის საბარგულში ყოფნა მოგიწევსო. მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, კოშმარულ სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა. როგორც კი საზღვარს მივუახლოვდით, მძღოლმა ავტობუსიდან ჩამოგვიყვანა და საბარგულში შეძრომა მოგვთხოვა. შესასვლელი შედარებით ვიწრო იყო, მაგრამ შიგნით ხუთი ქალი თავისუფლად მოვთავსდით. ნათურაც ბუუტავდა, რკინის იატაკზე წყლის ბოცაც იდო. მერე კარი ჩაგვიკეტეს, უზარმაზარი ჩანთები შემოგვიწყვეს და ავტობუსი დაიძრა... ხუთივე ქალი რკინის იატაკზე დავსხედით. სუნთქვა გვიჭირდა, მაგრამ გაძლება შეიძლებოდა. ყველანი ვფიქრობდით, რომ სულ რაღაც 2 საათში ისევ დღის სინათლეს ვიხილავდით. საათი არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ მაინც მივხვდით, რომ ორ საათზე მეტი გავიდა. რკინის „ოთახში“ თანდათან ტემპერატურამ იმატა. სუნთქვა სულ უფრო მეტად გაძნელდა. მერე პანიკურმა შიშმა მომიცვა. ერთ-ერთმა ქალმა ვალიდოლი მომაწოდა. ერთადერთი იმედი, მბუუტავი ნათურა, რომელსაც თვალმოუცილებლად მივჩერებოდით, ჩაქრა. სხვა აღარაფერი მახსოვს... გონს რომ მოვედი, მძღოლი დავინახე. ხელში წყლით სავსე ვედრო ეჭირა და სახეზე მასხამდა. თვალი გავახილე თუ არა, მთელი ხმით იყვირა: ცოცხალია, ღმერთმა არ გამწირაო!.. სამალავში 8 საათი გაგვიტარებია. ცუდად მხოლოდ მე გავმხდარვარ, დანარჩენმა ქალებმა ტანჯვას გაუძლეს... საშინლად დავსუსტდი, ფეხზე დგომა და ნაბიჯის გადადგმაც კი ვეღარ შევძელი. მძღოლმა სასტუმროში მიმიყვანა. ნომერში ხელით შემიყვანეს. ჩემი თავი ერთ ქალს ჩააბარეს. ქეთინო ერქვა. საქართველოდან ჩასულ არალეგალებს მფარველობდა. დღეში 20 ევროს საფასურად მივლიდა, მაჭმევდა, მასმევდა. ბოლოს დამასაქმა კიდეც...

ზაირა, *57 წლის:*

— ჩემი გზა თბილისიდან ათენამდე უფრო რთული და ჯოჯოხეთური აღმოჩნდა. ჯგუფი, რომელსაც გავყევი, სტამბოლის გავლით, სალონიკში მიდიოდა. ავტობუსში 7 არალეგალი ვიმყოფებოდით. როგორც კი საბერძნეთის საზღვარს მივუახლოვდით, მძღოლმა დაამუხრუჭა. გზის პირას მიგვიყვანა. ქვემოდან წყლის ჩხრიალი ისმოდა, გვითხრა: პატარა ღელეა, ამ ღელეს გაჰყვებით და საზღვარს იოლად გადალახავთ; ვერავინ შეგამჩნევთ; როგორც კი გზატკეცილს დაინახავთ, გაჩერდით — ავტობუსით იქვე დაგელოდებითო. რამდენიმე კაცი დაგვეხმარა და რის ვაი-ვაგლახით, ხევში ჩავედით. ერთი შეხედვით, რთული არაფერი იყო. ღელე ქვებზე მირაკრაკებდა. გვეგონა, წყლის პირას სიარული სასიამოვნოც კი იქნებოდა... ასე დავადექით, ბედის მაძიებელი 8 ქალი, სიკვდილის გზას... სულ მალე, ცას საავდრო ღრუბელი გადაეკრა და ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომ ერთ წამში ჩვენი ტანსაცმელი გასაწური გახდა. წვიმას ძლიერი ქარიც მოჰყვა. სიარული შეუძლებელი გახდა. ვეებერთელა ხეს შევაფარეთ თავი. ერთიანად ვკანკალებდით. ქარი ძვალ-რბილში ატანდა, თვალის დახამხამებაში, წყლის გუბეები გაჩნდა. ჩამობნელდა. თავიდან გვეგონა, მალე ისევ გამოიდარებდა, მაგრამ ბუნების მრისხანება 3-4 საათს გაგრძელდა. როცა წვიმამ გადაიღო, უკვე საღამოს 7 საათი იყო. რის ვაი-ვაგლახით გავუყევით ღელის პირს. მივდიოდით, ფეხები ტალახში გვეფლობოდა, ზოგის ფეხსაცმელს ძირი გასძვრა. მაინც არ დაგვიჩივლია, ოღონდაც ავტობუსამდე სწრაფად მიგვეღწია და ყველაფერს გავუძლებდით. მაგრამ ღელეს დასასრული არ უჩანდა. რამდენიმე საათის მანძილზე შეუსვენებლად სიარულის შემდეგ, ყველანი პანიკამ მოგვიცვა. უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა. ერთ-ერთი ჩვენგანი — ნინო განსაკუთრებით იყო შეშინებული. ის ჩვენ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. ძალიან გაუჭირდა სიცივისა და სიბნელის ატანა. ვამხნევებდით, ანეკდოტებს ვუყვებოდით, ვიცინოდით და ვამბობდით, რომ წლების შემდეგ, ამ თავგადასავალს სიზმარივით გავიხსენებდით. მაგრამ ნინოს სახეზე ღიმილი არ ეკარებოდა. კანკალებდა და გამუდმებით ტიროდა. მერე, ერთ-ერთმა ქალმა თქვა: სიარულს აზრი აღარ აქვს, გავჩერდეთ და გათენებას დაველოდოთო. ასეც მოვიქეცით. შორიდან ჩვენამდე ნადირის ხმა აღწევდა. არ ვიცი, მგელი ყმუოდა თუ ტურა გაჰკიოდა, მაგრამ სიფრთხილის ზომები მაინც მივიღეთ — ხეებზე ავძვერით. მე და ნინო ხეზე ერთად მოვთავსდით. მთელი ღამე თეთრად გავათენეთ. ძნელია იმის გადმოცე-

მა, თუ რას განვიცდიდით... ბავშვობაში პიონერთა სასახლის ვოკალურ ჯგუფში ვმღეროდი. ქალების გასამხნევებლად, ძალა მოვიკრიბე და შევასრულე — „ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი...“ გასუსულები მისმენდნენ. ნინო ტანზე მომეკრო. დილამდე, ხმა აღარ ამოუღია. ინათა თუ არა, ხეებიდან ჩამოვედით. მივხვდი — ნინო ცუდად იყო, ეტყობოდა, რომ მაღალი სიცხე ჰქონდა. ხიდან გაჭირვებით ჩამოვიყვანეთ. სიარული უჭირდა. ხმას არ იღებდა, ერთიანად კანკალებდა. სველი ტანსაცმელი უკვე ტანზე შეგეშრობოდა. ყველამ გავიხადეთ მაისურები და ნინოს ჩავაცვით. ბიუსტჰალტერების ამარა დავრჩით — ვინ დაგვინახავდა?.. ქალები ერთმანეთს ვენაცვლებოდით და ნინო ზურგზე აკიდებული მიგვყავდა. მაგრამ მალე ისე დავიქანცეთ, რომ ნაბიჯის გადადგმაც კი გვიჭირდა. გადავწყვიტეთ — ავტობუსის მგზავრების იმედად დავრჩენილიყავით: თუ მოგვძებნიდნენ, გადავრჩებოდით, თუ არა და ყველას სიცივითა და შიმშილით სიკვდილი გვეწერა... აღარ დავიწყებ იმის მოყოლას, ტყეში საკვებსა და წყალს როგორ დავეძებდით. ხან — ვტიროდით, ხან — ვიცინოდით. ალბათ, შევიშლებოდით კიდეც, ნინო ასე ცუდად რომ არ გამხდარიყო: მასზე მზრუნველობა ძალას გვმატებდა. საათების მანძილზე, ტანს ვუზელდით, გათოშილ ხელებსა და ფეხებზე სულს ვუბერავდით. ასანთი სად გვქონდა, ცეცხლი რომ დაგვენთო?!. ორი დღე და ღამე ტყეში გავატარეთ. მესამე დილას ადამიანის ხმა გავიგონეთ. თურმე, მძღოლმა არ გაგვწირა: ორ კაცთან ერთად, შეუსვენებლივ გვეძებდა. საუბედუროდ, გზა აგვრევია... ნინო ერთ-ერთი ქართველის ოჯახში მივიყვანეთ. მათ ასევე ქართველი ემიგრანტი ექიმი გამოიძახეს. გვითხრა: ავადმყოფს ფილტვების ანთება აქვსო. ძლიერი ანტიბიოტიკებით მკურნალობაც დაუწყო, მაგრამ საბრალო გოგო გამთენიისას გარდაიცვალა. გონზე არც მოსულა. არასდროს დამავიწყდება, მისი პასპორტის ნახვისას განცდილი სიმწარე. ეწერა: „ნინო ხერხეულიძე. დაბადების წელი — 1980“. 20 წლის გოგონა ასე უბედურად და საცოდავად დაიღუპა. წარმოგიდგენიათ, რა გაჭირვებული იქნებოდა მისი ოჯახი, 20 წლის შვილს რომ მოჯამაგირედ გაუშვებდა?!. უკვე მეშვიდე წელია, საბერძნეთში ვცხოვრობ. მოხუც მამაკაცს ვუვლი. 800 ევრო მაქვს ხელფასი. იმდენი შევაგროვე, რომ თბილისში ბინა ვიყიდე. ახლა ჩემს შვილებს ნაქირავებ ბინაში ცხოვრება აღარ მოუწევთ. მეც მივეჩვიე საბერძნეთს. აქ მეგობრებიც გავიჩინე. კვირა დღეს ვისვენებ. სტუმრად საჩხერელ ქალებთან მივდივარ ხოლმე. ისინი, ჩემგან განსხვავებით, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ. მე კი ჩემს მოხუცთან ვათენებ და ვაღამებ. ხელით ვაჭმევ, წამლებს ვასმევ, პამპერსს ვუცვლი, ვბან და ვნატრობ — დიდხანს იცოცხლოს, რომ ისევ უმუშევარი არ დავრჩე. ცოტას კიდევ დავაგროვებ და თბილისში პატარა მაღაზიას გავხსნი, რომ ჩემს ოჯახს მუდმივი შემოსავლის წყარო ჰქონდეს.

რუსუდანი, *35 წლის:*

— საზღვრის უკანონოდ გადალახვა იოლი რომ არ იქნებოდა, ამას პატარა ბავშვიც მიხვდება, მაგრამ ის, რაც მე მუხრუჭება მოასწრო, თორემ, წიწილასავით გამჭყლეტდა... გამომათრიეს ტომრიდან, დაჟეჟილი და თავპირდასისხლიანებული. ყველაფერი მტკიოდა. თავი ორ ადგილას მქონდა გატეხილი. სანამ ხმას ამოვიღებდი, მძღოლმა დამიყვირა — შენ გამო შარში თუ ჩავვარდი, ოჯახიანად ამოგწყვეტთ ღონღაძეებსო!.. მგზავრებმაც ჩოჩქოლი ატეხეს: პატრულმა არალეგალი რომ იპოვოს, ყველას დაგვიჭერენ და დეპორტაციას გაგვიკეთებენო. ხმა არ ამომიღია. ვიღაცამ თავი შემიხვია, ვიღაცამ ანალგინი დამალევინა. ზოგმა მომილოცა კიდეც, საზღვრის გადალახვა. ერთი სიტყვით, რადგან შევიტყვე, რომ უკვე საბერძნეთში ვიმყოფებოდი, განსაცდელი და ტკივილი სულ გადამავიწყდა. თურმე მოტყუვდი. მთავარი გასაჭირი ჯერ კიდევ წინ მელოდა... ავტობუსში აღარ დამაბრუნეს. ორმა უცხო მამაკაცმა ჩემთვის გაურკვეველ ენაზე რაღაც ჩაიბუტბუტა და მანიშნა — წამოდიო. მძღოლმა კი დაამატა: აბა, რუსუდან, ესენი დანიშნულების ადგილამდე მიგიყვანენ, იმდენი გადავუხადე, რომ ცივ ნიავს არ მოგაკარებენო... იქვე ახლოს პატარა ფარდული ჩანდა. სწორედ იქ შემიყვანეს და დამტოვეს. ერთ-ერთმა, „დამტვრეული“ რუსულით მიმახვედრა, რომ ფარდულიდან არ უნდა გამოვსულიყავი. საჭმელი მქონდა. გემრიელი ხაჭაპური მივირთვი და დავიწყე ლოდინი. გავიდა ერთი, ორი, შვიდი, ათი საათი — არავინ გამოჩნდა. დაღამდა. სიცივისგან კანკალი დამაწყებინა. ჩანთიდან საჭმელი გადმოვყარე და გაჭირვებით, შიგ ჩავჯექი. ვიფიქრე, ცოტათი გავთბებიმეთქი... დაახლოებით დღე-ნახევრის შემდეგ, ხმაური შემომესმა. ცოტა ხანში, ფარდულში ქალი „შემოაგდეს“. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ჩემნაირი არალეგალი აღმოჩნდა. დიდი დილმიდან იყო — მანანა მაისურაძე. თუ მისი ოჯახი ამ წერილს წაიკითხავს, ძალიან გამიხარდება: ყოველთვის მინდოდა, მათთვის გამეგებინებინა, თუ როგორ საცოდავად დაიღუპა 50 წლის მშვენიერი ქართველი ქალი... ის ღამე თეთრად გავათენეთ. დილით მითხრა: წუხელ, ფეხის თითზე რაღაცამ მიკბინა, ალბათ, აქ ჭიები არიანო... ფარდულის შუაში მაგიდა იდგა. ზედ ავედით, ძირს მცოცავი, დიდი, შავი ჭიები მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ. მერე კარი ისევ გაიღო და კიდევ ორი ქალი შემოვიდა. მივხვდი, რომ ფარდულში არალეგალებს გვაგროვებდნენ და ყველას ერთად წაგვიყვანდნენ, მაგრამ სად — ეს არ ვიცოდი. რამდენიმე საათის შემდეგ, გადამხდა თავს, დაუჯერებელიც კია. შარშან, პირველ სექტემბერს, ოჯახს დავემშვიდობე და ავტობუსით საბერძნეთის გზას დავადექი. წინასწარ ვიცოდი, რომ თურქეთიდან კუნძულზე საზღვაო პატრულს უნდა გადავეყვანე, რადგან ზღვა შედარებით ცუდად კონტროლდება. იქ უამრავი არალეგალი მუშაობს. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მძღოლმა მითხრა: რაღაც გართულდა და უნდა დაიმალოო. რაღას ვიზამდი?! პატარა კიბით ავტობუსის სახურავზე ამიყვანა. იქ ფქვილის ტომრები ეწყო. ერთ-ერთში ჩამსვა და თავი მოუკოჭა. მერე ვიგრძენი, როგორ დამაწყო ზემოდან მძიმე ტვირთი. არ ვიცი, როგორ არ გავიჭყლიტე. ასე, ფქვილის ტომარასავით მატარეს დაახლოებით 3-4 საათი. მერე, უეცრად ავტობუსი მოცურდა, მგონი, საბურავიც გაუსკდა. ჩამესმა ხალხის კივილი და წამში, წარმოუდგენელი ტკივილი ვიგრძენი. ტომრები დაცურდა და ასფალტზე გადმოიყარა. ბედად, შემხვედრმა მანქანამ და-

გვეგონა, წყლის პირას სიარული სასიამოვნოც კი იქნებოდა... ასე დავადექით, ბედის მაძიებელი 8 ქალი, სიკვდილის გზას...

მძღოლმა ავტობუსიდან ჩამოგვიყვანა და საბარგულში შეძრომა მოგვთხოვა. შესასვლელი შედარებით ვიწრო იყო, მაგრამ შიგნით ხუთი ქალი თავისუფლად მოვთავსდით

მანანას დაკბენილი თითი საშინლად გაუსივდა და გაულურჯდა, სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. ნამდვილად სიცხე მაქვს, მაცივებსო, — თქვა. კანკალი რომ დააწყებინა, ფარდულიდან გამოსვლა დავაპირე, მაგრამ — ამაოდ: კარი მაგრად ჩაერაზათ. საბრალო ქალი, თვალსა და ხელს შუა, სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. ვანელი ქალი გვამშვიდებდა — ქუთაისიდან საღამო ხანს ავტობუსი ჩამოვა, 3 ქალს ჩამოიყვანს და მერე, ყველას ერთად, ზღვით კუნძულზე გადაგვიყვანენო. მანანას მისი აღარ ესმოდა — თვალები შეუშუპდა, კანკალი გაუძლიერდა, პირიდან დორბლი გადმოუვიდა. თუ რაიმე წამალი გვქონდა, ყველაფერი დავალევინეთ. მერე ვიღაცამ თქვა — ნამდვილად კვდებაო... მთელი ხმით ავკივლდით — იქნებ, ვინმესთვის ხმა მიგვეწვდინა. მშველელი არა და არ გამოჩნდა... მეოთხე დილას, წარმოუდგენელი რამ მოხდა: თვალებიდან, ცრემლის მაგივრად, სისხლი გადმოუვიდა. სწორედ ამ დროს, უცხო მამაკაცებიც მოვიდნენ. მანანას დანახვაზე კანკალი დააწყებინათ. რას გაუკეთებდნენ, რითი უშველიდნენ?.. გაგიჟებულები, ერთმანეთს რაღაცას უყვიროდნენ. ამასობაში, მანანას თავი უკან გადაუვარდა. ენით აუწერელი ტანჯვა-წამებით დაიღუპა... მე მწერალი არა ვარ, რომ ეს ამბავი ზუსტად ისე გადმოგცეთ, როგორც მოხდა, მაგრამ დამიჯერეთ — სიტყვები უძლურია, ჩვენი მაშინდელი მდგომარეობის გამოსახატავად. ვიხვწებოდით — პოლიციას დაუძახეთ, ჩავბარდებით, თუნდაც ციხეში გამოგვამწყდიონ-თქო. ყურს არავინ გვიგდებდა... ჯერ მანქანით ვიარეთ. მერე გასაბერ ნავში ჩაგვსხეს და

ღელეს დასასრული არ უჩანდა. რამდენიმე საათის მანძილზე შეუჩერებლად სიარულის შემდეგ, ყველანი პანიკამ მოგვიცვა

ზღვით კუნძულზე გადაგვიყვანეს. აზრი აღარ აქვს იმის მოყოლას, თუ როგორ გადაბრუნდა რამდენჯერმე ნავი და როგორ აღმოვჩნდით წყალში... ყველაფერი დავკარგეთ, პასპორტებიც კი. გვეუბნებოდნენ, რომ ბევრნი ვისხედით, ამიტომ ტვირთი უნდა გადაგვეყარა. ჩემი პატარას სურათიც კი წყალმა წაიღო... ახლა კარგი ხელფასი მაქვს. ოჯახს ყოველთვიურად 700 ევროს ვუგზავნი. ქმარმა ეს ფული დააგროვა და თემქაზე სამოთახიანი ბინა დაიგირავა. რამდენიმე წელიწადში ალბათ, ერთი ოთახის ყიდვას მაინც შევძლებთ. წლების შემდეგ, უკან რომ დავბრუნდები, მეორე შვილს გავაჩენ, ცხოვრებას თავიდან დავიწყებ და უეჭველად ბედნიერი ვიქნები...

ლილი, *64 წლის:*

— საბერძნეთში ჩამოსვლა 3.500 დოლარი დამიჯდა. ვფიქრობდი — ისეთ

როგორც ცხენზე, ისე შევსხედით „ბანანზე“ და ისიც ადგილს მოსწყდა. ტალღებს ელვისუსწრაფესად მიაპობდა

დიდ თანხას ვიხდი, რომ დედოფალივით ჩამიყვანენ ადგილამდე-მეთქი, — მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა... ჯერ უკრაინაში ჩავფრინდით. იქიდან კი, ზღვით უნდა გადავსულიყავით სალონიკში. ჩემი ბარგი ავტობუსით წაიღეს. მე თხელი კაბითა და მორგებული ფეხსაცმლით, სხვა ქალებთან ერთად, ზღვის ნაპირას დავრჩი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მითხრეს — პარაპლანით უნდა გადაფრინდეთო. ჯერ მეგონა, მეხუმრებოდნენ და გავიცინე კიდეც. მაგრამ მერე, ახსნა რომ დამიწყეს, თუ როგორ უნდა ჩავჭიდებოდი რკინის ძელს, პანიკურმა შიშმა შემიპყრო. მთელი ხმით ავყვირდი. კარგი, მაშინ, გასაბერი ნავით წავიდეთო, — შემომთავაზეს და დიდი ყვითელი „ბანანი“ დამანახვეს, რომელზეც 5 ადამიანი თავსდებოდა და რომელსაც კატარღას უბამდნენ... პარაპლანით ფრენას, ისევ გასაბერი „ბანანით“ მგზავრობა მერჩია. თუმცა, წარმოდგენაც არ მქონდა, ასეთი საშინელი და სახიფათო ტრანსპორტით როგორ უნდა გადამელახა ზღვა... წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. პოლიციას რომ დავეჭირე, ციხე არ ამცდებოდა. იძულებული გავხდი, მათი მოთხოვნა შემესრულებინა. როგორც ცხენზე, ისე შევსხედით „ბანანზე“ და ისიც ადგილს მოსწყდა. ტალღებს ელვისუსწრაფესად მიაპობდა, შხეფები მესხმებოდა. წამში დავსველდი. სიცივე ძვალსა და რბილში გამიჯდა... 10-15 წუთის შემდეგ, „ბანანი“ ამობრუნდა და ხუთივე ქალი წყალში აღმოვჩნდით. კატარღიდან კაცები მოგვეშველნენ, დახრჩობას გადაგვარჩინეს. ისევ პირვანდელ მდგომარეობას დავუბრუნდით... მაშინ ვიგრძენი „სიკვდილის სუნი“. მივხვდი — ეს საშიში მოგზაურობა მსხვერპლის გარეშე არ დასრულდებოდა. კიდევ მცირე ხანს ვიარეთ და ისევ წყალში აღმოვჩნდით. როგორც კი დიდი ტალღა დაგვარტყამდა, „ბანანი“ იმწამსვე ყირავდებოდა. არ ვიცი, როგორ გადავურჩი გაგიჟებას. უკუნეთ ღამეში ზღვაში ვიხრჩობოდი. კაცები დიდი ფარნებით ხელში გვეძებდნენ. ასეთი რამ „ტიტანიკის“ დაღუპვისას თუ განუცდიათ ადამიანებს, თორემ, წარმოდგენა შეუძლებელია... უეცრად, ვიღაცამ დაიყვირა — ქალი დაგვეხრჩოო! — და მსუქანი ჭაღარათმიანი ქალბატონი რის ვაი-ვაგლახით აათრიეს კატარღაზე. შიში კიდევ უფრო გამძაფრდა. ნერვებმა მიმტყუნა და ჭარმაგი ქალი, ავტირდი: დედა, მიშველე-მეთქი!.. ტანჯვა-წამება ერთ საათს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, ფეხქვეშ მიწა ვიგრძენი. ძირს დავემხე და ავბღავლდი. სხვა ქალებიც იმავეს სჩადიოდნენ. ზოგი თავ-პირში იშენდა ხელებს, ზოგი თმას იწიწკნიდა. ის ქალბატონი კი, მომკვდარიყო. ჩემი აზრით, მას შიშისგან გაუსკდა გული... შემდეგ, როცა ეს ამბავი სხვა არალეგალებს ვუამბე, არ გაჰკვირვებიათ: თურმე, ბევრი უბედური შემთხვევა მომხდარა. მაგალითად, ქუთაისელი ქალები ტყეში მგელს შეუჭამია; 2 რუსთაველი ქალბატონი საბარგულში გაგუდულა... მართლაც, გასაკვირი რაა?! როცა საზღვარს უკანონოდ არღვევ, უნდა ხვდებოდე, თუ რამხელა რისკზე მიდიხარ. ჩვენ, ოჯახის ქალებმა, ჩვენივე ოჯახების გადასარჩენად, სხვა ვერაფერი მოვახერხეთ, უცხო მიწაზე გადმოხვწისა და მონური შრომის გარდა... მე პროფესიით ექიმი-თერაპევტი ვარ. 40 წელი თავდაუზოგავად ვიშრომე და ბევრ ადამიანს სიცოცხლე გავუხანგრძლივე. ახლა კი, 97 წლის მამაკაცს ვუვლი. ის საწოლს არის მიჯაჭვული და სიკვდილს ნატრობს. უშვერი სიტყვებით მლანძღავს, მაგინებს, მაფურთხებს, მაგრამ მე მაინც ვუცინი, რადგან მისი შვილები 900 ევროს მიხდიან, ეს კი ძალიან დიდი ფულია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის... შვილს სამარშრუტო ტაქსი ვუყიდე, შვილიშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია და სწავლის გადასახადს ვუხდი; ჩემს დისშვილს თვეში 100 ევროთი ვეხმარები. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ახლობელს ვუმართავ ხელს?!. საბერძნეთში ბევრი ქართველი ქალი გავიცანი. ყველას, შვილები გვენატრება, უკვე აღარც კი გვახსოვს, თუ რა გზით ჩამოვედით ამ კურთხეულ ქვეყანაში. მთავარია, რომ ვმუშაობთ და ფულს საქართველოში, ჩვენს ოჯახებში ვგზავნით...

■

რეპრესირებული მსახიობი თეატრში დაბრუნებაზე ოცნებობს...

„ლია გუდაძე ყველა მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა“...

მსახიობი ლია გუდაძე მიიჩნევს, რომ ცხოვრების რთული, თუმცა, საინტერესო გზა განვლო. მის ცხოვრებაში პოლიტიკა და პროფესია რაღაცნაირად ერთმანეთს გადაეჯაჭვა. წლების მანძილზე დაკითხვებზე იბარებდნენ, მის სატელეფონო საუბრებს ისმენდნენ, საზღვარგარეთ გასტროლებზე არ უშვებდნენ. როგორც თვითონ ამბობს, პირადმა ცხოვრებამ მის მსახიობურ მოღვაწეობას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი — როგორც მოღალატის ცოლი, ყოველთვის და ყველგან დაბრკოლებას აწყდებოდა.

ნინო ჯავახიშვილი

— ჩემი ბიოგრაფია ჩემი სიმდიდრეა და მიუხედავად ბევრი განსაცდელისა, მაინც კმაყოფილი ვარ, რომ უინტერესო, მდორე ცხოვრებით არ მიცხოვრია. პოლიტიკა გადაჯაჭვული იყო ჩემს პროფესიასთან. იყო ქარტეხილები, ბევრი გულისტკივილიც და ბევრი სიხარულიც... ჩემმა პირველმა მეუღლემ — ნუგზარ შარიამ 1969 წელს საბჭოთა კავშირი დატოვა და საცხოვრებლად საზღვარგარეთ დარჩა. მაშინ ნესტანი 7 წლის იყო. ნუგზარს არასდროს უთქვამს, რომ საზღვარგარეთ დარჩენას აპირებდა. ეს ამბავი ყველაზე მძიმედ ბავშვმა გადაიტანა — მამა წავიდა და აღარ დაბრუნდებაო? — ხშირად მეკითხებოდა. 20 წლის შემდეგ ნახა მამამისი — აკაკი ბაქრაძე დაგვეხმარა, რომ ნესტანი ამერიკაში გამგზავრებულიყო მამის სანახავად. ამის შემდეგ დაიწყო გაუთავებელი დაკითხვები „კაგებეში“. ისმინებოდა ტელეფონი, ეჭვი ჰქონდათ, რომ ქვეყანას მეც დავტოვებდი — რეპეტიციებიდან მივყავდი დაკითხვებზე, როლებიდან მხსნიდნენ. თუ საზღვართან ახლოს გვქონდა გადაღებები ან ვთქვათ, ზღვაზე, მე მეკრძალებოდა იქ ყოფნა, თითქოს სადმე გავიქცეოდი. საზღვარგარეთაც არ მიშვებდნენ გასტროლებზე მაშინ, როცა რუსთაველის თეატრმა მთელი მსოფლიო შემოიარა. ასე გრძელდებოდა ხელისუფლებაში ზვიადი გამსახურდიას მოსვლამდე. მაგრამ მისი დამხობის შემდეგ, რუსთაველის თეატრიდან დამითხოვეს. მიზეზი ის იყო, რომ ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე ვიყავი — ზვიადისტებს კი სამსახურიდან ათავისუფლებდნენ. როგორც ჩანს, ლია გუდაძე ყველა მთავრობისთვის მიუღებელია. კომუნისტების დროიდან მოყოლებული, დღემდე რეპრესირებული ვარ. ჩემი რეაბილიტაცია კი, თეატრში მუშაობაა. ერთხელ ვცადე თეატრის ხელმძღვანელობასთან ნიადაგის მოსინჯვა, მაგრამ ცდილობენ, ჩემთან ლაპარაკს თავი აარიდონ. მე კი, სხვა თეატრთან შეგუება არ შემიძლია. საერთოდ, პოპულარობა უფრო მეტად კინოროლებს მოაქვს, მაგრამ მსახიობისთვის თეატრი — ცოცხალი ურთიერთობა მაყურებელთან — სულ სხვა რამეა.



ფილმში — „დონ-კიხოტი“ ოთარ კობერიძესთან ერთად

— ალბათ, ძალიან გენატრებათ თეატრი...

— ძალიან მენატრება, იმდენად, რომ ლაპარაკიც კი მიჭირს. რა ვქნა, ასე მოიტანა ცხოვრებამ, დრომ. ალბათ ასე იყო საჭირო...

— თქვენს დროს ძალიან ძნელი იყო თეატრალურ ინსტიტუტში მოხვედრა, არა?

— ინსტიტუტი იყო ძალიან პატარა, სულ რამდენიმე ფაკულტეტი ჰქონდა, უნიჭიერესი პედაგოგები გვყავდა. ინსტიტუტს ბევრი ფაკულტეტი დაემატა, თორემ იქ მოხვედრა, ჩემი აზრით, დღეს უფრო ძნელია — უფრო რთულია გამოცდების ჩაბარება. ჩემს მშობლებს ხელოვნებასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ — ორივე, ეკონომისტი იყო. ჩემი ფიზიკის მასწავლებელი და ამავდროულად, კლასის დამრიგებელიც გახლდათ რეზო ესაძე, არაჩვეულებრივი კინორეჟისორი. ის ხშირად დგამდა სკოლაში კონცერტებს, სპექტაკლებს და როლებს მაძლევდა. პრინციპში, მან განაპირობა ჩემი პროფესიონალური არჩევანი. დღემდე მახსოვს მისაღებ გამოცდებზე მიღებული შთაბეჭდილებები. კომისიის თავმჯდომარე დოდო ალექსიძე იყო. სათამაშოდ რაღაც ეპიზოდებს გვაძლევდნენ. მე მომცეს ასეთი ეპიზოდი: მოხვდი ულრან ტყეში, რაც გინდა, ის გააკეთე; უეცრად, ხეზე ჩამომხრჩვალ კაცს ხედავ... როგორი რეაქცია გექნებოდა, ის აინტერესებდათ. დავიწყე თამაში — ვითომ სოკოს ვკრეფდი, დავბორიალებდი ტყეში. უეცრად, ზევით ავიხედე და... ნერვიულობისგან სიცილი ამიტყდა: დოდო ალექსიძემ იყვირა — არის ასეთი რეაქცია და ეს ბუნებრივი რეაქციაა, ყოჩაღო! — და ხუთიანიც დამიწერეს. ალბათ სხვა ყველანაირ რეაქციას ელოდნენ ჩემგან, სიცილს კი — არა... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მთელი ჯგუფი რუსთაველის თეატრში გაგვანაწილეს. ჩემი პირველი როლი იყო კაზაკი გოგოს — მარფუშა კაზაჩკოვას როლი სპექტაკლში — „კიკვიძე“. ეს როლი დღემდე მიყვარს, თუმცა პოპულარობა უფრო, ამეთვისტომ მომიტანა. უფრო, სახასიათო მსახიობად მიმიჩნევდნენ. სცენაზე ყველა პარტნიორთან კარგად ვგრძნობდი თავს და ვფიქრობ, არც მათთვის ვიყავი ურიგო მეწყვილე. ახალგაზრდობაში ბუნებით ძალიან მხიარული და ლაღი ვიყავი.



ფილმში — „სოფლის ამაკი“ რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად

— და ლამაზიც, არა?..

— (*იცინის*) ეს სხვებმა უნდა თქვან, თუმცა, არც უმაგისობა იყო. თაყვანისმცემელი ყოველთვის ბევრი მყავდა. ვცდილობდი, ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მქონოდა.

— როგორი ბიჭები მოგწონდათ მაშინ გოგონებს და როგორ უმყლავნებდით ერთმანეთს გრძნობებს?

— შეფასების კრიტერიუმები და გემოვნება დღეს უკვე სხვაა. მაშინ მატერიალურ მხარეს ყურადღებას არ ვაქცევდით. ბიჭებზე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობდით, მაგრამ არასდროს დავინტერესებულვართ, ვინ იყო ბიჭის მამა, დედა, რამდენი ჰქონდათ შემოსავალი და ა.შ. შეიძლება, ჩვენ შტერები ვიყავით, რა ვიცი... გოგოებს მოგვწონდა ისეთი ბიჭები, ვინც იცოდა ქალის პატივისცემა, მეგობრობა, იყო გამტანი და ვაჟკაცური. საერთოდ, ჩვენმა თაობამ კარგად იცოდა მეგობრობის, მეზობლობის, ნათესაობის ფასი. ახლანდელებისთვის ამერიკული და ევროპული, ყველაფერი მოსაწონი და მისაღებია. როგორ შეიძლება, კარის მეზობლები ერთმანეთს არ იცნობდნენ და ერთმანთს პატივს არ სცემდნენ? განა ეს მოსაწონია? უწინ ერთგული მეგობრობა ვიცოდით. ასეთი ორპირობა და „ჩაშვებები“ მაშინ არ იყო, სირცხვილად მიიჩნეოდა, ასეთ კაცს გამარჯობასაც კი არ ეუბნებოდნენ. ახლა კი გმირობად მიიჩნევენ ასეთ საქციელს და ტელევიზიით საქვეყნოდ აცხადებენ... საკუთარი დედის გინების მეტს, ახალგაზრდებისგან ველარაფერს გაიგონებ. რამდენჯერ მიმიცია შენიშვნა ბიჭებისთვის და მითქვამს, რომ რუსეთში ჯარში ყველას აფრთხილებდნენ, კავკასიელებისთვის დედა არავის შეეგინებინა, თორემ შეურაცხმყოფელს საქმე ცუდად წაუვიდოდა, ეს დაუწერელი კანონი იყო. ახლა კი, თვითონ აგინებენ მშობელ დედას... ეს ყველაფერი ალბათ ჩაივლის და კარგსა და ცუდს თავ-თავისი სახელი დაერქმევა. გახსოვთ ალბათ, არაჩვეულებრივი ფილმი — „ლონდრე“, რომელმაც დროს გაუძლო. დღესაც აქტუალურია ის თემები, რომლებზეც ამ ფილმში კეთდება მინიშნებები: „მგელი უნდა იყო და მგელზე უფრო მგელი“; „თუ საჭიროა, უნდა მოკლა კიდეც“; „თუ საჭიროა, უნდა იქურდო კიდეც“... ფილმში ყველა ნადგურდება, ვინც კი ბოროტება ჩაიდინა და თავისი სახე დაკარგა. მთავარია, ადამიანობა და სიკეთე. და კიდევ — სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობას... ■

დაკარგული ინდაურები, ნაპოვნი საოცრება და თავზე გადაფხრეწილი „გზავნილები“

ალბათ უპრიანი იქნება, რომ დღევანდელი „გზავნილები“ ასე დავიწყო: ჩვენ ასეთი ტრადიცია გვაქვს — ყოველ ახალ წელს, 31 დეკემბერს, მეგობრები აბანოში მივდივართ... მაგრამ 2 მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ სხვაგვარი შესავალი გავაკეთო. პირველი ის, რომ ახლა 31 დეკემბერი არ არის და მეორე — ჩვენს მკითხველებს მიაჩნიათ: ბედის ირონია მხოლოდ ის როდია, რომ თვითმფრინავში სხვის მაგივრად ჩაგსვან და უცხო ქალაქში ჩასულმა, სხვისი ბინის კარს საკუთარი გასაღები მოარგო ან შენი მომავალი ცოლის ყოფილ საქმროს იპოლიტი ერქვას. მათი აზრით, ბედის ირონია სულ სხვა რამ ყოფილა. მაგალითი გაინტერესებთ? მაგალითებს საკმაოდ უხვად ჩვენი რესპონდენტები მოგვაწვდიან. მაშ ასე: „ბედის ირონია - 1“ — ახალგაზრდა ქალბატონისგან.

მარი ჯაფარიძე

გულაცრუებული პატარძალი

„გამარჯობა. მე ლაურა ვარ. პირველად 19 წლის ასაკში გავთხოვდი. ქმარს ძალიან მალე გავშორდი, ისე მალე, რომ ბავშვის გაჩენაც ვერ მოვასწარი. მთელი 2 წელი კაცისკენ არ გამიხედავს. მერე კი შემიჩნდა ერთი „კრასავჩიკი“ ბიჭი და თავი შემაყვარა. ის ცოლიანი იყო და თავიდან სწორედ ამიტომ ვამბობდი მასთან ურთიერთობაზე უარს. მაგრამ მერე მეგობარმა, დამ და დის დაქალმა დამარიგეს ჭკუა და გადავწყვიტე, ვაჟას საყვარელი გავმხდარიყავი. არ ვიცი, როგორ და რა გზით, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის შესახებ მისმა ცოლმა ძალიან მალე გაიგო. ამის გამო დიდი პრობლემები შეგვექმნა. მაგრამ ვაჟა ამას არ შეუშინდა და არ მიმატოვა. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით. როცა ჩემმა ყოფილმა ქმარმა ამის შესახებ შეიტყო, ლამის გადაირია. ვაჟას სამსახურს მიაგნო და ლამის ერთმანეთი დახოცეს, ისე იჩხუბეს. ვერც ამან დაგვახევინა უკან და მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. მოკლედ, 3 წლის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ გადავიტანეთ. საბოლოო ჯამში, ვაჟა ცოლს გაშორდა და ჩემზე დაქორწინება გადაწყვიტა. სიხარულით ცას ვეწიე. მეგობრების წრეში ქორწილიც გადავიხადეთ და საპატარძლო კაბაც ჩავიცვი. ქორწილის მეორე დღეს, როცა ჩემი ქმარი სამსახურში წავიდა, დავფიქრდი და მივხვდი, რომ დიდი სისულელე ჩავიდინე. მალე იმასაც მივხვდი, რომ ვაჟა აღარ მიყვარდა და სულ რამდენიმე თვეში მასთან განქორწინებაზე ფიქრი დავიწყე. ერთ წელიწადში კი გავცილდით. დღესაც ვერ ამიხსნია, რა მოხდა. ბედის ირონიაა, აბა რა არის! ვიდრე ქმარი გახდებოდა, მასზე ჭკუა მეკეტებოდა, როდესაც დავქორწინდით, უკვე აღარ მინდოდა“.

პრაქტიკანტი სტუდენტი მედდა დამოუკიდებლად, პირველად უკეთებდა ავადმყოფს ინიექციას. ის პალატაში შევიდა, გამზადებული შპრიცით. ავადმყოფი, ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ და გოგონას ძალზე მოერიდა მისი. პირდაპირ ვერ უთხრა — საჯდომი გაიშიშვლეთო და ლათინური მოიშველია:

— უკაცრავად, თუ შეიძლება, გაიშიშვლეთ „მუსკულუს გლუტეუსი“ („დუნდულას კუნთი“).

შეშინებულმა პაციენტმა ორივე ხელი წინ, სასირცხვო ადგილზე მიიფარა და უთხრა:

— „გლუტეუსს“ არ გაჩვენებ, თუ გინდა, საჯდომზე მიჩხვლიტე...

ეს ანეკდოტი ძალიან მომწონს, მაგრამ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენს მომდევნო რესპონდენტს გადახდენია თავს.

„გააღე პირი და თქვი: — აააააა“

„გამარჯობაااა... ამაღებინეთ ხელში ტელეფონი, 52 წლის ქალს და მამესიჯებინებთ, არა?.. დიდი ხანია, ვუძლებ ცდუნებას, რადგან მგონია, რომ „გზავნილებში“ მესიჯების გზავნა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ამჯერად თავი ვერ შევიკავე და ერთი, სტუდენტობის დროინდელი ამბავი მინდა გავიხსენო. პროფესიით ექიმი ვარ და შესაბამისად, სამედიცინო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. მეოთხე კურსის სტუდენტი რომ ვიყავი, ექთანის ადგილი ვიშოვე და ყოველ მეოთხე დღეს ვმორიგეობდი კარდიოქირურგიის განყოფილებაში. გვიან ღამით, როდესაც ავადმყოფები მიწყნარდებოდნენ, მედპერსონალიც მიიყუჟებოდა ოთახში და დაღლილ ფეხებს ასვენებდა. ერთხელ, შუაღამისას, როდესაც სართულზე სრული სიწყნარე სუფევდა და თითქმის ყველას ეძინა, ერთი ავადმყოფის თავმდგმურმა დერეფანში ყვირილი ატეხა: მიშველეთ, გული აქვს ცუდად, ვაიმე, კვდებაო!.. ყველანი წამოვცვივდით და იქით გავიქეცით, საიდანაც ხმა ისმოდა. მე გავრბოდი და თან გონებაში ვიმეორებდი იმას, თუ როგორ უნდა მეშველა ავადმყოფისთვის. ახალგაღვიძებულმა, ისიც ვერ შევნიშნე, რომ მარტო გავრბოდი და დანარჩენი მედპერსონალი არსად ჩანდა... ერთი პალატის კარი შევაღე. ერთადერთი ავადმყოფი იწვა საწოლზე გულაღმა, ხელები აქეთ-იქით გადაეყარა და ხრიალებდა. ვეცი და თვალის დახამხამებაში იატაკზე გადმოვათრიე, რადგან ასეთ დროს ადამიანი აუცილებლად მყარ ზედაპირზე უნდა იწვეს. ჰოდა, იატაკზე დავაგდე თუ არა, ვთხლიშე მუშტი მკერდში, მერე დავუწყე ხელოვნური სუნთქვის ჩატარება: ჩავბერავდი პირში, ვეცემოდი გულმკერდზე და — ერთი, ორი, სამი... ისევ ჩავბერავდი, ისევ — ერთი, ორი, სამი — და ვარ ერთ ამბავში... ამასობაში ავადმყოფი ბოლომდე გამოფხიზლდა და როგორც იქნა, წინაალმდეგობის გაწევაც შეძლო. ხელები დამიკავა და ძლივს ამოთქვა: ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ მგუდავ, გოგონი?.. მხოლოდ ამის შემდეგ მოვეგე გონს და თვალები ავაფახულე. თურმე, სიჩქარისა და დაბნეულობისგან, სულ სხვა პალატაში შევსულვარ და საწყალ, მძინარე პაციენტს დავტაკებივარ, მისი ხვრინვა ხრიალად მომეჩვენა და სასწრაფოდ, პირველ დახმარებას ვუწევდი. ბედის ირონია კი ის არის, რომ მეორე დღეს მის სანახავად მოსულმა ნათე-

სავებმა ყველაფერი გაიგეს და ჩემს სანახავად მოვიდნენ. მის ძმას მოვეწონე და ჩემ მიერ „გადარჩენილი“ პაციენტი ახლა ჩემი მაზლია“.

„დიდი ქალი“

„დედა ქართველი მყავს, მამა კი — აზერბაიჯანელი. მამა დედაზე ბევრად უფროსი იყო. დედამ, ქმრის ხელშივე, სხვისგან გააჩინა მეორე შვილი. ცოტა ხანში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და საერთო ბინაც გაყიდეს. დედა თბილისში დარჩა საცხოვრებლად, მამა კი აზერბაიჯანელთა სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. მას მეც თან გავყევი და დედაჩემის ქებაც დავიმახსოვრე... მაშინ 11 წლის ვიყავი. სწორედ ამ ასაკიდან ვიქეცი „დიდ ქალად“. მამაჩემს, ბიძაჩემს და ჩემს პატარა დას ვუვლიდი, თან ოჯახის მეურნეობას ვუძღვებოდი. უამრავი ძროხა და ფრინველი გვყავდა, სარეცხი, სადილ-ვახშამი — ყველაფერი ჩემი მისახედი იყო. ყველაზე მეტად კი გული იმაზე მწყდებოდა, რომ მამას ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონდა და გამუდმებით შენიშვნებს მაძლევდა. მისგან არც თბილი სიტყვა მახსოვს. ერთხელ თავის მოკვლა გადავწყვიტე და 13 აბი ანალგინი დავლიე, მაგრამ არაფერი მომივიდა... მამა 100 ლარამდე პენსიას იღებდა, მაგრამ მისთვის თუნდაც 1 ლარი რომ მეთხოვა, ერთ ამბავს ატეხდა ხოლმე. სახლთან პატარა ბოსტანი გვქონდა. მიწას ვამუშავებდი, მწვანილი და ბოსტნეული მომყავდა და მერე ვყიდდი. იმ ფულით ჩემთვის და ოჯახისთვის წვრილმანს ვყიდულობდი. მამა კი ხშირად იმ ფულსაც მითვლიდა და მიკონტროლებდა. ერთი ბედნიერი დღე არ მახსოვს, რომ ტკბილად მოვიგონო და გამეღიმოს. წლები ძალიან მალე გავიდა. 11 კლასი წელს დავამთავრე. ჩემი ოცნება იყო, რომ სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ ჯერ ვერ მივაღწიე ამას. მამა დამეღუპა, ახლა კი სამსახურს ვეძებ, რომ ცოტა ფული მოვაგროვო და ოცნება ავისრულო. ძალიან მტკივა გული, როდესაც ვინმე იტყვის: თუ გოგოს ნორმალური ოჯახი არა აქვს, რძლად არ ვინდომებო. ამ დროს მგონია, რომ ამ სიტყვებს მე მაგონებენ. ჩემი ცხოვრებაა სწორედ ბედის ირონია... მაკა“.

გენკა

„27 წლის ვარ. 11 წელია, ოჯახი მაქვს. არასოდეს მჯეროდა სიყვარულის. ახლა კი, ამდენი ხნის შემდეგ, ქმარს ვუღალატე. გენკა შემიყვარდა. მეგონა, მასაც ძალიან ვუყვარდი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. მთხოვა, რომ ცოლად გავყოლოდი. მე კი ვერ შევძელი, რადგან შვილებისგან მოშორებით არ შემიძლია ყოფნა. ოჯახი მასაც აქვს. გენა ახლა წასულია და ჩემგან შორს მუშაობს. ცოლს არ შორდება, მე კი მეუბნება, მალე ჩამოვალ და სულ შენთან ვიქნებიო. მე კი მეტი აღარ შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს, გადავწყვიტე, დავშორდე. ერთხელ, როცა ჩემი ქმარი შინ არ იყო, გენკა სტუმრად მოვიწვიე. მალე ქმარი დაბრუნდა. არადა, კიდევ 2 დღე არ უნდა ყოფილიყო შინ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ქმარს გავძახე — სანამ შემოხვალ, სახლის უკან გადი, წუხელ მთელი ღამე ვიღაცის ხმა მესმოდა, შიშისგან მთელი ღამე ვერ დავიძინე-მეთქი. დამიჯერა. როცა ის სახლის უკან გავიდა, გენკა ღობეზე გადახტა. აი, ბედის ირონიაც ეს არის“.

ურჩი

„17 წლის ვარ. დედისერთა. ერთი ნათესავი მყავდა, რომელიც საკუთარი ძმასავით მიყვარდა. რამდენიმე წლის წინ დაიჭირეს. როდესაც გაასამართლეს და ზონაში გადაიყვანეს, დამირეკა და მთხოვა, მასთან ჩავსულიყავი. ჩავედი. მაშინ 15 წლის ვიყავი და პირადობის დამადასტურებელი საბუთიც არ მქონდა. ამიტომ სხვისი პასპორტით შემიყვანა. ჩემმა ნათესავმა გამაცნო თავისი მეგობარი მერაბი. მე და მერაბს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ჩემი ნათესავი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო. სხვა შეიყვარე და ეცადე, ჩემი ძმაკაცი დაივიწყოო, — მეუბნებოდა. მაგრამ ჩვენ ერთმანეთი უზომოდ გვიყვარს. ჩემმა მშობლებმა ამის შესახებ რომ შეიტყონ, გაგიჟდებიან. ისინი ვერც კი წარმოიდგენენ, რომ მე მამაკაცს ციხეში ვაკითხავდი. ღმერთმა იცის, რომ უღირსი საქციელი არასოდეს ჩამიდენია. მერაბმა მთხოვა, რომ ხელი მოვაწეროთ, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ ვიღებ. ის ციხეშია, რამდენიმე თვის შემდეგ გამოვა, მაგრამ ამბობს, რომ უცხოეთში უნდა წასვლა. ვიცი, იქაც დაიჭერენ და მერე მე რაღა ვქნა?.. მერაბ, თუ მართლა გიყვარვარ, ნუ წახვალ საზღვარგარეთ“.

უცნაური ბედნიერება

„გამარჯობა. ამ ჟურნალს მისი „დაბადებიდან“ ვკითხულობ. არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია, მაგრამ პირველად გწერთ. ვირტუალურმა სამყარომ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა და თავდაყირა დააყენა. ბევრი გულისტკივილი მომიტანა, მაგრამ მაინც ვერ ვეშვებოდი ამ ჭაობს. 2 წლის წინ კი, ამ ჭაობში სრულიად შემთხვევით, 5 წუთით მოხვედრილმა ადამიანმა კიდევ უფრო თავდაყირა დააყენა ჩემი არანორმალური ცხოვრება. ახლა ჩატისტვის არ მცალია, რეალობა ბევრად კარგი ყოფილა, ვიდრე მეგონა. ბევრად კარგი კი არა, უმაგრესი: აქ ხომ ნამდვილი შეგრძნებებია და არა ლათინური ასოები. აი, ასე ვიპოვე ჩემი საოცრება. მარი, დღეს უკვე მეორედ გწერ. ასეა, ყველაფერი პირველად ჭირს, თორემ მერე სულ ლიწინ-ლიწინით მიდის. ბედის ირონიაა, აბა რა: ამდენი წელი ვიჯექი სახლში პატიოსნად, ჩემი ქმრის უყურადღებობით გულმოკლული. არადა, მიყვარდა. ბოლოს, მეც გამიღიმა ბედმა და გამოჩნდა მამაკაცი, რომელმაც ნამდვილი სიყვარული განმაცდევინა და ქალად მაგრძნობინა თავი. ჰოდა, გავიშალე მხრებში, გავლამაზდი, დავქალდი და... საქმეზე გადაყოლილ ჩემს ქმარს ხელახლა შევუყვარდი. მე კი ორივე ძალიან მიყვარს და მეამაყება, რომ ორ ასეთ კარგ ადამიანს ვუყვარვარ. რა არ გადამხდენია ცხოვრებაში, რა არ მინახავს, მაგრამ ორი მამაკაცი თუ ერთდროულად მეყვარებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ქალი ვარ... წარმოგიდგენიათ?!

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ლექტორმა მითხრა – წადი და ნიშანი მარიმ დაგიწეროსო...“

„ხომ გადავურჩებოდი მოტაცებას, ტყუილი რომ მეთქვა?! აბა, ეს არის საქმე, უსიყვარულოდ რომ ვატარებ ახალგაზრდობას? მაგრამ ხომ შეიძლება, ახლა გადავირჩინო თავი როგორმე?!. კეკიტა“.

„მე თქვენი მუდმივი მკითხველი ვარ. ახლა

კი გადავწყვიტე, რომ ჩემი გასაჭირის შესახებ მოგითხროთ. ასე მგონია, ცხოვრება დამთავრდა. ვსწავლობ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, მესამე კურსის სტუდენტი ვარ, მაგრამ კურსზე დარჩენილი ვარ, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. არც აკადემიურის აღების უფლებას მაძლევენ და საერთოდ მრიცხავენ სასწავლებლიდან. ვიღაცას შესაძლოა, გაეცინოს, მაგრამ ჩემთვის ეს სიკვდილის ტოლფასია. ბედის ირონიაა, აბა, რა არის! ხალხო, მიშველეთ!.. უსუსური“.

„მე 17 წლის ვარ, გიო კი — 30-ის. ერთმანეთი ტელეფონით გავიცანით და შეგვიყვარდა კიდეც. თავიდან არ ვიცოდი, თუ ცოლი ჰყავდა. მე კი უკვე უზომოდ მიყვარდა. ჩვენი სიყვარულის ამბავი გიოს ცოლის ყურამდეც მივიდა. დამირეკა და უშვერი სიტყვებით გამომლანძღა. გიოს ცოლი არ უყვარს, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას ძალიან განვიცდი. თან ჩემი მშობლები არასოდეს შეეგუებიან ჩემს ასეთ გადაწყვეტილებას. წელს სტუდენტი გავხდი, მშობლები ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ და შორეულ გეგმებსაც აწყობენ. გიოს უნდა, რომ უცხოეთში წავიდეთ. თან, შვილები აფერხებენ. გადავწყვიტე, რომ დავშორდე. მაგრამ გიო არ შეეგუება ამ ამბავს და თავს არ დამანებებს. თან, მეც ძალიან მიყვარს. ცუდ დღეში ვარ... რა ვქნა, ყველაფერზე თვალები დავხუჭო და გავყვე გიოს?“

„ამ ზაფხულს საქართველოში ვიყავი და თქვენი ჟურნალი მაშინ ვნახე. შორეული ციმბირიდან გწერთ. ახლა „გზის“ ძველი ნომერი მიდევს წინ და ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ. თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავთ, მინდა, ყველა ჩემს ახლობელს მოკითხვა გადავცე“.

„ლოდინით დაღლილი,/ ჩურჩულით ახსნილი,/ თვალები დახრილი,/ გვაშორებს მანძილი,/ ოცნება ნამდვილი,/ მეც მინდა შენს გულში/ პატარა ადგილი. ქობულეთელო ზაზა ზოიძე, ძალიან მენატრები. გიჟი გოგო, კუსა“.

„ამ ზაფხულს გორის რაიონში ვისვენებდი. იქ ერთი ბიჭი გავიცანი და ძალიან მომეწონა. ამის შესახებ, ჩემს დაქალს ვუთხარი. რამდენიმე ხნის შემდეგ მივხვდი, რომ მასაც მოსწონდა ის ბიჭი, მაგრამ მიმტკიცებდა — არაო. იქიდან ისე წამოვედი, რომ ჩემი გრძნობის შესახებ იმ ბიჭს არაფერი გაუგია. ბედის ირონია კი, იცით, რა არის? ის, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ მან სიყვარული ჩემს დაქალს აუხსნა“.

„ეჰ, ძლივს ვიღაც მომეწონა და სულ მალე მის თითზე ბაჯაღლოს „კალიცო“ შევნიშნე. ეს ბედის ირონია არ არის? გაიხარეთ, „გზავნილების“ მკითხველებო! ბამბუჩა“.

„ბედის ირონია ის არის, რომ ჩემი დის შეყვარებული შემიყვარდა. მისტერ სანზონა, მიყვარხარ“.

„ძალიან, ძალიან მიყვარს თეკლა მაჭავარიანი. მასაც რომ ასეთივე გრძნობით ვუყვარდე, მთელი დარჩენილი ცხოვრება ბედნიერედ ვიცხოვრებდით. თეკო, მიყვარხარ და მეყვარები“.

„8 თვეა, სიყვარულს მეფიცება სატელეფონო ნაცნობი. ასეთი სიყვარულის არ მჯეროდა, მაგრამ მეც შემიყვარდა. ბედის ირონიაა, აბა, რა არის! ვანო, უზომოდ მიყვარხარ. ეშმაკუნა“.

„მარი, ჩვენს სახელს გაფიცებ, გამომიქვეყნე ეს მესიჯი: თორნიკე, ძალიან მიყვარხარ. რა იქნება, რომ დამირეკო ან დამიმესიჯო?! ვიცი, არ გცალია, მაგრამ ერთი მესიჯი

გამომიგზავნე მხოლოდ. მარი“.

„ირონიული გამხდარა,/ ბედუკულმართი ცხოვრება,/ არ იცის ხალხმა, რაღა ქნას,/ დაიწყეს გამათხოვრება,/ მე თვითონ ბევრჯერ გავწითლდი,/ ფული მთხოვეს და არ მქონდა,/ თუმცა, მე როგორ მივცემდი,/ მეც თავი ძლივას გამქონდა./ მინახავს, ხარის უღელი,/ კაცს მარტოს გაეწიაო,/ გაჭირვებულსა, ქვის ლოდი,/ აღმართში დაეწიაო. სტიქია“.

„უფრო მეტი „გზა“ გამოგზავნეთ თიანეთში. დღეს დილიდან მთელი რაიონი შემოვირბინე და ჟურნალი ვერ ვიშოვე. ძლივს მივუსწარი ერთგან, ბოლო „გზას“.

„მთელი ცხოვრება ერთი ადამიანი მიყვარდა და მაინც დავშორდი. იმდენად ჯიუტი ვარ, რომ ამოვიჩემე: დამთავრდა ყველაფერი-მეთქი. მონაზონივით ვცხოვრობ იმის შემდეგ. არადა, დრო გადის. ვიცი, რომ არასწორად ვიქცევი. 37 წლის ვარ უკვე, მაგრამ ყველას მიმართ დავკარგე ნდობა და მგონია, რომ ყველა მოღალატეა. როცა ვინმეს მოვწონვარ, გავრბივარ“.

„ბედის ირონიაა, რომ ნამდვილი სიყვარული ჯერ არ მწვევია. ან რა არის სიყვარული, იცის კი ვინმემ? ან მე მეშველება რამე?.. ოპტიმისტი“.

„ახლა ფიზიკის ლექციაზე ვზივარ და თავბედს ვიწყევლი. რამ ჩამაბარებინა ამ საზიზღარ ფაკულტეტზე?.. რომელი საგნებიც ჭირივით მეზიზღებოდა, ზუსტად იმას ვსწავლობ. ყოველი ფორმულის სწავლისას ცრემლები მცვივა, რომ ასეთი უიღბლო ვარ. ერთადერთი შვება, მოსაწყენი ლექციის დროს „გზავნილების“ კითხვაა, მაგრამ მაგ სიამოვნებასაც არ მაცლიან. ლექტორმა შემნიშნა და ჩემი ძვირფასი „გზავნილები“ ლამის თავზე გადამაფხრიწა, თან დამემუქრა: სემესტრის ბოლოს ჩემი იმედი არ გქონდეს, წადი და ნიშანი მარიმ დაგიწეროსო. ისე გავმწარდი, რომ ლამის ფიზიკის წიგნი გადავახიე თავზე, მაგრამ მალე მოვეგე გონს და მივხვდი, რომ ნიშანი და მეორე კურსზე გადასვლა ჰაერივით მჭირდება. ნინი კვირკველია“.

„ყველა ჩემი თაყვანისმცემელი ან დაბალია, ან — „კრაკადილი“. არადა, არც მე ვარ ტარიელ მკლავაძე. ნამდვილი ბედის ირონია არ არის?.. მარუსა“.

„ერეკლე ჩემი ახლობლის ქორწილში გავიცანი. თავისი გარეგნობით დამამახსოვრა თავი. მეორე დღეს დამიმესიჯა და ტელეფონზე დეპოზიტი შემივსო. მითხრა: ძალიან მომეწონეო. მე თანხა უკან გადავურიცხე. ისევ გადმომიგზავნა, ისევ დავუბრუნე და ასე ვუგზავნეთ ერთმანეთს ის თანხა, მთელი ღამის განმავლობაში. შემდეგ, ჩემს ძმაკაცს დავარეკვინე და ვათქმევინე, რომ თავი დაენებებინა ჩემთვის. ერეკლემ უბანში ბიჭები ამოიყვანა. როგორც გავიგე, ყველასთვის ცნობილი „კაი ბიჭი“ ყოფილა. ამიტომ ბიჭები მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან. არ ვიცი, რა ვქნა. სულ უკან დამყვება. თუ ვინმე რჩევას გაიმეტებს, კარგი იქნება. პიპა“.

„იცით, რა ცუდ დღეში ვარ? ჩემს საქმროს არ სცალია. მიზეზი — სამსახურია. მე კი მენატრება. რას მირჩევთ? ღირს ასეთი კაცის სიყვარული? ცირკა“.

„არ ვიცი, ბედის ირონიაა თუ პუტინის, რაც ახლა ხდება, მაგრამ აშკარაა, რომ ორივე მაგრად დაგვცინის. არ მეთანხმებით? მერი-ჯეი“.

„მოდი, სამყარო გავინაწილოთ: მზე — შენ, ზღვა — მე, ცა — შენ, ღრუბლები — მე, მთვარე — შენ, ვარსკვლავები — მე, ყველაფერი — შენ, შენ კი — მე! “

„სწორედ ბედის ირონიაა ის, რომ ერთი შეყვარებული ლონდონში მყავს, მეორე — მცხეთაში, მესამე — უბანში, მეოთხე — სკოლაში, მეხუთე — ბათუმში და კიდევ ბიჭების ძიებაში ვარ. არა, არა, ჩემი გამოსწორება არ იქნება. ანო“.

„ამაზე მეტი ირონია არსებობს? — ჯვარი დავიწერე ადამიანზე, რომელიც უზომოდ მიყვარდა; ისე დაგვაშორეს, რომ ერთი დღეც არ გვიცხოვრია ერთად. მსგავსი რამ ალბათ არასოდეს გაგიგონიათ. თია“.

„ბედის ირონია არაა, რომ 2 ბიჭი ერთდროულად მიყვარს?! თანაც, ვერც ერთს ვერ ვთმობ. მალე გავგიჟდები. რა ვქნა? პაწუკა“.

„სიყვარულზე შეყვარებული, უსიყვარულოდ დავიარები. განა ეს ბედის ირონია არ არის?! სიყვარულის გიჟი ქუთაისიდან“.

„მარი, ბედის ირონიაა, აბა, რაა, როცა არც ერთ მესიჯს არ მიქვეყნებ და მე კი მაინც გიმესიჯებ და ყოველ ხუთშაბათსაც

მოუთმენლად ველი... გეუბნები, მევასები, ბიჭო! კისკისა“.

„რომ იცოდეთ, ბედი როგორ სასტიკად მექცევა! ძალიან შემიყვარდა ერთი ბიჭი. გამუდმებით უაზროდ ვჩხუბობდით. ორივე ჯიუტები ვართ და არც ერთი არ ვთმობდით. სულ 3 დღე ვიყავი ბედნიერი. მგონი, სამუდამოდ დავკარგე ჩემი დიდი ხნის ნანატრი სიყვარული. როცა მგონია, რომ ყველაფერი კარგადაა, სწორედ მაშინ მიღიმის ბედი ირონიულად და მეუბნება: ასე არ გეგონოსო... ახლა კი ვეღარც ვტირი. ამდენი დარდისგან ცრემლიც გამიშრა. ზ.ზ, მიყვარხარ. კისკა“.

„ერთი ბიჭი ერთი ნახვით შემიყვარდა. ერთხელ კუდში მომდევდა და ჩემი გაცნობა უნდოდა, მაგრამ დედაჩემი არ დამეჩითა?! მერე ერთი „მარშრუტკით“ ვიმგზავრეთ. ის ჩემს უბანთან ჩავიდა. ძალიან გამიხარდა, ვნახავ-მეთქი, მაგრამ იმის შემდეგ სიზმარშიც კი არ მინახავს. ასე დამცინა ბედმა. „ლოვე“.

„ბედის ირონიაა, აბა, რა არის: ერთი ბიჭი მომეწონა და დედამისი დედაჩემის მოგვარე აღმოჩნდა. მერე, ერთს მე მოვეწონე და დედამისიც დედაჩემის მოგვარე აღმოჩნდა... აშკარად მეკაიფება ბედი“.

„რაც თავი მახსოვს, ბედნიერი არასოდეს ყოფილვარ. არც ბავშვობა მქონდა ნორმალური, რადგან ჩემი მშობლები ხან დაშორდებოდნენ, ხან — შერიგდებოდნენ. მე კი ამას ძალზე განვიცდიდი. სწავლაც მივატოვე. მამა ისე დაიღუპა, ვერ ვუთხარი, რა ძლიერ მიყვარდა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მშობლების შეცდომას არ გავიმეორებდი, მაგრამ ბედის ირონიაა, რომ 19 წლის ვარ, 2 წლის შვილი მყავს და ოჯახი უკვე მენგრევა. ბომონდი“.

„მარი, ჩემს თავს გაფიცებ — გამომიქვეყნო ეს მესიჯი!.. ქეთის უთხარი, რომ ძალიან მიყვარს. იცი, ახლა რა უნდა გავაკეთო? ლოცვები უნდა წავიკითხო, რომ მესიჯი გამომიქვეყნო. ქეთი, მიყვარხარ... აუ, მარი, რა გვიანია, ღამის 3 საათია, მაგრამ გადამრია ქეთიმ და ვერ ვახერხებ დაძინებას“.

„მენატრები. ცრემლი სერავს ყვრიმალებს/ მოგონება ისევ ამტვრევს კარს/ გელი, მაგრამ შენი გამოცხადებით/ ვიცი, ახლა გაახარებ სხვას... დათო, ბედის ირონიაა, რომ ეს ლექსი შენთვის დავწერე. შენ კი მას არ წაიკითხავ. თუმცა, ვინ იცის.... ნინო, სამტრედია“.

„30 წელი ვეძებდი სიყვარულს. მეგონა, ვიპოვე, მაგრამ იმედი გამიცრუვდა და გულნატკენი დამტოვა. მეტი ბედის ირონია რაღა გინდა?! სალო“.

„ერთმა ახლობელმა თავისი დაქალის ნომერი მომცა. გავიცანი და ძალიან მომეწონა. მალე ერთმანეთს სიყვარულში გამოვუტყდით. 5 თვის შემდეგ თვითონვე მიმატოვა. მე მას ვერ ვივიწყებ. მინდა, „გზის“ საშუალებით ვუთხრა: ზეინაბ, დამიბრუნდი, მე ისევ მიყვარხარ და მენატრები. ავთო“.

„სანამ გავთხოვდებოდი, ჩემი დედამთილი ისეთი გულუბრყვილო ჩანდა, მეგონა, გამიმართლა-მეთქი, მაგრამ თურმე მოკრუტუნე ფისოს ზურგს უკან ნამდვილი ვეფხვი იმალებოდა. ბედის ირონიაც ამას ჰქვია. რძალი“.

„ბედს ბევრჯერ „უხარხარია“ ჩემზე. დიდი ხვეწნის მერე, დედაჩემის მოცემულ ინდაურებს პირდაპირ შუაგულ ბაზარში გაეხსნათ ფეხები და მხოლოდ ერთი დავიჭირე, 2 კი გამექცა... დიანა“.

„გათხოვილი ვიყავი, როცა ზურა შემიყვარდა. კარგა ხანს ვხვდებოდით. მეფიცებოდა, ძალიან მიყვარხარო. ლამაზი სიტყვებით თავბრუ დამახვია. მეც, შტერი ქალივით მოვიქეცი და ქმარს გავშორდი. ამის მერე გამომიცხადა, სხვა მიყვარსო. ბედის ირონია არ არის, აბა, რა ჯანდაბაა?! მას კი მაინც ბედნიერებას ვუსურვებ. მარიშკა“.

„თავი დამავიწყეს ძველმა სონეტებმა,/ ძველი სატკივარი გამანდეს/ ისე მომენატრა შენი მოფერება,/ როგორც არასდროს, აქამდე!/ წარსულს უმღეროდა, ძველი როიალი,/ თითქოს მეძახოდი შორიდან,/ პირჯვარს ისახავდა ღამე მთვარიანი,/ გარეთ ხეტიალი მომინდა./ ფიქრთა ჩირაღდანზე წლები აელვარდნენ,/ გაქრა ყველაფერი უკვალოდ,/ ისე მომენატრე... ისე მომენატრე../ ვერც კი წარმოიდგენ, უბრალოდ... ეძღვნება თეა კუკავას. თეო, მიყვარხარ. სევდიანი ბიჭი“.

„რამდენიმე კვირის წინ გავიგე, რომ თურმე ერთ ბიჭს ვყვარებივარ. ჰოოოდა, იმდენი იჩალიჩა, რომ გამიცნო. მერე, ნელნელა, ურთიერთობისას, მეც მომეწონა და მგონი, შემიყვარდა კიდეც. არადა, მანამდე ვერც ვამჩნევდი. ვინმეს რომ ეთქვა, ეს ბიჭი შეგიყვარდებაო, ალბათ ვცემდი. მე ამას ბედის ირონიას დავარქმევდი, რადგან ვინც მანამდე მიყვარდა, ისიც მიყვარს. შეიძლება, 2 ბიჭი ერთდროულად გიყვარდეს? თანაც, ერთი — ძალიან ლამაზი, მეორე კი — მახინჯი“.

„გამოცდაზე ბილეთის 3 სამი საკითხიდან ერთი არ ვიცოდი. ბილეთი გამოვცვალე და ისევ ის შემხვდა. ბედი არ გინდა?! მარი“.

„ბედის ირონიაა, მაშ რა არის?! — საკუთარი სახლიდან გავიქეცი იმის გამო, რომ მამაჩემისა და ჩემი ძმის ყურება აღარ შემეძლო: ყოველდღე ქეიფობდნენ, მე კი მთვრალი კაცების ატანა არ შემიძლია. ჰოდა, ისე დამემართა, ვაის გავეყარე და უის შევეყარეოოო... დამიბეჭდეთ ეს მესიჯი, რომ რეზოს წავაკითხო, რაااა.... ან გამოსწორდეს, ან არა და, დედას ვუტირებ“.

„ამ ზაფხულს ბაკურიანში ვისვენებდით. ჩვენთან ერთად მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ისვენებდნენ. ტელეფონის ნომრები გვთხოვეს და არ მივეცით. ახლა კი, როდესაც მოგვენატრნენ, გვინდა დავუკავშირდეთ მიშკას, გოგას და ლომერს. ჩვენ ბურთს ვთამაშობდით, რამდენჯერმე მათკენ გადაგვივარდა და მოგვაწოდეს. ძალიან დაღლილები იყვნენ, მაგრამ ცოტა ხანში შემოგვიერთდნენ და ერთად ვითამაშეთ. თუ ამ მესიჯს წაიკითხავენ, აუცილებლად გამოგვეხმაურონ. პატარა გოგონები“.

„...და მაინც, არ იქნებაო/ შენი პორტრეტი სრული,/ თუ არ დავხატე ერთად/ ჩემი და შენი სული... ეს მისი პირველი ლექსია, რომელიც მე მომიძღვნა. მაშინ ასე ვუპასუხე: სადაც არაფერი დაიწყო, იქ ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. სწორედ რომ ყველაფერი დამთავრდა... ალბათ... ორივენი თავს ვიკლავდით, დღეს კი ორივე ცოცხლები ვართ, მაგრამ — ერთმანეთისგან შორს. ეს სიყვარული კი შურისძიებამ შეცვალა. ჩვენ შორის 9 წელია სხვაობა, მე 30 წლის ვარ, ის კი — 21-ის. 2 შვილი მყავს, ქმარს გავშორდი... ღმერთო, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო მოყოლა. მარი, ნეტავ, დრო მქონდეს, რომ გნახო და გიამბო დაწვრილებით, მაგრამ როგორ? ეს ძალზე დიდი და გრძელი ამბავია, რომელიც ვარდების რევოლუციიდან მეათე დღეს დაიწყო. ახლა სტამბოლში მივდივარ და მხოლოდ 3 თვის შემდეგ დავბრუნდები, მაგრამ გზადაგზა ყველაფერს გაგაგებინებ. მე დავბრუნდები. ხატია“.

„მარშრუტკით“ მგზავრობის დროს, კუთხურობის თემა ჩამოვარდა. მძღოლი ყველაზე მეტს ლაპარაკობდა. შენ იმერელი იქნები, აბა, თუ გამოიცნობ, მე რომელი კუთხის წარმომადგენელი ვარ-მეთქი? — ვკითხე მძღოლს. კარგა ხანს მაკვირდებოდა. ქართველი იქნებიო, — მითხრა ბოლოს. — არა, კახელი ვარ-მეთქი. ჯერ გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ კი მითხრა — კი ვიფიქრე, რომ კახელი იქნებოდი, მაგრამ ვერ გაკადრეო... ასეა, ბატონო, თუ იმერლებში ხარ, კახელი, ჩუმად უნდა იჯდე...“

„მარი, რასაც ახლა მოგიყვები, თუ არ დაბეჭდავ და ბედის ირონია არ არის, მაშინ ხუთშაბათს დაველოდები, „გზავნილებს“ წავიკითხავ და გავიგებ, რა არის ბედის ირონია. შეყვარებული მყავდა. 2 წელი ვიყავით ერთად და მერე გერმანიაში წავიდა სამუშაოდ. ერთი მაგარი „პაკლონიკი“ მყავდა, ისიც გერმანიაში „გამიფრინდა“. ახლა უზომოდ შეყვარებული ვარ ძალიან მაგარ ბიჭზე და ისიც გერმანიაში მიდის. არაა ეს ბედის ირონია?..“

„ძალიან მიყვარს „გზავნილები“. ყოველთვის ვკითხულობ. ერთი თხოვნა მაქვს: ვიცი, ადრე გქონდათ თემად — „პატიმარი შემიყვარდა“, მაგრამ იქნებ, კიდევ ერთხელ გაუშვათ იგივე თემა? გთხოვთ, გთხოვთ... ანა“.

მსგავსი თხოვნით ბევრი მკითხველი მოგვმართავს, მაგრამ — არა მხოლოდ პატიმრებთან დაკავშირებით. რადგან „გზავნილები“ სწორედ თქვენ გეკუთვნით, ამიტომ გადავწყვიტეთ, დროგამოშვებით მკითხველს მივცეთ საშუალება, რომ მისთვის სასურველ, ნებისმიერ თემაზე მოგვწეროს მესიჯი. მაშ ასე, ამჯერად მომდევნო ნომრის თემა იქნება — თავისუფალი თემა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com გვიამბეთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი ამბავი, გაგვიაზიარეთ სიხარული თუ საწუხარი. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

P.S. ყურადღება!

სიახლე „გზავნილების“ მოყვარულთათვის!

იხილეთ გვ. 60

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. რვაფეხას ხერხემალი ჟელესავით რბილია.
2. ვიკინგებისთვის ქურდობა უცხო რამ იყო.
3. ფრანკლინ რუზველტი 6 შვილის მამა იყო.
4. პიერ რიშარი არისტოკრატთა შთამომავალია.
5. ქალაქი მეხიკო ოთხას უბნად არის დაყოფილი.
6. თხელ, გამხდარ ადამიანს ლაკარტანას ეძახიან.

7. ჯეიმს ბონდი „ომეგას“ ფირმის საათს ატარებდა.
8. ლაგვანი დიდი ქვევრია (ლაგვინი — პირფართო დოქი).
9. კასრზე ჩამოსაცმელ რკინის სალტეს გვერგვი ჰქვია.
10. „ჩერავნიცა“ — იტყვიან ხოლმე რუსები მიმზიდველ ქალზე.
11. ჰენრი ფორდი ნიუ-იორკში ერთი დოლარის ანაბარა ჩავიდა.
12. რქებდაგრეხილ ხარს ლაბას, მეორენაირად კი — ბელეშას ეძახიან.
13. ჯეკ ნიკოლსონი კუბურ სიგარებს საკუთარ ძმაკაცებს ჰპარავს.
14. „ძნელი არ არის კეთილი იყო, ძალზე ძნელია იყო სამართლიანი“, — ამბობდა დენი დიდრო.
15. ჩაუშესკუს ცოლი ელენა და 40 ნათესავი — ეს ხალხი მართავდა რუმინეთს დიდი ხნის განმავლობაში.
16. „ნიკაკოი დრუჟბი ნაროდოვ ნეტ! იესტ შტიკი ი დენგი!...“ — როგორც ყოველთვის ლაკონიურია ვლადიმირ ჟირინოვსკი.
17. შაკილ ო'ნილი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელია მსოფლიოში. 2006 წელს, მისმა ხელფასმა 20 მილიონ დოლარს გადააჭარბა.
18. „პროფესიონალთა მოქმედება შეიძლება იწინასწარმეტყველო, მაგრამ ქვეყანა სავსეა მოყვარულებით“, — ოხრავს არტურ ბლოხი.
19. ბარში შესული მიკი რურკი არასდროს იხდის სასმლის საფასურს. ყველამ იცის მისი გაუწონაწორებელი ხასიათი და ამიტომ ვისკის უფასოდ უსხამენ — ზოგი შიშით, ზოგი ხათრით.
20. XX საუკუნეში, რუსეთში წვერის გაპარსვის დროს, ბაკენბარდების საჭირო სიგრძეს ტყავის ზონრით საზღვრავდნენ. მისი შუა ნაწილი კბილებით ეჭირათ, ბოლოებს კი კეფაზე იკრავდნენ. ზონარი ლოყას შუაზე ყოფდა და ბაკენბარდების იმ სიგრძეს საზღვრავდა, რომელიც მაშინდელი მოდით იყო მიღებული.

როგორია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე არა-პოლიტიკურ ამპლუაში?.. სუფრაზე, საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისას? რა სწყინს და რა უხარია? რა თვისება ხიბლავს ადამიანში და რა აღიზიანებს? როგორი თამადაა და ეცვლება თუ არა ხასიათი მაშინ, როდესაც ბახუსი „მიაკითხავს“? ამ და ბევრ სხვა შეკითხვაზე პარლამენტარმა გულახდილად და ვიტყოდი, ხალისიანადაც კი მიპასუხა.

მამუკა კაციტაძის სიყვარულის მარადიულობის ფორმულა

თამუნა კვინიკაძე

— ბავშვობაში მსურდა, რომ არქეოლოგი გამოვსულიყავი. მოგვიანებით ხელოვნებამ გამიტაცა, ერთი პერიოდი მსახიობობაზეც კი ვოცნებობდი, მაგრამ ბოლოს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე.

— ოცნება რატომ არ აისრულეთ?

— შეიკრიბა ოჯახი და... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაშინ ჩემი პოზიცია ვერ დავიცავი. რომ არა პოლიტიკა, მე დღეს იმ პროფესიისა ვიქნებოდი, სადაც მეტია აზარტი, თავისუფლება, იმპროვიზაციის, ახლის მიკვლევის და მიგნების შესაძლებლობა.

— აზარტული ხართ?

— ცხოვრებაა თვითონ აზარტული. აზარტს მაინცდამაინც თამაშთან ნუ დავაკავშირებთ და წაგება-მოგებასთან ნუ გავაიგივებთ. ჩვენ რომ ვსაუბრობთ, ამაშიც თავისებური აზარტია. მე მიღწეულით ვერასოდეს ვკმაყოფილდებოდი და ყოველთვის ახლის ძიების ჟინი მქონდა. ცხოვრება ხომ თამაშია, თავისი აღმართებით და დაღმართებით.

— ბევრი აღმართი შეგხვედრიათ?

— არ განვეკუთვნები იმ ადამიანებს, რომლებიც ბავშვობიდანვე პრობლემებით არიან გაწამებულები, მაგრამ არც ია-ვარდით მოფენილი გზით მივლია. ცხოვრების გზაზე ბევრი აღმართიც შემხვედრია. ჩემი სტუდენტობა დაემთხვა ეროვნული მოძრაობის დასაწყისს. პირველად 1988 წლის 3 ოქტომბერს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სიტყვით გამოვედი და ჩემი აზრის გამოთქმის გამო, მეორე დღესვე დისიდენტ სტუდენტთა სიაში აღმოვჩნდი. რადგან ეს სახელი დამარქვეს, მერე თვითონ ვიპოვე დისიდენტ სტუდენტთა დაჯგუფება. როდესაც სახლიდან გამოდიხარ, გრძნობ, როგორ გითვალთვალებენ, ვიღაც დაგყვება. კითხულობენ — სად მუშაობენ შენი მშობლები? — საშინელ დისკომფორტს გრძნობ და ცოტა — შიშსაც, მაგრამ თუ ეს შიში არ დასძლიე, ისე მიზნამდე მიღწევა გაგიჭირდება. მიშა ხერგიანს აქვს ნათქვამი: თუ გინდა, რომ სიმაღლეზე ახვიდე, ჯერ სიმაღლის შიში უნდა დასძლიო. მწვერვალზე მყოფს, თუ შეგეშინდა, ძალიან ცუდად წაგივა საქმეო. აფხაზეთში ყოფნის დროს სიკვდილისთვისაც კი ჩამიხედავს თვალებში... აღმართები მქონია პირად ცხოვრებაშიც. ახლა იმ დეტალების გახსენება ნამდვილად არ მინდა. მქონია ცხოვრების საპირისპირო მიმართულებით სვლის, აღმა ცურვის პერიოდებიც. შეიძლება, ბევრჯერ კიდეც წამიგია. დღეს ჩემთვის ცხოვრების დინებით მოძრაობა არ ნიშნავს რაღაც უსიამოვნო მომენტს. თუ ხვდები, რომ ცხოვრება იმ მიმართულებით მიდის, რაც შენს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ასეთ შემთხვევაში, ცხოვრებას მიჰყვები თუ ის „მოგყვება“, — ესეც საკითხავია.

— საუბრის თემა შევცვალოთ. ვიცი, რომ ძალიან გიყვართ პოეზია.

— მართალია. პოეზია ყოველთვის ჩემ გვერდით არის ან — მე ვარ პოეზიის გვერდით. 4 წლის ასაკში, „არსენას ლექსი“ ზეპირად ვიცოდი. ლექსებს არ ვწერ, მაგრამ ბავშვობაში რამდენჯერმე მქონდა ამის მცდელობა. პირველი ლექსი მე-7 კლასში სწავლის დროს დავწერე. სულ 3 ლექსი მაქვს დაწერილი. პოეზია ხშირ შემთხვევაში, ჩემთვის ან გამოსავალია, ან — „შესავალი“. მაშინ, როდესაც ცუდ ხასათზე ვარ — გამოსავალია. თუ კარგ ხასიათზე — „შესავალი“. ჩემთვის „ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს და თვითონ ლექსი ტკივილი არის“.

— ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?

— ლადო ასათიანი. უფრო ქართული პოეზია მიზიდავს, იმიტომ, რომ ბერნსის, გოეთეს, შექსპირის, ბოდლერის დედანში კითხვა არ შემიძლია. ნათარგმნი ლექსი კი იგივეა, რაც ტორტი „გარჩიცით“. თუ ლექსში რითმა დაიკარგა, მაშინ ის ტექსტად იქცევა, ტექსტით კი, შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო პოეზიის მუსიკალობას.

— თქვენზე ამბობენ, კარგი თამადაა. რას ნიშნავს თქვენთვის ქართული სუფრა?

— ქართული სუფრა არ არის ჭამასმის ადგილი, იქ არ არის აუცილებელი უძირო სასმისების დაცლა. ჩემთვის ქართული სუფრა, უპირველეს ყოვლისა, საურთიერთო ადგილია. სადღეგრძელოში ქართული ისტორია, ქართველი კაცის ცხოვრებაა, თავისი სიმღერითა და შესანდობრით. სუფრაზე გაცნობილ კაცთან ჭიქის მიჭახუნებისას, ჭირზეც და ლხინზეც, მწუხარებაზეც და სიხარულზეც, — ყველაფერზე გიწევს საუბარი, იმიტომ, რომ ეს სადღეგრძელოს მოაქვს. როდესაც მაქვს პატივი, სუფრას ვუთამადო, ყოველთვის ვამბობ: დალევა დაძალების გარეშე!.. ღრეობით ქართული სუფრა არ უნდა შეურაცხყო. თუკი რამ სჭირდება თამადას, ეს არის პოლიტიკა და დიპლომატია (ოღონდ, არა იმ ხარისხით, როგორითაც სახელმწიფოებს და ელჩებს). უცხო საზოგადოებაში სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, სქესის, აღმსარებლობის ადამიანებს საერთო უნდა გამოუნახო, ერთი კონკრეტული თემის ირგვლივ შემოიკრიბო. თუ ამას შეძლებ, ე.ი. გამოგდის თამადობა. კარგი თამადა ის კი არ არის, ვინც ბევრს სვამს, კარგი თამადა ის არის, ვისაც ჭიქაზე ბულბულის დასმა შეუძლია. ასეთი იყო სიმონიკა სხირტლაძე.

— როგორი ხართ მაშინ, როცა ბახუსი „მოგაკითხავთ“?

— ზოგი აგრესიული ხდება — შარზეა, ჩხუბობს. მე სულ მთლად „კანფეტი“ ხასიათი არა მაქვს, მაგრამ თუკი ოდესმე ვარ კაცთმოყვარე, ღიმილიანი და მომფერებელი, სწორედ მაშინ, როცა ბახუსი „მომაკითხავს“.

— ნაბახუსევს?

— თუ მადლიანი ქართული ღვინო დავლიე, ე.წ. „პახმელია“ არა მაქვს, მაგრამ თუ „შხამის“ დალევა მომიხდა, მაშინ... თუმცა, ეს იშვიათად ხდება.

— თუ შეგიძლიათ, გამიზაროთ თქვენთვის გამორჩეულად საყვარელი სადღეგრძელო?

— „თავისუფლებას გაუმარჯოს!“ ძალიან ვაფასებ და პატივს ვცემ ამ თვისებას ადამიანში. სუფრაზე ურთიერთობიდან იგრძნობა, თუ რამდენად თავისუფალია ადამიანი. სამწუხაროდ, დღეს ამას ცუდად იგებენ, ზოგს თავისუფლება აღვირახსნილობაში გადასდის. თავისუფლება გიუობას, ვალდებულებებზე უარის თქმას არ ნიშნავს. ასე ისინი იგებენ, ვინც თავისუფლები არ არიან.

— რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად, რამ შეიძლება გამოგიყვანოთ წონასწორობიდან?

— ძალიან მაღიზიანებს ბოროტი ტყუილი, უპასუხისმგებლობა, „მიზანი ამართლებს საშუალებას“ — ამ დევიზით ნებისმიერი ქმედება რომ მართლდება; ჩემი აზრით, არ არსებობს ქვეყნად მიზანი, რომლის მისაღწევადაც, ყველანაირი საშუალება შეიძლება გამოიყენო. არსებობს რაღაც, რაც არასოდეს უნდა გააკეთო. მაღიზიანებს, როდესაც ამბობენ — პოლიტიკა ბინძური საქმეაო. ამას ის ბინძური ამბობს, რომელიც ცდილობს, თავისი ბინძური საქმე პოლიტიკით დაფაროს და ამით გაამართლოს თავისი ნამოქმედარი. ბინძურები არსებობენ პოლიტიკაში, თორემ, პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე. პიროვნება უნდა გააკრიტიკო და არა პროფესია. არ შეიძლება, ცუდი პოეტის გამო, პოეზია აძაგო ან ცუდი ფეხბურთელის გამო — ფეხბურთი. ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა, ჩემთვის სიტყვა „წარმოუდგენელი“ აღარ არსებობს.

— „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე“, — ბრძანებს კონსტანტინე გამსახურდია. თქვენთვის რა არის სიყვარული?

— სიყვარული საკუთარი თავის პოვნაა — არა აქვს მნიშვნელობა, შენ თვითონ იპოვი, თუ სხვა გაპოვნინებს. ისევე, როგორც შენ — სხვას აპოვნინე. „სიყვარული აგვამაღლებს“. თუმცა, ისიცაა ნათქვამი „ბიბლიაში“ — „თუ არ დაეცი, ვერ ამაღლდები“... ვინ როგორ დაეცემა — ეს სხვა საკითხია. ვცდილობ, ბუნებრივი ვიყო. განსაკუთრებით — იმ ადამიანებთან, რომლებიც განსაკუთრებულად მიყვარს. ალბათ ეს არის სიყვარულის მარადიულობის, ხანგრძლივობის, სტაბილურობის გარანტია. დღეს სამწუხაროდ, ადამიანები თამაშობენ, თვალთმაქცობენ; ერთ მშვენიერ დღეს, იმ თამაშისგან დაღლილები, ნიღაბს ჩამოიხსნიან და საკუთარ „მეს“ უბრუნდებიან, მერე საქმე ცუდად მისდით, ამბობენ — სიყვარული განელდაო, და ერთმანეთს შორდებიან. სინამდვილეში, სიყვარული კი არ ნელდება, ადამიანები თამაშით იღლებიან. ის, ვინც გიყვარდა, თურმე სხვა ადამიანი ყოფილა და არა ისეთი, როგორსაც იცნობდი... ამიტომ ვცდილობ, ბუნებრივი ვიყო. მე ასე ვცხოვრობ, მაგრამ რა მომიგია და რა წამიგია, — ეგ სხვა საქმეა...

— ბევრი შეცდომა დაგიშვიათ?

— მანახვეთ ერთი უშეცდომო ადამიანი და საერთოდ, ხმას აღარ ამოვიღებ. შეცდომები დამიშვია და კიდევ დავუშვებ. იმიტომ, რომ ადამიანი ვარ.

— ჭორებზე როგორ რეაგირებთ?

— არ მსიამოვნებს, რაც არ მეკუთვნის, არც კარგი და არც ცუდი. როგორ ვრეაგირებ?.. ეს არის ის მომენტი, როდესაც გონებით ვსაზღვრავ და არა — გულით, არ ვყვები ემოციებს. პუშკინს აქვს ასეთი სიტყვები: „გულცივად შეხვდი ყველა ქებას, ყველა ძაგებას და რეგვენ კაცს ნუ ეკამათები“...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

21. ბრაზილიის დროშაზე გამოსახულ ვარსკვლავებს ზუსტად ისეთი განლაგება აქვთ, როგორი განლაგებაც ჰქონდათ ცაზე მაშინ, როდესაც ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა.

22. ამერიკის მთავრობამ ხუთდოლარიანი კუპიურების განახლება გადაწყვიტა, რადგან ყალბი ფულის მჭრელებმა მათი ასდოლარიანებად გადაკეთება ისწავლეს. ისინი მთლიანად შლიან ხუთდოლარიანებზე ყოველგვარ გამოსახულებას და სუფთა ქაღალდებზე ასდოლარიანებს ბეჭდავენ.

23. ინგლისელი ფეხბურთელი ოუენ რუნი დაძინებას ვერ ახერხებს, თუ სახლში შუქი და ტელევიზორი არ არის ჩართული. კიდევ უკეთესი, თუ თმის საშრობი, მტვერსასრუტი და სამზარეულო კომბაინია ჩართული. იგი აღიარებს, რომ დაძინების მცდელობაში ათეულობით თმის საშრობი და მტვერსასრუტი აქვს გადამწვარი.

24. კუჩმას პრეზიდენტობის დროს, მიხაილ ზადორნოვს ერთი წლის განმავლობაში არ უშვებდნენ უკრაინაში, რადგანაც ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა: „უკრაინა ვლიაპალას ვ კუჩმუ“. ბალტიისპირეთში დაბადებულმა და გაზრდილმა რუსმა სატირიკოსმა უკრაინის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის გადაკიდებაც მოასწრო. ერთ-ერთ მონოლოგში მან ასეთი ფრაზა თქვა: „ეტა ბლედნაია, ს კასოი, ეშჩო ვერნიოტსა ზა იუშენკო“.

25. ერთმა ამერიკელმა ბიზნესმენმა, რომელსაც სისტემატურად აწუხებდნენ მისი სახლის წინ, მინდორზე მოთამაშე ბავშვები, გადაწყვიტა, ისინი ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოშორებინა. ერთ დღეს, უკლებლივ ყველა ბავშვი თავისთან იხმო და განაცხადა: რა მხიარულებაა, რა ჟრიამულია, მოდით, ყოველდღე ასე ირბინეთ, ითამაშეთ, მე კი ამისთვის თითოეულ თქვენგანს 25 ცენტს გადავუხდიო. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ. ასეთი გზით ნაშოვნი ფულიც სიამოვნებით დახარჯეს, მაგრამ მეორე დღეს, ბიზნესმენმა „ხელფასები“ შეამცირა. ბავშვებს უკმაყოფილება დაეტყოთ, მაგრამ შემდეგ დღეს მაინც გამოცხადდნენ „სამუშაოზე“. ამჯერად, ბიზნესმენმა ხელფასები საერთოდ გააუქმა, რის პასუხადაც ბავშვებმა განაცხადეს, რომ უფულოდ არ აპირებდნენ მის მინდორში სირბილს და მას მერე, იქ აღარ გამოჩენილან.

დაახლოებით 2 კვირის წინ, მაშინ, როცა ჩვენს ჟურნალში ანრი ჯოხაძის ინტერვიუ დაიბეჭდა, თინეიჯერი გიორგი საყულაშვილი დამიკავშირდა და მითხრა: 17 წლის გახლავარ, მაგრამ ისეთი ცხოვრება მაქვს გამოვლილი, გეგონება, 50 წელი მიცხოვრია და ძალიან მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეო. გიორგის ჩვენთან დაკავშირება იმანაც გადააწყვეტინა, რომ ის ანრი ჯოხაძის ფანია, მისი თითქმის ყველა სიმღერა ზეპირად იცის, ოთახში ანრის პლაკატები აქვს გაკრული და ამ მომღერალთან შეხვედრა, მისთვის რამდენიმე კითხვის დასმა, ოცნებაც პქონია [illegible]

8 თვის ასაკში მიტოვებული ჩვილი, დასისხლიანებული ხელები და დაუნდობელი პოლიციელები

„დედამ ხელი მაჩა, მას მაღლიერი ვარ“...

ლიკა ქაჯაია

— როცა ჩემმა მშობლებმა ოჯახი შექმნეს, დედა 15-ის, მამა კი — 17 წლის გახლდათ. მე და ჩემი და რომ გავჩნდით, მამა, ვითომდა სამუშაოდ, რუსეთში წავიდა. რა უნდა ემუშავა, როცა მთელი ცხოვრება ერთი უმაქნისი კაცი იყო?!. იქ საყვარელი გაიჩინა, აღარ ჩამოდიოდა. დედამ ეს ამბავი გაიგო და ოჯახიც დაინგრა. გაშორებიდან ცოტა ხნის შემდეგ, როცა მე 8 თვის ვიყავი, დედამ ჩემს დას, რომელიც ჩემზე 1 წლით უფროსია, ხელი ჩაავლო და თურქეთში წავიდა.

— შენ ვისთან დაგტოვა?

— არავისთან. ოთახში მარტო დავუგდივარ და კარი გარედან ჩაუკეტია. უპატრონოდ მიგდებულმა და მშიერ-მწყურვალმა, „საკანში“ 3 დღე გავატარე, მერე კი მეზობლებმა გამომიყვანეს. თურმე ძალიან ცუდად ვყოფილვარ და ეგონათ, რომ ვერ გადავრჩებოდი.

— მეზობლები თქვენს სახლში რატომ შევიდნენ?

— დეიდაჩემმა, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა, რომელშიც ჩვენ, დედას მოაკითხა. კარზე აკაკუნა და არავინ რომ არ გამოეხმაურა, მეზობლებს ჰკითხა: ხომ არ გინახავთო? თურმე ყველამ გაიკვირვა — ჩვენ გვეგონა, რომ თქვენთან წამოვიდნენო. მერე სახლის კარი შეამტვრიეს და მიპოვეს... მეზობლებმა ექიმთან წამიყვანეს, მომიარეს და მხოლოდ ამის შემდეგ წამიყვანეს ბებიაბაბუასთან — დედაჩემის დედ-მამასთან (მამაჩემის მშობლებს არ ვიცნობ: მამა — დაღუპული ჰყავს, დედა კი — რუსეთში ცხოვრობს). ოჯახში, სადაც ვიზრდებოდი, ბიძა და ბიცოლაც ცხოვრობდნენ. ერთხელ დედაჩემი თურქეთიდან ჩამოვიდა, ჩემი და ჩამოიყვანა და ის მეზობლის სახლამდე მიაცილა: აქედან ბებიასთან მარტო წადიო. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მე და დაიკო ერთად ვიზრდებოდით.

— რას ნიშნავს — შეიძლება ითქვას? ანუ დედა მას შემდეგ არ გინახავს?

— რას ნიშნავს და იმას, რომ ის ძმად არ მიმიჩნევდა, ყოველთვის ზევიდან მიყურებდა. მისი სოფელში ჩამოყვანის შემდეგ, დედა თურქეთიდან ხშირად ჩამოდიოდა, მოჰქონდა უამრავი ტკბილეული, ტანსაცმელი, მაგრამ იქ ჩემი არაფერი იყო, ყველაფერი ჩემს დას ეკუთვნოდა, ის კანფეტსაც კი არ მაჭმევდა.

— და დედაშენი მას არაფერს ეუბნებოდა?

— არა, რადგან დედას რატომღაც, ვეზიზღებოდი. როცა სოფელში ჩამოდიოდა, გახარებული მივვარდებოდი, — იქნებ მომეფეროს-მეთქი, — მაგრამ ის ხელის კვრით მიშორებდა თავიდან...

— დანარჩენი ოჯახის წევრები როგორ გექცეოდნენ?

— ისე, როგორც საკუთარს კი არა, უცხო ბავშვსაც კი არ მოექცევი. საჭმელს რომ მაჭმევდნენ, იმასაც მამადლიდნენ; დახეული ტანსაცმლით დავდიოდი მაშინ, როცა ჩემს დას მთელ სკოლაში ყველაზე კარგად ეცვა. ქუჩაში თუ ერთად გავიდოდით, მთელი სოფელი ჩემი საცოდაობით იწვოდა, რადგან როცა მას „დუბლიონკა“ ეცვა, მე დაგლეჯილი, რაღაც თხელი მქონდა მოხვეული... ბიძაჩემი ხშირად მეჩხუბებოდა, მლანძღავდა, დისშვილად ვერ მიმიღო. ბებია და ბაბუაც მეუბნებოდნენ: ჩვენი სისხლის არა ხარო, — რადგან მათი გვარის გამგრძელებელი არ ვიყავი.

— შენს დას როგორ ექცეოდნენ?

— არც მასზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, ის დედას უყვარდა, თან, რადგან გოგო იყო, რატომღაც, უფრო ეცოდებოდათ... საკმაოდ შეძლებული ოჯახი გვქონდა, მაგრამ ჩემთვის არავის არაფერი ემეტებოდა. ამიტომ, 8 წლის ბავშვი, იძულებული გავხდი, მუშაობა დამეწყო იმისთვის, რომ კანფეტი მაინც მეყიდა: ნახირში ცხოველებს ვმწყემსავდი, სეზონზე ყანაში ვმუშაობდი და ამაში რაღაც „კაპიკებს“ მიხდიდნენ. ზაფხულში მაყვალს ვკრეფდი და მერე ვყიდდი. შენ ვერ წარმოიდგენ, რა ძნელია მაყვლის კრეფა: ხელები სულ დასისხლიანებული მქონდა. 2 ვედროს ძლივს ვავსებდი.

— ამ ყველაფრის შემხედვარე, შენი და არაფერს ამბობდა?

— არა და დღეს, მას დად არც მე მივიჩნევ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ასე მექცეოდა, არამედ იმიტომ, რომ დედაჩემის გზას გაჰყვა — ანუ დღეს ისიც თურქეთში დადის, „გზას ასცდა“. ჯერ 18 წლისაა, მაგრამ ქურდიც გახლავთ და... ამის გამო გული ძალიან მწყდება. მეც იმ ოჯახში გავიზარდე, სადაც ის, მე არაფერი გამაჩნდა, მას ყველაფერი ჰქონდა, რასაც მოისურვებდა, მაგრამ მაინც ზნედაცემული და სახელის შემარცხვენელი ქალი დადგა...

— სკოლაში არ დადიოდი?

— როგორ არა?! მაგრამ იქაც ძალიან მტკენდნენ გულს — პედაგოგებიც და მოსწავლეებიც. ყველა მჩაგრავდა, დამცინოდა. ერთადერთი მასწავლებელი, რომელიც კარგად მექცეოდა, ეს გახლავთ თამილა ბიბილაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (კარალეთი, ნაჭარმაგევის საშუალო სკოლა). მინდა გითხრა, რომ წიგნი არასდროს გადამიშლია. როცა მასწავლებელი გაკვეთილს ხსნიდა, იმას ვიმახსოვრებდი...

— ეი. ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი მოსწავლე იყავი?

— ზარმაცი არ ვყოფილვარ, უბრალოდ, სულ სხვა საფიქრალი მქონდა — უნდა მემუშავა, ძალიან მინდოდა, ცეკვისა და სიმღერის წრეში მევლო...

— შრომით მოპოვებული ფული მხოლოდ კანფეტის საყიდლად გყოფნიდა?

— ჩემებმა ხომ იცოდნენ, რომ ვმუშაობდი და ვთქვათ, ამა და ამ დღეს ჯამაგირი უნდა ამეღო, სახლში შესვლისთანავე მეუბნებოდნენ: ფული ხომ მოგცეს, სად წაიღე? მოგვეციო. მე ვპასუხობდი — დავხარჯეთქი და ამის გამო მცემდნენ, წიხლებით შემდგებოდნენ ხოლმე... მინდა აღვნიშნო, რომ ბებიაჩემს ჰყავს მეზობელი, ქალბატონი მარინა მაისურაძე (კარალეთის სკოლის პედაგოგი), რომელსაც ჩემი ტოლი გოგონა — ეკა ჰყავს და შეიძლება ითქვას, რომ ორივეს ერთნაირად გვზრდიდა. თუ რაიმე სინდის-ნამუსი მქონდა, ეს ამ ქალბატონისა და მისი ოჯახის წევრების დამსახურებაა. ისინი ყველანაირად მეხმარებოდნენ, საჭმელს მაჭმევდნენ. ქალბატონმა მარინამ მასწავლა კერძების, კონიაკების, სხვადასხვა ნამცხვრის მომზადება, სარეცხის რეცხვა და ა.შ. მითხრა — გამოგადგებაო და მართალიც იყო. ჩემს მცირე „ხელფასს“ ამ ქალბატონს ვაბარებდი. ის ფულს მიგროვებდა იმისთვის, რომ მერე ცეკვის სწავლის საფასური გადამეხადა ან ტანსაცმელი მეყიდა... სახლიდან ბევრჯერ გამაგდეს იმის გამო, რომ ცუდად ვიყავი და ოჯახს ნაკვეთის დამუშავებაში ვერ ვეხმარებოდი — უსაქმური რად გვინდა? ვინც არ შრომობს, ის პურსაც არ ჭამსო, — მეუბნებოდნენ.

— მერე სად მიდიოდი ხოლმე?

— ძირითადად, ქუჩაში მეძინა. ერთხელ, საშინლად ციოდა, წვიმდა, მე კი სახლიდან გამაგდეს, თან ძალიან, ძალიან თხელი „ჯურტკა“ მეცვა. ასე ქუჩაში ვერ დავდგებოდი, ამიტომ ღამის გასათევად, რკინიგზის სადგურზე წავედი. მართალია, იქაც ციოდა, მაგრამ ხომ არ მაწვიმდა!.. ბევრჯერ დამიძინია მშიერს. რამე თუ მტკიოდა, წამალს ვინ მაღირსებდა?!. მოკლედ, ბევრი სიმწარე და გაჭირვება მანახვა ცხოვრებამ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაღალი ღმერთის წინაშე ვამბობ, რომ არასდროს არაფერი მომიპარავს. მიუხედავად ამისა, ერთხელ ქურდობა მაინც დამაბრალეს, ძალიან გამამწარეს, ისედაც ტანჯული ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქციეს.

— ვინ დაგაბრალა?

— ბებიაჩემს ჰყავს დეიდაშვილები, რომლებიც ძალზე ცუდ ცხოვრებას ეწევიან. მათ დეიდაჩემი, ვითომდა სამუშაოდ, თურქეთში გაგზავნეს, იქ კი იძულებული გახადეს, რომ ფული „სხვა გზით“ ეშოვა. ბებიაჩემი მათთან წავიდა და მეც თან გამიყოლა — იქნებ, შვილთან დამაკავშირონ ან მასზე რაიმე მითხრანო. სახლში მეორე დღეს წამოვედით. საღამოს ნათესავები თავს დაგვესხნენ და ბებიას უთხრეს: შენმა შვილიშვილმა ის ოქროს ჯაჭვი მოგვპარა, რომელიც კომოდში იდოო. ხმაურზე მეზობლები მოცვივდნენ და რომ გაიგეს, რაშიც იყო საქმე, ყვირილი დაიწყეს: ეს ბავშვი მაგას არ იზამდაო!.. ჩემი სიმართლე რომ დამემტკიცებინა, პოლიციაში წავედი. პატარა ბავშვს, ვინ დამიჯერებდა? — და რამდენიმე დღით საკანში ჩამსვეს. იცი, როგორ მცემეს?!. ერთ-ერთი პოლიციელი თავში დაუნდობლად მირტყამდა, მეუბნებოდა: აბა, თქვი სიმართლე, თორემ მიგასიკვდილებო! მაგრამ რაც არ გამიკეთებია, იმას როგორ ვაღიარებდი?!. ჩემები ჩემს დასაცავად ან უბრალოდ, მოსანახულებლადაც არ მოსულან. პოლიციელებმა მეორე დღეს არაჩვეულებრივი ადვოკატი — მარი მომიყვანეს. მერე ნათესავების სახლში წავიდნენ, იქ ანაბეჭდები აიღეს. მიხვდნენ, რომ ეს ჩემი გაკეთებული არ იყო და გამიშვეს. ცხოვრებაში არავინ დამიწყევლია, იმ პოლიციელის გარდა, რომელიც თმაში ხელს ჩამავლებდა და დაუნდობლად მირტყამდა. ძალიან მინდა, რომ ის პოლიციელიც ისე დაიტანჯოს, როგორც მე დამტანჯა. როცა მათავისუფლებდნენ, კიბეზე ასვლის დროს გული წამივიდა, რადგან ყველაფერთან ერთად, მშიერიც ვიყავი; შეეშინდათ, რამე არ მოუვიდესო და ლაქუცი დამიწყეს... დღესაც, როცა პოლიციელს ვხედავ, არ ვიცი, შიშისგან თუ ზიზღისგან, კანკალი ამიტყდება ხოლმე და ვერ ვწყნარდები...

— გიო, რუსთავში როგორ მოხვდი?

— როგორც უკვე გითხარი, ბევრ ადგილას მიმუშავია — ნახირში, მერე — მიწას ვბარავდი, ვთოხნიდი, შემდეგ სამუშაოდ ფერმაში (დამლაგებლად) წავედი, მერე „მოიკაზე“ ვმუშაობდი, მანქანებს ვრეცხავდი; იქიდან ისევ ფერმაში დავბრუნდი, მაგრამ არა დამლაგებლად, არამედ ცხოველების საჭმელი — ქატო უნდა დამეფქვა. ჩვენს ფერმაში დადიოდა რესტორან „ინტურისტების“ (რომელიც გორში საკმაოდ პრესტიჟულ რესტორნად მიიჩნევა) მეპატრონე — ციალა საბანაძე. მან დაინახა, რომ ტომრებს დავათრევდი, შეეცოდე და შემომთავაზა: სამუშაოდ ჩემთან რესტორანში წამოდი, ცარიელი ბოთლები დაახარისხეო. მის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი... ახალწლის დღესასწაულზე, ოფიციანტი გოგონები კლიენტების მომსახურებას ვერ ასწრებდნენ, ამიტომ მათ დავეხმარე, მიუხედავად იმისა, რომ ამის უფლება არ მქონდა. მეორე დღეს უფროსმა კაბინეტში დამიბარა. მეგონა, ახლა სამსახურიდან გამაგდებს-მეთქი, იმან კი მითხრა: ხვალიდან თეთრი „საროჩკით“ მოდი, მიმტანად იმუშავებო. ამ რესტორანში დაახლოებით წელიწად-ნახევარი ვმუშაობდი. ქალბატონი ციალა მშობელი დედასავით მექცეოდა. მალე მისი ნდობა მოვიპოვე და ბარი მთლიანად გადმომბარა.

— თუ ასე გენდობოდნენ, იქიდან რატომ წამოხვედი?

— იმიტომ, რომ მითხრეს: თბილისში უფრო დიდი ხელფასი გექნება და იქ წადიო. არ ვიცოდი, სად იყო თბილისი, აქ არავინ მყავდა, მაგრამ მაინც გავრისკე. ფულით, რომელიც დაგროვებული მქონდა, ტანისამოსი ვიყიდე. სულ 3 ლარი დამრჩა, მაგრამ ამან არ შემაშინა. ვიყიდე სიგარეტი „პრიმა“, რომელიც 40 თეთრი ღირდა და პური. 2 ლარი მატარებელში გადავიხადე და წამოვედი. მთელი გზა ტირილში გავატარე, რადგან ჩემი ცხოვრების დეტალებს ვაანალიზებდი, თან გული მტკიოდა, რომ იძულებული გავხდი, გორიდან წამოვსულიყავი. ამასობაში, მცხეთაში შევედით, სადაც ჩემი ბარგი ვიღაცამ ისე ამწაპნა, ვერც გავიგე და დავრჩი ცარიელ-ტარიელი. თბილისში რომ ჩამოვედი, გზას ფეხით დავადექი და მარჯანიშვილზე ამოვყავი თავი, რესტორანში —„შემოიხედე, გენაცვალე“ — შევედი და ვიკითხე: ოფიციანტი ბიჭი ხომ არ გჭირდებათ-მეთქი? მითხრეს: კი, მაგრამ ჯობია, ხვალ გამოიაროო. რა უნდა მექნა? იქიდან გამოვედი და რომელიღაც სასადილოში შევედი. მაგიდასთან ყურებჩამოყრილი დავჯექი. ჩემთან ერთი მიმტანი გოგონა — შორენა მოვიდა და მას ჩემი გაჭირვების შესახებ მოვუყევი. მან მითხრა: ნუ გეშინია, მე არ მიგატოვებო, — და თავის სახლში წამიყვანა (ოროთახიან ბინაში, მასთან ერთად, მისი ძმა და მცირეწლოვანი შვილი ცხოვრობდნენ). მასთან რამდენიმე დღე ვცხოვრობდი, მერე ბინა დავიქირავე. ეს ამბავი არასდროს დამავიწყდება და ვიცი, რომ ასეთი სიკეთის გამო, მას უფალი ყველაფერში დაეხმარება... მერე, რესტორანში დავიწყე მუშაობა მიმტანად. მალე სახელიც გავითქვი და ერთი ადგილიდან მეორეში გადავყავდი; რამდენიმე რესტორანი გამოვიცვალე. ჩემი მომსახურებით ყველა კმაყოფილი იყო. მახსოვს, ერთხელ, გიგი უგულავამ 150 ლარი მაჩუქა, ერთ-ერთმა გოგონამ კი, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ სასტუმრო „აჭარაში“ რაღაც თანამდებობა აქვს, 100 დოლარი და 50 ლარი მაჩუქა. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა, მაგრამ ხომ იცი, ადამიანი რაც უფრო მეტს იშოვის, მით უფრო არ ჰყოფნის... მერე ვიღაცამ მითხრა: რუსთავში წადი, იქ თავს უკეთ იგრძნობ, თან ბინის ქირაში გაცილებით ნაკლებს გადაიხდიო, — და უკვე ერთი თვეა, რაც რუსთავში ვცხოვრობ და „მწვანე ბარში“ ვმუშაობ.

— მიმტანად?

— არა, ადმინისტრატორის „პონტში“ ვარ. მისი არაჩვეულებრივი მეპატრონეები — დები — ცისი და ზიზი ყველაფერში მენდობიან, ეტყობა, ეს დავიმსახურე კიდეც... რუსთავში ჩემი მეორე დედა, ჩემი დიასახლისის სახით ვიპოვე, რომელიც ისე მექცევა, როგორც შვილს. „მწვანე ბარში“ გავიცანი მიმტანი — ნატო და ბარმენი მაიკო, რომლებმაც ერთ-ერთ ცნობილ დიზაინერთან — დათო ლაბაძესთან ერთად მომნათლეს. ისინი ჩემი ყველაზე ახლო ნათესავები გახდნენ და მათ გარდა, ამქვეყნად არავინ მყავს.

— ცეკვაზე სიარული მიატოვე?

— მინდა გითხრა, რომ არაბულ ცეკვებს კარგად ვცეკვავ. ერთხელ, ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონეები ვიღაც მოცეკვავე გოგონას მეუღლეს დაენაძლევნენ: ის ბიჭი შენს ცოლს ცეკვაში აჯობებსო. მერე მე დამირეკეს და მთხოვეს, მოდიო. როცა მივედი და ის გოგონა დავინახე, რომელსაც უნდა შევჯიბრებოდი, ვთქვი: ამ „შხვართ“ გოგოს როგორ ვაჯობებ-მეთქი?! — მაგრამ მაინც ვიცეკვე, ვაჯობე და მისმა მეუღლემ 200 დოლარი მაჩუქა... ასევე ვმღერი ძალიან კარგად, მაქვს იმიტაციის უნარი — შემიძლია, ნებისმიერ მომღერალს მივბაძო. რუსთავში ვმართავ ხოლმე კონცერტებს, დისკოთეკებს და ა.შ. მინდა, ფული დავაგრო-

ერთხელ ქურდობა მაინც დამაბრალეს, ძალიან გამამწარეს, ისედაც ტანჯული ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქციეს.

ვო და გავხსნა დისკოკლუბი, რომელიც ძალიან კომფოროტული იქნება და ვიცი, რომ მიზანს აუცილებლად მივაღწევ.

— გორში აღარ ჩადიხარ? შენებს არ ეკონტაქტები?

— როგორ არა?! ჩავდივარ ხოლმე და მათთვის საჩუქრები ჩამაქვს. ამას წინათ, ბებიას ქურქი ჩავუტანე. ქალი სიხარულისგან ლამის შეიშალა, რადგან ასეთი რამ არასდროს ღირსებია. ვიცი, რომ ისინი პატივისცემას არ იმსახურებენ, მაგრამ ჩემი ახლობლები არიან და ყველაფრის მიუხედავად, ბებიაც და ბაბუაც ძალიან მიყვარს...

— დღეს, როცა მათთან ჩადიხარ, როგორ გექცევიან?

— კარგად. მირეკავენ კიდეც და პატივს მცემენ, მაგრამ რატომ? — ეს ძნელი მისახვედრი არ არის...

— კარგი. ანრი ჯოხაძის გაცნობა რატომ დაისახე მიზნად?

— იმიტომ, რომ ის ერთადერთი მომღერალია, რომლის შემოქმედებას დადებითად ვაფასებ. ასევე მომწონს მერაბ სეფაშვილი, თუმცა, მისი გაცნობა ისე ძალიან არ მინდა, როგორც ანრისი. მინდა, მას ჩემი ამბავი მოვუყვე და რჩევა ვკითხო.

— რა რჩევა?

— ის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა წარმატებას, როგორ ხვდებიან შოუ-ბიზნესში და ა.შ. მოკლედ, მასთან ძალიან ბევრი კითხვა დამიგროვდა...

ჩვენ გიორგი, ანრის შევახვედრეთ და მათ რამდენიმე ხნის განმავლობაში ისაუბრეს. ანრი თავისი ფანის კითხვებს ამომწურავად პასუხობდა და რჩევაც მისცა. ამ შეხვედრის შემდეგ, გიორგი გამომიტყდა, რომ უბედნიერესი ადამიანია, რადგან თავისი კერპი გაიცნო და მას ისევე, როგორც ჟურნალისტმა, კითხვები დაუსვა...

■



ბევრ ალვილას მამუსია — ნახირში, მერე — მიწას ვარაყდი, ვეიჭილი, შემდეგ სამუშაოდ ფერმაში წავედი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

მონონუკლეოზი — ვის ემუქრება ეს დაავადება?

ინფექციური მონონუკლეოზი ხშირად ემართებათ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, რომლებიც ბაღში დადიან. დაავადების გამომწვევი ებშტან-ბარის ვირუსი ჰაერ-წვეთოვანი და კონტაქტური გზებით ვრცელდება. ბავშვებს კი საბავშვო ბაღში, საკმაოდ ახლო კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან.

მონონუკლეოზი სერიოზული დაავადებაა. მას სპეფიციკური მკურნალობა და გამოჯანმრთელების შემდეგაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ექიმის დაკვირვება სჭირდება. ვერაგი ინფექცია პირველ ხანებში მაღალი ტემპერატურით ვლინდება, რომელიც სიცხის დამწევი პრეპარატების მიღების შემდეგაც კი არ ქვეითდება და ასე გრძელდება 2-3 კვირა. ვითარდება მძიმე ანგინა, დიდდება ელენთა, ღვიძლი და პრაქტიკულად, ყველა ლიმფური კვანძი, განსაკუთრებით კი — კისრის ლიმფური კვანძები. ზოგჯერ ყელი იმდენადაა შეშუპებული, რომ ბავშვი იძულებულია, დამჯდარმა დაიძინოს, რომ არ დაიხრჩოს. დიაგნოზი დასტურდება მონონუკლეოზის ვირუსის ანტისხეულებზე სპეციფიკური სეროლოგიური ანალიზის ჩატარებით.

თუ პატარას გართულებული ანგინა აქვს და ამასთან, მეტისმეტადაა გადიდებული ლიმფური კვანძები, ამ ანალიზის გაკეთება აუცილებელია.

დაავადების მწვავე პერიოდი 3 კვირამდე გასტანს და ამ ხნის განმავლობაში ირგვლივ მყოფებს სიფრთხილე მართებთ. უფროსებმა არ უნდა აკოცონ ავადმყოფ პატარას, არ უნდა გამოიყენონ მისი ჭურჭელი, არ უნდა მიირთვან მისი დატოვებული საჭმელი. ბავშვის ჭიქა, თეფში და კოვზი განცალკევებით უნდა გაირეცხოს და შემდეგ დაიმდუღროს. ტანსაცმელი, პირსახოცი და თეთრეული კი — უმჯობესია დუღილის რეჟიმში გარეცხოთ.

უწინ ამ დიაგნოზით ბავშვებს ინფექციურ განყოფილებაში აწვენდნენ. ამჟამად კი მშობლების თხოვნით, პატარის შინ დატოვება შესაძლებელია, მაგრამ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება მისთვის საჭირო მკურნალობა, დაცული იქნება მოვლის წესები და გაუკეთდება სისხლის ანალიზი ყოველ 3 დღეში ერთხელ. ექიმი ნიშნავს ანტივირუსულ საშუალებებს, იმუნომოდულატორებს, ანტიბიოტიკებს, ვიტამინებს, სიცხის დამწევ საშუალებებს. ამ პრეპარატების მიცემა საათობრივადაა საჭირო და ამ დროს აუცილებელია სიზუსტე, დაუშვებელია დანიშნულებაში თვითნებური კორექტივების შეტანა.

ვიდრე ბავშვს სიცხე აქვს, მას სითხე დიდი რაოდენობით და ხშირ-ხშირად უნდა ვაძლიოთ. ძალიან კარგია ხილისა და ბოსტნეულის ახალგამოწურული წვენები, ტკბილი, ლიმონიანი ჩაი, კომპოტები. როცა ტემპერატურა ნორმას დაუბრუნდება, პატარა მადაზეც მოვა. პროდუქტები ფრთხილად შეარჩიეთ. ავადმყოფისთვის კარგი იქნება ბოსტნეულის წვნიანი, პიურე, თევზი, ხბოს ან წიწილის ხორცი; მიეცით მეტი უცხიმო რძის პროდუქტები, ხილი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, გოგრა და ყაბაყი. კვერცხი — უმჯობესია, კარგად მოხარშული და თანაც, არა ყოველდღიურად.

■

პოლიომიელიტმა კვლავ შეგვახსენა თავი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იუწყება, რომ დიდ ბრიტანეთში უკანასკნელი 4 წლის მანძილზე პოლიომიელიტის პირველი შემთხვევა აღირიცხა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ინფექცია აღმოაჩნდა 17 წლის ქალიშვილს, რომელსაც პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ორალური ვაქცინაცია ჰქონდა ჩატარებული. გოგონას ტემპერატურამ აუწია და ორივე ქვედა კიდურის დამბლა განუვითარდა.

ვირუსოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ ქალიშვილს სისხლში აღმოჩენილი გამომწვევი, პირველი ტიპის პოლივირუსთა ჯგუფს ეკუთვნის. ამ ვირუსის სამფლობელო ინდოეთია, თუმცა არც ინფიცირებული და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი ქვეყნიდან არასოდეს გასულა. ასე რომ, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა ჩიხში მოექცა.

ინგლისში ვაქცინაციის მასშტაბური კამპანია დაიწყო. სპეციალისტების თქმით, დიდ ბრიტანეთში იმუნიზებულია ბავშვების მხოლოდ 45%, თუმცა ამ მაჩვენებლის გადამოწმებაც აუცილებელია.

შარდის შეკავება მავნებელია

შარდის ბუშტისა და თირკმლების კიბო თავიდან რომ აიცილოთ, შარდის ბუშტი საათში ერთხელ მაინც უნდა დაცალოთ. ასე ორგანიზმი სისტემატურად გამოყოფს ტოქსინებსა და საშიშ ქიმიკატებს, რომლებსაც ძალიან „უყვართ“ ორგანოებში დაგროვება.

მათ საყურადღებოდ, ვისაც საკუთარი შარდის ბუშტის სიმტკიცის გამოცდა სჩვევია, ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ კანცეროგენული ნივთიერებების მავნე ზემოქმედება ორგანიზმზე სწორედ იმდენ ხანს გრძელდება, რამდენ ხანსაც შარდი ყოვნდება საშარდე ბუშტში. რაც უფრო მეტხანს დაყოვნდება ეს ნივთიერებები ჩვენს ორგანიზმში, მით უფრო მავნე იქნება მათი ზეგავლენა ქსოვილებზე. როცა შარდის ბუშტი, ნაცვლად ყოველი საათისა, 6 საათში ერთხელ იცლება, მავნე ნივთიერებები შარდის ბუშტისა და თირკმლების ნაზ ქსოვილებს ათჯერ მეტ ზიანს აყენებს.

ექიმების აზრით, ურინების ორგანიზმში შეკავებისას კანცეროგენული ნივთიერებები წარმოიქმნება.

მეცნიერები აკვირდებოდნენ ოთხ ძაღლს, რომელთაგან ერთ-ერთი შარდის ბუშტს საათში ერთხელ ცლიდა, მეორე — ორ საათში ერთხელ, მესამე — ოთხ საათში ერთხელ, მეოთხე კი — რვა საათში ერთხელ. გაირკვა, რომ იმ კანცეროგენული ნივთიერებების რაოდენობა, რომლებიც ძაღლის ღვიძლში წარმოიქმნებოდა, შარდის ბუშტის დაცლის სიხშირის უკუპროპორციული იყო. ძაღლის შარდის ბუშტი კი — ადამიანის შარდის ბუშტის იდენტურია. ამის კვალობაზე მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ შარდის ხანგრძლივი შეკავება, ორგანოების დაშლისა და მათში სიმსივნური პროცესების განვითარების მიზეზად შეიძლება იქცეს.

ამიტომაც არის, რომ ხანგრძლივი რეისების მძღოლებს უფრო ხშირად ემართებათ შარდის ბუშტის სიმსივნე, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანებს.

ასე რომ, თუ მოშარდვა გსურთ, უმჯობესია, თავი არ შეიკავოთ.

ფრანგები მობილურ ტელეფონს უფრთხიან

ფრანგი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მობილური ტელეფონი ჯანმრთელობისთვის საშიშია, ამიტომ გარემოს დაცვის სააგენტო მოსწავლეებს მათი მოხმარების შეზღუდვას ურჩევს. ბავშვებს სთხოვენ, დარეკონ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და, ამასთანავე, გამოიყენონ სპეციალური მოწყობილობა, რომელიც თავის ტვინზე ელექტრული ველის ზემოქმედებას ამცირებს. მობილური ტელეფონის მწარმოებლებსა და გამსაღებლებს მანამდე ეკრძალებათ რეკლამებში ბავშვების გადაღება, სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა, რა გავლენას ახდენს ბავშვის ორგანიზმზე მობილური ტელეფონის გამოსხივება.

ფრანგი ექსპერტები აღიარებენ, რომ ფიჭური ტელეფონის მავნე ზემოქმედების დამადასტურებელი ფაქტები ჯერ არ აღმოუჩენიათ, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ეს მონაცემები არ კმარა, რათა ვამტკიცოთ, რომ ეს მოწყობილობა ადამიანისთვის, მით უმეტეს, ბავშვისთვის, უსარფთხოა.

ამა წლის იანვარში ასეთივე რეკომენდაციები გამოსცა ბრიტანეთის რადიოლოგიური დაცვის ნაციონალურმა კომისიამ, ხოლო ზოგიერთი მკვლევარი ფიჭური კავშირისთვის გამოყენებულ სიხშირეებსა და გენეტიკურ დეფექტებს შორის პირდაპირ კავშირსაც კი ხედავს.

მაკარონი — სასარგებლო პროდუქტი

მაკარონი, მიუხედავად იმისა, რომ ცომეულია, არც ისე კალორიული გახლავთ — მშრალი პროდუქტის 50 გრამზე სულ 190 კალორია მოდის. გარდა ამისა, მაკარონი საკმაო რაოდენობით შეიცავს ცილებს — 13 გრამს 100 გრამზე. ასე რომ, სპაგეტის მოყვარულებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ — ეს გემრიელი კერძი (ცხადია, თუ ზომიერება არ გიღალატებთ) არამც და არამც არ გაგასუქებთ, პირიქით, გახდომაშიც კი დაგეხმარებათ, ვინაიდან მისი გადამუშავებისას დნება არა კუნთოვანი ქსოვილი, არამედ ცხიმი. ამასთანავე, მაკარონის შემადგენლობაში შედის ე.წ. ნელი შაქრები, რომლებიც პრაქტიკულად სრულად, მაგრამ თანდათანობით იწვის. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს შაქრები სპორტსმენებისთვის საუკეთესო საწვავია: ისინი კუნთებში გლიკოგენის შემცველობას აღადგენს.

მაკარონი მდიდარია B1 ვიტამინით, რომელიც დაღლილობის შეგრძნებას ამცირებს.

მრავალი ჩვენგანი მოხარშულ მაკარონს ჩვეულებისამებრ ცივ წყალს ავლებს. უნდა ვიცოდეთ, რომ გარეცხვისას ის ვიტამინების დიდ ნაწილს კარგავს.

მაკარონის სახელწოდება ბერძნული სიტყვა „მაკარინადან“ მომდინარეობს, რაც „მადლს“ ნიშნავს — ასე უწოდებდნენ ბერძნები თავიანთ ერთ-ერთ კერძს, რომელიც, ალბათ ძალიან გემრიელი იყო. ბერძნებისგან კი ეს სიტყვა იტალიელებმა ისესხეს, რათა მაკარონისადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ.

ფრთხილად: წამლები!

ზოგიერთ პატარას ალერგიული რეაქცია აქვს ანტიბიოტიკებსა და სულფანილამიდებზე. წამლის მიღების შემდეგ სხეულზე წითელი გამონაყარი ჩნდება და პატარას ქავილი ეწყება. ამას ზოგჯერ მუცლის ტკივილიც ემატება. გამონაყარი ჩვეულებრივ წამლის შეწყვეტიდან 3-4 დღე გასტანს ხოლმე. წამლისმიერი ალერგიის ყოველი შემთხვევა აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ბავშვის ამბულატორიულ ბარათში და მიეთითოს „დამნაშავის ვინაობა“. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ განმეორებითი ალერგიული რეაქცია.

როგორ გავზარდოთ ვუნდერკინდი

ავარჯიშეთ თქვენი პატარა თითებით მუშაობაში. მიეცით სხვადასხვა ფორმისა და ზედაპირის მქონე საგნები (გლუვი, დახორკლილი, დაკლაკნილი), რათა განვითარდეს შეგრძნება და წვრილი მოტორიკა. ის სტიმულაცია აჩქარებს ნერვული სისტემის, განსაკუთრებით მეტყველებასა და შემოქმედებით უნარზე პასუხისმგებელი ცენტრების მომწიფებას. მეცნიერთა აზრით, ასეთი ბავშვები უფრო ადრე იწყებენ ლაპარაკს, დამოუკიდებლად შეუძლიათ კოვზის დაჭერა და ჭამა. შემდგომში კი ნერვული სისტემის ასეთი სწრაფი განვითარება თანამიმდევრულად აისახება ბავშვის საერთო განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ძვირფასი ქვები, რომლებიც ავი თვალისგან გვიცავენ

ის ფაქტი, რომ ძვირფას ქვებს წარმატება და ჯანმრთელობა მოაქვს იმ შემთხვევაში, თუ ის მფლობელის დაბადების თვეს შეესაბამება, უძველესი დროიდანაა ცნობილი. თუ თქვენ ჰოროსკოპის გჯერათ და ამასთანავე, აქსესუარების ტარებაც მოგწონთ, მაშინ ყურადღებით გადახედეთ, რომელი ქვა უნდა ატაროთ.

ვერძის ქვა წითელი იასპია (ეშმას ქვა). ის ტემპერატურას დაბლა სწევს, ქალურ დაავადებებს კურნავს, ყნოსვას ამახვილებს. ასევე, ვერძის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის სასარგებლო მინერალია ჰელიოტროპიც, რომელიც თქვენს ქონებას ავი თვალისგან იცავს, რისხვასა და მელანქოლიურ შემოტევებს აგაშორებთ. ვერძის ქვები თევზების, ღრიანკალისა და კირჩხიბის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს არ გამოადგებათ.

კუროს ნიშნის ქვა საფირონი და მალაქიტია. ლურჯი საფირონი მრავალ დაავადებას კურნავს. მალაქიტი ხალხთან ურთიერთობას (მათ შორის, ინტიმურსაც) ჰარმონიულს ხდის. ეს ქვები ვერძისა და ღრიანკლის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს არ გამოადგებათ.

ტყუპებს შეესატყვისება აქატი, ასევე, ზურმუხტი და ქრიზოლითი, რომელთა მწვანე ფერი გონებრივ და ფიზიკურ ენერგიას ააქტიურებს, ადამიანს ნებისმიერ სიტუაციასთან შეგუებაში ეხმარება. ამ ქვებს მშვილდოსნებისა და თხის რქისთვის უკუჩვენება აქვთ.

კირჩხიბის მფარველად მარგალიტს მიიჩნევენ, რომელიც ასე ვთქვათ, მთვარის ძალას ფლობს. ის ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარება. მარგალიტის ტარება რეკომენდებული არ არის გულგრილი, აგრესიული და ქედმაღალი ადამიანისთვის.



ლომის ქვას მზის ფერი აქვს — ქარვა, ოქროსფერი ტოპაზი, ავანტიურინი, ლალი. ისინი სულსა და სხეულს აძლიერებენ, აურას ასუფთავებენ და გულის მუშაობას აუმჯობესებენ. სასურველია მშვილდოსნისა და ვერძის ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის, მაგრამ რეკომენდებული არ არის სუსტი ნებისყოფისა და მეოცნებე ადამიანებისთვის.

ქალწულის ქვებია სარდიონი, მთის ბროლი, ციტრინი. ისინი აურას ასუფთავებენ და ქალწულის კრიტიკულ განწყობილებას საჭირო მიმართულებას აძლევენ. ასევე, ეს ქვები სასიკეთოდ მოქმედებენ ნაწლავებზეც. ქალწულის ქვები არ გამოადგებათ ლომს, მშვილდოსანსა და თევზებს.

სასწორის ნიშნის ქვეშ დაბადებულმა ემოციურმა პირებმა უნდა ატარონ ნეფრიტი, რომელიც თირკმელზე (ეს მათთვის განსაკუთრებულად სუსტი ადგილია) სასიკეთოდ მოქმედებს. ასევე, შეესაბამებათ ვარდისფერი კვარცი და იასამნისფერი ამეთვისტო.

ღრიანკლის ქვებია სერპანტინი, ფირუზი, სარდონიქსი. ისინი ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებში შინაგან ძალას აღვიძებენ და მას საჭირო მიმართულებით წარმართავენ. ეს ქვები კირჩხიბსა და თევზებს არ გამოადგებათ.



მშვილდოსანს მუქი იასამნისფერი ამეთვისტო, ყვითელი ტოპაზი, ფირუზი და ე.წ. ვეფხვის თვალი ესაჭიროება. ეს ქვები წნევას დაბლა სწევენ, ხელს უწყობენ ღვიძლის განკურნებას, გაწონასწორებულ ადამიანებს ამბიციურობის დაცხრომაში ეხმარებიან. ეს ქვები რეკომენდებული არ არის ტყუპისა და ქალწულისათვის.

თხის რქის ქვებია: მთის ბროლი, ალმასი, ობსიდიანი, გიშერი, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების მტკიცე, მიზანმიმართულ და პატივმოყვარე ხასიათს. ვერძისა და კირჩხიბისთვის ამ ქვებს უკუჩვენება აქვთ.

მერწყულისთვის სასურველია ძოწი, ზოლიანი ონიქსი, ცირკონი. ეს ქვები მათთვისაა, ვისაც არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება უყვართ. ისინი ინტელექტის მუშაობას ერთგვარ სტიმულს აძლევენ.

თევზებს სულის სიმშვიდის მოპოვებაში ამეთვისტო და ალექსანდრიტი დაეხმარება, ასევე, შეესატყვისება ორგანული წარმოშობის მინერალები — ფირუზი, მარჯანი, სადაფი, ქარვა. თევზების ქვები ცეცხლოვანი ნიშნის ქვეშ დაბადებულებსა და გონებრივი შრომის მოყვარულ ადამიანებს არ გამოადგებათ.

■

ბოსტნეულის ბუტერბროდი

მოსამზადებლად საჭიროა: 1 ცალი პატარა ზომის პური (ბატონი), 100 გ უმი ან მოხარშული კომბოსტო, მწვანე ხახვი, 50 გ მაიონეზი, მარილი, 2 კვერცხი, 30-40 გ პომიდვრის საწებელი ან „კეტჩუპი“, 1ჩ/კ მდოგვი.

პური გავჭრათ შუაში, შემდეგ ისე, რომ მისი ქერქი არ დავაზიანოთ, გამოვაცალოთ შიგთავსი ე.წ. პურის გული. მოვხარშოთ კვერცხი, გავაციოთ, გავფცქვნათ და გავხეხოთ. მწვანე ხახვი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, ხოლო „კეტჩუპი“, მდოგვი, მაიონეზი ერთმანეთში ავურიოთ და გავაკეთოთ საშუალო სისქის მასა.

ორივე პურის ნაჭრის შუა ნაწილში ჩავდოთ კომბოსტოს თხელი, დახვეული ფურცლები, შემდეგ მათ შორის ჩავასხათ მომზადებული მასა, მერე კი, დარჩენილი ადგილები ამოვავსოთ კვერცხით. სულ ბოლოს, მასში ჩავდოთ მწვანე ხახვი (კარგია, თუ პურის ქვედა ნაწილში მოვათავსებთ ლორის თხელ ნაჭერს), პურის ნაჭრები შევაერთოთ და ბუტერბროდიც მზადაა. ■

მითხარი, როგორი კოცნა იცი და გეტყვი — ვინ ხარ შენ



„შენ უნდა გახსოვდეს, რომ კოცნა — ეს მხოლოდ კოცნაა და სხვა არაფერი“ — გვეუბნება ცნობილი სიმღერა კინოფილმიდან „კასაბლანკა“, იმის გათვალისწინებით, რომ სიყვარული არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხატვრული ფილმის გმირებს — ხამფრი ბოგარტსა და ინგრიდ ბერგმანს შორის. მაგრამ ეს სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება. კოცნა ერთმანეთისგან განსხვავდება და ის, თუ როგორი კოცნა ვიცით, ხშირად ჩვენს ხასიათს და შესაძლებელია, ჩვენს ცხოვრებასაც განაპირობებს.

თქვენ კოცნის დროს თავს მარჯვნივ ხრით? — ე.ი. ცხელი გული გაქვთ. მარცხნივ ხრით? — მაშინ მორიდებული და ცივი ადამიანი ბრძანდებით. თქვენს პარტნიორს თუ მეუღლეს გაღვიძებისთანავე კოცნით? — მაშინ დიდხანს იცოცხლებთ. ხშირად გიწევთ ადამიანების კოცნა? — თქვენ უფრო ჯანმრთელი და მდიდარი იქნებით, ვიდრე ისინი, ვინც ამას იშვიათად აკეთებენ.

მართალია, ეს ყველაფერი ხუმრობას ჰგავს, მაგრამ ამ წინასწამეტყველების უკან დგას 2 სამეცნიერო გამოკვლევა — იუწყება ლონდონის ერთ-ერთი გაზეთი „INDEPENDENT“.

დასაწყისისთვის იმის თქმა ნამდვილად ღირს, რომ კოცნის რამდენიმე ხერხი არსებობს. მაგალითად, „ჰაერში“ კოცნა, როცა ადამიანები ერთმანეთს ეხებიან ლოყებით, მაგრამ იქ ტუჩები არანაირ როლს არ თამაშობს და ეს იგივე კოცნის შეზღუდვაა. არსებობს კოცნა კაცებს შორის, რომელიც მათ ჩვეულებაში აქვთ გადაზრდილი — აქ მოიაზრება კოცნა პოლიტიკური მოღვაწეების კოცნის ჩათვლით (საბჭოთა რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნის წარმომადგენლებს შორის, ასეთი კოცნა ნორმად იყო დაწესებული). არსებობს კოცნა ქალებს შორის, რომელიც ზოგჯერ, ეროტიკული ხასიათისაა. მაგალითად ისეთი, როგორიც საქვეყნოდ ცნობილი მადონასა და კეიტ მოსის კოცნაა. არსებობს ასევე უმანკო, გრძნობისმიერი, შემარიგებელი, ნაცოდვილარი და ა.შ. კოცნა. მეცნიერებმა კოცნის ყველა სახეობა გამოიკვლიეს (რომელშიც ათასობით მოხალისე მონაწილეობდა) და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოცნა-პროშნის მანერა ადამიანის ხასიათზე მეტყველებს და შეიძლება ითქვას, რომ ის მისი პიროვნების ამრეკვლელი სარკეა. მაგალითად, ქალებისა და მამაკაცების 80% თავს მარჯვნივ ხრის მაშინ, როცა უნდათ, რომ ვიღაცას აკოცონ. გამოკვლევის თანახმად, რომელიც ერთ-ერთ სამეცნიერო გამოცემაში LATER-ში გამოქვეყნდა, ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი უფრო ემოციურები არიან, ვიდრე ის დანარჩენი 20%, რომლებიც კოცნის დროს თავს მარცხნივ ხრიან. როდესაც ადამიანი თავს მარჯვნივ ხრის, ის თავისთავად, მარცხენა ლოყას მოგიშვერს, რომელსაც თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო აკონტროლებს. ის კი, თავის მხრივ პასუხს აგებს ადამიანის ემოციურობაზე,“ — გვიხსნის ექიმი ჯულიან გრინვუდი, ბელფასტის უნივერსიტეტიდან.

სხვა მეცნიერული გამოკვლევები კოცნაზე, რომლებიც გერმანელმა ფსიქოლოგებმა ჩაატარეს, გვიმტკიცებს, რომ კოცნა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, მისი რაოდენობა განაპირობებს პრობლემებისა და სიძნელეების დროს პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღებას. ისინი, ვინც თავიანთ მეუღლეებს თუ პარტნიორებს ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე კოცნიან, საშუალოდ 5 წლით უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ, ვიდრე ადამიანები, ვინც ამას არ აკეთებენ. და კიდევ, ისინი, ვინც ხშირად კოცნიან ერთმანეთს, იშვიათად ხვდებიან ავტოსაგზაო შემთხვევების მსხვერპლნი, ნაკლებად ავადდებიან, მათ ხშირ შემთხვევაში მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც სხვანაირად მოქმედებენ. სკეპტიკოსებს ამ ყველაფერში შეუძლიათ ეჭვი შეიტანონ, რომანტიკოსები კი ფიქრობენ, რომ ასეთი ირაციონალური და ინსტინქტებზე აგებული აქტის თეორიულად განხილვა აბსურდულია. იმის დამტკიცება კი, რომ ამ ყველაფერში ბევრი რამ სიმართლეს შეესაბამება, უბრალო მაგალითსაც შეუძლია: აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ შეყვარებულ წყვილს, გრძნობენ თუ არა თავს უკეთესად მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთს აკოცეს. ბოგარტი მართალი იყო: „კოცნა, ეს მხოლოდ კოცნაა“, მაგრამ ალბათ იმაში მაინც დამეთანხმებით, რომ თითოეული გრძნობისმიერი კოცნა ძვირფასი, განსაკუთრებული და უნიკალურია. ■

ხაჭოს ნამცხვარი გლაზურით



მოსამზადებლად საჭიროა: 3 კვერცხი, 1 ჭ შაქარი, 100 გ კარაქი, 200 გ არაჟანი, 0.5 ჩ/კ სოდა, 100 გ ნიგოზი, 2ს/კ კაკაო, 1.5 ჭ ფქვილი.

კრემის მოსამზადებლად საჭიროა: 150 გ კარაქი, 1 ქილა ხაჭო და 0.5 ქილა შედედებული რძე.

გლაზურის მოსამზადებლად საჭიროა: 100 გ შოკოლადი, 2ს/კ რძე (შესაძლებელია წყალიც), 1ჩ/კ შაქარი, 50 გ კარაქი.

შაქარი და კვერცხი ავთქვიფოთ. მერე თანმიმდევრობით დავამატოთ კარაქი, არაჟანი, სოდა, კაკაო, ნიგოზი და ყველაფერი ერთად კარგად ავზილოთ. მომზადებული მასა დავასხათ „უარონაზე“ და შევდგათ ჰაერღუმელში. ვაცხოთ 15-20 წუთის განმავლობაში (მისი სისქის გათვალისწინებით) 200-220 გრადუს ტემპერატურაზე.

სანამ ბისკვიტი გამოცხვება, მოვამზადოთ კრემი — კარაქი, ხაჭო და შედედებული რძე ერთმანეთს შევურიოთ და კარგად ავთქვიფოთ.

გამომცხვარი ფირფიტა გავაციოთ და წავუსვათ ხაჭოიანი კრემი. შემდეგ კი მოვამზადოთ გლაზური: რძე, შაქარი, გამლღვალი შოკოლადის ფილა, კარაქი ერთმანეთში ავურიოთ და ავადუღოთ.

ფირფიტას ზევიდან ჯერ კრემი წავუსვათ, მერე კი, მასზე ალაგ-ალაგ გლაზური მოვასხათ. ნამცხვარს შეიძლება მივცეთ ნებისმიერი ფორმა (რომბისებრი, კვადრატისებრი და ა.შ.) და შევდგათ მაცივარში მანამ, სანამ გლაზური არ გამაგრდება. ■

ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი.

1. რა არის ბჯა?
2. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ვერ გაიგებ, ვისი თხლე ვის კასრშია...“?
3. ამ მავნე ჩვევას მარკ ტვენი დიდებულ მანკიერებას ეძახდა.
4. სიცილიაში მოგზაურობის დროს კალიგულა დიდხანს დასცინოდა ადგილობრივ სალოცავებს, სანამ ერთ ღამეს, გრუხუნითა და გრიალით გულგახეთქილს, მესანიდან არ მოუწია გაქცევამ. რა მოხდა იმ ღამეს?
5. დაასახელეთ ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომლის დედაც უელსის პრინცის საყვარელი იყო.
6. რა არის აგალმატოფილია?
7. ეს მხატვარი მექანიკას მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს ეძახდა.
8. დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც საკუთარ სხეულზე ორჯერ უფრო გრძელი ენა აქვს.
9. მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება (საბჭოთა კავშირის დაშლის წინ) უკანასკნელად ოლეგ იანკოვსკისა და ამ მომღერალ ქალს მიანიჭა. დაასახელეთ იგი.
10. „შეუპოვრობით სავსე მზერა მაკედონელის, ლისიპემ სპილენძს შეადუღა. ცოცხლობს ბრინჯაო. ასე გგონია, ზევსს უყურებს, ამბობს ქანდაკი: გქონდეს ოლიმპო, დედამიწის მე ვარ მფლობელი“, — წერდა ასკლეპიადე სამოსელი. ვინ იყო ლისიპე?
11. „იგი უნდა წაიყვანოს კონსტებლ უილიამ კინგსტონმა სასამართლოდან ტაუერში, საიდანაც უნდა გადაიყვანონ ტაიბერნში. იქ სახრჩობელაზე ჩამოკიდონ, სანამ სანახევროდ არ მოკვდება, შემდეგ თოკი გადაჭრან, სასქესო ორგანოები მოჭკვეთონ, მუცელი გაუფატრონ, გამოჰგლიჯონ და დაწვან შიგნეულობა, შემდეგ ოთხად გაკვეთონ და მისი სხეულის ოთხი ნაწილი დაკიდონ ქალაქის კარიბჭეზე, ხოლო თავი გამოკიდონ ლონდონის ხიდზე,“ — ასეთი განაჩენი გამოუტანა სასამართლომ ამ ინგლისელ განმანათლებელს. მოგვიანებით მეფემ სასჯელი შეამსუბუქა და ბრძანა, დამნაშავისთვის მხოლოდ თავი მოეკვეთათ. დაასახელეთ იგი.
12. ცნობილია, რომ ვიღაც ქალმა სოკრატეს ნარეცხი წყალი გადაასხა თავზე. რისი გულისთვის?
13. ეს ფრინველი ჩინელ ზოოფილთა „სისუსტე“ გახლდათ. სექსუალური აქტის დროს, მას ერთი დაკვრით აგდებინებდნენ თავს, რათა მოფართხალე ფრინველისგან მეტი სიამოვნება მიეღოთ.

ანეკდოტები

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ერთი წუთით მეზობელთან გადავალ, გაზქურაზე ლობიოს ვტოვებ,

იხარშება და ყოველ ნახევარ საათში წყალი ჩაამატე.

***

მოსაზრება: დაიბადოს მუნჯი — ეს ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა ქალისათვის.

***

ორი ამერიკელი ტურისტი კოსტარიკაში იმყოფება. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, აქაურები ხელთათმანებს როგორ აკეთებენ? კაუჩუკის ხის წვენში ისველებენ ხელებს, მერე იშრობენ, წვენი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.

— ვაა, მაგარია! ნეტა, პრეზერვატივებს როგორღა აკეთებენ?!

***

პატარა ინდიელი ეკითხება დედას:

— დედი, რატომ ეძახი ჩემს დას ამომავალ მზეს?

— იმიტომ, რომ მზის ამოსვლისას ჩაისახა.

— აბა, ჩემს ძმას რატომ ეძახი ცისფერ ყვავილს?

— იმიტომ, რომ მინდორში, ყვავილებში ჩაისახა. დღეს რაღაც ძალიან ბევრ შეკითხვას იძლევი, გახვრეტილო რეზინავ!

***

ნარკუშა ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:

— რუსთაველზე გამიყვანე.

— რუსთაველზე ვართ, — უთხრა მძღოლმა.

— ვაააა!.. აჰა შენ ათი ლარი და ნელა იარე, თუ ძმა ხარ!

***

ღამის 4 საათზე მიხოს კარზე კაკუნია. მიხო ნამძინარევი ხმით კითხულობს:

— რომელი ხარ?

— ჟან კლოდ ვან დამი.

— აბა, დავაი აქედან, თორე გამოვალ და ოთხივეს თავყბას დაგისიებთ.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:

— გუშინ მეზობელ კაცს დავნებდი.

— სიყვარულით?!

— ჰო, აბა, 100 დოლარი რა ფულია?!

***

ორგანული ქიმიის მთავარი კანონი: თუ 1 კილოგრამ მურაბას და 1 კილოგრამ ნეხვს შევურევთ, მივიღებთ 2 კილოგრამ ნეხვს.

***

ქალის ლოცვა:

— ღმერთო, მომეცი სიბრძნე, რათა მამაკაცს გავუგო, სიყვარული — რათა ვაპატიო და მოთმინება — რათა მის ხუშტურებს გავუძლო. ძალას კი არ გთხოვ, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩება!

***

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ავტომატურად ირთვება ჩანაწერი:

— ძვირფასო მგზავრებო! გთხოვთ, ამოიღეთ პასპორტები, ამოხიეთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსეთ უკანალში. ამ უხერხულობისათვის წინასწარ გიხდით ბოდიშს, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ, გვამების გარჩევისას ძალიან გავწვალდით.

***

— ბუძგურია, შენ მართლა ერთი ძმა გყავს?

— კი.

— აბა, შენი და რას ახურებს, ორი ძმა მყავსო?!

***

— მოშე, რატომ ხარ მოწყენილი?

— გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

***

ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელი ამბობს:

— აბა, ბავშვებო, ამოიღეთ სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები. დღეს უნდა დავხატოთ ცხენი. ჩვენი ქეთინო კი შეეცდება, გაუნძრევლად იჯდეს.

***

მღვდელი და პოლიციელი მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ესაუბრებიან. ხედავენ, ორი კაცი გამწარებით ურტყამს ერთმანეთს. ბოლოს ერთმა დანაც ამოიღო. პოლიციელმა გაშველება დააპირა, მაგრამ მღვდელმა შეაჩერა:

— ჯერ დრო არ არის, შვილო ჩემო!

ბოლოს ერთმა მეორე მოკლა და გაქცევა დააპირა.

— აი, ახლა შეიძლება. მიდი, ერთი შენია, მეორე — ჩემი!

***

— სექსის დროს ჩემი ქმარი ლომივით ბრდღვინავს, მეზობლების ისე მრცხვენია!

— შენც სთხოვე, თავი შეიკავოს.

— ათასჯერ ვთხოვე, მაგრამ მაინც არაფერი ესმის. როგორც კი ვინმესთან შემომისწრებს, მისი ღრიალი მთელ კორპუსს აქცევს!

***

— მე ღვთისნიერი ქალი ვარ, დღეს ერთ ლოთს ათი ლარი ვაჩუქე.

— მერე, ქმარს არ ეწყინა?

— რა უნდა სწყენოდა, ჩაიდო ჯიბეში და დასალევად მოუსვა.

***

ამერიკელი თბილისში სტუმრად ჩამოვიდა. თბილისელი მასპინძელი ქალაქს ათვალიერებინებს. ჩაუარეს ოპერის თეატრს. ამერიკელი ეკითხება:

— რამდენი ხანი მოუნდით ამის აშენებას?

— ორი წელი, — უპასუხა ქართველმა.

— ამას ჩვენ ერთ წელიწადში ავაშენებდით.

ქართველს ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. შემდეგ ჩაუარეს ფილარმონიას. ამერიკელი ეკითხება:

— ეს შენობა რამდენ ხანში ააშენეთ?

ქართველმა იფიქრა — მოდი, მოვატყუებო და უპასუხა:

— ერთ წელიწადში.

— ჩვენ ექვს თვეში ავაშენებდით.

შემდეგ გაუარეს „დინამოს“ სტადიონს.

— ეს რამდენ ხანში ააშენეთ?

— რავი, წეღან რომ გამოვიარეთ, არ იყო!

***

განცხადება: ვასწავლი გერმანულ ენას გესტაპოს მეთოდებით.

***

— ჭიჭიკიას ცოლს ისეთი პატარა მკერდი აქვს, „ზილიონკა“ რომ წაუსვა, მოურჩება!

***

მომაკვდავი ებრაელი შვილიშვილს ეუბნება:

— განძი დავმარხე.

— სად, ბაბუა?

— მიწაში.

— უფრო ზუსტად მითხარი!

— დედამიწაში! მზის სისტემა, მესამე პლანეტა მზიდან!

ჭორნაკის სანასარჯილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ჩალის ზვინი.
2. თამაზ წივწივაძეს.
3. თამბაქოს მოწევის ჩვეულება.
4. ვულკანმა ეტნამ ამოხეთქა.
5. უინსტონ ჩერჩილი.
6. ქანდაკებებისადმი სექსუალური ლტოლვა.
7. ლეონარდო და ვინჩი.
8. ქამელეონი.
9. ალა პუგაჩოვა.
10. ლისიპე ალექსანდრე მაკედონელის კარის მხატვარი და მოქანდაკე გახლდათ.
11. თომას მორი, „უტოპიის“ ავტორი.
12. სოკრატე სწორუპოვარი მოსაუბრე იყო. როცა ათენში ნაცნობს ან უცნობს გამოელაპარაკებოდა, იკლიკანტური კითხვებით აიძულებდა, გულახდილი ყოფილიყო, გადმოეშალა თავისი შინაგანი ბუნება, ცოდნა, ცოდვა თუ დანაშაული. ამით გამწარებულმა ერთმა დედაკაცმა თავზე ნარეცხი წყალი გადაასხა.
13. ბატი.

***

ვალოდია მივიდა ექიმთან. თვალი დალურჯებული აქვს. ექიმი ეკითხება:

— რას უჩივით?

— ფეხებს, ექიმო, ფეხებს! ცოლი გამომეკიდა და დამეწია.

ლამის კიევი

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-44

ზაზა ვაჩნაძე

ანი განაგრძობს ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარეგანი მოებათა გარკვევას ისახავს მიზნად. გამოძიების ვერსიით, იაშვილმა თავი მოიკლა, მაგრამ ანი დარწმუნებულია, რომ მისი მულის, ნუციკოს საყვარელი (და ამავე დროს, მამამთილის, გაიოზის ბავშვობის მეგობარი) მოკლეს. ანი ცდილობს, დაუახლოვდეს გამომძიებელ მურად ოქროპირიძეს და ამგვარად მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ამავე დროს, ქალი თავისი ქმრის, თაზოს ოჯახში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის უნებლიე მონაწილეც ხდება. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაინც ვერ გადააფიქრებინებს ნუციკოს, ლევანის პანაშვიდზე წასვლას. იაშვილის ცოლი პირდაპირ მიახლის მამაშვილს — აქ მოსვლა როგორ გაბედეთო?!. გაიოზი იმდენადაა გაოგნებული, რომ ლამისაა, დამუნჯდა...

იმ საღამოსვე, ნუციკოს დასაკითხად, გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ეწვევა.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ხომ ვერ გაიხსენებდით, როდის შეხვდით ბოლოს ლევან იაშვილს?

ნუციკო სკამზე გადაწვა. თავი მაღლა ასწია და დაფიქრდა. „ჰქონია გემოვნება“ — გაიფიქრა ლევან იაშვილზე მურადმა.

— მე ლევანს სადღაც ერთი კვირის წინ შევხვდი... ალბათ, გინდათ მკითხოთ, რაიმე ხომ არ შევამჩნიე, ხომ არ ნერვიულობდა ან რაიმე ისეთი ხომ არ უთქვამს... იცით, თქვენ მკითხეთ, რაც გაინტერესებთ... — კარზე ზარის ხმა გაისმა. — ერთი წამით, ალბათ, ჩემი ძმაა...

ნუციკო კარის გასაღებად გავიდა. თაზო იყო, რომელსაც ხელში ცელოფანის პარკი ეჭირა. მან ჩურჩულით იკითხა:

— ღრინავს კიდევ?

— რაც უნდა, ის უქნია. მე პროკურატურიდან მომაკითხეს, — ნუციკომ ძმა საქმის კურსში ჩააყენა.

— ჰოო? რა ბებიაჩემისა უნდათ? — დაინტერესდა თაზო.

— ლევანის ამბავი აინტერესებთ. მე რა უნდა ვუთხრა?

— მის ცოლს ჰკითხონ, შენთან რა უნდათ? მიდი და მეც შემოვალ... ეგ ალაპარაკე! ჰო, დააჭირე ენას კბილი, ახლავე შემოვალ... — გააფრთხილა თაზომ.

თაზო სამზარეულოში შევიდა. გაიოზს სიგარეტი ჩაეთავებინა. ახლა იჯდა და თვალებს აბრიალებდა. თან, თაზოს ყველა მოძრაობას აკონტროლებდა. თაზომ პარკიდან არაყი, ლუდის ბოთლები, ძეხვი ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა. შემდეგ ქურთუკი გაიხადა და პირველ რიგში, ბასა მოიკითხა, რომელსაც წიგნის კითხვაში ტახტზე ჩასძინებოდა და გაშლილი წიგნი გულზე ედო. თაზომ ჩუმად გამოკეტა კარი, მერე კი დის ოთახში შევიდა. მის დანახვაზე მურადი წამოდგა.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — ჰკითხა თაზომ მურადს. — მაინტერესებს, უბრალოდ...

— ეს ჩემი ძმაა, თამაზი... — თქვა ნუციკომ.

კაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. „გაგიჟდა ქვეყანა“ — გაიფიქრა მურადმა — „ძმას დის საყვარლობანა აინტერესებს“... და იკითხა:

— გავაგრძელო?

— აბა, რა! — ნუციკომ თავისი ულამაზესი თვალები გამომძიებელს მიაპყრო, — ამ საქმის გახსნით თქვენ ნამდვილად ხართ დაინტერესებული?

— არსებობს რომ საქმე? თუ იმ კაცმა მართლაც თავი მოიკლა... — დაიწყო მურადმა და აღარ დაასრულა.

— თქვენც ასე ფიქრობთ? მაშ, რაღად გინდათ ეს ვიზიტები და დაკითხვის ოქმები? ფორმალურად? — გაიცინა თაზომ.

— მოიცა, თაზო! მოდი რა, შენ ცოტა ხნით გადი... გაიკეტე კარი! — სთხოვა დამ ძმას.

— კი, გენაცვალე! — თაზომ მურადს თვალი ჩაუკრა და კარი გაიკეტა.

— რატომ უნდა მოეკლათ, ვინ მოკლავდა... რისთვის... — განაგრძო მურადმა. — კომპანია კაი ხანია გაყიდა. კონკურენცია გამოირიცხა. არავითარი სამხილი არ არსებობს...

— რომელი კონკურენცია გამოირიცხა, რა სამხილი არ არსებობს? როგორც ვიცი, იმ დეგენერატი დარაჯის მეტი, წარამარა ეკრანზე რომ გამოჰყავდათ, არავინ დაკითხულა. ასე არ არის?

— მაშ ახლა რას ვაკეთებ, დაკითხვაზე არა ვარ? — აღელდა მურადი.

— რა? თქვენ მე მადებთ ხელს? რა სიგიჟეა! — ეწყინა ნუციკოს.

— კაი, თქვენ არ გადებთ ხელს... თქვენ თვითონ გაქვთ ვინმეზე ეჭვი? — თითქოს მოიბოდიშა მურადმა.

— დიახ, მაქვს, ცოლზე. — ცივად მოჭრა ნუციკომ.

— იმიტომ, რომ თქვენი მეტოქე იყო... — გაეცინა მურადს.

— არა! მე შვილს ვაჩენ მისგან. აი აქ, მუცელში, ლევან იაშვილის შვილი მყავს, — ხელი ფრთხილად დაიდო მუცელზე ნუციკომ.

მურადმა, როგორც რაღაც ჯადოქრობას, ისე დაუწყო ნუციკოს მუცელს მზერა.

— ეს ამბავი იაშვილმა იცოდა?

— დიახ, იცოდა და მეცხრე ცაზეც იყო... — სინანულით თქვა ნუციკომ. — არ არსებობს, ის თავს არ მოიკლავდა...

— ბავშვის სქესიც თუ იცოდა?

— როგორ არ იცოდა, ბიჭს ველოდებოდით, — ღრმად ამოისუნთქა ნუციკომ.

— მისმა ცოლმა თუ იცოდა, რომ მისგან შვილი აგყვათ? — აგრძელებდა დაკითხვას გამომძიებელი.

— წარმოდგენა არა მაქვს. ის ცოლზე არასდროს ძრავდა სიტყვას და არც მე ვეკითხებოდი არაფერს. რაში მაინტერესებდა?

— გამორიცხულია, თუ არაფერი იცოდა, მაშინ რატომ მოკლავდა? — დაასკვნა მურადმა.

— რა ვიცი, იქნებ, ნათქვამიც ჰქონდა ლევანს... წინათგრძნობა მქონდა თუ რა...

სულ მეშინოდა, სულ, რომ მოკლავდნენ... — თქვა ნუციკომ.

— ვინ? ემუქრებოდა ვინმე? — იკითხა გამომძიებელმა.

— არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ მართლაც ასე მოხდა... — ჩაილაპარაკა ნუციკომ.

— არაფერი უთქვამს თავის მოკვლაზე ან დეპრესია ხომ არ ჰქონდა?.. — იკითხა ისევ მურადმა.

— რა სისულელეა, სად ეცალა დეპრესიისთვის. რა თავის მოკვლა, მილიონი საქმე ჰქონდა... თან ეს მუცელი... როგორი შეყვარებული იყო...

— მუცელზე?

— ჰო, გაგიჟებული იყო. — თქვა ნუციკომ.

— რა გაარკვიეთ? — შემოალო კარი თაზომ.

— ვერაფერი. — უპასუხა ნუციკომ.

— მაშინ გამოდით, იქით გავაგრძელოთ! — თვალი ჩაუკრა მურადს თაზომ.

— არა, ნუ შეწუხდებით, მე მაინც მეჩქარება, უნდა წავიდე... — უთხრა მურადმა.

— სულ რაღაც ორი წუთით... წახვალთ, აქ არავინ დაგტოვებთ... — შინაურულად უპასუხა თაზომ და მურადს ხელიც კი მოჰკიდა, რომ უარი ვერ ეთქვა. — ვის გაუგონია, ქართულ ოჯახში კაცი შემოვიდეს და ჭიქა არ ასწიოს, ისე წავიდეს?

აბა, თაზო რას წარმოიდგენდა, რა ურთიერთობა ჰქონდა ამ კაცს მის ცოლთან, თორემ იმ არყის ბოთლს, საიდანაც ჭიქას უვსებდა, თავზე არ დააფშვნიდა?

მოკლედ, სამზარეულოში პატარა სუფრა იყო გაშლილი, რომელთანაც გაიოზი ჯერაც კოპებშეკრული იჯდა და რატომღაც ოხრავდა კიდეც.

— არ შემიძლია, ვერ დავლევ, საჭესთან ვარ. — მაშინვე იუარა მურადმა, როგორც კი თაზომ ჭიქა შეუვსო.

— მაშინ მჯდარიყავი იმ საჭესთან, აქ რაღას ამოდიოდი! — მკვახედ მიახალა უცხოს გაიოზმა. — ოჯახში შემოხვედი და ჭიქა არ უნდა ასწიო?

— საქმის გამო გეწვიეთ, დასალევად ხომ არა... — მხრები აიჩეჩა მურადმა.

— მამა, როგორ მსჯელობ, ბატონი მურადი გამომძიებელია. — ნუციკო მამის დაშოშმინებას შეეცადა.

— გამომძიებლები კაცები არ არიან? — არ გაჩუმდა გაიოზი.

— კარგი რა, გაიოზ, წესიერად მოიქეცი! — გამწარდა ნუციკო.

— მე ვიქცევი ცუდად? და საერთოდ, ამ კაცს ვკითხე რაღაც, შენ კი არა! — თქვა გაიოზმა. — რაღაც უცნაური დრო დადგა — ქალები კაცობას იბრალებენ და კაცები სულ „გაპიდარასტდნენ“... ასე არ არის? — ჭიქა მიუჭახუნა მურადის ჭიქას გაიოზმა.

— დღეს ყველა თავის ნაჭუჭში მიძვრება. — თქვა მურადმა ალბათ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

— მაგას გაუცხოება ჰქვია და ისეთი გლობალური პრობლემაა, ამ სუფრაზე ნამდვილად ვერ გადავჭრით. — თქვა თაზომ.

— რაც გავჩნდი, ერთი დედის რძის გემო არ მახსოვს, თორემ მერე? სულ შხამი, შხამი, შხამი... როდემდე? — იკითხა გაიოზმა.

— აუ, ახლა ეს შხამის სადღეგრძელოს დამალევინებს... — თქვა თაზომ.

— მაშ რა ვთქვა, რა? საქართველოს

გადარჩენისა და გაბრწყინებისა დავლიო? მახსოვს კიდევ საქართველო? მახსოვს, რომ ქართველი ვარ? — იკითხა გაიოზმა.

— მაშინ, რაც გახსოვს იმისი დავლიოთ, დედის რძის... — თქვა თაზომ.

— რეებს ამბობთ, კაცებო?! — გადაირია ნუციკო.

— ან თუნდაც შენ, — განაგრძო გაიოზმა. — რას აპირებ, მოაწოვებ ძუძუს მაგ შენს ნაბიჭვარს? — ბოლო-ბოლო თქვა ის, რაც აწუხებდა.

— შენ თვალებს ნუ მიბრიალებ, გაიგე? — წამოხტა სკამიდან ნუციკო. — შეგიძლია მომკლა, ჰო, მომკლა, შვილს კი მაინც გავაჩენ, ვერ ამიკრძალავ! მე ის ბავშვობიდან მიყვარდა, სულ პატარაობიდან, აი, ამხელა რომ ვიყავი... შენ რომ არა, მე დღეს მისი ცოლი ვიქნებოდი და ის ცოცხალი იქნებოდა. ჰო, რას მიყურებ, მამა! აკრძალული რომ მქონდა, იქნებ, მაგიტომაც მიყვარდა სიგიჟემდე. ახლა კი ჩემთვის სულერთია, შეგიძლია, მომკლა...

— რა? — იღრიალა გაიოზმა. — შენ მართლაც მისგან აჩენ შვილს?

— ჰო! — ცივად უპასუხა ნუციკომ.

— გააჩენ და ჩემი ხელით გამოვლადრავ ყელს! — წამოხტა გაიოზი, უჯრა გამოსწია, თავისი დანა ამოიღო და მაღლა აწეული ხელით შემოტრიალდა.

— მამაა! — იღრიალა თაზომ.

— მე თქვენი მამა აღარ ვარ, არა! არც ერთმა აღარ ახსენოთ ჩემი სახელი! — გაიოზმა პიჯაკს წამოავლო ხელი და გარეთ გავარდა.

— აუ, ეს ვინ არი... — თქვა თაზომ და სკამზე მიესვენა. — რა გაუძლებს ახლა მაგას, სანამ შენ შვილს გააჩენ?

— არ დავრეკოთ, პოლიცია არ გამოვიძახოთ? — იკითხა შეშინებულმა მურადმა.

— ვინ? ვინ უნდა გამოიძახოთ? — გაეცინა თაზოს.

— რა ვიცი, ვინმე არ მოკლას... — თქვა მურადმა.

— მოკლას კი არა... — ჩაფიქრდა თაზო. — ეგ რომ მკვლელი იყოს, ჩვენ უნდა დავეხოცეთ, მე და ჩემი და... წავა ახლა, ჯერ ახლომახლო მაღაზიებს მიივლ-მოივლის, გამოელაპარაკება ნაცნობ-უცნობებს, მოიფხანს ცოტა ენას, წააწყდება რომელიმე „საბუტილნიკს“ და ამოვა მერე შინ, უენოდ და უგონოდ... თუ სხვებმა არ მოიტანეს და აქაც არ შეჰყვნენ „ქეიფს“, ხომ კაი და... შესაძლოა, ღამეც გაგვათენებინოს... რაც დედაჩემი წავიდა, აურია... სვამს...

— დაუშლი და ბევრად უარესად იქცევა... — დაამატა ნუციკომ — მთელ ჭურჭელს თავზე დაგვალეწავს ხოლმე...

კარში ნამძინარევი ბასა გამოჩნდა.

— დედა, რომელი საათია? — იკითხა ბიჭმა და თვალები მოიფშვნიტა.

ვასიკო და ანი შავთელის ქუჩაზე, პერფორმანსის გამოფენის პატარა სიუჟეტის ჩაწერაზე მუშაობდნენ. ინტერვიუ ანის უნდა წაეყვანა, ვასიკოს კი, როგორც ყოველთვის — გადაეღო. ახალგაზრდა მხატვრებმა გამოფენა ოფიციალურად გახსნეს, მიკროფონთან ავანგარდიზმის შესახებ ცოტაოდენი ისაუბრეს და შემდეგ, აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ანიმ მიკროფონი მოიმარჯვა და შემდეგი შესავალი გააკეთა:

— ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ქართული მხატვრობა დღეს მეორე სიცოცხლეს განიცდის... ასე ვთქვათ, თავიდან იბადება. ამას დღევანდელი გამოფენაც თვალნათლივ მოწმობს, თუმცა, ის ძალიან განსხვავდება დღემდე წარმოდგენილი სხვა გამოფენებისაგან. ეს გახლავთ პერფორმანსი, სათაურით — „ომი და მშვიდობა“, რომელსაც შეიძლება, ცოცხალი ნახატები დავარქვათ. მაგრამ ალბათ, ჯობს, თავად მხატვრებს გავესაუბროთ... — და ანიმ ვასიკოს ჰკითხა. — ჰა, ხომ მაგარი იყო, ვასო?

— „ჟელეზნი“... — უპასუხა ვასიკომ.

— შენ მანდ იდექი და ვინმეს მოვათრევ. — უთხრა ანიმ ვასიკოს და რესპონდენტის გამოსაჭერად დაიძრა.

ქუჩაში კი ამ დროს „ბრონზაში“ ამოგანგლული, არც ისე სიმპათიური შიშველტიტველი გოგო-ბიჭები უცნაურ პოზებს იღებდნენ, მიწაზე გორავდნენ, კვდებოდნენ და ცოცხლდებოდნენ.

ანიმ იერიში, რა თქმა უნდა, მამრ მაყურებელზე მიიტანა, რომელიც კაფეს წინ, კიბეზე ჩამომჯდარიყო.

— ბოდიში, თქვენ მხატვარი ბრძანდებით? — ეს დასკვნა ანიმ ვაჟის ნიკაპზე მოშვებული წვერის გამო გამოიტანა.

— მე? — ჰკითხა წვეროსანმა ისე, რომ ქუჩისთვის თვალი არ მოუშორებია.

— დიახ... — უპასუხა ანიმ.

— მერე? — შეეკითხა წვეროსანი.

— ხართ მხატვარი? — კითხვა გაუმეორა ანიმ.

— ვთქვათ, ვარ. მერე? — იკითხა ვაჟმა.

— ვთქვათ, რას ნიშნავს? ხართ თუ არა მხატვარი? — ცოტა განერვიულდა ანი.

— „ვთქვათ“ არა ვარ, მერე? — გულგრილად უპასუხა ვაჟმა.

— მე ჟურნალისტი ვარ... — მოახსენა ანიმ.

— მოდით რა, აქ მაინც დაგვასვენეთ. კაცი მოვედი, რომ დავტკბე ჩემთვის და შენ კიდევ ამ მიკროფონს მტენი პირში... „მალიარი“ ვარ, არა ვარ მხატვარი, ახლა? — ხელები აუქნია ვაჟმა.

— მაშ, რაღას მოგიშვიათ ეგ წვერი, ვერ გავიგე... — თავის მხრივ ხელი აუქნია ანიმაც.

— შენ ვინ გკითხავს, მე წვერს ვატარებ თუ ულვაშებს? — წვერიანი სახე ლამის სახესთან მიუტანა ვაჟმა ანის. — მიდი რა, გაიარე... მაცალე რა, მიქელანჯელოს ველაპარაკები... ვინ არი, ტო, რას გადამეკიდა, ე!

ანი იძულებული გახდა, გარიდებოდა.

— მიქელანჯელო... — მაგრად გაუტყდა ანის. ქუჩა მოათვალიერა, რათა აღარ შემცდარიყო და კარგად შეერჩია რესპონდენტი. თმაშეღებილი დაბალი ქალი დაინ-

ახა, რომელსაც პალტოზე წითური მელიის საყელო ეკეთა, ბერეტზე ფარშავანგის ბუმბული ჰქონდა მიმაგრებული, პირში კი ქარვის მუნდშტუკი გაერჭო — სიგარეტით. ანი მივიდა და მიესალმა — გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, გენაცვალე! — უპასუხა დამთვალიერებელმა.

— თქვენ მხატვარი ბრძანდებით? — შეეკითხა ანი.

— არა, არა... მე ექიმი გახლავართ, გინეკოლოგი... თუმცა, ძალიან მიყვარს მხატვრობა და ნახატების კარგი კოლექციაც მაქვს... — უპასუხა ქალმა.

— კოლექციონერი ბრძანდებით? — გაუხარდა ანის.

— თითქმის... — უპასუხა დამთვალიერებელმა.

— შეიძლება, გამოფენის შესახებ რაიმე მოგვახსენოთ? — შეეკითხა ანი.

— რატომაც არა, დიდი სიამოვნებით, — უპასუხა დამთვალიერებელმა.

— მაშინ წამობრძანდით, რა! — ანიმ ქალბატონი კამერასთან მიიყვანა. — აი, აქ დადექით, მე მიკროფონს დაგიჭერთ და თქვენ ისაუბრეთ. დაიწყეთ!

— უამრავი გამოფენა მინახავს, — დაიწყო ქალმა. — უამრავ ქვეყანაში, მაგრამ ნიჭიერების ასეთი ამოფრქვევა, ასეთი ამოუწურავი ფანტაზია, ასეთი ცეცხლოვანი ტემპერამენტი... შეხედეთ, რა სახეებია, რა სიჭრელე, რა სიკაშკაშე... შემიძლია, საათობით ვიდგე ნებისმიერის წინ და ვტკბებოდე... ხშირად მიფიქრია — რას წარმოადგენს შედევრი? და მუდამ ერთი პასუხი მაქვს: ეს არის ღმერთებთან პაექრობა. რა, ასე არ არის?

— ქალბატონო, ესენი ღმერთებთან პაექრობენ? — გაიცინა და საუბარში ჩაერია იქვე მდგომი სამოციოდე წლის მამაკაცი. — საღებავებში ამოთხვრა და შიშველი უკანალებით ასლების ხატვა ასფალტზე, ეს მხატვრობაა?

— დიახ, ეს ყოველივე მხატვრობაში ახალ მიმდინარეობათა წარმოქმნას უწყობს ხელს. — არ დაიბნა გინეკოლოგი...

— როგორ გეკადრებათ, პატრონი არა ჰყავთ, პატრონი... — აყვირდა მამაკაცი. — ეს არც ეროტიკაა და არც პორნოგრაფია, ესაა წმინდა წყლის „ბოზ-ბანდა“ და მეტი არაფერი...

— მე კი მივიჩნევ, რომ ეს რევოლუციაა მხატვრობაში, რომლის შედეგად, ახალი მიმდინარეობის მოწმენი გავხდებით.

— ესენი იმეორებენ, პლაგიატორები არიან, ქალბატონო, ქურდები! — არ ცხრებოდა მამაკაცი.

— ალბათ, თქვენ არც სექსუალური რევოლუცია მოგწონთ და ცოლს ყოველ ნაბიჯზე დასდევთ, ეჭვიანობთ და სიცოცხლეს უწამლავთ, ხომ ასეა? არადა, ევროპამ ასი წლის წინ მოიხადა ეს სახადი და სექსისგან გათავისუფლებული ტვინი, კაცობრიობამ პროგრესისკენ მიმართა.

— კი, კი, ბოზობა, ღალატი, ეს შიშველი ნატურალიზმი და აღვირახსნილი სექსი პროგრესია? კარგით რა, „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“... — დამცინავად ჩაიქირქილა მამაკაცმა.

— მხატვრობაა, ბატონო, მხატვრობა. მე მსიამოვნებს და თქვენ თუ არ გსიამოვნებთ, ბატონო, ნუ უყურებთ, დახუჭეთ თვალები... — ქალმა თვითონ დახუჭა თვალები და გულხელი დაიკრიფა.

— მაგაზეა ლაპარაკი, რომ მაბრმავებთ, ქალბატონო, თვალში ნაცარს მაყრით, ჩვენი საყვარელი მთავრობასავით... — აღელდა ისევ მამაკაცი. — ფული თუ გაქვს დღეს, კვაზიმოდოს აქილევსად აქცევ! ჩვენ იცით, რაში ვართ ყველაზე მაგრები? — ზურგში ტყვიების დახლაში...

— „დავაი“, ავახვიოთ ვასო, თორემ ესენი „დატორმუზებას“ აღარ აპირებენ... — გადაულაპარაკა ანიმ ვასიკოს და მოკამათეებს თავი აარიდეს. — ბედი გინდა, რა! ყველა გიჟი და დამთხვეული მე უნდა შემხვდეს... რატომ ხდება ასე, ვასო?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ნიკო რომ მააააგრად გაახურებს, ეს „იასნია“... — უპასუხა ვასიკომ.

— მეც ავდგები და პირდაპირ მერაბს ვაჩვენებ. — მიუგო ანიმ.

— და ნიკოს თავზე გადაახტები? — განცვიფრდა ვასიკო.

— შენი ჭირიმე, შენ მაინც ნუ მიკითხავ მორალს, — ტუჩი აიბზუა ანიმ. — იატაკის ლურსმანი მაქვს თავში ჩაჭედებული და მაღლიდან მირახუნებენ, ბაახ, ბაახ, ბაახ! ეს ხომ კარგია, არა? დიახ, თუ ვერ გადავახტები, მაშინ გადავალავჯებ. ასეთ ქალაქში მორალს იცი, რა ჰქვია?

— რა ჰქვია? — განცვიფრდა ვასიკო.

— „ბლეფია, ყველაფერი, ბლეფი“... — უპასუხა ანიმ.

— ამ ქალაქში ორ კაცს ვერ ნახავ, ერთნაირად რომ აზროვნებდეს. — ჩამოაყალიბა ვასიკომ.

— „განსაჯე მეჩექმევ, განსაჯე... მხოლოდ ჩექმის ყელს არ ასცდე“. — გაიხსენა პუშკინი ანიმ და ვასიკოს ენა გამოუყო.

— მეზე ამბობ, ტო? — არ სწყენია ვასიკოს. — თორემ, შენ მყავხარ სოკრატე... შენც ჩემსავით „ფრაერი“ ხარ და „ჩერესჩურ“ კონფლიქტურიც.

— იმიტომ, რომ მე „პროფი“ ვარ, ეე, სიმონ!

— კაი, რა! გამიგია: „ცარიელი კასრი ბევრს რახრახებსო“...

— ცარიელი კასრი შენ გაბია მხრებზე. — წამოუსვა თავში ჩანთა ანიმ.

— ნელა, რა! თქვენს ხელში ისედაც ცოტა ტვინი შემრჩა და იმასაც ნუ გამომილაყებ! — ხელი სტაცა ჩანთაზე ვასიკომ.

ანიმ იმდენი მოახერხა, რომ სიუჟეტი, რომელიც სამხატვრო სალონში ჩაწერა და ნიკომ დაუწუნა, სტუდიის გენერალურ პროდიუსერს აჩვენა. მერაბი, რომელიც თავიდანვე გაფრთხილებული იყო ნიკოსგან, ფირის ჩამთავრების შემდეგ ანის მიუბრუნდა.

— ანი, შენ მე უბრალოდ, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ... ყველაფერი გასაგებია... ამაზე უარესებიც გასულა ეთერში... საერთოდ, ნაგავიც... მაგრამ იმის გამო, რომ შენ კომენტატორობაში ცოტა მოიკოჭლებ, რაღაც მიზეზების გამო, შენიშვნები უფრო მშვიდად უნდა მიიღო და აქ დავამთავროთ!

— არ მგონია... — და ანიმ სასწრაფოდ მიმართა თავის აპრობირებულ მეთოდს. ფეხი ფეხზე გამომწვევად გადაიდო ისე, რომ ნახევარი „ბარკალი“ მოიშიშვლა. — სხვებიც მოიკოჭლებენ, მაგრამ თქვენ ყველას თქვენი ფავორიტები გყავთ და ნიჭიერები ვიჭყლიტებით...

მერაბი დასერიოზულდა. ჯერ ანის მოშიშვლებულ ბარძაყს უყურა, მერე მის უტიფარ თვალებს და მშვიდად უპასუხა.

— რომ შეიძლებოდეს, მარტო შენ კი არა, ათ პროცენტსაც არ დავტოვებდი იმათგან, ვინც დღეს ეკრანზე ტლიკინებენ... როგორ აგიხსნა, არსებობს ზოგადი კულტურა, შინაგანი, გარეგანი, ათასნაირი, რაც გინდა დაარქვი...

— რომელიც მე არ გამაჩნია? — ანის ეყო იმდენი თავხედობა, რომ ირონიაც კი ჩაექსოვა კითხვაში.

მერაბი მის შიშველ ფეხს დაჰყურებდა და პასუხს არ აძლევდა. ანიმ კი ჯიბრზე, კიდევ უფრო მეტად მოიშიშვლა ბარძაყები.

— ალბათ, არა. სხვანაირად, შენ ახლა აქ არ ივჯდებოდი... ჰო, ჰო... მარტო ფეხის სილამაზეს და სისქეს კი არა აქვს მნიშვნელობა... მთავარია, შუბლის სისქე და სილამაზეც. ალბათ, გასაგებია, არა? — მკაცრად თქვა მერაბმა.

— გასაგებია, ბოდიში... — თქვა ანიმ, წამოდგა და ამაყად გაემართა კარისაკენ.

— და დაიმახსოვრე, — დაადევნა მერაბმა. — შეუცვლელი არავინაა, ღმერთის გარდა და რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

როცა გამწარებული, გაწითლებული და განრისხებული ანი რედაქციაში დაბრუნდა, სამივე თანამშრომელი ადგილზე დახვდა.

— სად იყავი? — გამომცდელად დააკვირდა ნიკო.

— მე? ბუფეტში, — გულგრილად უპასუხა ანიმ.

— ბუფეტიდან ამწუთას ამოვედი. — თქვა ნიკომ.

— ტუალეტში ვიჯექი, ბატონო ნიკო, ყველაფერი უნდა ვთქვა?

— არა, მე რა ვერ გამიგია, იცი? — გამწარდა ნიკო. — ჩემს ადგილზე სხვა რომ იყოს, შენ როგორ გგონია, თავზე ხელს გადაგისვამდა? რას აიწყვიტე, ვერ გავიგე? ჯერ იყო და ჩემს დასასჯელად, რაღაც ჟურნალისტური ძიება წამოიწყე. მე არაფერს მეკითხები, ისე დააჭენებ, სადაც მოგეპრიანება და როგორც მოგეპრიანება... რა გინდოდა მერაბთან?!

— ისედაც ყველაფერი გცოდნიათ და რაღას მეკითხებით? — სიგარეტს მოუკიდა ანიმ. — თქვენ იმასთან ჩამიშვით და იმან თქვენთან, ხომ?

— კაცი იბრძვი, წვალობ, ცდილობ, რომ დაავადებული მსოფლიო როგორმე გადაარჩინო... — გადავიდა ფილოსოფიაზე ნიკო. — მაგრამ დაიბადება ამ დროს ვიღაც ანი და თუკი რაიმე ოფლი გიღვრია და სისხ-

ლი გაგიღია, ყველაფერი წყალში უნდა ჩაგიყაროს... — და ისევ ანის მიუბრუნდა. — მე დამიკიდე? დამიკიდე. ესენი დაიკიდე? დაიკიდე! ერთხელაც გაიმეორებ და ჩვენც დაგიკიდებთ. აი, ასე დამთავრდება შენი კარიერაც და კარიერისტობაც. გასაგებია? რა მეთოდებია ეს?! — ხელები გაშალა ნიკომ.

ანი მიხვდა, რომ წააგო და ტირილი დაიწყო.

— აღარა მჯერა მაგ შენი ნიანგის ცრემლების... — ზიზღით ჩაილაპარაკა ნიკომ. რაზედაც ანიმ უფრო ხმამაღალი ქვითინით უპასუხა.

იმ საღამოს, ანი მურადს მარჯანიშვილის მოედანზე უცდიდა. ისე ეცვა და ისეთი ვარცხნილობა ჰქონდა, ადამიანი ძნელად იცნობდა. მურადი აგვიანებდა. ანიმ უკვე სამჯერ მაინც გადაურეკა. მოვდივარო — პასუხობდა გამომძიებელი. ანი ცოტას ნერვიულობდა. უკვე ბინდდებოდა. აღმაშენებლიდან ვიღაც ორმა ტიპმა შემოუხვია. მისკენ არეული ნაბიჯით წამოვიდნენ. ქალს ეს არ მოეწონა. გაიფიქრა: კაიფში იქნებიანო. თუმცა არ შეშინებია, კედლისკენ მაინც დაიხია, ცალი ტერფი ზედ მიაბჯინა და კაბა მუხლს ზემოთ ააცოცა. მისი ინტუიცია გამართლდა. უცებ, ეს ტიპები მისკენ მოტრიალდნენ და ისე გაჩერდნენ, რომ ორივე მხრიდან გზა გადაუკეტეს. ერთ-ერთმა მისკენ ხელი გაიშვირა.

— უპატრონო ბავშვებისთვის საქველმოქმედო თანხას ვაგროვებთ, შეგვწიეთ, ცოტა! — თან თვალებში „ნაგლად“ მიაჩერდა.

ანის თვალი მაინც გაექცა. ქუჩა ცარიელი იყო. ერთადერთი ხსნა ის გახლდათ, რომ თუ გააჭიანურებდა, მურადი მოუსწრებდა.

— ბიჭებო, მე რისთვის ვდგავარ აქ, რა გგონიათ? — მშვიდად შეხედა ანიმ ბიჭებს და ჩანთის ქნევა დაიწყო. — მიდით, რა, გაიარეთ. ჯერ ერთი კლიენტიც ვერ დამიჭერია.

— დროზე, ახლა! — გამოცრა უცებ კბილებში მეორემ და ანის ეგრევე სილა გაულაწუნა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ანი წამით გაითიშა. თუმცა, გონს მალე მოეგო და იგრძნო, რომ მის ჩანთას ვიღაც ექაჩებოდა. ანიმ ჩანთა არ დაანება, ის კი არა და, მთელი ძალით მოუქნია და მოკასინის ცხვირი მოძალადეს შიგ ყვერებში ამოსცხო. ბიჭმა — ვაი, დედაო! — დაიძახა და სარცხვინელზე იტაცა ხელი. ამ დროს, რამდენიმე ტყვია ერთდროულად გავარდა. სროლის ხმა იმდენად ძლიერი იყო და ისე ახლოს გაისმა, რომ ანიმ გაიფიქრა: მომკლეს, ამ ნაბიჭვრებმაო და მურადის მაღლა შემართული ხელიც დაინახა. მერე კი იმასაც მიადევნა თვალი, თუ როგორ გარბოდნენ სხვადასხვა მხარეს თავდამსხმელები და ხელები ჩამოუვარდა.

— სად იყავი აქამდე, მთელი ხელფასი ჩანთაში მიდევს და მობილურიც... ნაბიჭვრები! — საყვედურს ეს ბოლო სიტყვაც დააყოლა. უკანალის რხევით, ფეხსაცმლის კაკუნით შემოუარა მანქანას, წინა კარი გამოაღო და ჩაჯდა. მერე სარკე თავისკენ მიატრიალა და ჩაიხედა.

— ნახე, ხუთივე თითი მატყვია. — უჩვენა თავისი ლოყა ანიმ მურადს, რომელსაც იარაღი ჯერ ისევ ხელში ეჭირა.

— და რატომ უძალიანდებოდი, რატომ? არ იცი, რომ ეგრევე უნდა მიაშავო, თუ რაიმე გაქვს? მეც კინაღამ შარში გამხვიე! — უთხრა გამომძიებელმა.

— არ ვიცი, რა ჯანდაბა დამემართა, რაღაც საზიზღრად არ მომეწონა ის ტიპები, თორემ ჩანთას მივუგდებდი, დედას ვფიცავარ! — დაიფიცა ანიმ ისე, თითქოს ფიცი დაეჯერებოდა.

— რაც იყო, იყო... გადავრჩით, დავივიწყოთ. — თქვა მშვიდად მურადმა და იარაღი „ბარდაჩოკში“ ჩააგდო.

— სანამ ნათითურები მეტყობა, ეს ამბავი რანაირად დავივიწყო? — გაიკვირვა ანიმ.

— გინდა, გაკოცებ და მოგირჩება. — გაიცინა მურადმა.

— დაგახველებს. — გამოცრა ანიმ.

— მაგრად კი ჩაზმანულხარ, სად მივდივართ? — იკითხა მურადმა.

— ჯერ ყვავილები უნდა ვიყიდო. არ იცი, სადმე, ახლოს, ყვავილების მაღაზია? — შეეკითხა ანი.

— ახლოს არა და შუა აღმაშენებელზე არის ერთი მაღაზია, დაბლა როა ჩასასვლელი. — უთხრა მურადმა.

— წავედით! — თქვა ანიმ.

— სად მივდივართ, რომ? — დაინტერესდა მურადი.

— მაგას ყვავილებს რომ ვიყიდი, მერე გეტყვი.

— არა! სანამ არ მეტყვი, არსადაც არ წავალთ! — ბრძანა გამომძიებელმა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, რომ? — გაუკვირდა ანის.

— რა? რას არა აქვს მნიშვნელობა? მეცხრედ თუ მეათედ ვხვდებით ერთმანეთს და ჯერ ერთხელაც არ მიკოცნია შენთვის... ძილშიც და ცხადშიც შენი ძუძუები მელანდება. მაშინ რაღას მაგიჟებდი, ვერ გავიგე... — გამოამზეურა თავისი სურვილი მურადმა.

— ცუდია მერე? გამოდის, რომ გიყვარვარ...

— მიყვარხარ კი არა... — არ დაამთავრებინა მურადმა.

— აი, ხედავ? ერთი წამის წინ მახუჭუჭებდი — ცხადშიც და ძილშიც შენ მესიზმრებიო...

— შენ კი არა, ძუძუები-მეთქი, შენი ძუძუები! — გაბრაზებით თქვა მურადმა.

— აა, შენ ის გინდა მითხრა, რომ დედასავით გიყვარვარ? — ხუმრობის ხასიათზე დადგა ანი.

— არა, არა! კი არ მიყვარხარ, მინდიხარ, როგორც გიჟს, მხეცს, ნადირს, ვეფხვს, ველურს...

— ჰო, არა? პაპუასივით გინდა დამკლა, შემწვა და შემჭამო, არა?

— ერთი მაკოცნინე, რა, ფისო, მარტო ერთი! — და მურადმა ანის მხარზე გადახვია ხელი.

— ფისო? ფისო არა — ციცა... აიღე ეს ტორი აქედან. დიახ, მართალია, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი გახლავარ, მაგრამ ფისო კი არა, „პანტერა“ ვარ, „პანტერა“! — და ანიმ მურადს მხეცივით შეუღრინა. მურადი შიშისგან დაპატარავდა, საშინელებათა ფილმში ხომ არ მოვხვდიო? — გაიფიქრა, — რადგან ანი, მართლაც რაღაც პატარა, საშინელ მხეცს დაემსგავსა..

— ღმერთო, შენ მიშველე! — ესღა წამოსცდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

ყვავილების მაღაზიასთან გააჩერეს და ყვავილების საყიდლად ორივენი გადმოვიდნენ.

— აი, ის წითელი მიხაკები რა ღირს? — თითით ანიშნა ანიმ გამყიდველს.

— ლარი. — გულგრილად უპასუხა გამყიდველმა.

— შავზოლებიანი?

— ორი ლარი.

— მომეცით. ხუთი ცალია, ხომ? — იკითხა ანიმ.

— ათი ლარი. — ლამაზად შეუხვია და გადმოაწოდა ყვავილები გამყიდველმა. ანიმ გამოართვა და მურადს შეხედა — რატომ არ იხდიო.

— მე უნდა გადავიხადო? — გაიოცა მურადმა. ანიმ ტუჩი აიბზუა. მურადმა სასწრაფოდ გადაიხადა.

— ახლა, საით? — იკითხა მან, როგორც კი მანქანაში ჩასხდნენ.

— ვაკეში, ლევან იაშვილის პანაშვიდს უნდა მივუსწროთ.

— პანაშვიდს უნდა მივუსწროთ? რა მინდა პანაშვიდზე?! მე მეგონა, სადმე ბაითში ან სადღაც დაბადების დღეზე მიგყავდი... — ისე გაცხარდა, ლამის საჭე დაამტვრია მურადმა.

— იცი, რას გეტყვი? შენ არ გინდა, რომ ეს საქმე გამოიძიო და მე კი, სანამ მკვლელებს იქ არ დავაბინავებ, სადაც იმათი ადგილია, ვერ ჩაგაპროშტნინებ თავს, ვერა! — გამოუცხადა ანიმ.

— გასაგებია, თუ მკვდარს მაგ მიხაკებს მიართმევ, მაშინვე მკვლელის ვინაობას დაგისახელებს, ხომ?

— შენ რა იცი, რომ არ დამისახელებს?

— არა, შენ კი... გეტყვის, როგორ არ გეტყვის, რა თქმა უნდა, გეტყვის... — ხუმრობის ხასიათზე დადგა მურადი.

— კარგი, პანაშვიდის მერე ხელზე გაკოცნინებ. აი, ნახე, რა ლამაზი მტევანი მაქვს. — ანის მართლაც ლამაზი მტევანი ჰქონდა — ოდნავ პუტკუნა, ისეთი, ქირომანტები მეძავის მტევანს რომ ეძახიან.

— მმმუუ! — ამოიღმუვლა მურადმა და მანქანა დაძრა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არაბთა სარდალი - ქრისტიანული წესით მონათლული და ნეტარ მამა ნეოფიტედ მოვლენილი...

10 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია მლვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელს იხსენიებს. იგი მოწამებრივად VII საუკუნეში აღესრულა. წმინდა ნეოფიტეს ნეშტი შიომღვიმის მონასტერში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სამხრეთის სვეტთან განისვენებს...

მორენა მერკვილაძე



VII საუკუნეში ამირა მუმნის ბრძანებით, საქართველოს სარკინოზთა ურიცხვი ლაშქარი დაესხა თავს, მათ აჰმადი სარდლობდა. სარკინოზებმა ქართლი დაიპყრეს და აჰმადის ბრძანებით, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან დაბანაკდნენ. ორი მხედართმთავარი — ომარი და ბურული მდინარე მტკვარს ჩაჰყვნენ. სოფელ ციხედიდთან მისულებმა, მდინარის გაღმა, სარკინეთის კლდეებში გამოკვეთილ მღვიმეებს მოჰკრეს თვალი, სადაც წმინდა შიო მღვიმელის მიერ დაარსებული შიომღვიმის მონასტერი მდებარეობდა. ომარმა და მისმა თანმხლებმა იფიქრეს — როგორც ჩანს, ქართველებს იქ ოქრო-ვერცხლი და ძვირფასეულობა აქვთ გადამალულიო და გადაწყვიტეს შეემოწმებინათ, თან მისი გაძარცვისთვის მომზადებულიყვნენ. მტკვარში ფონი მოძებნეს, მაგრამ მდინარის გადალახვა ვერასგზით მოახერხეს. მთელი დღე მდინარის გადალახვას ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. რაღაც უხილავი ძალა არ უშვებდა მათ წინ. შეშინებულმა ომარმა და მისმა თანმხლებმა მხედართმთავარმა ერთ-ერთი ქართველი ტყვე იხმეს და გამოჰკითხეს, რა იცოდა მდინარის გაღმა, სარკინეთის მთებში გამოკვეთილი მღვიმეების შესახებ: იქ სასწაულმოქმედი მამის, ნეტარი შიოს მიერ შემოკრებილი ბერები — ღვთის კაცები მკვიდრობენო, — მიუგო ტყვემ. არაბთა მხედართმთავრები თავიანთ სარდალთან გაბრუნდნენ და ნანახისა და მოსმენილის შესახებ ყოველივე აუწყეს. აჰმადმა ჯერ საყვედურებით აავსო ქვეშევრდომები, შემდეგ კი გადაწყვიტა მონასტერში თავისი მხედართმთავარი — ომარი წარეგზავნა, თან ძღვენი გაეტანებინა. მართლაც ასე მოიქცა, შიომღვიმის მონასტრისკენ მიმავალ ომარს დიდძალი საბოძვარი გაატანა: საზრდელი, ტანისამოსი, ოქრო-ვერცხლი, საკმეველი და სხვა.

ნობათით დატვირთულმა ომარმა ახლა უკვე ადვილად გადალახა მტკვარი. როდესაც მონასტრის კარიბჭეს მიადგა, საოცარი რამ იხილა: მონასტრის გარშემო ურიცხვი მხედრობა ირეოდა, მათ შორის საოცრად სათნო და მშვენიერი შესახედაობის მოხუცი ბერი მიმოდიოდა და მხედრებს განამტკიცებდა. როდესაც ხილვა გაქრა, ომარმა მონასტერში მოღვაწე ბერებთან მონა წარგზავნა და მისი პირით მონასტერში შესვლის ნება ითხოვა, თან სულთნის სახელით უსაფრთხოების პირობა მისცა. ბერებმა არაბთა მხედართმთავარი მონასტერში შეიყვანეს — ომარმა მათ წმინდა შიოს საფლავთან მიყვანა სთხოვა და დიდხანს ილოცა თავიანთი რჯულისამებრ ნეტარი მამის საფლავთან. შემდეგ მონასტერში მოღვაწე ბერებს იმ ხილვის შესახებ მოუთხრო, რომელიც მონასტერში შესვლის წინ იხილა: „ვიხილე უხილავნი ძალნი მონასტრის გარშემო, მხედართა სახით ჰაერში, რომ მიმოდიოდნენ და ამ წმინდა ადგილს იცავდნენ. ვეჭვობ, ღვთის ანგელოზნი უნდა იყვნენ. მათ შორის ერთი მხცოვანი მონაზონია, ის კი თქვენი მოძღვარი უნდა იყოს“. ამასთან ერთად ისიც დასძინა, რომ მდინარის გადალახვა ვერასგზით მოახერხა. ბერები მიხვდნენ, რომ ეს სასწაული წმინდა შიოს ძალითა და მადლით აღესრულა — ბერებმა ადიდეს ღმერთი და წმინდა მამა და ომარს უთხრეს — წმინდა შიო მარად ჩვენი მცველი და მფარველიაო. არაბთა მხედართმთავარს სურვილი გაუჩნდა, რომ სამუდამოდ მონასტერში დარჩენილიყო, მაგრამ იმ დღეს ეს ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ კვლავ თავის სარდალთან გაბრუნდა. წასვლის წინ ბერებს აღუთქვა, რომ ქრისტიანული წესით მოინათლებოდა და ბერად აღიკვეცებოდა, რადგან მისი სული სხვას არას ითხოვდა. მისი ერთადერთი სურვილი მართლაც მალე ახდა: ერთი თვის შემდეგ ომარი, თავის ორ ერთგულ მონასთან ერთად სარკინოზთა ლაშქრიდან გამოიპარა, შიომღვიმის მონასტერში მივიდა და მოინათლა, მალე ბერადაც აღკვეცეს და სახელად ნეოფიტე უწოდეს, რაც ახალ ნერგს ნიშნავს.

მამა ნეოფიტე დროს ძირითადად ლოცვაში ატარებდა. მარხვით, სინანულითა და თავმდაბლობით, იმდენად განიწმინდა სული და სხეული, რომ უფლისგან სასწაულთა ქმნის ძალა და მადლი ებოძა. მის მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ ქართლის პატრიარქს, სამოელსაც ესმა, თავისთან იხმო სულიერებით გამორჩეული მამა, როდესაც მისი საღმრთო მოშურნეობა იხილა, ურბნისის ეპისკოპოსად დაადგინა. სწორედ ურბნისში მოღვაწეობიდან მომდინარეობს მისი ზედწოდება — ურბნელი.

ეპისკოპოსის პატივმა კიდევ უფრო მეტი თავმდაბლობა შესძინა ნეტარ მამას. მოდომებით და დაუღალავად იღვწოდა თავისი სამწყსოს სულიერი სრულყოფისა და ქრისტიანულ რჯულში განმტკიცებისათვის. მისი ეპისკოპოსობის დროს ურბნისის ეპარქიაში ცეცხლთაყვანისმცემლებიც სახლობდნენ, რომლებმაც მამა ნეოფიტეს განადგურება განიზრახეს. მალე მოახერხეს კიდეც — შუაღამისას ფარულად დაესხნენ თავს და ქვებით ჩაქოლეს. წმინდა ნეოფიტე ხშირად შენატროდა სტეფანე დიაკონის სიკვდილს, რომელიც ქვებით ჩაქოლეს ჭეშმარიტი რჯულის ქადაგებისთვის. ქრისტიანობის პირველ საუკუნეში, სტეფანე იყო ერთ-ერთი იმ შვიდ დიაკონთაგანი, რომლებსაც სულთმოფენობის — მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის შემდეგ, მოციქულთა ხელდასხმით ახალდაარსებული ქრისტეს ეკლესიის მართვა-გამგეობა დაევალათ. სტეფანე დიაკონი განსაკუთრებული ძალისხმევით ქადაგებდა ღვთის სიტყვას. ადამიანებს აუწყებდა, რომ მოსეს რჯული, რომელიც მოქმედებდა „ძველი აღთქმის“ დროს, აღსრულდა ქრისტეში და ამით „ძველი აღთქმის“ ეკლესიის მისია დასრულდა. მას ბრალი დასდეს, თითქოს ღმერთს გმობდა და მოსე წინასწარმეტყველს შეურაცხყოფდა. იუდეველთა სინედრიონის მომხრეებმა, რომლებიც გააფთრებით იბრძოდნენ ახალდაარსებული ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ, წმინდა სტეფანე შეიპყრეს, ქალაქგარეთ გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. სტეფანე იყო პირველი ადამიანი, ვინც ქრისტესთვის, მისგან ნაუწყები ჭეშმარიტების ქადაგებისთვის ეწამა, ამიტომაც იწოდება პირველმოწამედ.

როგორც მოგახსენეთ, ნეტარი მამა ნეოფიტე ხშირად ნატრობდა წმინდა სტეფანე პირველმოწამის მსგავს აღსასრულს. ასე აღესრულა კიდეც. ერთხანს მისი წმინდა ნეშტი ურბნისში განისვენებდა, მოგვიანებით კი — შიომღვიმის მონასტერში გადააბრძანეს და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ■

ის ქართველი მსახიობის ოჯახში დაიბადა. მასში დედამ 3 წლის ასაკში აღმოაჩინა სიმღერის ნიჭი და პიონერთა სასახლის ვოკალურ წრეზე მიიყვანა, რასაც გოგონების ანსამბლ „მზიურში“ აქტიური და ნაყოფიერი წლები მოჰყვა. მომავალში მსახიობობა გადაწყვიტა, თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა და ამჯერადაც გაუმართლა — დიდი რეჟისორის ჯგუფში მოხვდა; თეატრშიც მიხეილ თუმანიშვილის გვერდით აღმოჩნდა... მერე, ქართული სერიალების ერთ-ერთი ვარსკვლავიც გახდა... დღეს, მუსიკისა და დრამის თეატრში საპრემიერო სპექტაკლები აქვს — ეკა კახიანი მარლენ დიტრიხის როლს ასრულებს. მაყურებელი ამ სპექტაკლის მიმართ ინტერესს იჩენს. ეკამ დიტრიხამდე ბევრი იარა. ის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე თავისებურად იცვლებოდა. მე კი, მის ამ ცვალებადობას ფოტოების საშუალებით მივადევნე თვალი. ვფიქრობ, მარლენ დიტრიხი მის კარიერაში ერთ-ერთი სერიოზული მეტამორფოზის გამოხატულებაა...

_ marlen ditrixamde

ქართველი დიტრიხი
გერმანელებს გერმანიაში მიჰყავთ

_ ლალი ფაცია

— ბავშვობაში საშინლად ცელქი, მოძრავი და აქტიური ვიყავი. „მზიურელები“ აუტანელს მეძახდნენ. გარდატეხის პერიოდში რადიკალურად შევიცვალე — დავდინჯდი, დავწყნარდი...

— პრანჭია თუ იყავი, სარკესთან ტრიალი თუ გიყვარდა?

— არა. გაპრანჭვა დღემდე არ მიყვარს. სარკესთან ზომიერად „ვურთიერთობ“, ისე, როგორც ყველა ნორმალური ქალი. ზედმეტი არაფერი მიყვარს.

— არადა, ალბათ, ბავშვობაში, „მზიურის“ გამო, მუდმივად გთხოვდნენ ფორმაში ყოფნას, რადგან ხშირად გიწევდა სცენაზე ასვლა.

— ხელმძღვანელი ასე მეძახდა: Ты гадкий утёнок среди белых лебедей! მაშინ, როდესაც თეთრი წინდა ან ფეხსაცმელი უნდა ჩამეცვა, კონცერტზე შავით მივდიოდი. ყველას ერთნაირად ეცვა, მე, ჩემი დაუდევრობით გამოვირჩეოდი. ეს სურათებშიც კარგად ჩანს. თუმცა, ფოტოზე, რომელიც ჩვენ წინ დევს, რატომღაც, სერიოზული სახე მაქვს, რაღაც უჩვეულოდ მოწესრიგებული ვჩანვარ *(იცინის)*, არ ვიცი — რატომ.

— მორიგი ფოტო, რომელიც შენი სურათების დათვალიერებისას შევარჩიე, მგონი, სტუდენტობის პერიოდისაა, არა?

— დიახ. მაგ ფოტოზე სტუდენტი ვარ და ის ერთ-ერთი ფილმის სინჯებისთვის არის გადაღებული. კარგი სტუდენტობა მქონდა. მომწონს ეს ფოტო და შესაბამისად, ჩემი თავიც ამ ფოტოზე. აქ რაღაც სერიოზული, დამშვიდებული და დაფიქრებული ვარ. თან, უკვე სტუდენტობისას, საკუთარ გარეგნობაზე დავიწყე ზრუნვა, რაც ადამიანისთვის აუცილებელია (დღეს სახლიდან გარეთ მოუწესრიგებელი არასდროს გავალ, ეს უკვე ჩემს ხასიათშია)... მინდა ვთქვა, რომ 18 წლის ასაკში, ჩემს ცხოვრებაში საშინელი რამ მოხდა — ძმა დამეღუპა. ამის შემდეგ ხასიათი შემეცვალა, არ ვლაპარაკობდი, ცხოვრება აღარ მინდოდა, ჩემს თავში ჩავიკეტე. ჩემი ძმის ამ ქვეყნიდან წასვლა ჩემთვის დღემდე მოუშუშებელი ჭრილობაა...

— სტუდენტობის შემდეგ „მზიურელი“ მეგობრები (შენ, მაია ჯაბუა, თამრიკო ჭოხონელიძე) ისევ შეიკრიბეთ, ტრიო შექმენით. მაშინ რა ცვლილებები მოხდა შენში?

— „მზიურის“ პერიოდი რომ დამთავრდა, ჩემს ცხოვრებაში რაღაც დიდი სიცარიელე გაჩნდა. სცენა, მეგობრები, კონცერტები, გასტროლები მენატრებოდა. ამიტომაც გაჩნდა ტრიოს შექმნის იდეა. კარგი ტრიო გამოგვივიდა. უხდებოდა ჩვენი ხმები ერთმანეთს, რადგან ბავშვობიდან შეხმატკბილებულები ვიყავით. დღეს ეს ტრიოც უკვე განვლილი ეტაპია.

— ეკა, მოგვიანებით თამაშობდი კინომსახიობის თეატრში, სპექტაკლში — „ზაფხულის ღამის სიზმარი“, რადგან როგორც ჩანს, პროფესიამ თავისი მოითხოვა, არა?

— „ზაფხულის ღამის სიზმარი“ — ჩემი საყვარელი პედაგოგის, მიხეილ თუმანიშვილის ულამაზესი სპექტაკლია. იმ დროს, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე ომი მძვინვარებდა, ჩვენ თეატრში ამ სპექტაკლზე ვმუშაობდით. ეს მაშინ ხსნის ერთადერთი გზა იყო. შექსპირის ფესტივალზე რომ ვიყავით, ინგლისელები წერდნენ: მაშინ, როდესაც ქალაქის ცენტრში ომი მიმდინარეობდა, მიხეილ თუმანიშვილი საოცარ სპექტაკლს დგამდაო.

— ფოტოალბომის თვალიერებისას შევნიშნე, რომ თითქმის ყველა ეტაპზე, თმის ვარცხნილობას იცვლიდი, ასევე იცვლიდი ფერსაც...

— კი, მართალია. ერთი და იგივე ვარცხნილობა მბეზრდება. რაც შეეხება თმის ფერს, — ერთხელ შავად შევიღებე და მივხვდი, რომ ახალგაზრდამ შავად თმა არ უნდა შეიღებოს, ეს მისთვის არაბუნებრივია. ამას პარიზში ყოფნი-

ერთი და იგივე ვარცხნილობა მბეზრდება

სას მივხვდი: იქ თითქმის ყველა, ღია ფერის თმას ატარებს. ამიტომ, საფრანგეთიდან ჩამოსულმა, თმა სასწრაფოდ გადავიღებე. ისე, თმას არ ვემდური, კარგი ხარისხის, მორჩილი თმა მაქვს.

— წარბებს თუ უვლი? შენი მეგობარი ია ფარულავა ამ საქმით სერიოზულად იყო გატაცებული. წარბების ფორმებიც კი შექმნა. ის მეგობრებისა და ახლობლების წარბებზეც ზრუნავდა. შენზე არ უზრუნია?

— ჩემი წარბების ფორმა არ მომწონს. ვერასდროს დავიყენე ჩემთვის სასურველი ფორმა. ბავშვობაში თურმე, როგორც დედაჩემი ამბობს, დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ მქონდა წარბები... ახლაც, წვრილი წარბები მაქვს. ერთხელ მეც გავები ია ფარულავას ხაფანგში. მან თავისი ინსტრუმენტები გამოიტანა და წარბები გამისწორა, მათ შესაბამისი ფორმა მისცა. ამის მერე, მათ კორექციაზე ხან თვითონ ვზრუნავ, ხან — სალონში მისწორებენ. თუმცა, საკუთარი წარბებით, ხომ ვამბობ, მაინც, დიდად კმაყოფილი არა ვარ.

— აქსექსუარები — სათვალე, ყელსაბამი, ბეჭედი, საათი — თავისებურად ცვლის ადამიანს, მის იერს გარკვეულ შტრიხებს სძენს...

— ჩემი მთავარი აქსესუარი საათია, რის გარეშეც არ გავდივარ სახლიდან. ძალიან მომწონს კარგი საათები. ყოველთვის მქონდა და მაქვს კარგი ფირმის საათი. ახლა, დიდი კომპასივით საათი მიკეთია. სათვალეს ხშირად არ ვიცვლი. არც დიდი კოლექცია მაქვს. ყოველ სეზონზე ახალ სათვალეს ვიძენ. მიყვარს ოქროს სამკაულები — ბეჭედი, სამაჯურები; ყელსაბამს ვერ ვეგუები.

— სერიალებმა, კერძოდ — ლელა დეკანოსიძის როლმა რა შეგძინა, როგორ შეგცვალა?

— ლელა აგრესიული, საშინელი ქალი იყო. ესვა წითელი პომადა, საკმაოდ ჯხეში მაკიაჟი ჰქონდა (ცხოვრებაში წითელი პომადა არასდროს წამისვამს). ეს ქალბატონი, როგორც პერსონაჟი, ყველა კატეგორიის მაყურებელმა მიიღო და მივხვდი, რომ შეიძლებოდა მასზე მუშაობა. ამ როლმა დიდი პოპულარობა, ხალხის სიყვარული მომიტანა.

— საპროდიუსერო კომპანია „არტ იმედის“ წევრიც იყავი. ეს კომპანია რას ითხოვდა შენგან? და მან რა კვალი დატოვა შენზე?

— „არტ იმედის“ პერიოდი კარგად მახსენდება. კონცერტებზე გამოვდიოდი და ვმღეროდი, აქტიური ვიყავი, როგორც მომღერალი. ჩემს რეპერტუარს სიმღერები შეემატა. ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— მორიგ ფოტოზე გვარიანი „ზაგარი“ გაქვს. როგორ ფიქრობ — „ზაგარი“ გიხდება?

— ყველას უხდება. „ზაგარი“ რაღაცნაირ, ჯანმრთელ იერს აძლევს ადამიანს, შინაგანადაც გმატებს სტიმულს, რომ კარგ განწყობილებაზე იყო. ზაფხულობით ასე გამოვიყურები ხოლმე.

— „ზაგრის“ მისაღებად, სოლარიუმს ხშირად აკითხავ?

— არასდროს. არ მიყვარს სოლარიუმი, მეშინია. ის კი არა, მზეზე ყოფნითაც თავს დიდად არ ვიკლავ.

— ბოლო სასცენო სახის — მარლენ დიტრიხის შექმნამდე, თეატრში საკმაოდ დიდი პაუზა გქონდა. ამის გამო, როლის მზადებისას დამატებითი სიძნელეები არ განგიცდია?

— ჩემი პედაგოგისა და რეჟისორის — მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ გადავწყვიტე, რომ თეატრში მუშაობა დავამთავრე. ვერ წარმომედგინა, თუ კიდევ ვინმესთან ვიმუშავებდი. თან, სცენის შიშიც გამიჩნდა... ახალ სპექტაკლზე მუშაობისას, საბოლოოდ მივხვდი, რომ სცენაზე დგომა არცთუ ისე საშიში ყოფილა, ამ დროს უდიდეს სიამოვნებას იღებ. თან გამიმართლა — არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად ვმუშაობდი, ესენი არიან: დათო დოიაშვილი, ნიკა მემანიშვილი, კოტე ფურცელაძე, კოსტიუმების მხატვარი ანანო მოსიძე; ნინო ლაპიაშვილმა არაჩვეულებრივი ფილმი გადაიღო, რომელიც სპექტაკლშია ჩართული; თამრიკო ფოცხიშვილს სცენოგრაფია ეკუთვნის. ზოგადად, თეატრში ყველა ის პირობაა შექმნილი, რომ თავი კარგად ვიგრძნო და ვიმუშაო. ჩემთვის რაღაც, ძალზე ახლობელი გახდა მარლენ დიტრიხის ხმის ტემბრი... ამ სპექტაკლზე მუშაობის დაწყება ჩემთვისაც და რეჟისორისთვისაც სახიფათო იყო, რადგან საკმაოდ ძლიერი ქალის სახე უნდა შექმნილიყო.

— ამბობენ, რომ დიტრიხს მართლაც, ჰგავხარ.

— შიშით, ფრთხილად, ფაქიზად და ნაზად მივეპარეთ ამ პერსონაჟს...

— ფილმი ახსენე. მისი გადაღებისას, გარეგნული იერის რადიკალური შეცვლა მოგიხდა. ადვილად დათანხმდი ამაზე?

— თმა მთლიანად უნდა გამექერავებინა. შემიძლია გითხრა, რომ ამისთვის, საკუთარი თმა გავწირე. მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა შანსი, რომ დიტრიხი იყო. ამიტომაც გავრისკე და მუქად შეღებილი თმა მოულოდნელად გავიქერავე. ამ პროცესს თვეები სჭირდება ხოლმე. დათო დოიაშვილმა ამის გაკეთება ერთ კვირაში მოითხოვა. ამ მსხვერპლის გამო, თმა კინაღამ გამცვივდა. ქალი, რომელიც თმას მიღებავდა, ტიროდა — ვეცოდებოდი...

— გარეგნულად რომ დაემსგავსე, თქვენ შორის შინაგანი მსგავსებაც თუ არის?

— უძლიერესი ქალი იყო. მისი დროის ყველა მამაკაცის რჩეული გახლდათ, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და პოპულარული ვარსკვლავი. მეორე

მსოფლიო ომის დროს, ის ანტიფაშისტურ პროპაგანდას ეწეოდა. სხვათა შორის, ინტერესს იჩენდა ქალების მიმართაც... ერთ-ერთმა პირველმა ჩაიცვა მამაკაცის კოსტიუმი, თავისებური ჩაცმის სტილიც შექმნა. დიტრიხი ქალი-ლეგენდა გახლდათ. მე მას როგორ შევედრები და გავუტოლდები?..

— მის როლში ყოფნა არ გღლის?

— ძნელია, მაგრამ თუ ბოლომდე არ დაიხარჯე, არაფერი გამოვა. ხალხი სპექტაკლზე, შოუსა და მიუზიკლის სანახავად მოდის, მაგრამ ჩვენ დრამატული წარმოდგენა გამოგვივიდა, რაც დიდ ენერგიას მოითხოვს; ამავე დროს, ბედნირებაა, როდესაც შეგიძლია, ბოლომდე დაიხარჯო. მაყურებლისგანაც საოცარი მუხტი მოდის. ის სერიოზულ ინტერესს იჩენს და ბილეთები ორი კვირით ადრე იყიდება.

— სიმღერებს გერმანულად ასრულებ. როგორც ვიცი, ამ ენას არ ფლობ...

— როდესაც თავიდან მოვისმინე დიტრიხის მიერ შესრულებული სიმღერები და ტექსტების სწავლა დავიწყე, ისე, როგორც ის გამოთქვამდა, ყველაფერი ცალ-ცალკე ამოვწერე. ამასთანავე, გერმანისტთანაც მივედი, რომ მას შეესწორებინა ჩემთვის გამოთქმა. როცა მუშაობა დავიწყეთ, მიხვდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. საბოლოოდ, მაინც ასე გადავწყვიტე — როგორც მესმოდა, ისე მესწავლა და მემღერა. გერმანელმა პროდიუსერებმა მომისმინეს, სპეციალურად იყვნენ სპექტაკლზე ჩამოსულები. მათ ბოდიში მოვუხადე — რაღაც სიტყვებს სწორად ვერ ვამბობ-მეთქი. — ამას მნიშვნელობა არა აქვს, სიმღერის იმდენად ზუსტი მანერა და სტილი გაქვთ მიგნებულიო... გერმანიაში დიტრიხზე სულ 9 სპექტაკლი დაიდგა. 3.000.000 ევრო დაიხარჯა. რამდენიმე ჩავარდა კიდეც. ჩვენი „დიტრიხი“ კი, გერმანელებს მოეწონათ და მის გერმანიაში წაღებას აპირებენ. ეტყობა, ქართველი რომ თამაშობს, მათთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გერმანელებისთვის ეს ქალბატონი სათაყვანებელია.

დიტრიხი ქალი-ლეგენდა გახლდათ. მე მას როგორ შევედრები და გავუტოლდები?..

— „მზიურის“ ეკადან დღევანდელ ეკაში რა არის შემორჩენილი — იმის მიუხედავად, რომ შენში დიდი ცვლილებები მოხდა?

— დღეს რასაც ვაკეთებ, ეს ყველაფერი „მზიურიდან“ მოდის. დიდი სკოლა იყო: სცენაზე დგომა, პარტნიორთან ურთიერთობა, სიმღერა — ყველაფერი იქიდან მომყვება. ვფიქრობ, რომ პროფესიაც სწორად ავირჩიე, თუმცა, სანამ თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარებდი, დიდი არჩევანის წინაშე ვიდექი. ამბობდნენ, რომ კონსერვატორიაში უნდა ჩამებარებინა, მერე — ვითომ აღმოსავლურ ენებზე. ეტყობა, ბედისწერა იყო, თეატრალურისკენ რომ გამიწია გულმა... ასე რომ, ჩემი ბედი 3 წლის ასაკში გადაწყდა, როდესაც დედამ პიონერთა სასახლეში ვოკალურ ჯგუფში ციცინო ციცქიშვილთან მიმიყვანა. იქიდან მოყოლებული, სულ შრომაში ვარ. მუდმივად ფიზიკურად, ემოციურად და ფსიქოლოგიურად ვიხარჯები. მიმაჩნია, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ (საქმიანობასაც და პირად ცხოვრებაშიც არაერთი საჩუქარი მიმიღია), თუ არ ჩავთვლით იმ ტრაგიკულ შემთხვევას, რომელმაც უდიდესი ჭრილობა დამიტოვა... მას შემდეგ, ბევრი ბედნიერი წუთი მქონია: ჩემი შვილების დაბადება, წარმატებები კარიერაში... ჩავარდნა, ღმერთის წყალობით, არ მქონია. ბოლო სპექტაკლიც წარმატებული გამოვიდა...

P.S. როგორია მარლენ დიტრიხი ეკა კახიანის შესრულებით — ეს ბევრმა მაყურებელმა უკვე იხილა. მათ კი, ვინც სპექტაკლს ჯერჯერობით არ დასწრებია, აფიშასა და სატელევიზიო სიუჟეტებში ნანახი კადრებით შეუძლიათ დაასკვნან, რომ ქართველმა მსახიობმა, თავის გამოჩენილ გერმანელ კოლეგასთან მართლაც, დიდ გარეგნულ მსგავსებას მიაღწია... როგორია სცენაზე განსახიერებული მარლენ დიტრიხი — ამას თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრში იხილავთ. ჩვენ კი, აღნიშნული საბაბით, მარლენ დიტრიხის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდზე მომდევნო გვერდებზე რუბრიკით — ქალი-ლეგენდა მოგითხრობთ. ■

მისი ამაღელვებელი ხმა მეორე მსოფლიო ომის დროს მყისვე საცნაური იყო მავთულხლართების ორივე მხარეს — ლა-მანშიდან აფრიკის ცხელ ქვეყნებამდე. მყუდროების წუთებში გაყუჩებული ჯარისკაცები სინაზითა და ნაღველით უსმენდნენ მას. გერმანელებისთვისაც, ინგლისელებისთვისაც და ამერიკელებისთვისაც სიმღერა „ლილი მარლენ“ იმასვე ნიშნავდა, რასაც რუსებისთვის და საერთოდ ყველა ჯარისკაცისთვის — „მელოდე“.

მარლენ დიტრიხის უკანასკნელი სიმღერა

შეუდარებელი მარლენ დიტრიხი, რომელიც ამ სიმღერას ასრულებდა, მეომრებისთვის ძვირფასი და ერთგული მეგობრის განსახიერება იყო, თავგანწირვით რომ ელოდა თავის სატრფოს საოცნებო ქუჩის ფარანთან. მან მაშინვე განსაზღვრა საკუთარი ადგილი, როგორც კი მის სამშობლოში ნაციზმი დამკვიდრდა. მაგრამ მისი ბედი უნიკალური აღმოჩნდა — გერმანელ მარია მაგდალენა ფონ ლოშს თავისიანად მიიჩნევდა ორივე მტრული ბანაკი.

სცენური ფსევდონიმი მან ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში შეარჩია. მარ-ლენ-ი — ციურ მფარველთა სახელების — მარიასა და მაგდალენას საწყისი და ბოლო მარცვლებისგანაა შედგენილი. ხოლო არისტოკრატიული „ფონ“ პროფესიის დემოკრატიულობას შეეწირა, რადგან არტისტის დიდებაც ზემოდან — ქანდარიდან მოდის.

თუმცა, პირველ ხანებში, ეს ჭირვეული დიდება არცთუ მაინცდამაინც ჩქარობდა. 1924 წელს სამსახიობო სკოლა დაამთავრა და 20 წლის მარლენ დიტრიხმა ბერლინის სცენას მიაშურა, რომელსაც რვა წელი მიუძღვნა, თუმცა სულ მცირე წარმატებასაც კი ვერ მიაღწია. თითქოს ის მხოლოდ მუნჯი ფილმების უსიტყვო სტატისტის სამუდამო როლისთვის ყოფილიყოს განწირული. დიახ, „სამუდამო“. არაფერი არ ქრება ისე სწრაფად, როგორც ახალგაზრდობა და სილამაზე.

სასოწარკვეთის წუთებში ის ფიქრობდა, რომ ყველაფერი დასრულდა და მის ცხოვრებაში უკვე აღარაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ ის ცდებოდა. მისი ცხოვრება ჯადოსნურად შეიცვალა „ამერიკული ოცნების“ ტიპურ სტილში — 1928 წლის ნოემბრის ერთ პირქუშ დილას. სწორედ იმ დილას ბერლინში ჩავიდა იოზეფ ფონ შტერნბერგი, ჰოლივუდის ცნობილი რეჟისორი, რომელიც პირველი გერმანული ხმოვანი ფილმის გადაღებას აპირებდა. მამაკაცის მთავარ როლზე გათვალისწინებული იყო პოპულარული მსახიობი ემილ იანინგე, მარლენ დიტრიხი კი ქუჩის ქალის როლზე კინოსინჯებზე მიიწვიეს. მისი ჩაცმულობის გამო ოჯახში საშინელი კამათი დაიწყო. მარლენ დიტრიხს მიაჩნდა, რომ ასეთი შემთხვევისთვის საუკეთესო იქნებოდა პორტის მეძავის მოკაზმულობა. — დასაღუპავად განწირული იდეაა, — პროტესტი გამოთქვა მსახიობის მეუღლემ რუდოლფ ზიბერმა. — უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა უჩვენო მაყურებელს. მხოლოდ მოიგებ, თუ მაღალი საზოგადოების ქალივით მოირთვები.

რუდოლფ ზიბერის ტაქტმა და კეთილგონიერებამ გაიმარჯვა. სტუდიაში მშვენიერი ქალბატონი გამოჩნდა, რომელსაც ელეგანტური კოსტიუმი ემოსა, თეთრი, გრძელი ხელთათმანები ეკეთა, მხრებზე კი შავმურა მელიის ბეწვი მოეგდო.

კინოსინჯებმა იშვიათი წარმატებით ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ აკომპანიატორმა მელოდია არ იცოდა. უფრო სწორად, სწორედ ამიტომ. მარლენ დიტრიხმა წონასწორობა დაკარგა, მოთმინებამ უღალატა და მისმა ბუნებრივმა რისხვამ დაიპყრო ცნობილი „ვარსკვლავების ფაბრიკის“ — „პარამაუნტის“ განებივრებული მეტრი.

დებიუტანტი კინომსახიობი გრიგალივით შეიჭრა შინ, ბედნიერებისა და აღელვებისაგან ერთიანად აწითლებული:

— იცი, მამილო, ეს რეჟისორი უბრალოდ დიდებული ადამინია. რა შესანიშნავია! წარმოიდგინე, რა გააკეთა! თვითონ დამამაგრა ზედ ის საშინელი ძონძები, კოსტიუმერმა რომ მოიტანა. შემდეგ კი მაჩვენა, როგორ მომევლო ჩემი საშინელი თმისთვის, თითქოს ძროხას რომ აელოკოს ენით!

სიმღერა, რომელიც სცენარის მიხედვით უნდა შეესრულებინა ფილმის გმირს, შტერნბერგს გულში მოხვდა. უცნობ მსახიობში მან მომავალი ვარსკვლავი დაინახა და მისთვის, ამერიკული საზომით ძალზე მოკრძალებული, ვეიმარის რესპუბლიკისთვის კი სრულიად ფანტასტიკური ჰონორარი — 20.000 რაიხსმარკა „მოივაჭრა“.

სახლში დღესასწაული გამართეს შამპანურებით. მეგობრებიც მივიდნენ. ყველას ამაღლებული განწყობილება დაუფლებოდა. მხიარულად სვამდნენ მარლენისა და მისი წარმატებული მომავლის სადღეგრძელოს.

— რა გვიხარია ასე? მე ხომ მეძავის როლი უნდა ვითამაშო! როგორღა გამოვჩნდები ამის შემდეგ ქუჩაში?.. იქნებ მოშიშვლებული მკერდით გადაღებაც კი მომთხოვონ — ღელავდა ის.

გულუბრყვილო ხანა! პატიოსანი გერმანიის უკანასკნელი სიზმარი, გერმანიის, რომელიც უკვე შეერყია დოლის გრუხუნს. ერთ ქუჩაზე სვასტიკიანი მოიერიშენი მარშირებდნენ, მეორეზე — ჯარისკაცები ნამგლითა და ურითი... გადაღებები სრული დატვირთვით მიმდინარეობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში იანინგე ისე შეიჭრა როლში, რომ პარტნიორი კინაღამ დაახრჩო.

— იმის ადგილას რომ ვყოფილიყავი, — ფილოსოფიურად შენიშნა ამის გამო ბრძენმა და ირონიულმა რუდოლფ ზიბერმა — საქმეს ბოლომდე მივიყვანდი და რეჟისორს ზედაც არ შევხედავდი.

— ეს ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ მას ფილმი წაართვი. ახლა ეს ფილმი მარლენისაა და არა ცნობილი ემილის...

როგორც იქნა, დადგა დიდი ხნის ნანატრი საღამო — 1930 წლის 1 აპრილი. პრემიერა თეატრ „გლორია-პალასში“ შედგა, რომელიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მარლენ დიტრიხის „დიდების დარბაზად“ იქცა. პრემიერაზე ის

თეთრი შიფონის კაბასა და ბეწვის გრძელ მოსასხამში გამოწყობილი მივიდა. სამი საათის შემდეგ, ის უკვე გამოჩენილი მსახიობი იყო. გაზეთები და რადიო დაუსრულებლად იმეორებდნენ მის სახელს. „ცისფერი ანგელოზის“ ხმაურიანი წარმატება და ეკრანის ახალი ვარსკვლავის დაბადება შეუმჩნეველი არც ჰოლივუდში დარჩენიათ. „პარამაუნტში“ ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მომხიბვლელი, გრძელფეხება „გერმანელი სექსბომბა“ საოცრად ჰგავდა გრეტა გარბოს, რომელიც მათი კონკურენტებისთვის მუშაობდა. გააფთრებულმა მეტოქეობამ ფსონები გაზარდა.

— არ დამივიწყოთ, — ჩაიჩურჩულა მარლენმა და ქმარს ლოყით მიეხუტა. მეორე წუთს მისი ფეხსაცმლის ქუსლები უკვე ტრაპზე კაკუნებდა, რუდოლფი და მისი მეგობარი ვილი ფორსტი, ორივენი ფრაკებში გამოწყობილნი, დიდხანს უქნევდნენ ხელს მიმავალ გემს.

ხანგრძლივმა საყვირმა დაასრულა განშორება. სამუდამოდ? გარკვეული აზრით — კიც და არაც...

„დედაჩემი ადვილად ემორჩილებოდა ხოლმე სიყვარულს — იხსენებდა მარლენ დიტრიხის ქალიშვილი მარია რივა, — მაგრამ ახერხებდა, რომ მისი რჩეულები არასოდეს ცხოვრობდნენ ჩვენთან სახლში. სანამ ბავშვი ვიყავი, დედას საძინებლიდან გამოსულ არც ერთ უცხო მამაკაცს არ უსაუზმია ჩვენთან ერთად“...

ლაკონიური, მაგრამ მრავლისმომცველი კონსტატაციაა, რაც ხელს არ უშლის ვარაუდების გამოთქმას. საჭორაოდ მარლენ დიტრიხი საკმაო მიზეზს იძლეოდა. მის სასიყვარულო თავგადასავლებზე ნაკლებად გავამახვილებდით ყურადღებას, მისი გმირები ჭეშმარიტად გამოჩენილი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ და თავად მარლენ დიტრიხიც ესოდენ გამორჩეული რომ არ ყოფილიყო ვარსკვლავთა მოელვარე სპექტრში.

იშვიათი კავშირები მნიშვნელოვან კვალს ტოვებდა მის ცხოვრებაში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ის ისევე ადვილად შორდებოდა კაცს, როგორც უახლოვდებოდა.

რასაც ჩვენ სექსს ვუწოდებთ, მისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. არტისტული ბომონდის სხვა მრავალ ვარსკვლავთაგან განსხვავებით, მარლენ დიტრიხი თავისი სიმართლით განაიარაღებდა ხოლმე გარშემო მყოფთ. ფიზიკურ სიახლოვეს, ის რაღაც მეორეხარისხოვნად, რაღაც უცილობელ დამატებად მიიჩნევდა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ურთიერთობებისა. სწორედ ეს ედო საფუძვლად მომღერლის ძალზე შემწყნარებლურ, ლმობიერ და სულაც თბილ დამოკიდებულებას ჰომოსექსუალისტებისა და იმპოტენტების მიმართ. ისინი კი კმაყოფილდებოდნენ მსახიობის ამაღლებული სულიერი მეგობრობით, არ ცვლიდნენ მასთან ურთიერთობას „უხეში მატერიით“.

„ის ალერსიანი იყო მათ მიმართ, — წერს მარია რივა, — და აშკარად სიამოვნებდა მათი საზოგადოება, რასაც ზოგჯერ სასწაულებრივი განკურნება მოსდევდა. მაგრამ საკმარისი იყო მამაკაცს სექსუალური წონასწორობა აღედგინა, რომ დედა მაშინვე კარგავდა ინტერესს მის მიმართ და მიატოვებდა ხოლმე“.

აქ არც გადაჭარბებაა და არც შელამაზება. ეს ფაქტის ძალზე პატიოსანი და ობიექტური კონსტატაციაა. ამასვე ამბობს თვითონ მარლენ დიტრიხიც:

„რემარკთან (ლაპარაკია ცნობილ გერმანელ მწერალზე) დილამდე ვისაუბრე! შესანიშნავი იყო! შემდეგ, მან თვალებში ჩამხედა და წარმოთქვა: „უნდა გაცნობო, რომ იმპოტენტი ვარ“. მეც შევხედე და ვუთხარი: „ო, რა შესანიშნავია“. ბედნიერი ვიყავი, შეგვეძლო მხოლოდ გვესაუბრა და ერთმანეთის სიყვარულში ჩაგვძინებოდა“...

ღამის საუბრების მომხიბვლელობა იფანტებოდა ახალი დღის მკვეთრ სინათლეში და თითოეული მათგანი თავის ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდებოდა.

სანამ რემარკი, თავისი „სპილოს ძვლის კოშკში“ განმარტოებული, ახალი რომანისთვის ფრაზებს ხვეწდა, მარლენ დიტრიხი ტანზე მოტმასნილ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი, ზღვისკენ მიემართებოდა და ჯოზეფ კენედის ეკეკლუცებოდა. ამერიკის ელჩს ლონდონში და შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტის მამას თავზე ხელაღებული გარყვნილის სახელი ჰქონდა, რაც ოდნავადაც არ უშლიდა ხელს მათ მეგობრობას.

განვლო 30-მა წელმა და ჯერ კიდევ მომხიბვლელმა მარლენ დიტრიხმა თეთრ სახლში გამართულ მიღებაზე ჯონ კენედი გაიცნო.

„ის საოცარია!“ — გამოუტყდა საკუთარ თავს მოგონებებში ჩაფლული მომღერალი და მის ბაგეზე იდუმალი ღიმილი გაკრთა...

„საოცრად ეჩვენა მას თავდაპირველად

გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგიც ბერნარდ შოუ... ვარსკვლავმა მის წინაშე მუხლი მოიყარა.

მას აჯადოებდა სხვისი ინტელექტი, მაგრამ როცა მისი სათავეების წვდომას განიზრახავდა, მალე უცრუვდებოდა იმედი.

ამერიკის მომავალ სახელმწიფო მდივანთან, ედლაი სტივენსონთან ხანმოკლე კავშირმა მოგონებებიც კი არ დაუტოვა.

„ნუთუ შეიძლება, რომ ადამიანი, რომელიც ასეთ შესანიშნავ სიტყვებს წერს გამოსვლებისთვის, ასეთი უინტერესო იყოს? რემარკთან ურთიერთობა სულაც არ იყო იოლი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მას საუბრის წარმართვა მაინც შეეძლო. თუმცა, მართალია, სტივენსონს დავთანხმდი, როცა მან მთხოვა „ამის“ შესახებ — მან ისე დაიმორცხვა და ისეთი საყვარელი იყო, თითქოს პატარა ბიჭი ყოფილიყოს!“

დიდ ფიზიკოსს, ატომური ბომბის შემქმნელს — რობერტ ოპენჰაიმერს „ამის“ შესახებ არ უთხოვია, ის მისთვის ამოუცნობ საიდუმლოდ დარჩა. სქესთა ცნობილ ბრძოლაში დამარცხებული, ის ამაში მისი ზედმეტად გასაიდუმლოებული ცხოვრების წესს ადანაშაულებდა. უშიშროების სამსახური მართლაც კვალდაკვალ დასდევდა რობერტ ოპენჰაიმერს.

ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ მარლენ დიტრიხსა და ცნობილ ამერიკელ მწერალს ერნესტ ჰემინგუეის. ის მას „მამილოს“ ეძახდა, ჰემინგუეი კი — „შვილიკოს“, როგორც ეს საყოველთაოდ მიღებული იყო ჰემის მწერლური ტალანტის თაყვანისმცემლთა წრეში. მაგრამ მათ შორის

რემარკთან ერთად

გაბენთან ერთად

სიახლოვე არ ყოფილა, თუმცა ჰემინგუეის სიამოვნებდა, რომ ჭორიკანები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. მარლენ დიტრიხი თავისთვის იცინოდა და მოწყალედ ეთანხმებოდა ხმებს.

ერთი სიტყვით, მას მთელი ცხოვრება ის ადამიანები ჰყავდა გვერდით, ვინც XX საუკუნის ისტორიას ქმნიდნენ. ბუნებრივია, რომ „ბაგის გარშემო“, როგორც ერთხელ ცნობილმა მსახიობმა ჯონ უეინმა თქვა (რომელთანაც მარლენ დიტრიხი სამ ფილმშია გადაღებული), უმეტესად მსახიობები „ტრიალებდნენ“: იულ ბრინერი, რომელმაც მოახერხა, დაეტანჯა იგი, ჯო დასენი, მორის შევალიე, ფრენკ სინატრა...

ვარსკვლავთა ამ გუნდში მარლენ დიტრიხი იმ მანათობლად რჩებოდა, რომელიც საკუთარ სინათლეში იწვოდა. „მაროკომ“, ჰოლივუდის პირველმა ფილმმა, რომელშიც მისი პარტნიორი ჰარი კუპერი გახლდათ, მსახიობი კინემატოგრაფიული

ოლიმპის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ანშლაგებით ჩაიარა ქერა ვენერას პრემიერამ. „ოსკარი“ მოიპოვა „შანხაის ექსპრესმა“.

თითქოს საუკეთესო დროა წარმატების განვითარებისთვის, მაგრამ მარლენ დიტრიხი ქმართან შესახვედრად ევროპაში გაემგზავრა. თუმცა, ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლამ მას შინისაკენ გზა მოუჭრა. ახალი ხელისუფლება ცდილობდა მიეტყუებინა მსახიობი, მაგრამ მას არ ძალუძდა ფაშიზმთან შეგუება.

მოკლე ხანში, პარიზში, როცა პასპორტის მოქმედების ვადა ეწურებოდა, დიტრიხი რაიხის საელჩოს ეწვია. გრაფი ელჩეკი — ელჩი — კომპლიმენტებად დაიფრქვა:

— ფიურერის ერთი სიტყვა და ყველა თქვენი სურვილი მყისვე შესრულდება. ტრიუმფულ შესვლას მოგიწყობთ ქვეყანაში ბრანდებურგის კარიბჭიდან...

მარლენ დიტრიხს არ სურდა საბოლოოდ ჩაეწყვიტა ძაფები, რომელიც სამშობლოსთან და ქმართან აკავშირებდა. ამიტომ მხოლოდ იდუმალი ღიმილი და დუმილი იყო მისი პასუხი. არა, ის არ დაბრუნდება.

უკვე გაგანია ომის დროს, ამერიკულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მარლენ დიტრიხი საფრანგეთსა და ალჟირში მღეროდა ჯარისკაცების წინაშე. რა თქმა უნდა, მარტო ის არ მღეროდა ჯარისკაცებისთვის, მაგრამ მხოლოდ ის დაჯილდოვდა თავისუფლების მედლით და ღირსების ლეგიონის სამივე ხარისხის ორდენით.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაცისტური პროპაგანდა ჭუჭყში სვრიდა მსახიობის სახელს. ტყვეებისთვის განკუთვნილ ჰოსპიტალში ახალგაზრდა გერმანელმა, რომელიც მისი დანახვისას საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, ჰკითხა:

— ნუთუ თქვენ სწორედ ის მარლენ დიტრიხი ხართ?

მან პასუხად თავისი ცნობილი „ლილი მარლენი“ იმღერა.

ერთხელ მის ყურამდე მიაღწია ხმებმა, რომ სადღაც ახლოს განლაგებული იყო დივიზია — „თავისუფალი საფრანგეთი“. ამ დივიზიაში მსახურობდა ლეიტენანტი ჟან გაბენი — მთელი მისი ცხოვრების ჭეშმარიტი სიყვარული. მარლენ დიტრიხმა ჯიპით გადაიქროლა ფრონტის ხაზი და მხოლოდ გვიან ღამით მიაღწია ნაწილის განლაგების ადგილს. „ტანკიდან ტანკთან მივრბოდი და მის სახელს გავყვიროდი... უცბად ჩემ წინ „აღმოცენდა“ მისი მშვენიერი შეჭაღარავებული თმა. „ჟან, ჟან, ჩემო ძვირფასო!“ ის შემობრუნდა და წამოიძახა: „ეშმაკმა დალახვროს!“ — და თავის ძლიერ ხელებში მომიწყვდია“.

მისმა თანამებრძოლებმა ქუდები მოიხადეს და ოვაცია გაუმართეს. მაგრამ უცებ ძრავები ამუშავდა და გაისმა მოწოდება: „პარიზისაკენ!“

— უნდა წავიდე, ჩემო მშვენიერო!..

ისინი მას შემდეგაც შეხვდნენ ერთმანეთს და არაერთხელ — რათა ერთმანეთი გაეტანჯათ. და ეს დიდხანს გაგრძელდა, იმდენად დიდხანს, რომ ორივეს დაუმსხვრია ცხოვრება.

პირველმა ჟან გაბენმა ვერ გაუძლო, მთლად გაჭაღარავებულმა გმირმა დაუვიწყარი ფილმისა — „მალაპაგის კედლებში“ და კიდევ მრავალი, მრავალი ფილმისა...

სპენსერ ტრეისი, რომელთან ერთადაც უკვე ხანში შესული მარლენ დიტრიხი თამაშობს კრამერის ანტიფაშისტურ ფილმში — „ნიურნბერგის პროცესი“, ტკივილამდე მოაგონებს მას ჟან გაბენს...

მაგრამ მოდით, ნუ შევეხებით ამ მტანჯველ სიმებს. საშინლად დასანანია წარმავალი სიყვარული, მაგრამ ცხოვრებაც ხომ ისევე გეპარება, როგორც წყალი თითებშუა.

80 წლის მარლენ დიტრიხი, მეფურად დიდებული, ცისფერ შლეიფიან კაბაში გამოწყობილი დაბრუნდა სცენაზე, რომ ფარდის უკან მდგომს შეესრულებინა სიმღერები თავისი ფილმებიდან.

„ცისფერ ანგელოზს“ ფეხზე ამდგარნი და თვალებზე ცრემლმორეულნი უსმენდნენ.

„ანგელოზი“ კი კულისებში მიიმალა „ლილი მარლენის“ უკანასკნელი აკორდების თანხლებით...

■

რიზ უიზერსპუნი ქმარს ეცრემა

ჰოლივუდის ვარსკვლავი რიზ უიზერსპუნი და მისი მეუღლე, მსახიობი რაიან ფილიპი განქორწინებას აპირებენ. წყვილისათვის 2006 წელი „ოსკარის“ მიღებით დაიწყო და განქორწინებით დასრულდება. „მწუხარებით ვიუწყებით, რომ რიზმა და რაიანმა განქორწინების გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი საზოგადოებას მათი პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემასა და ბავშვების უფლებათა დაცვას სთხოვენ“, — განაცხადა ვარსკვლავური წყვილის წარმომადგენელმა ნენსი რაიდერმა. 30 წლის რიზსა და მის 32 წლის მეუღლეს 2 შვილი, 7 წლის ევა ელიზაბეტი და 3 წლის ბიჭუნა — დიკონი ჰყავთ. წყვილმა 1999 ნელს, ფილმის „სასტიკი თამაშობანი“ გადაღებების შემდგომ იქორწინა. ამ სურათით მათი კინოკარიერა დაიწყო. რიზმა სახელი მოიხვეჭა ტრილერით — „გზატკეცილი“, სადაც მკვლელი მანიაკის მსხვერპლი განასახიერა. მსახიობს განსაკუთრებული პოპულარობა ფილმმა — „იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი“ მოუტანა. ითამაშა სურათებში: „მეტიჩარა“, „პლეზანტვილი“, „ამერიკელი ფსიქოპატი“ და სხვა. 2006 წლის დასაწყისში რიზმა ფილმში — „ზღვარზე სიარული“ ნათამაშები როლისთვის „ოსკარი“ მიიღო. რეჟისორ ჯეიმს მენგოულდის სურათში მსახიობმა ქანთრის მომღერლის ჯუნ კარტერის სახე შექმნა. ამ როლმა რიზს „ოსკარის“ გარდა, „ოქროს გლობუსი“ და ამერიკის კინომსახიობთა გილდიის ჯილდო მოუტანა. რიზ უიზერსპუნის ახალი სურათი — „პენელოპა“ აშშ-ის ეკრანებზე 27 ნოემბერს გამოვა. მასში მსახიობი ახალგაზრდა ქალის როლს თამაშობს, რომელიც საგვარეულო წყევლის გამო იტანჯება. რაიან ფილიპს მაყურებელი იცნობს „ოსკაროსანი“ სურათით — „შეჯახება“ (2005 წ. საუკეთესო ფილმი) და კლინტ ისტვუდის ბოლო ნამუშევრით — „წინაპართა ფლანგები“, რომელშიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამბებია ასახული.

■

რობერტ დე ნიროს იტალიელი გახდა

რომის პირველი საერთაშორისო ფესტივალის საიტი იუწყება, რომ რომის მერმა ვალტერ ველტრონიმ ცნობილ ამერიკელ მსახიობს, რობერტ დე ნიროს იტალიური პასპორტი გადასცა და განაცხადა: „იტალიისთვის დიდი პატივია, რომ დე ნიროს მეორე სამშობლო გახდა. ცალკე, რომის პასპორტი რომ არსებობდეს, მსახიობი ამ პასპორტსაც მიიღებდა“. „წრე შეიკრა, ჩემი ოჯახის ბედი განსაზღვრულია. ახლა დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ მოხარული ვარ ჩემი შვილების გამო, რომლებიც ამიერიდან ჩემსავით იტალიელები იქნებიან“, — თქვა დე ნირომ საზეიმო ცერემონიაზე. რობერტ დე ნირო ნიუ-იორკის კინოფესტივალის — Tribeca ერთ-ერთი შემქმნელია. იგი რომის კინოფორუმის ორგანიზებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ■

ჩარლზ უილიამის მძიმე შეცდომა

სამეფო სამხედრო აკადემიის Sandhurst-ის სასროლეთზე საველე წვრთნის დროს, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე პრინცმა უილიამმა მსუბუქი ტყვიამფრქვევი — L86LSW (Light Support Weapon) დაკარგა. ინციდენტი 27 ოქტომბრის დილას მოხდა. კადეტები ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნებისთვის ემზადებოდნენ, რომელიც მალე უელსის პოლიგონზე უნდა ჩატარდეს. პრინც უილიამს მისი პერსონალური შაშხანის (SA80) გარდა, შესასწავლად მსუბუქი ტყვიამფრქვევი — L86LSW გადასცეს. 27 ოქტომბერს, როდესაც პრინცმა იარაღი ვერსად იპოვა, პანიკაში ჩავარდა, მეგობარი კადეტისგან ველოსიპედი ითხოვა და მთელი ოლქი შემოიარა, მაგრამ იარაღს ვერსად მიაგნო. მართალია, ტყვიამფრქვევი დატენილი არ იყო, რადგან Sandhurst-ში საბრძოლო ვაზნები კადეტებს უშუალოდ სროლის დაწყების წინ, საბრძოლო პოზიციებზე გადაეცემათ, მაგრამ ტყვიამფრქვევი L86LSW მაინც საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენს, მისი გასროლის სიხშირე წუთში 775-ია. ორი საათის შემდეგ ტყვიამფრქვევი სხვა კადეტთან აღმოაჩინეს. ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეებისათვის იარაღის დაკარგვა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულადაა მიჩნეული. პრინცი უილიამი ბოლო მომენტამდე სამაგალითო კადეტად და გამოშვების საუკეთესო ტრადიციული ჯილდოს — Sword of Honour პრეტენდენტად მიიჩნეოდა. იარაღის დაკარგვასთან დაკავშირებულ სკანდალს კი შესაძლოა, საკმაოდ დრამატული შედეგი მოჰყვეს. ■

კლაუდია შიფერი: „ჩვენ ასეთი გაძვალტყავემულნი არ ვიყავით“

მოდელთა სიგამხდრის შესახებ დაწყებულ დისკუსიას პოდიუმის ყოფილი ვარსკვლავებიც შეუერთდნენ. კლაუდია შიფერი, რომელიც ზედმეტი კილოგრამებით თავადაც არ გამოირჩეოდა, ფიქრობს, რომ ახლა ჩვენებებში მეტისმეტად გამხდარი მოდელები მონაწილეობენ. „ეს არცთუ ისე სასიამოვნო სანახავია. მართალია, მოდური სამოსი გამხდარ ქალს უფრო მეტად უხდება, მაგრამ ახლანდელი მოდელების შემხედვარე, უნებლიეთ ფიქრობ, რომ რაღაც ისე ვერ არის! ისინი მეტისმეტად გაძვალტყავებულნი არიან. მოდელებს ყოველთვის გამხდარი და ჩამოსხმული სხეული ჰქონდათ, მაგრამ დღეს ისინი წარმოუდგენლად გამხდრები არიან“, — ამბობს 36 წლის გერმანელი ტოპმოდელი, რომლის ფოტოები ჟურნალების პირველ გვერდზე 550-ჯერ დაიბეჭდა. „როდესაც ამ ბიზნესში მოვედი, მოდელებს შორის ყველაზე ფერხორციანი მე ვიყავი. მას შემდეგ, რაც დედა გავხდი, ყველაფერს მივირთმევ. შოკოლადს და რძეს თითქმის ყოველდღე გეახლებით და გახდომაზე აღარ ვფიქრობ“. გულახდილად განაცხადა პოდიუმის ყოფილმა ვარსკვლავმა, რომელიც ამჟამად 58 კგ-ს იწონის (სიმაღლე 182 სმ!). ■

ლიზ ჰარლის გადადემული ქორწილი

მსახიობ ლიზ ჰარლის ქორწილი მას შემდგომ გადაიდო, რაც 4-მილიონიანი გარიგება ვარსკვლავისა და არუნ ნაიარის ქორწილი იგეგმებოდა, ლიზ ჰარლის სურდა, რომ ცერემონია პრესაში ღირსეულად გაშუქებულიყო, ამიტომ ჟურნალთან „ოკ“ 4-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ დაქირავებულ ჟურნალისტთა მუშაობით უკმაყოფილო დარჩა და ყველა დაითხოვა... ჰიუ გრანტის ყოფილი მეგობარი ახლა თავად აწარმოებს მოლაპარაკებებს და ქაღალდებშიც თავადვე იქექება. „მან განაცხადა, რომ საქორწინო ცერემონიას თავად დაგეგმავს, მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ლიზის სასურველ სტუმართა უმრავლესობა დათქმულ დროს ჩამოსვლას ვერ შეძლებს. მას კი ძალიან უნდა, რომ მისი ქორწილი — წლის ქორწილად იქცეს. ასე რომ, ახლა ლიზი და არუნი ახალი თარიღის შერჩევას ცდილობენ“, — განაცხადა ლიზ ჰარლის ერთ-ერთმა მეგობარმა. ■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-44

ღამე დამღლელი აღმოჩნდა. გრძელიძისგან ჩვენების მიღება ვერა და ვერ მოხერხდა. არც მშვიდი ტონით ლაპარაკმა გაჭრა და არც რომანის ლანძღვა-გინებამ თუ მუქარამ: მთელი დაკითხვის განმავლობაში, გრძელიძე პირველად მიცემულ ჩვენებას იმეორებდა — მობილური ჩემს მეგობარს, გორგაძეს ვაჩუქე და სათქმელი მეტი არაფერი მაქვსო... დილით თავად ნიკას მოჰბეზრდა უშედეგო დაკითხვა და რომანს, გრძელიძის საკანში დაბრუნება მოსთხოვა.

— შენ გგონია, სიმართლეს ამბობს?.. — კაბინეტიდან დაკავებულის გაყვანის შემდეგ მიუბრუნდა ნიკას რომანი.

— ჰო, — მოკლედ უპასუხა ნიკამ.

— შენ ახალი კაცი ხარ საგამოძიებოში, მე კი ძალიან ბევრჯერ შევხვედრივარ გრძელიძისნაირ ნაბიჭვრებს...

— ამ შემთხვევაში, ეს შედარება უადგილოა: როგორი ნაბიჭვარიც არ უნდა იყოს გრძელიძე, მის წინააღმდეგ სამხილი მაინც არ გამაჩნია. ანდა, რაა ამაში დაუჯერებელი?.. კაცმა მობილური მეგობარს აჩუქა. თუ ამაზე მიდგა საქმე, ხუთი ან ექვსი მობილური მეც გამიჩუქებია. ასე რომ, იმ კაცს დაუჯერებელი არაფერი უთქვამს, — თქვა ნიკამ.

— მართალი ხარ, — თავი დაუქნია რომანმა. — მას ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა, რომ მობილური დაკარგა ან ზარში წააგო, „ზალოგში“ დატოვა რომელიმე სახინკლეში. მაგრამ ამით არაფერი შეიცვლებოდა. მან მთავარ კითხვაზე არ გაგვცა პასუხი — როგორ აღმოჩნდა ის მობილური ქარელში?

— გრძელიძეს არ შეუძლია ამის თქმა.

— ეჰ, ნიკა, — ამოიოხრა რომანმა, — ყველაფრით კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ საგამოძიებოში არაფერი გესაქმება. ძაღლი უნდა იყო, ძაღლი! სხვანაირად აქ ფეხს ვერ მოიკიდებ... მიგეშვი და გაიგებდი, ვის მისცა მობილური ამ ნაბიჭვარმა!..

— არა, ძმაო, — თავი გააქნია ნიკამ, — შენ ხომ ჩემზე კარგად იცნობ გრძელიძეს.

— საქმეც ისაა, რომ შენზე კარგად ვიცნობ...

— მაშინ, შენ თვითონ მითხარი — შეიძლება, მას რაიმე აკავშირებდეს ასეთ ბანდასთან?

— არა, — სწრაფად უპასუხა რომანმა.

— მაშ, რა ჩვენებას ელოდი მისგან?! — გაუკვირდა ნიკას.

— გამოცდილება გაკლია. ყველაფერ ამას უნივერსიტეტში ვერავინ გასწავლიდა... ყველა ასეთ ბანდას ჰყავს წვრილფეხა „შნირები“, რომლებიც მათ დავალებებს ასრულებენ. როგორ გგონია — ის ხალხი თვითონ გაიტაცებდა იმ მანქანას, რომლითაც „საქმეზე“ წავიდა და შემდეგ დაწვა?..

— არ ვიცი...

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ საქმეზე ხელს არ გაისვრიდნენ და მანქანას გრძელიძისნაირ „შნირს“ მოატაცებინებდნენ.

— არა... არა... — ნიკამ, უარის ნიშნად, თავი გააქნია. — ეს შემთხვევითობაა, შეცდომა და არა — დაუდევრობა. არცთუ ისე ძნელია მობილური ტელეფონისა და სიმბარათის შეძენა. მათ ასეთი სურვილი რომ ჰქონოდათ, ამ მობილურის კვალზე ვერასოდეს გავიდოდით.

— ყოველ შემთხვევაში, შენ ხელიდან უშვებ ამ შესაძლებლობას, — ხელი ჩაიქნია რომანმა.

— ამ ხალხზე სხვა გზითაც შეიძლება გასვლა... გორგაძის შესახებ რა გაიგე?

— ბევრი ვერაფერი. თუმცა, რაც ვიცი, გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის, — რომანმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — გრძელიძე მართალი იყო — მისი ძმაკაცი გორგაძე ცოტა ხნის წინ მოუკლავთ.

— ეგ არაფერში მიშლის ხელს. მის ახლობლებს დავკითხავ და მაინც გავარკვევ — მართლა გორგაძეს ჰქონდა ეს ტელეფონი თუ არა. ჯერჯერობით კი, ამაზე მეტად, თავად მისი პიროვნება მაინტერესებს, — ჩაურთო ნიკამ.

— მისი პიროვნება... — ჩაილაპარაკა რომანმა. — სავსებით შეეფერება გრძელიძეს: მათი წარსული ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს — ორივე ჩხუბისთვის მოხვდა პირველ „სროკზე“, პირველს მეორე მოჰყვა... სწორედ მაშინ გაიცნეს ერთმანეთი. მესამე „სროკზე“ ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. ამ მონაცემებში არაფერია განსაკუთრებული. მაგრამ გორგაძის მკვლელობის გარემოება ყველაფერს ცვლის... გორგაძე უცნაურ ვითარებაში დაიღუპა. მისი მკვლელობის საქმეზე მისი ძმა და ერთი მეგობარი, ვინმე ჭელიძე აიყვანეს...

— მისი ძმა მკვლელობის თანამონაწილე იყო?! — გაოცებული მზერა ესროლა ნიკამ.

— არა. უბრალოდ, მკვლელობამ „ბარიგობის“ საქმე „ამოაგდო“... ეს ყველაფერი ძიების პროცესშია და ახლა შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ რა მოხდა რეალურად.

— საქმეს ვინ იძიებს?

— მერაბ მესხი გაგიგონია?

— როგორ არა?! კარგად ვიცნობ, — თავი დაუქნია ნიკამ.

— საქმე მერაბმა დახურა. ახლა კი, გორგაძის ძმა და ჭელიძე ციხეში არიან.

— გამოდის, რომ მერაბი აღარ იძიებს მათ საქმეს?

— ჰო, ასეა, — დაუდასტურა რომანმა. — მაგრამ წესი — წესია: ხომ იცი, რომ არც ერთი გამომძიებელი არ მიგიშვებს პატიმართან, „ოპერთან“ შეთანხმების გარეშე და მერაბიც ნაწყენი დარჩება.

— მერაბთან პრობლემებს არ შევიქმნი. ახლავე დავუკავშირდები და შეხვედრაზე შევუთანხმდები, — უპასუხა ნიკამ და მობილურ ტელეფონს წაეტანა.

— დილის ხუთ საათზე?! — ჩაიცინა რომანმა.

— აუ, სულ დამავიწყდა, — ნიკამ კედლის საათს ახედა.

— ჰო, დაგავიწყდა, მაგრამ არა უშავს. სამაგიეროდ, ორიოდე საათი მაინც დაგვრჩა — ახლა ძალიან გვჭირდება დასვენება. დაიძინე და საქმეს მერე მიეხედოთ, — უთხრა რომანმა, შემდეგ, თვითონ გამოუტანა კარადიდან ბალიში და გადასაფარებელი და კაბინეტიდან გავიდა.

ჯიბომ მართლაც, შეასრულა მიცემული პირობა და მომდევნო დღეს ის და გიო „კარანტინიდან“ ერთად გადაიყვანეს ახალ საკანში. სწორედ იქ უნდა გაეტარებინა ორივეს მომდევნო სამი თვე — ვადა, რომელიც სასამართლომ წინასწარი გამოძიებისთვის გამოყო.

საკანმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა გიოზე. ჯიბო სულ სხვანაირად აღუწერდა მომავალ სამყოფელს: მისი თქმით, ეს იგივე სახლი იყო, რომელშიც შესვლისთანავე შინაურ ატმოსფეროში აღმოჩნდებოდა... მართალია, გიო ხვდებოდა, რომ სამჯერ ნასამართლები ჯიბოსთვის საკანი მართლაც, მშობლიურ სახლს წარმოადგენდა, მაგრამ ასეთი სურათის ნახვას მაინც არ ელოდა: კედლები დახეთქილი და გაცრეცილი იყო, ალაგ-ალაგ აგურიც მოჩანდა... საკანში შესვლისას, გიომ მხოლოდ საპირფარეშოსა და მარცხენა კუთხეში მდგარ მაგიდას მოჰკრა თვალი, დანარჩენი სივრცე კი, სხვადასხვა ფერის ზეწრით იყო გადატიხრული. ამ ზეწრებმა გიოს რომელიღაც ფილმში ნანახი ბოშათა ბანაკი გაახსენა.

გიოსა და ჯიბოს გამოჩენამ უმალ გამოაცოცხლა საკანი. ტიხრებს შორის გასასვლელებში ოცამდე პატიმარი

გამოჩნდა. მათ სწრაფად შეათვალიერეს ახალმოსულები, შემდეგ, მისალმების შეძახილებით დაიძრნენ ჯიბოსკენ.

— ვაა, ძველო!...

— ვერ გაძელი „სვაბოდაზე“?..

— „ბალანდა“ და ბაღლინჯოები მოგენატრა?.. — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

ჯიბოს შემდეგ, თანამოსაკნეებმა გიოსთვისაც მოიცალეს. ყველამ ერთ-ერთი ტიხრით გამოყოფილ ადგილას გადაინაცვლა, წრიულად დასხდნენ და საუბარი გამართეს.

— გაიცანი — ეს მამუკაა, კამერის „მაყურებელი“, — ჯიბომ მის პირისპირ მჯდომ ჯმუხ ახალგაზრდაზე მიანიშნა გიოს.

გიოსთვის ცნობილი იყო ეს სიტყვა, მაგრამ ამასთანავე, ის ბუნდოვნად ერკვეოდა იმაში, თუ რას ნიშნავდა საკნის „მაყურებელი“.

— მერამდენე „ხოდკა“ ხარ? — ტრადიციული კითხვა დაუსვა მამუკამ.

— პირველი, — უპასუხა გიომ.

— პირველი?.. — მამუკამ გაოცებული მზერა ესროლა ჯიბოს.

— ჰო, პირველი „სუდიმოსტია“, — დაუდასტურა მან, — „კარანტინიდან“ მე „ამოვწიე“...

— შენი ახლობელია? — პაუზის შემდეგ ჰკითხა მამუკამ.

— უფრო მეტი...

— რას ნიშნავს — უფრო მეტი?.. — დაიბნა მამუკა.

— ზაზა გორგაძის საქმეზე ზის...

ჯიბოს პასუხმა გიო ააღელვა. მას მართლაც, აღარ სურდა „კარანტინში“ შემდგარი საუბრის თავიდან დაწყება. მაგრამ მისდა გასაოცრად, მამუკას არაფრით გამოუხატავს თავისი ინტერესი და მხოლოდ ერთი გაფრთხილება მისცა გიოს:

— ეს შავი კამერაა, ძმაო, და აქ ყველას მაგრად ჰკიდია, რას გაბრალებს პროკურატურა. თანაც, „სტროგ“ რეჟიმში ხარ. პირველი „სუდიმოსტები“ ტვინს გაგიბურღავდნენ ბლატაობით: ახლავე გვითხარი, მართლა შენ მოკალი ის კაცი თუ არაო? აქ ამას არავინ გკითხავს და თუ გკითხავენ, მხოლოდ ზონაში და უკვე გასამართლებულს...

— ეს კაცი ზონაში წასვლას არ აპირებს, — ჩაურთო ჯიბომ.

— ჰო-ო? ძალიან კარგი, — თავი დაუქნია მამუკამ. შემდეგ ისევ გიოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— კამერაში ცხოვრების აზრზე ხარ?

— არა.

— მაშინ, ერთი რამ დაიმახსოვრე. შენი ძიება მხოლოდ შენ და შენს პროკურორს გეხებათ. ეს პირადულია და მაგ საქმეში ჩარევას არავინ დააპირებს. დანარჩენი კი, ყველაფერი საერთოა და კაი ბიჭებთან და ჩემთან შეთანხმების გარეშე, არაფერი გადაწყვიტო. ამას პირველ რიგში, შენთვის გეუბნები. პირველად ხარ „სროკზე“ და სანამ ყველაფერს „გაიიასნებ“, ბევრ შეცდომას დაუშვებ. გასაგებია?

— გასაგებია.

— მხარში ამოგვიდექი და ჩვენც ყველაფერში დაგეხმარებით — „სვიდანის“ გაკეთებაში, „პადელნიკისთვის“ „ქსივის“ გაგზავნაში. თუ საჭირო გახდა, „პადელნიკსაც“ შეგახვედრებ...

— შემახვედრებ?!. — გაუკვირდა გიოს. ვახოსთან მართლაც, სურდა

ლაპარაკი, მაგრამ ეს ვერც სასამართლოს საკანში მოახერხა და ვერც ციხეში გადმოყვანისას.

— შენ მაყუთი თქვი, თორემ, შენს „პადელნიკთან“ კი არა, ირანის შაჰის მთელ ჰარემთან შეგახვედრებ... — გაიცინა მამუკამ.

გიო დაიბნა. ვერ მიხვდა, მართალს ეუბნებოდა თანამოსაკნე თუ ხუმრობდა და ვითარებაში გასარკვევად, ჯიბოს შეხედა.

— შეგახვედრებთ... ეგ პრობლემა არ არის, — დაუდასტურა ჯიბომ. — მაგრამ ახლო მომავალში — ვერა. ერთი დღის შემოსული ხარ ციხეში, „ძაღლიცა“ და „ნასედკაც“ შენ გაკონტროლებს... გავიდეს რაღაც დრო. მოგეშვებიან და „ძაღლებიც“ მაყუთს უფრო გაბედულად მოჰკიდებენ ხელს.

— ამაზე მოგვიანებით ვიფიქრებთ. ახლა კი — მოეწყვე, ბიჭები ადგილს გამოგინახავენ, გამოიძინე. კარანტინის მერე დასვენება გჭირდება. დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთ, — დაამატა მამუკამ, შემდეგ, ჯიბოს ანიშნა — გამომყევიო და ფეხზე ადგა.

— ჭელიძე!.. — გაისმა საკნის სამზერიდან.

გიო გახარებული ადგა საწოლიდან და კარს მიაშურა. წინადღეს სწორედ ასე დაუძახეს, ამანათის მისაღებად. ეს მისთვის ციხეში მიღებული პირველი ამანათი იყო. საოცარი სითბო იგრძნო მაშინ, დედის მიერ სათუთად მომზადებული საჭმლისა და დაუთოებული ტანსაცმლის ცქერისას, რომელსაც სახლის სურნელი ასდიოდა... დღეს ამანათს აღარ ელოდა. ბარათით, რომელიც გუშინ მიიღო, რეზო ატყობინებდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მოაკითხავდა, მაშინ, როდესაც ახალ ადვოკატს გამოუძებნიდა და ნაწილობრივ მაინც გაარკვევდა ვითარებას... შესაძლებელი იყო, ამანათი მის უბნელ მეგობრებს მოეტანათ. ეს რეზოს ბარათშიც ეწერა. მაგრამ გიოსდა გასაოცრად, სამზერს მიღმა, არა ამანათების დამტარებელ მუშას, არამედ ზედამხედველს მოჰკრა თვალი.

— ჭელიძე შენა ხარ? — ჰკითხა მან.

— ჰო, — დაუდასტურა გიომ.

— მოემზადე, რამდენიმე წუთში მოგაკითხავ!.. — სწრაფად თქვა ზედამხედველმა და უკან გაბრუნდა.

— რა მოხდა? — ჯიბომ უმალ შენიშნა გიოს დაბნეული გამოხედვა.

— ზედამხედველმა მომაკითხა... მოემზადეო... — უპასუხა მან.

— მერე, მაგან დაგაბნია?! — გაეცინა ჯიბოს. — სხვა საკანში გადაყვანას ან ციხიდან გაყვანას რომ გიპირებდნენ, მაშინ „სვეშჩამი“ დაგიძახებდნენ. ალბათ, გამომძიებელმა მოგაკითხა ან — ადვოკატმა.

— ჩემს ძმას არაფერი მოუწერია ადვოკატის შესახებ.

— მაშინ გამომძიებელი მოგაკითხავდა. ნუ გეშინია, ეგ კარგია. რაც მალე და ხშირად მოგაკითხავს, მეტს გაიგებ საქმის შესახებ. აბა, შეხედე ამ ხალხს, — ჯიბომ თანამოსაკნეებზე მიანიშნა გიოს, — მათგან ნებისმიერი მოუთმენლად ელის გამომძიებელს. სხვა თუ არაფერი, სიგარეტს მაინც მოგიტანს.

უყვართ ასეთი „გრევები“ გამომძიებლებს. თავიანთ კაიტიპობას უსვამენ ხაზს. ზოგი მობილურითაც დაგარეკვინებს... მოკლედ, სანერვიულო არაფერია.

— ესე იგი, გამომძიებელი იქნება? — ჩაფიქრდა გიო.

— ჰო, — დაუდასტურა ჯიბომ და უდარდელი სახით დაუბრუნდა საწოლს.

ტანდაბალ და ჩასუქებულ შუახნის მამაკაცს, რომელიც დასაკითხ ოთახში დახვდა, გიო არასოდეს შეხვედროდა.

— გავიცნოთ ერთმანეთი: მე შენი საქმის გამომძიებელი, დემურ სხირტლაძე ვარ, — ოთახში გიოს შესვლისთანავე თქვა მან.

— მარტო ხართ? — კითხვით უპასუხა გიომ.

— აბა, ვისთან ერთად უნდა მოვსულიყავი? სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად ხომ არა?.. — ცივად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და ამასთან ერთად, სკამზე ანიშნა: დაჯექიო.

— სად არის ჩემი ადვოკატი? — ხმა გაიმკაცრა გიომ.

— დაჯექი! — მბრძანებლური ტონით ისროლა გამომძიებელმა.

გიომ ბრძანება შეასრულა. სკამზე დაჯდა და ისევ იკითხა:

— სად არის ჩემი ადვოკატი?

— სად არის შენი ადვოკატი?.. — კითხვა დაუბრუნა გამომძიებელმა.

— როგორ თუ სად არის?! — დაიბნა გიო. — ჩემს ძმას ჯერ არ დაუქირავებია ახალი ადვოკატი.

— საქმეც ეგაა. ეტყობა, შენმა ძმამ დაცვის ორიგინალური მეთოდი გამოიგონა. უკვე სამჯერ გავაფრთხილე, რომ შენს დაკითხვას ვაპირებდი და ადვოკატი მჭირდებოდა...

— მერე? — შეაწყვეტინა გიომ.

— შენმა ძმამ ყურიც კი არ შეიბერტყა. თუმცა, ამას არც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. შენი საქმით... მოკლედ, ნუ გექნება ადვოკატის იმედი. ამ საქმიდან მაინც ველარ ამოძვრები!..

— ეგ შენ არ გეხება!.. — ცივად ესროლა გიომ. — ვიდრე ადვოკატს არ მოიყვან, ჩემგან ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებ.

— დღეს შენს დაკითხვას არც ვაპირებდი და ნუ გგონია, რომ შენი ჩვენება მჭირდება. უბრალოდ, შენი გაცნობა მინდოდა, მაინტერესებდა, რა კაცი ხარ...

— გამიცანი?..

— ჩემთვის უკვე გასაგებია, რა „ბაგაჟის“ პატრონიცა ხარ, — გამომძიებელმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — აი, შენი „პადელნიკი“ კი, მართლაც, ძალიან განსხვავდება შენგან: ის საღი თვალით უყურებს ცხოვრებას და შესაბამისად მოქმედებს. არა მგონია, შენსავით გაუჭირდეს აქედან თავის დაღწევა...

გიომ გაოცებული მზერა მიაპყრო. ახლა მართლაც, არ ელოდა გამომძიებლის მიერ ვახოს ხსენებას. სხირტლაძემ კი, მშვიდად განაგრძო ლაპარაკი:

— შენგან განსხვავებით, მან უკვე დაიქირავა ადვოკატი და ბევრად უფრო თბილადაც შემხვდა...

— როდის? — პაუზის შემდეგ ჰკითხა გიომ.

— დღეს... მე არ მქონდა დაგეგმილი შენთან შეხვედრა. შენი „პადელნიკის“ სანახავად მოვედი. შემდეგ კი შენი მონახულებაც გადავწყვიტე.

— ვახომ ჩვენება მოგცა? — გაუბედავად ჰკითხა გიომ.

— ეგ შენ არ გეხება. ამას... — გამომძიებელმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო — სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შუახნის ქალმა შემოაბიჯა.

— სხირტლაძე ბრძანდებით? — მიმართა მან გამომძიებელს.

— დიახ, — თავი დაუქნია დემურმა.

— მე ჭელიძის ადვოკატი, ნანა ბაქრაძე ვარ. აი, ჩემი ორდერი, — ამ სიტყვებთან ერთად, ქალმა გამომძიებელს დოკუმენტი გაუწოდა.

სხირტლაძემ ყურადღებით დაათვალიერა ორდერი, რომელიც იმავე დღით იყო დათარიღებული. შემდეგ, დოკუმენტი უკან დაუბრუნა და თქვა:

— როგორც ჩანს, მაინც გაჭრა ჩემმა დაჟინებამ...

— შეგიძლიათ, მარტო დაგვტოვოთ? — ადვოკატი მაშინვე საქმეზე გადავიდა.

— რა თქმა უნდა. მე დერეფანში დაგელოდებით, — უპასუხა გამომძიებელმა და ოთახიდან გავიდა.

პატიმართან პირისპირ დარჩენის შემდეგ, ადვოკატმა ხელჩანთიდან წერილი ამოიღო და გიოს გაუწოდა — წაიკითხეო.

რეზოს მიერ მოწერილი ბარათი იყო.

„გიო, ეს ორი დღე კარგი ადვოკატის მოძებნას მოვანდომე. არ მინდა, გული გაგიტეხო, მაგრამ ტყუილსაც არ გეტყვი: არ მეგონა, თუ ასეთი ძნელი იყო ადვოკატის მოძებნა. ახლობლებმა რამდენიმე ადვოკატს შემახვედრეს, მაგრამ მათი „სტავკა“ 5 ათასი დოლარიდან იწყებოდა. შენ კი კარგად იცი, რისი „გაქაჩვა“ შემიძლია და რისი — არა. რამდენიმე ადვოკატმა საერთოდ, უარი მითხრა შენი საქმის აღებაზე. ახალი გამომძიებელი კი, დროს არ მაძლევს — უკვე სამჯერ დამიკავშირდა: გიოს დაკითხვას ვაპირებ და ადვოკატი გამონახეო!.. შენი ახალი ადვოკატი დღეს დილით დავიქირავე. ახლობლებმა შემახვედრეს. შეგიძლია, ყველაფერში ენდო. კარგი ადვოკატია და მესხის ხალხსაც არ შეუშინდება. აბა, შენ იცი. ყველაფერი კარგად აუხსენი და გამომძიებელსაც მაგრად მიაწექი“, — წერდა რეზო.

— შენი ძმა დილით მოვიდა ჩემს ოფისში და დახმარება მთხოვა. ახლა ის გარეთ იცდის. ციხეში შემოსვლისას მობილური ჩამომართვეს, თორემ, ახლავე დაგალაპარაკებდი, — თქვა ადვოკატმა, როგორც კი გიომ ბარათის კითხვა დაამთავრა.

— არ არის საჭირო. აქ ყველაფერი გასაგებად წერია, — უპასუხა გიომ.

— კეთილი. ესე იგი, დღეიდან ერთად ვიწყებთ მუშაობას...

— როგორ გგონიათ, შეძლებთ სიმართლის დამტკიცებას? — ჰკითხა გიომ.

— ძნელი იქნება. ჯერჯერობით, მე

მხოლოდ სასამართლოზე წარმოდგენილი მასალების გაცნობა მოვასწარი. არაფერს დაგიმალავ: ამ მასალებს ვერაფერს დავუპირისპირებთ...

— ვერაფერს?! — გაფითრდა გიო. — მაშინ, რა გამოდის?.. იმ არაკაცებმა უნდა გაიმარჯვონ?! მე უკვე კარგად ვნახე, რას წარმოადგენს სასამართლო. მაგრამ ხომ არსებობს სახალხო დამცველი... რაღაც ორგანიზაციები...

— ნუ იქნები გულუბრყვილო, გიო — ამ ქვეყანაში სახალხო დამცველის ინსტიტუტი მხოლოდ ორ შეფასებას იმსახურებს: უკეთეს შემთხვევაში, ის მხოლოდ თავისი პოზიციის დაფიქსირებით კმაყოფილდება, ამით მისი მისია ამოიწურება; უარეს შემთხვევაში კი, ის სახელმწიფოს ერთ-ერთი სტრუქტურის ფუნქციას ასრულებს და დამსჯელი აპარატის ინტერესებს იცავს.

— სტრასბურგის სასამართლო?..

— რა იცი ამ სასამართლოს შესახებ?

— ბევრი არაფერი...

— იქამდე მიღწევა ძალზე ძნელია და ყველაზე მცირე, სტრასბურგში შენი საქმის გაგზავნამდე, 3-3,5 წელი მაინც მოგიწევს ჯდომა, — უპასუხა ადვოკატმა. — თანაც, სტრასბურგთან ურთიერთობისთვის, ადვოკატს შესაბამისი კვალიფიკაციაც უნდა ჰქონდეს. არ დაგიმალავ — მე ამას ვერ შევძლებ...

— მაშინ... მაშინ რისთვის მოჰკიდეთ ხელი ამ საქმეს?! — აღელდა გიო.

— ნუ ბრაზობ, გიო, და რეალურად შეხედე სინამდვილეს... უბრალოდ აგიხსნი, ამ საქმეში ჩემი ჩართვის მიზეზს. შენს ძმასა და დედას არა აქვთ უკეთესი ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა.

— ფულს გულისხმობთ?

— დიახ, — დაუდასტურა ადვოკატმა.

— რამდენი გადაგიხადათ ჩემმა ძმამ?

— ათასი დოლარი და მერწმუნე, რომ ამ ფასად ძალზე ძნელია კვალიფიციური ადვოკატის დაქირავება. ათას დოლარად მეც არ მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს, მაგრამ მე და შენს ძმას საერთო ახლობლები აღმოგვაჩნდა და... — აღარ დაასრულა ადვოკატმა.

— ესე იგი, ვერანაირ პირობას ვერ მომცემთ?.. — მძიმედ ჩაილაპარაკა გიომ.

— ვერა, — თავი გააქნია ნანამ. — შენ შეგიძლია, უარი თქვა ჩემს სამსახურზე, მე არ მეწყინება. მაგრამ ეს უფრო გაართულებს შენს მდგომარეობას.

— რით?

— ამ შემთხვევაში, შენს ძმას ისევ მოუწევს ადვოკატის ძებნა. ამას დრო დასჭირდება. დღესდღეობით კი, ყოველი დაკარგული წუთი და საათი კიდევ უფრო ამძიმებს შენს მდგომარეობას. პირობას გაძლევ, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ. და სხვა თუ არაფერი, სხირტლაძეს შენი მდგომარეობის გართულების საშუალებას არ მივცემ.

— რას მომცემს ეს? — ჰკითხა გიომ.

— დაგიზოგავს ფულს, რომელიც არცთუ ისე ბევრი აქვს შენს ძმას... დაგიზოგავს იმ ადვოკატის დასაქირავებლად, რომელიც ევროსასამართლოში დაიცავს შენს ინტერესებს — რა თქმა უნდა, თუ ეს საქმე იქამდე მივიდა, — უპასუხა ნანამ.

— ეს ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად ჟღერს... — ჩაილაპარაკა გიომ.

— სხვას ვერაფერს გეტყვი. თუ გსურს, მე დღესვე დავუბრუნებ შენს ძმას ფულს და ორდერსაც გავაუქმებ. ეს მხოლოდ შენი გადასაწყვეტია.

— არა! — გიომ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. — არ მინდა ჩემი ძმის წვალება...

— კეთილი, — გაუღიმა ნანამ, — ესე იგი, დღეიდან ერთად ვიწყებთ მუშაობას.

— ჰო... მაგრამ როგორ?.. რით უნდა დაგეხმაროთ მე? — ჰკითხა გიომ.

— ეს მუშაობის პროცესში გამოიკვეთება. მანამდე კი, ერთ გაფრთხილებას მოგცემ: უჩემოდ არასოდეს შეხვდე გამომძიებელს. როგორც კი მას მარტო მოსულს იხილავ, უარი თქვი შეხვედრაზე და ბადრაგს საკანში დაბრუნება მოსთხოვე.

— გასაგებია... მე დღესაც უარი ვუთხარი ჩვენების მიცემაზე.

— არა, არა. მე ჩვენებაზე არ ვლაპარაკობ — საერთოდ მასთან შეხვედრაზე. ასეთ შემთხვევაში — გამომძიებელთან შეხვედრაზე უარის თქმის შემთხვევაში, — ფაქტი ოფიციალურად დაფიქსირდება. დღეს კი, შენ შეხვდი გამომძიებელს და მე არ ვიცი, თუ როგორ გამოიყენებს სხირტლაძე ამას...

— ისე, მას არც უთხოვია ჩვენების მიცემა. მხოლოდ ის მითხრა, რომ ჩემი გაცნობა სურდა, — უთხრა გიომ.

— სასაცილოა. გამომძიებელი მხოლოდ პატიმრის გასაცნობად არასოდეს მოვა ციხეში... — შენიშნა ადვოკატმა.

— არა, ის ვახოსთან იყო მოსული.

— გორგაძესთან? — გაუკვირდა ნანას.

— დიახ, — დაუდასტურა გიომ, — ასე მითხრა.

— ეს მართლაც, მოულოდნელობაა ჩემთვის, — ჩაილაპარაკა ნანამ, შემდეგ წამოდგა და გამომძიებელი მოიწვია.

სხირტლაძე აუჩქარებლად მიუახლოვდა სკამს, დაჯდა და გამჭოლი მზერა მიაპყრო ნანას.

— ისე, თქვენთან შეხვედრა საქმის მასალების საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ მქონდა გადაწყვეტილი. მაგრამ რადგანაც ყველანი აქ ვართ, შეგვიძლია, საქმეზე ვილაპარაკოთ, — დაიწყო ადვოკატმა.

— დიდი სიამოვნებით, — დაეთანხმა სხირტლაძე.

— რისთვის შეხვდით გიორგის? — ცივად ჰკითხა ნანამ. — თქვენ ხომ იცოდით, რომ მას ადვოკატი არ ჰყავდა.

— ქალბატონო ნანა, მოდით, ახლავე შევთანხმდეთ ერთ საკითხზე: ნუ გამაიგივებთ იმ ავ გამომძიებელთან, რომელიც მხოლოდ კოლონიაში ეჭვმიტანილის გასტუმრებისთვის იღვწის. მერწმუნეთ, ეს მართლაც არ წარმოადგენს ჩემს მიზანს. მე გამომძიებელი ვარ და პირველ რიგში, სიმართლის დადგენა მსურს.

— და ამისთვის შეხვდით გიორგის უჩემოდ?!. — შეაწყვეტინა ნანამ.

— ჯერ ერთი, მე არც ვიცოდი, რომ მას ადვოკატი ჰყავდა. მეორე: ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ციხიდან გათავისუფლების შესაძლებლობა მომეცა და ამის შეთანხმება მსურდა გიორგისთან, — უპასუხა გამომძიებელმა.

— ვახოს გულისხმობთ? — გაოგნებული მზერა ესროლა გიომ.

— ჰო, — თავი დაუქნია სხირტლაძემ, — რამე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო?..

— რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო?! ვახოს არაფერი დაუშავებია, — სწრაფად უპასუხა გიომ.

— რის საფუძველზე უნდა გაათავისუფლოთ გორგაძე? ის გაამართლეს?.. — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნანამ.

— ამის შუამდგომლობით მისმა ადვოკატმა მომმართა.

— კი, მაგრამ იგივე შუამდგომლობა ადვოკატმა სასამართლოშიც დააყენა!.. — შენიშნა ნანამ. — რა შეიცვალა სასამართლოს შემდეგ?

— მე ვერ ჩავერევი სასამართლოს კომპეტენციაში და მოსამართლის გადაწყვეტილების განხილვასაც არ ვაპირებ.

— მაშინ, რამ იმოქმედა თქვენს გადაწყვეტილებაზე? — განაგრძო ნანამ. — ეს მხოლოდ ახალი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში თუ იქნება შესაძლებელი.

— მართალი ბრძანდებით — სწორედ ახალი გარემოების აღმოჩენის მოტივით მომმართა მისმა ადვოკატმა.

— მერედა, რა არის ეს გარემოება?

— ვახტანგ გორგაძის ჩვენება. მან დღეს მომცა ჩვენება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა მისი გირაოთი გათავისუფლება.

— მიჩვენეთ ეს ჩვენება! — კატეგორიული ტონით მოითხოვა ნანამ.

სხირტლაძემ უხმოდ შეასრულა თხოვნა — ჩვენება საქაღალდიდან ამოიღო და ადვოკატს გაუწოდა.

ნანამ სწრაფად გადაათვალიერა ჩვენება, შემდეგ, რისხვით აღსავსე მზერა მიაპყრო გამომძიებელს და თქვა:

— თქვენ ხომ არ შეიშალეთ?! რას ნიშნავს ეს?!

— ეს, ქალბატონო ნანა, ვახტანგ გორგაძის ოფიციალური ჩვენებაა და თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ ამაში, შეგიძლიათ, თავად შეხვდეთ მას. ამწუთას, ის და მისი ადვოკატი გვერდით ოთახში იმყოფებიან... — დამცინავი ტონით თქვა სხირტლაძემ, შემდეგ, ჩვენება საქაღალდეში ჩააბრუნა, ადგა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

«ფეხბურთის ღმერთი» 46 წლისაა

ამას წინათ, დიეგო მარადონა სან-სალვადორს ეწვია და იქაურ Cuscatlan Stadium-ზე ვეტერან ფეხბურთელებთან ხალისიანად იბურთავა. შემდეგ არგენტინელი სუპერვარსკვლავი ადგილობრივ ცნობილ ადამიანებსაც შეხვდა და პრესკონფერენციაზე, მასმედიის წარმომადგენლების შეკითხვებსაც ხალისით პასუხობდა. მარადონაზე მკითხველის ყურადღება ამჯერად შემთხვევით ნამდვილად არ შეგვიჩერებია — 1986 წლის მუნდიალის გმირი ხომ 30 ოქტომბერს 46 წლის გახდა...

ალექსი რეხვიაშვილი

დიეგო მარადონა ერთ-ერთი უდიდესი ოსტატია, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში გაიბრწყინა — ალბათ, ყველაზე საიდუმლოებით მოცული, წინააღმდეგობებით აღსავსე და ამავდროულად, საქვეყნოდ ცნობილი თავისი სპორტული თუ პირადი ცხოვრების დეტალებით. პლანეტის მილიონობით საფეხბურთო ქომაგი და თუ გნებავთ, სპორტის ამ სახეობით ნაკლებად დაინტერესებული უამრავი ადამიანიც, მარადონას აღიქვამდა არა მხოლოდ ჩვეულებრივ, მაღალი დონის მოთამაშედ, არამედ მთელ ორკესტრად, ფიგურად, რომელსაც კლუბსა და ეროვნულ ნაკრებში ერთდროულად რამდენიმე ურთულესი როლის შესრულება შეეძლო. ის იყო თამაშის მთავარი ორგანიზატორი არა მარტო თავდასხმაში, არამედ დაცვაშიც, ამავე დროს, არგენტინელი გვევლინებოდა თავისი გუნდის უპირველეს გოლეადორადაც. დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში, დიდი დიეგო თავად იყო არგენტინის ეროვნული ნაკრები. ეს არც არის გასაკვირი, რადგან არა მარტო თეთრ-ცისფერმაისურიანთა, არამედ, ნებისმიერი სხვა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის ეროვნული გუნდის ისტორიაში, ძნელად მოძებნით ისეთი გავლენის მქონე ფეხბურთელს, როგორიც დიეგო გახლდათ. ის მრავალფეროვანი ტექნიკური არსენალით, ზუსტი და გამიზნული პასით, შეუდარებელი დრიბლინგით, მოედანზე სწრაფი აზროვნებისა და გადაადგილების უნარით გამოირჩეოდა, რაც ყოველთვის (თვით მარადონას მეტოქე გუნდების წარმომადგენელთა რიგებშიც) აღფრთოვანებას იწვევდა.... თუმცა, მოედანზე დონ დიეგოს ნამოქმედარის სიტყვიერად გადმოცემა ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია, ეს შთამბეჭდავი სანახაობა ადამიანს საკუთარი თვალით უნდა ეხილა.

დიეგო მარადონას პერსონაზე საუბრისას, ალბათ, ფეხბურთის ნებისმიერ ქომაგს, უპირველეს ყოვლისა, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებთა დაპირისპირება ახსენდება. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან არგენტინელის პიროვნული ორსახოვნება სწორედ ამ ისტორიულ, დრამატიზმით აღსავსე პაექრობაში გამოვლინდა ყველაზე ამკარად: „იდუმალებით მოცული ნეგატივი“, რომელმაც მას „ღმერთის ხელის“ დახმარებით პიტერ შილტონის კარში პირველი გოლი გაატანინა და „ქარიზმატული პოზიტივი“, რომელმაც „ზებუნებრივი“ სლალომის განხორციელებისას მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ დიეგოს სახით 1986 წლის მუნდიალზე ნამდვილად ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული პერსონა იმყოფებოდა. ისე კი, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატამდეც და მის შემდეგაც, მარადონას თავისი პიროვნული ორსახოვნება არაერთხელ გამოუვლენია როგორც საფეხბურთო მოედანზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ასეთი გარემოების გათვალისწინებით, აღარ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ არგენტინელი ფეხბურთელი ზოგისთვის კერპად და ფაქტობრივად, ღმერთაცადაა ქცეული, ზოგისთვის კი უაღრესად ოდიოზურ პერსონად, რომელსაც ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკაზე მხოლოდ საზიანო ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. თუმცა, ერთ ფაქტს არასოდეს არავინ უარყოფდა: მარადონა განუმეორებელი მოვლენაა, რომელმაც შეცვალა ფეხბურთი და სპორტის ამ სახეობისადმი ადამიანთა დამოკიდებულება.

არგენტინელი სუპერვარსკვლავის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაზე ლაპარაკისას, ყოველთვის ამახვილებენ ყურადღებას ნარკოტიკებისადმი ფეხბურთელის დამოკიდებულებაზე. ამ საქვეყნოდ ყბადაღებულ თემაზე ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ლაპარაკი, როდესაც მარადონა იტალიური „ნაპოლის“ ღირსებას იცავდა და ნეაპოლელთათვის ნამდვილ კერპად მიიჩნეოდა. მაშინ, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ცნობა იმის შესახებ, რომ არგენტინელი ვარსკვლავი იტალიელმა პოლიციელებმა კოკაინის მოხმარების ბრალდებით დააკავეს. მანამდე კი, იყო 1990 წლის მუნდიალი, რომელსაც იტალია მასპინძლობდა და რომლის ნახევარფინალშიც დიეგომ და მისმა თანაგუნდელებმა სწორედ მასპინძელთა გუნდს სძლიეს. ამ ფაქტის გამო, მარადონა არაერთი იტალიელისთვის საძულველ პიროვნებად იქცა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ზემოხსენებული მატჩის მსვლელობის დროსაც, დიეგოს სიყვარულით, არგენტინის ნაკრებს ქომაგობდნენ. ალბათ, ამ საფეხბურთო დაპირისპირების პერიპეტიების გახსენებაც ცხადყოფს დიდი არგენტინელისადმი საზოგადოების არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, მარადონა ყოველთვის რჩებოდა იმ პერსონად, რომელიც ხალხის რეაქციის შესაბამისად, საკუთარ აზრს არასოდეს იცვლიდა. ის წლების განმავლობაში ნარკომანობდა და ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ მოედანზე ყოფნისას, ფეხბურთის სხვა კაშკაშა ვარსკვლავების ფონზეც კი, ერთი თავით მაღლა მდგომ ფიგურად რჩებოდა. სტიმულატორებისადმი არგენტინელის დამოკიდებულებით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგმა ფეხბურთის გურმანებს კიდევ ერთხელ დასწყვიტა გული 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას. გახმაურებული დისკვალიფიკაციების, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესებისა თუ სხვა სკანდალების შემდეგ, აშშ-ში მიმდინარე ტურნირზე მარადონა კვლავ ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა. ქარიზმატული დიეგო ჩვეულ სტილში დირიჟორობდა ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ არგენტინის ნაკრებს, რითიც ხმამაღალ განაცხადს აკეთებდა იმის შესახებ, რომ მისი გუნდი მხოლოდ უმაღლესი მიზნის მისაღწევად იბრძოლებდა. თუმცა, მარადონა რისი მარადონა იქნებოდა, მსოფლიო ჩემპიონატი სკანდალის

გარეშე რომ დაესრულებინა. ჯგუფურ ეტაპზე საბერძნეთის გუნდთან შთამბეჭდავად ჩატარებული მატჩის შემდეგ, დოპინგკონტროლმა ფეხბურთელის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოაჩინა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ რუმინელებთან გამართულ მომდევნო შეხვედრას სამხრეთამერიკელები უიმედოდ აგებდნენ, ხოლო თავად თვალცრემლიანი დიეგო, თავისი განწირული გუნდის ბრძოლას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. სხვათა შორის, 1994 წლის მუნდიალზე არგენტინის ნაკრებში განვითარებული მოვლენები, მარადონას საფეხბურთო კარიერაში კიდევ ერთ ყბადაღებულ თემად რჩება, რომელზე კამათიც ალბათ არასოდეს შეწყდება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელი ამ ტურნირზე დისკვალიფიკაციას ნამდვილად იმსახურებდა, ხოლო მეორეთა აზრით, რომელსაც სრულიად იზიარებს თავად არგენტინელთა კერპი, ფიფას მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჟოაო აველანჟმა თავის მაფიოზურ გარემოცვასთან ერთად, განგებ ჩამოაშორა ტურნირს მარადონა, რათა თეთრ-ცისფერმაისურიანებს ბრაზილიის ნაკრებისთვის გაჩემპიონებაში ხელი არ შეეშალათ. ასე იყო, თუ ისე, 1994 წელს, დიდი დიეგოს გარეშე დარჩენილი არგენტინელები უკვე მერვედფინალიდან სამშობლოში გაემგზავრნენ, სუპერვარსკვლავის დისკვალიფიკაციის გამო, ტურნირისადმი ინტერესმა მნიშვნელოვნად იკლო, ყვითელმაისურიანებმა კი, 24-წლიანი დამთრგუნველი პაუზის შემდეგ, მეოთხედ იზეიმეს ფიფას თასის დაუფლება.

რა გასაკვირია, რომ თავისი მშფოთვარე ცხოვრების გამო, დიეგო მარადონა ყოველთვის მასმედიის ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ან სად უნდა მოეძებნათ პაპარაცებს უკეთესი სამიზნე, ვინც სკანდალების მოწყობაში დონ დიეგოს კონკურენციას გაუწევდა? ამის გამო, მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში, ათასგვარი ჭორ-მართალი ვრცელდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ჭეშმარიტების დადგენა ხანდახან თავად ფეხბურთელსაც უჭირდა. ერთხელ, დიეგო აბეზარ კორესპონდენტებს სანადირო თოფითაც კი დაერია. სუპერვარსკვლავს არც თავისი ყოფილი საყვარლები სწყალობდნენ, რომლებიც დიდი მონდომებით ცდილობდნენ, კანონიერი თუ უკანონო მეთოდებით, დიეგოს ფულის მითვისებას. მეოცე საუკუნის მიწურულს კი, მარადონას მამათმავლობაშიც დასდეს ბრალი. მიშველეთ ხალხო, ქმარი დიეგოსთან მღალატობსო, — უთქვამს ერთ-ერთი არგენტინული ტელეარხის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას კლაუდიო კანიჯას უკვე ყოფილ ცოლს. ისე, კანიჯასა და მარადონას მეგობრობა ცალკე საუბრის თემაა. „ცისფერში“ გადაწყვეტილი ფეხბურთი კი, არგენტინელთათვის აქტუალური კიდევ ერთხელ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ გახდა, როდესაც გუნდის იმჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, დანიელ პასარელამ შემადგენლობაში შეყვანაზე უარი უთხრა ყველა ფეხბურთელს, რომელიც გრძელ თმას ან საყურეს ატარებდა. ერთი სიტყვით, საფრანგეთში გამგზავრების დიდი სურვილით, გაბრიელ ბატისტუტამ თმა მართლაც დაიმოკლა, ხოლო ფერნანდო რედონდომ ჭირვეული თავკაცის მოთხოვნა არ შეასრულა და მუნდიალს მიღმა აღმოჩნდა. სხვათა შორის, მაშინ არგენტინაში ბევრს საუბრობდნენ საფრანგეთში მარადონასა და კანიჯას წაყვანის აუცილებლობაზე, მაგრამ დანიელ პასარელა ყველას ჯიუტად პასუხობდა — ჩემს გუნდში არავის მივცემ უფლებას, გოლის გატანის შემდეგ უმსგავსო ხვევნა-კოცნა გამართოს და ამით მთელი მსოფლიოს თვალში ეროვნული ნაკრების ღირსება შებღალოსო.

რაკი პასარელაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მისი და მარადონას ურთიერთობის თემასაც. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, დიეგოსა და დანიელს შორის ყოველთვის დაძაბული დამოკიდებულება სუფევდა. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, საფეხბურთო მიმომხილველები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ სწორედ მარადონას დამსახურებით, კარლოს ბილარდოს გუნდში პასარელას ადგილი არ მოიძებნა, რის გამოც 1978 წლის ტრიუმფატორს ფიფას თასის მეორედ დაუფლების შანსი წაერთვა...

მარადონასთვის უცხო არც პოლიტიკური ხასიათის ხმამაღალი განცხადებები ყოფილა. უკვე კარგა ხანია, რაც იგი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ოპონენტი და კუბელი ხალხის „დიდი ბელადის“, ფიდელ კასტროს ერთგული მეგობარია. უფრო მეტიც, არგენტინელს სოციალიზმის „უკანასკნელი მოჰიკანი“ წვივზე, ხოლო სამხრეთამერიკელთა გმირად აღიარებული ჩე გევარა მხარზე ამოუსვირინგებია.

გავიხსენებთ, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატსაც, როდესაც იაპონიის ხელისუფლებამ ამომავალი მზის ქვეყანაში მარადონას შეშვებაზე უარი განაცხადა — ნარკომანის ჩამოსვლა ჩვენს ბავშვებზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენსო. დონ დიეგომ კი, შორეული აღმოსავლეთის მკვიდრთ ჩვეული პირდაპირობით უპასუხა — ჯობს იაპონიაში შეშვებაზე უარი ჯორჯ ბუშს უთხრათ, რომელსაც ყოველთვის ზარ-ზეიმით ხვდებით და რომლის ქვეყანამაც ხიროსიმა და ნაგასაკი დაგიბომბათო...

მიუხედავად იმისა, რომ მარადონა დიდ ფეხბურთს ოფიციალურად 2001 წელს გამოეთხოვა, თავისი ცხოვრების სტილის გამო, იგი დღემდე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რჩება. ბოლო წლებში, არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა გახდომის მიზნით, სპეციალური ოპერაცია გაიკეთა; თავისუფლების კუნძულზე, მეგობარ ფიდელთან, ნარკოლოგიური თერაპიაც არაერთხელ ჩაიტარა და როგორც იქნა (ყოველ შემთხვევაში, უნდა ვირწმუნოთ), საშინელი სენისგან განიკურნა. ამის შემდეგ, მან შოუბიზნესშიც სცადა ბედი და ერთ-ერთ პოპულარულ არგენტინულ ტელეარხზე ყოველკვირეული რეიტინგული ტოქშოუს წამყვანად მოგვევლინა, რომელსაც ქართველი ტელემაყურებელიც ადევნებდა თვალს. შოუს — „სტუმრად მეათე ნომერთან“, რომელმაც მისი წამყვანი, იუმორით აღსავსე, კაცთმოყვარე და ოჯახის ერთგული პიროვნების იმიჯით წარმოაჩინა, ისეთი პოპულარული პიროვნებები ეწვივნენ, როგორებიც პელე, გაბრიელ ბატისტუტა, მანუელ ჯინობილი, გაბრიელა საბატინი, ლიონელ მესი, ანტონიო ბანდერასი, მაიკ ტაისონი და სხვები არიან. რა თქმა უნდა, მათ რიცხვს არც კლაუდიო კანიჯა და ფიდელ კასტრო გამოჰკლებიან. მარადონაც, მათთან დიდი ხალისით ხუმრობდა, თავადაც ერთობოდა და მაყურებელთა მრავალმილიონიან აუდიტორიასაც ართობდა.

ბოლოს, იმასაც მოგახსენებთ, რომ შესაძლოა, მალე ჰონდურასის ნაკრების მთავარ მწვრთნელად სწორედ დონ დიეგო მოგვევლინოს. ამის შესახებ ცოტა ხნის წინ თავად ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „მარადონამ სიტყვიერი თანხმობა უკვე მოგვცა. იგი ნამდვილად ისაა, ვინც ჩვენ გვჭირდება. მას ჩვენი გუნდის უფრო მაღალ დონეზე აყვანა შეუძლია“.

და კიდევ, 29 ოქტომბერს ბუენოს-აირესში სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ფეხბურთელის პირველი ძეგლი გაიხსნა. ბრინჯაოთი და ბეტონით დამზადებული 3 მეტრის სიმაღლისა და 300 კგ წონის სკულპტურა, მარადონას მშობლიური გუნდის, „ბოკა ხუნიორსის“ სტადიონ „ბომბონერას“ მუზეუმში დადგეს. ■

„13 წლის რომ გახლდით (ახლა 27 წლის ვარ), მაშინაც ისეთივე ვიყავი, როგორიც დღეს ვარ. უბრალოდ, ოდნავ გავსუქდი, თითქოს უფრო ჩამოვყალიბდი. თინეიჯერობის ასაკშიც ისე ვაზროვნებდი, როგორც ზრდასრული ადამიანი“, — მითხრა მომღერალმა ჯაბა ბოჯგუამ, რომელიც თავის დროზე მასწავლებლებს სკანდალებს უწყობდა...

სუპერგამომწვევი გოგონები, გატაცებული „საცოლე“, სკანდალური მოსწავლე

„ის უეცრად მომწიფდა და სანამ რაიმე მოვიფიქრე – მოიტაცეს“...

ლიკა ქაჯაია

— იმას, რასაც დღეს გამგეობა ჰქვია, ადრე რაიკომი ერქვა. სკოლიდან რომ მოვდიოდი, კლასელებს ვატყუებდი: დედაჩემი აქ მუშაობს-მეთქი, — და რაიკომის შენობაში შევდიოდი. მიხაროდა, როცა იქ ჩინოვნიკებს ვხედავდი, ვესალმებოდი. ყოველთვის მომწონდა „დიდ“ ხალხთან ურთიერთობა. მამა დიდი ხნის წინ გარდამეცვალა და ბავშვებს იმასაც კი ვეუბნებოდი: იცით, დედაჩემი რაიკომის მდივანზე (ან ვიღაც ჩინოვნიკზე) თხოვდება-მეთქი, — მაშინ, როცა იმ ვიღაცას ცოლიც ჰყავდა და შვილებიც... მოგეხსენებათ, მე წარმოშობით სენაკიდან ვარ, ის კი პატარა ქალაქია და ჭორი მალე ვრცელდებოდა. ჩემი ცუღლუტობის ამბები დედაჩემამდეც აღწევდა და ამის გამო, მსჯიდა ხოლმე, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლიდი, იმას ვამბობდი და ვაკეთებდი, რაც მომინდებოდა.

— ახლა, როცა ამ ყველაფერს იხსენებ, როგორ ფიქრობ — ამას რატომ აკეთებდი?

— ახლა მეცინება, მაგრამ ჩემი საქციელი იმით იყო განპირობებული, რომ ბავშვური ბავშვი არ ვიყავი, რატომღაც, ყოველთვის ისე ვაზროვნებდი, როგორც ზრდასრული ადამიანი.

— ნაადრევად „დაღვინდი“?

— ჰო, ალბათ. მთელი კვირის განმავლობაში ფულს ვაგროვებდი, მერე ორშაბათს ან სამშაბათს, როცა დედას ეგონა, რომ სკოლაში ვიყავი, ავტოსადგურში მივდიოდი, ფოთი-ბათუმის ავტობუსს ვხვდებოდი და ქუთაისში „მივქროდი“, რომელიც მაშინ ჩემთვის ჩიკაგო იყო...

— იქ რას აკეთებდი?

— განსაკუთრებულს არაფერს — ვყიდულობდი რაღაც-რაღაცებს, მერე ბარში დიდი კაცივით ვჯდებოდი, მივირთმევდი ნამცხვარს და შემდეგ, ისევ სენაკში ვბრუნდებოდი. სახლში რომ მივიდოდი, დედას სიმართლეს ვუუბნებოდი — ქუთაისში ვიყავი-მეთქი და ამ სიმართლისთვის, მთელი 10 დღის განმავლობაში სახლიდან არსად მიშვებდნენ... ასეთი „პოხონდრიები“ ყოველთვის მქონდა.

— როგორი მოსწავლე იყავი?

— ნიჭიერი, მაგრამ არა ფრიადოსანი. ძალიან მიყვარდა ქართული ლიტერატურა, ისტორია; მათემატიკასა და ტექნიკურ საგნებს ვერ ვიტანდი. ნეტავ, მესწავლა, ახლა გამომადგებოდა, რადგან ბევრი რაღაც მაქვს დასათვლელი *(იცინის)*... არ ვიცი, რატომ ავიკვიატე თურქული ენის სწავლა, მაგრამ სანამ თბილისიდან ლექსიკონი არ ჩამომიტანეს, ლამის ჭკუიდან შევიშალე. ერთხელ, სკოლაში ახალი მასწავლებელი, „სვეტსკი“ ახალგაზრდა ქალბატონი მოიყვანეს, რომელიც თურქეთში დადიოდა (შესაბამისად, ეს ენაც იცოდა) და მასთან თურქულად მისალმებაც კი, ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ძალიან მომწონდა თურქეთიდან ჩამოტანილი „პუმის“ „კაშნეები“, სპორტული ტანისამოსი... როცა გავიგებდი, რომ ვიღაც — ვთქვათ, კლასელის დედა — თურქეთიდან დაბრუნდა, მასთან მივდიოდი და ვეკითხებოდი — რომელ ქალაქში იყო, იქ რა ხდებოდა და ამის მიხედვით ვაგებდი „ზღაპრებს“, რომელთაც მერე მეგობრებს ვუყვებოდი.

— მაგალითად?

— ვამბობდი, რომ ვიყავი ტრაპიზონში, სადაც უამრავი რამ ვნახე, მაგარი დროც ვატარე და ა.შ.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— ვაბრაზებდი რომელია?! თუ რომელიმე მათგანი ისეთ ნიშანს დამიწერდა, რომელიც არ მომწონდა, სკანდალს ავტეხდი. დირექტორთან ავდიოდი და ვეუბნებოდი: იმ მასწავლებელმა ნავთი მთხოვა და რომ არ მოვუტანე, ნიშანი ამიტომ დამაკლო-მეთქი. ასეთი რომ ვიყავი, მალე მთელმა პედკოლექტივმა გაიგო და ისინი ამიტომაც ცდილობდნენ, ჩემთვის თავი აერიდებინათ.

— ეი. ინტრიგანი იყავი?

— ჰო, ასე გამოდის. ფაქტობრივად, არც ერთ მასწავლებელს არ ვუყვარდი (შეიძლება, ვინმეს თავი ახლა შევაყვარე), მაგრამ ჩემს საქციელს ერთგვარი გამართლება ჰქონდა. მოსწავლეობამ იმ პერიოდში მომიწია, როცა ქვეყანაში არეულობა იყო, ნავთი და პური არ იშოვებოდა. სკოლაში საწვავი მშობლებს მიჰქონდათ. არსებობდა მასწავლებლების ისეთი კატეგორია, რომლებსაც მართლა უჭირდათ და... მე კი ყველაფერ ამას აფიშირებას ვუკეთებდი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირადად მე არაფერს მთხოვდნენ. ერთხელ, გაკვეთილზე მასწავლებელმა კარამელი წამართვა. იმწუთას, მგონი, ეგოისტი გავხდი. როგორც მჩვეოდა, დერეფანში გამოვვარდი და ყვირილი დავიწყე: იმიტომ წამართვა, რომ თავის შვილიშვილს უნდა წაუღოს-მეთქი!.. მოკლედ, ყოველდღე ახალ-ახალ მიზანსცენას ვდგამდი.

— საშინაო დავალებებს წერდი?

— როგორ არა, მაგრამ ხანდახან მეზარებოდა და ჩემ გვერდით მჯდომს რვეულს ვპარავდი, იქიდან იმ ფურცლებს ვხევდი, რომლებზეც დავალება ეწერა, ქვეშ ჩემს სახელსა და გვარს მივაწერდი, მერე კი... მოჰყავდათ მშობლები, მიტარებდნენ „ლექციებს“, რომ ასე აღარ უნდა მოვიქცე, რომ ეს ცუდი საქციელია, — მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე მეორდებოდა.

— სამაგიეროდ, ალბათ, სიმღერა გიყვარდა, არა?

— რა თქმა უნდა. ჩემ გარეშე სკოლაში არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა, ყოველთვის სოლო სიმღერას ვმღეროდი. ხშირად ვმართავდი კონცერტს — ვიღაცას გარაჟს ვთხოვდი, მერე სახლში მივრბოდი, ფარდებს ჩამოვხსნიდი, ქვაბებს „დავითრევდი“, ავტოსადგომში მოწყობილ „სცენას“ ნაძვის ხის ნათურებით ვაწყობდი (მაშინაც ვიცოდი, რომ კონცერტის დროს განათებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა) და ჯაბა თავისი ორკესტრით, „საღამოს“ მართავდა, სადაც ბილეთის ფასი 1 მანეთი გახლდათ და მოდიოდა მთელი უბანი, კონცერტი ანშლაგით მიდიოდა.

— სკოლის ფორმა მოგწონდა?

— ვერ ვიტანდი. სკოლის პერიოდში მქონდა რაღაც თურქული ჩანთა, რომელსაც ბევრი წარწერა და მარკა ჰქონდა. ამ ჩანთაში ვალაგებდი შორტს, აბრეშუმის ქსოვილის პერანგს (რომელიც მაშინ მოდაში იყო) და, სადარბაზოდან გამოვიდოდი თუ არა, ისე, რომ დედას არ დავენახე, ტანისამოსს ვიცვლიდი. მერე სკოლაში სიხარულით „მივშრიალებდი“. სამაგიეროდ, ძალიან მომწონდა პიონერის წითელი ყელსახვევი.

— დედაშენს რაიმე წრეზე არ დაჰყავდი?

— როგორ არა?! ჯერ იყო და, გიტარის შემსწავლელ წრეზე შემიყვანა, სადაც თითები მეტკინა და მალევე გამოვედი; მერე რატომღაც, მაშინ მოდური კარატეს სექციაზე მიმიყვანეს (ჯაბა და კარატე, ხომ წარმოგიდგენია?!). იქ საერთოდ ვერ გავიგე, რა ხდებოდა და 1 თვეში გამოვედი *(იცინის)*; მერე — სოლფეჯიოო... მეგონა, ეგრევე სიმღერების დაკვრას მასწავლიდნენ, მაგრამ რაღაც ფილოსოფოსობა რომ დაიწყეს, არ მომეწონა და ლამის გავგიჟდი. მოკლედ, გული ვერაფერს დავუდე. შემდეგ, ანსამბლში შევედი, რომელსაც „ჩიორა“ ერქვა და ეს ერთადერთი ადგილი იყო, საიდანაც წამოსვლა არც კი მიფიქრია.

— შენ თქვი — კონცერტებს ვაწყობდი და ბილეთებს მანეთად ვყიდიდიო. ეი. ფულიანი ბავშვი იყავი?

— აბა, რა! ფული ყოველთვის მქონდა.

— სად ხარჯავდი?

— ჩვენთან ერთი ბარი იყო — „ნუგბარი“, სადაც ჩემი ასაკის ბავშვები არ შედიოდნენ, მე კი იქ თითქმის ყოველთვის დავდიოდი და აჩმას, ნამცხვარს მივირთმევდი... ძალიან მომწონდა „ლისიჩკა“ სათვალე, რომელიც „ციგნებს“ დაჰქონდათ და მათი კოლექცია მქონდა, ფერების მიხედვით —

წითელი, ყვითელი, მწვანე და ა.შ. ვმონაწილეობდი პარადში, ხელში პლასტმასის ყვავილები მეჭირა და რაღაც ილეთებს ვაკეთებდით.

— კლასელებთან ერთად „შატალოზე“ არ დადიოდი?

— რა თქმა უნდა, და სკოლის გაცდენის ინიციატორი ყოველთვის მე ვიყავი. ხან მთაში მივდიოდით, ხან — ქალაქში გავდიოდით და ვსეირნობდით, ზოგჯერ კი, უბრალოდ, სკოლის ეზოში ვისხედით. მთავარი იყო, გაკვეთილი გაგვეცდინა და სად ან როგორ გავერთობოდით, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— მერე მასწავლებლები თქვენს მშობლებს არ იბარებდნენ?

— ჩვენს მშობლებს დღესასწაულებზე მათთვის ტორტები მიჰქონდათ ხოლმე, ამით მათდამი პატივიცემას გამოხატავდნენ და თუ ვინმე გვეტყოდა — ხვალ მშობლები მოიყვანეთო! — ვყვიროდი: რა იყო, დედაჩემმა ტორტი რომ აღარ მოგიტანათ, ამიტომ გვექცევით ასე-მეთქი?! ასეთი სკანდალისთვის თავი რომ აერიდებინათ, აღარაფერს გვეუბნებოდნენ.

— მასწავლებელს არასდროს დაუსჯიხარ?

— როგორ არა?! სამხედროს მასწავლებელი ძალიან მკაცრი კაცი იყო, თუ გაბრაზდებოდა, ყურებს ისე აგახევდა, რომ მერე რამდენიმე დღე დასივებული გქონდა. მას რემბოს ვეძახდით.

— ჰგავდა?

— სხვათა შორის, მართლა ჰგავდა... ახლა ერთი ამბავი გამახსენდა. ცეკვის წრეზე დავდიოდი, სადაც მოითხოვდნენ, რომ ცერებზე დავმდგარიყავი, მე კი ამას ვერ ვახერხებდი, ამიტომ წკეპლით მცემდნენ ხოლმე. ერთხელ ავკივლდი: ვაიმე, მომკლეს-მეთქი! — და რაღაცები მოვიგონე. მერე ჩვენს ოჯახში ეს მასწავლებელი მეუღლესთან ერთად მობრძანდა და დედაჩემს სთხოვა: ამ ამბავს აფიშირება არ გაუკეთოთ და ჯაბას ცერებზე დგომას აღარ მოვთხოვთ, თუ არ უნდა, საერთოდ არ იაროს, ისე მივცემთ დიპლომსო, — და მართლაც, ასე მოიქცნენ (დიპლომში ფრიადი ჩამიწერეს).



ჩანთაში ვალაგებდი შორგს, აბრეშუმის ქსოვილის პერანგს და, სადარბაზოდან გამოვიდოდი თუ არა, ისე, რომ დედას არ დავენახე, განისამოსს ვიცვლიდი

— ახლა თუ დგები ცერებზე?

— ახლა ცერებზე კი არ ვდგები, დავსრიალებ კიდეც, ყველაფერი შემიძლია *(იცინის)*.

— ჯაბა, თინეიჯერულ ასაკში ვისი ფანი იყავი?

— არავის ფანი არ ვყოფილვარ. ხომ გითხარი, ამ ასაკშიც ისევე ვაზროვნებდი, როგორც დღეს.

— და დღეს როგორ აზროვნებ?

— საღად. ვიცი, რომ საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს. ის კი არა და, ჩვენთან მხოლოდ 4 მომღერალი თუ მოიძებნება, რომელსაც შეიძლება, ტაში დაუკრა და სიამოვნებით მოუსმინო, დანარჩენები კი... ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურს ჰყავს ძალიან კარგი, ევროპული დონის ნაგვის მანქანები, სწორედ მათში უნდა ჩაყარო ეს ვითომდა მომღერლები და სადმე, დაუსახლებელ პუნქტში გადაყარო.

— იქ, სადაც მხოლოდ ყვავები ბინადრობენ?..

— როგორ გეკადრება?! ჩემო კარგო, მე მოვისმინე ყვავის ჩხავილი და მერწმუნე, მას სიმღერა უკეთ გამოსდის, ვიდრე დღევანდელ ვაი-მომღერლებს. ისე, ბავშვობაში ძალიან მომწონდა „ლამბადა“, ბესო კალანდაძის სიმღერა — „ტირიფები“ და მურმან ჯინორია, როგორც არაჩვეულებრივი მსახიობი.

— კინოში თუ დადიოდი?

— მაშინ ინდური ფილმები იყო მოდაში. ერთი პერიოდი, მთელი კვირის განმავლობაში „კინგ-კონგს“ უშვებდნენ, რომელსაც დღეში 2-ჯერ ვუყურებდი და თითქმის დავიზეპირე.

— როგორც ვიცი, ბევრი კონცერტის ორგანიზატორი გააწბილე და მისი მიწვევა არ მიიღე. ასე რატომ იქცევი?

— იმიტომ, რომ იაფფასიანი მომღერალი არა ვარ. მირჩევნია, უფასოდ ვიმღერო, ვიდრე 100 დოლარად და მერე ვიღაცები ვალაპარაკო: ჯაბამ ამაში ფული აიღოო. დღევანდელი ე.წ. „ზვეზდები“ კი, ამ თანხის საფასურად, რაიონ-რაიონ დაწანწალებენ და სადაც უღამდებათ, იქ უთენდებათ. მე დღეს თურქეთის დაფინანსებით ვარსებობ და იმით, რომ მიყვარს შრომა, მყავს მოსწავლეები, მაქვს სტუდია და ა.შ. როცა თურქეთში წავედი, მაშინ ყველა ამბობდა: ვაი, ჯაბა თურქეთში წავიდაო!.. ახლა კი, ნახეთ, რა ხდება — ყველა იქ გარბის.

— თინეიჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— მყავდა. ერთ ანსამბლში ვიყავით და ის გოგონა ძალიან მიყვარდა. წერილებს ვწერდი, შემდეგ, ხელში ჩავუდებდი და ვეუბნებოდი: წაიკითხე-მეთქი. ისიც მპასუხობდა. მაგრამ მერე, ის უეცრად მომწიფდა, „გოგოშკას“ დაემგავსა და სანამ რაიმე მოვიფიქრე — მოიტაცეს. ის მშობლებმა უკან დააბრუნეს. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, მაგრამ იმ ბიჭმა ისევ მოიტაცა. ეს ამბავი ძალიან განვიცადე, თუმცა შემდეგ, მის ქმარს დავუახლოვდი და იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რომ მის ამბებს ვიგებდი... ამის მერე, არავინ შემყვარებია.

— ახლა როგორი გოგონები მოგწონს?

— სხვათა შორის, გემოვნება არ შემცვლია, დღესაც სუპერგამომწვევი, უკომპლექსო გოგონები მომწონს. ჩემმა რჩეულმა, თუ უნდა, შიშველ ტანზე შიფონის ქსოვილი მოიხვიოს, ყველაფერი უჩანდეს, მაგრამ იმას ვერ ავიტან, რომ სცენაზე იდგეს, მომღერალი, ტელეწამყვანი ან მსახიობი იყოს.

— ეი. მსახიობი ქალი რომ შეგიყვარდეს, ცოლად არ მოიყვან?

— ზღაპარია, არ შემიყვარდება. შეიძლება, ეს სიყვარული 10-დღიანი ან 1-თვიანი იყოს, მაგრამ ცოლად არ მოვიყვან.

— ზღაპრების გჯერა?

— ბავშვობაშიც არ მჯეროდა... არ ვოცნებობ ისეთ რამეზე, რაც შეიძლება, ზღაპარივით დაუჯერებელი იყოს. უბრალოდ, მინდა, ვიცხოვრო ჩემს ქვეყანაში, მქონდეს ნორმალური ტანსაცმელი, არ მომაკლდეს გართობა — მეგობრების წრეში და მქონდეს ყოველდღიური თანხა.

— ჯაბა, თურქეთიდან რატომ წამოხვედი?

— მიუხედავად იმისა, რომ იქ იმდენს მიხდიდნენ, რამდენიც საჭირო იყო, პატივს მცემდნენ, თურქეთის სახალხო არტისტი ვარ და ა.შ. მინდოდა, სამშობლოში გამეკეთებინა ჩემი საქმე და ამიტომაც წამოვედი, მაგრამ თურქეთთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია.

— როგორები არიან დღევანდელი თინეიჯერები?

— ძალიან განვითარებულები არიან. მრცხვენია, მაგრამ კომპიუტერთან მუშაობა დღესაც არ ვიცი (ამისთვის არც დრო მაქვს და არც მონდომება). ჩემი თანამშრომლის 4 წლის შვილმა კი, თითქმის ყველა კომპიუტერული პროგრამა იცის. ძალიან დახვწილი გემოვნების მქონე თაობა მოდის... სად იყო ჩემს დროს კომპიუტერი?! ის კი არა და, დენის კალკულატორი რომ ვნახე, გაკვირვებისგან კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. რუსულენოვან მულტფილმებს ვუყურებდით და ვინაიდან ეს ენა არ გვესმოდა, მარტო ნახატებს მივშტერებოდით. დღეს კი, მათ ქართული დუბლირება გაუკეთეს და ბავშვი ყველაფერს უფრო იოლად აღიქვამს. ცუდი კი ისაა, რომ ევროპისკენ მივისწრაფვით, აზია აღარ გვინდა და ტრადიციებსაც ნელ-ნელა ვივიწყებთ. ქალაქში რომ გავდივარ, ვერ ვხვდები, ვინაა გოგო და ვინ — ბიჭი. მართალია, იმათაც თავიანთი ცხოვრება აქვთ, მაგრამ კომპლექსი მთლიანად არ უნდა მოიხსნან.

— ეი. უკომპლექსობა უზრდელობაში გადადის?

— რა თქმა უნდა. ბავშვი უნდა იყოს ცელქი, მაგრამ არა — უზრდელი. ამას წინათ, ტელევიზიაში ვიყავი და ვიღაც ბავშვი უფროსებს პინგვინს, ზოროს და რაღაცებს ეძახდა. იგივე ბავშვი ერთ ადგილას მე და ანა ჯაკსაც გადაგვაწყდა, წინ დაგვიდგა და ყვიროდა: გიჟქალა, გიჟკაცა, გიჟქალა და ა.შ. დედამისი კი იქვე იჯდა და ამაზე რეაქცია არ ჰქონდა. რაც მშობელია, შვილიც ის გახლავთ.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ზომიერების დაცვას, ნუ დაკარგავენ ქართულ ტრადიციებს, იყვნენ მხიარულები, ჩაიდინონ სიგიჟეები, მაგრამ ამასთანავე, თითოეული ნაბიჯი აკონტროლონ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

საქართველოსგან განსხვავებით, სპეცსამსახურებისა და „შპიონაჟის“ თემაზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი დოკუმენტური და მხატვრული ლიტერატურა არსებობს. ჩვენს ქვეყანაში გარკვეული მიზეზების გამო ეს საკითხი ყოველთვის ტაბუდადებული იყო. არსებობს კითხვები, რომლებზეც დროა, საზოგადოებამ პასუხი მიიღოს. უშიშროების პოლკოვნიკმა ბესო ალადაშვილმა წიგნში — „სპეცსამსახურები და შპიონაჟი“ უამრავ საიდუმლოს ახადა ფარდა და მკითხველის დიდი ინტერესიც დაიმსახურა.

ტელეფონის აპარატში ჩამონტაჟებული მოსასმენი „ხოჭო“

ანუ როგორ ამზადებდნენ თბილისში სამხედრო კონტრმზვერავებს

თამუნა კვინიკაძე

— „შპიონაჟი“ უძველესი ხელობაა. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე მაკედონელი დიდი ლაშქრობების წინ, ყველა ჯარისკაცს ნებას რთავდა, წერილი გაეგზავნათ ახლობლებთან. შემდეგ ეს წერილები იხსნებოდა და გულმოდგინედ მოწმდებოდა. ამ გზით არკვევდნენ უკმაყოფილო მებრძოლების ანუ მომავალში პოტენციური მოღალატეების ვინაობას. ეს მეთოდი გამოიყენებოდა მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით კი — ყოფილ საბჭოთა კავშირში, — „კაგებეს“ სტრუქტურაში საამისოდ სპეციალური დანაყოფიც კი არსებობდა. დავით აღმაშენებელი იყო პირველი ქართველი მეფე, რომელმაც სპეცსამსახურების მსგავსი სტრუქტურა — ე.წ. მსტოვართა მრავალრიცხოვანი და მტკიცე ორგანიზაცია შექმნა. მანვე შექმნა და აამოქმედა სტრატეგიული დაზვერვა. მან ყოველთვის ზუსტად იცოდა მტრის ჯარების განლაგება. დავით მეფე ხშირად და წარმატებით იყენებდა, დეზინფორმაციით მტრის შეცდომაში შეყვანის მეთოდს, რაც შემდგომ ხანებში სპეცსამსახურების ერთ-ერთ სერიოზულ იარაღს წარმოადგენდა.

ბესო ალადაშვილი

— ცნობილია, რომ თბილისში არსებობდა სკოლა, სადაც სამხედრო კონტრმზვერავებს ამზადებდნენ.

— დიახ, ეს სკოლა 1950-იანი წლებიდან ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა. ორწლიან სპეცსკოლაში ასწავლიდნენ ოპერატიული მუშაობის საფუძვლებს, სამხედროებისა და მოქალაქეების გადმობირების თავისებურებებს. გარეთ თვალთვალს, სისხლის სამართალს, კრიმინალისტიკას და ა.შ. აქ ამზადებდნენ ე.წ. „ოსობისტებს“ ანუ სამხედრო კონტრმზვერავებს. სასწავლებელში ძირითადად ოფიცრები აჰყავდათ.

— რა ნიშნით არჩევდნენ მათ?

— სწავლობდნენ მათ ბიოგრაფიას, 5-6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ფარული თვალთვალი. ყურადღებას აქცევდნენ მათ ადამიანურ სისუსტეებს. ზოგს ქალები უყვარდა, ზოგს ღვინო ან ბევრი ლაპარაკი. ასეთი სისუსტეების მქონე ოფიცრები არ აჰყავდათ. ყველაზე გაწონასწორებულებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. სთავაზობდნენ, სამხედრო კონტრდაზვერვისთვის მომზადებას.

— ვინ ამზადებდა მათ ანუ ვინ იყვნენ სკოლის პედაგოგები?

— ომის დასაწყისში სტალინის ბრძანებით შეიქმნა სამხედრო კონტრდაზვერვის დანაყოფი „სმერში“, რომელსაც სახელი სტალინმა შეურჩია (იშიფრება: „Смерть шпионам!“). სკოლის პედაგოგები იყვნენ ამ დანაყოფის ყოფილი ოფიცრები. საცეცხლე მომზადებას გადიოდნენ კუს ტბის მიდამოებში.

— ხშირად მსმენია — ბევრი ადამიანისათვის, ვისაც საკუთარი ინიციატივით უცდია, გამხდარიყო სპეცსამსახურების თანამშრომელი, უარი უთქვამთ. რატომ?

— უარს ძირითადად უნდობლობის გამო უცხადებდნენ. მაგრამ დრო იცვლება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმაც შეცვალეს კადრების შერჩევისა და მომზადების მეთოდები. ბევრი ამერიკელის გაოცება გამოიწვია გაზეთებში გამოქვეყნებულმა რეკლამამ — „დაზვერვაში სამუშაოდ ვიწვევთ...“ მოგვიანებით კი ამ მეთოდით საკადრო დეფიციტს ავსებდნენ მსოფლიოს სხვა სპეცსამსახურები. სულ რაღაც 4-5 თვის წინ აღმოჩნდა, რომ ინგლისის სამხედრო კონტრდაზვერვაში აპირებდნენ მუშაობის დაწყებას „ალ-ქაიდას“ ტერორისტები. მათ წარმატებით გაიარეს რამდენიმე ეტაპი. მაგრამ ბოლოს, მაინც გაიშიფრნენ. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დაზვერვას — ისრაელის „მოსადს“ („მოსადი“ — ისრაელის დაზვერვისა და სპეცოპერაციების ინსტიტუტი) კადრების შერჩევისა და მომზადების ძალზე მკაცრი სისტემა აქვს. საგაზეთო განცხადებით არჩევენ 27-40 წლამდე სამხედრო მომზადებაგავლილ პირებს. შემდეგ მათ უტარდებათ რამდენიმეთვიანი რთული ფსიქოლოგიური ტესტირება. ამ ეტაპზე მსურველთა დიდი რაოდენობის „გაცხრილვა“ ხდება. დარჩენილ პირებს კი წინ ურთულესი პრაქტიკული გამოცდები ელით. მხოლოდ ამ გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში იღებენ თანამშრომლად.

— ურთულეს გამოცდაში რა იგულისხმება?

— იგი შეუმჩნევლად უნდა შევიდეს რომელიმე მკაცრად დაცულ ოფისში და დოკუმენტების გარეშე „გაძვრეს“ აეროპორტის სასაზღვრო კონტროლზე. იგი არაფრისგან არის დაზღვეული, შეიძლება პოლიციამ დააკავოს და დაჰკითხოს... ამას ყველა როდი ახერხებს. მომდევნო და ყველაზე რთული შემოწმება მაშინ იწყება, როცა მომავალ აგენტს უცხო ქვეყანაში, საბუთებისა და ფულის გარეშე ტოვებენ. ის უნდა დაბრუნდეს ისრაელში, მაგრამ ისე, რომ არ გაამხილოს ვინაობა, არ მიმართოს დახმარებისთვის საელჩოს ან სათვისტომოს.

— რას გვეტყოდით „ოტოს“ შესახებ?

— „ოტო“ ოპერატიულ-ტექნიკურ განყოფილებას ნიშნავს. იქ „ჟუჩოკებს“ და სხვა მოსასმენ მოწყობილობებს ამზადებენ, შემდეგ ფარულად ამონტაჟებენ და ოპერატორი გოგონებიც დღედაღამ უსმენენ. სპეცსამსახურების საქმიანობაში „ოტო“ ისეთივე აუცილებელი და შეუცვლელია, როგორიც ძაღლისთვის ყნოსვა და სმენა. „ოტოს“ მთავარი ფუნქციაა, ფარული მოსასმენისა და სათვალთვალო აპარატურის დამზადება, მისი შეუმჩნეველი მონტაჟი და ინფორმაციის „მოხსნა“ იმ პირის საცხოვრებელ სახლში ან კაბინეტში, რომლის ოპერატი-

ული დამუშავებაა საჭირო. განსაკუთრებით რთულია ბინაში მოსასმენი აპარატურის დაყენება. ჯერ უნდა მოხდეს საცხოვრებელი ბინის შესწავლა, ოჯახის წევრებისა და კარის მეზობლების მიმოსვლის გრაფიკის დადგენა, გასაღების ასლის გაკეთება, შეუმჩნევლად ბინაში შესვლა, „ხოჭოსთვის“ ყველაზე სასურველი ადგილის შერჩევა, დამონტაჟება, „ოტოს“ ყოველდღიური საქმიანობა მოულოდნელობებით და კურიოზებით არის სავსე. ერთ ასეთ რეალურ ფაქტს მოგითხრობთ. „კაგებეს“ ერთ-ერთი სამმართველოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თავისი თანამშრომლის, უშიშროების ოფიცრის სახლში მოსასმენი აპარატურის დაყენება. მასზე ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სამსახურიდან დაბრუნებული არაყს მიირთმევდა, შემდეგ კი კომუნისტებს ლანძღავდა. ოპერაციის ჩასატარებლად შეარჩიეს სასკოლო არდადეგების პერიოდი. „ოტოს“ „ოპერები“ სამოქმედო ადგილზე მივიდნენ, ზოგი ეზოში, ზოგიც სადარბაზოში გადანაწილდა. ორმა კი, ბინის კარი წინასწარ დამზადებული გასაღების ასლის საშუალებით შეაღო და თითქოს ამ მომენტს ელოდებოდა, ოთახიდან კატა გამოძვრა და კიბეზე მოკურცხლა. ეს „ოტოებისთვის“ ცუდი ფაქტი იყო: რომელ „ხოჭოს“ დამონტაჟებაზე იყო ლაპარაკი, თუ სახლში დაბრუნებულ პატრონს კატა არ დახვდებოდა?! ამით ის მიხვდებოდა, დაუპატიჟებელი სტუმრების ვინაობას და მისვლის მიზანს. კატას ბევრი სდიეს, მაგრამ ვერ დაიჭირეს. ბოლოს ერთ-ერთმა მოიფიქრა, რომ იმ კატის მსგავსი სხვა კატა დაეჭირათ და ბინაში დაეტოვებინათ. ასეც მოიქცნენ. ჭერში და კედლებზე რამდენიმე „ხოჭოს“ დამონტაჟების შემდეგ ბინა დატოვეს. იმავე საღამოს კოლეგის შინ დაბრუნებას დიდი ინტერესით დაელოდნენ. მოსასმენ „ბოქსში“ ტევა აღარ იყო. აპარატურა რომ გამართულად მუშაობდა, მალევე დარწმუნდნენ, — სამზარეულოში შესვლის, მაცივრის კარის გაღებისა და ბოთლიდან სასმლის დასხმის ხმა მკაფიოდ ისმოდა. ყველა სულგანაბული უსმენდა, თუ როდის მიიღებდა მათი კოლეგა საჭირო დოზას და კომუნისტების გინებას დაიწყებდა. ყვირილის ხმა მალე გაისმა. თან ისე მკაფიოდ, რომ გამოცდილი „კაგებეშნიკი“ პირდაპირ „ჟუჩოკში“ ჩაჰყვიროდა: თქვენი დედა... ყველანი გასაყრელი ხართ სამსახურიდან, იდიოტებო, „ჟუჩოკის“ დაყენება რომ არ შეგიძლიათ წესიერად, ეს

საბჭოთა სპეცოპერაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი

მანფრედ ფონ არდენე

დიდი ხანია ვიცი, მაგრამ ჩემი ვაჟკაცი ბორკას მაგივრად, ვილაცის დედალი კატა, რატომ შემომიგდეთო?.. „ოტოები“ ყოველთვის როდი მარცხდებოდნენ, მათ ბევრი წარმატებაც ჰქონდათ. 1940-იან წლების ბოლოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა ამერიკის ელჩს მოსკოვში თავისუფლების თარიღის მისალოცად, ხეში საოცარი ოსტატობით გამოკვეთილი გერბი აჩუქა. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეიტყვეს აშშ-ის სპეცსამსახურებმა, რომ „საჩუქარში“ მოსასმენი აპარატურა იყო ჩამონტაჟებული, რომელიც უნიკალური ავტონომიური კვების ბლოკით და გადაცემის სისტემით იყო აღჭურვილი. ამ „ხოჭოს“ ელემენტის შეცვლა არ სჭირდებოდა. ინფორმაციის „მოხსნა“ საელჩოს შენობის მახლობლად მდებარე „კაგებეს“ „რ“ სამსახურში ხდებოდა.

— რა უნდა ვიცოდეთ სატელეფონო მოსმენების შესახებ?

— ეს თემა ყოველთვის აქტუალური იყო. ეს საკითხი მრავალი წელია მსოფლიო პრობლემადაა ქცეული. „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ბატონობს სხვებზე“ — ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდა იოსებ სტალინმა. 1922 წელს, როცა გენერალური მდივნის პოსტზე დაინიშნა, მდგომარეობა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სატელეფონო მოსმენებით განიმტკიცა. ეს „დელიკატური“ მისია მის ყველაზე ერთგულ თანაშემწეებს ევალებოდათ, სტალინს თვითონაც საკუთარ კაბინეტში მოწყობილი პულტის მეშვეობით შეეძლო თანამდებობის პირების, მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების ფარული მოსმენა. XX საუკუნის ბოლომდე ფარული სატელეფონო მოსმენები ძირითადად, საქალაქო ქსელის ტელეფონებიდან ხორციელდებოდა. ხდებოდა სატელეფონო სადგურიდანვე ჩართვა — სატელეფონო კაბელზე ფარული მიერთება ან თვით ტელეფონის აპარატში „ჟუჩოკის“ ჩადგმა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში, რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელებსაც კი უსმენდნენ. დაუწერელი კანონით, პარტიული მუშაკის მოსმენა იკრძალებოდა, მაგრამ თუ ის გავლენიან

სუდოპლატოვის მსვერპლი — უკრაინის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, პოლკოვნიკი კონოვალეცი

თანამდებობის პირთან მეგობრობდა, მაშინ „კაგებე“ ერთ ეშმაკურ ხერხს იყენებდა — ის მოსმენაზე რთავდა არა უშუალოდ ოპერატიული დაინტერესების ობიექტს, არამედ მის სამეგობროს და სანათესავოს. ამ მეთოდით, ადრე თუ გვიან, ამ პარტიულ მუშაკზეც დაიდებოდა კომპრომატი. თუ თქვენ საქალაქო ტელეფონის სააბონენტო გადასახადს თვეობით არ იხდით, მაგრამ ტელეფონი არ გეთიშებათ, მაშინ უნდა იფიქროთ, რომ შესაძლოა, ისმინებოდეთ კუსტარული მოსასმენი მოწყობილობით, რომელიც თქვენს სატელეფონო ხაზზეა მიერთებული. ამგვარ მოწყობილობას თბილისში 100-200 ლარის ფარგლებში ამზადებენ. ახლა მობილური ტელეფონის მეშვეობითაც შესაძლებელია უამრავის ინფორმაციის ფარულად მიღება, ამიტომ, პოლიტიკოსებს ვურჩევდი, სერიოზული მოლაპარაკებები ბუნების წიაღში აწარმოონ და არა ბარებსა და რესტორნებში, ოღონდ ერთი პირობით, რომ მობილური ტელეფონები სადმე მოშორებით დატოვონ...

ტელეფონის ყურმილში ჩამონტაჟებული მოსასმენი „ხოჭო“

— ეი. სატელეფონო მოსმენები პირველად სტალინმა გამოიყენა პრაქტიკაში. ცნობილია, რომ სპეცსამსახურები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოპერაციების დეტალებს პირადად მასთან ათანხმებდნენ...

— სტალინი ბუნებით ეჭვიანი კაცი იყო. არავის ენდობოდა, ამიტომ ყველაფერს თვითონ უნდა გასცნობოდა და გაეკონტროლებინა. ასე იყო უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერის ევგენი კონოვალეცის ლიკვიდაციის დროსაც. სტალინმა გაიგო, რომ მას მწარე შოკოლადი უყვარდა და მისი ეს ადამიანური სისუსტე გამოიყენა. დაამზადებინა შოკოლადის ყუთის ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ავტომატურად უნდა ამოქმედებულიყო და ეს „საჩუქარი“ სუდოპლატოვის ხელით გაუგზავნა. რამდენიმე წუთში ოპერაცია უკვე დამთავრებული იყო. ამისთვის ბელადმა სუდოპლატოვი დააწინაურა. 15 წლის მანძილზე, ის საბჭოთა ტერაქტებისა და ლიკვიდაციის განყოფილების უფროსი იყო.

გაგრძელება იხ. გვ. 62

მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ...

ამ ზაფხულს „გზავნილები“ 3 წლის გახდა. ეს საკმარისი დროა საიმისოდ, რომ რუბრიკამ, თუ ის მკითხველს არ მოსწონს, პოპულარობა დაკარგოს და მკითხველმა გვერდი სრულიად გულგრილად, წაუკითხავად გადაშალოს. ჩვენს ჟურნალში მოთავსებული სპეციალური გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ (რომელიც ბევრმა თქვენგანმა უკვე შეავსო და რედაქციაში გამოგზავნა), ეს რუბრიკა მკითხველის სიყვარულით კვლავ სარგებლობს და ჯერჯერობით, რუბრიკებს შორის, რეიტინგით პირველ ადგილზეა. ზოგიერთმა მკითხველმა კითხვაზე — რას შეცვლიდით ჩვენს ჟურნალში? უპასუხა: „გზავნილებს“ გავზრდიდიო. ვინაიდან, მკითხველის აზრი ჩვენთვის პრიორიტეტული გახლავთ, გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ „გზავნილების“ დამატება, სადაც მკითხველები ერთმანეთს დაეკონტაქტებიან (ის სწორედ ამით იქნება განსხვავებული). ამ ბოლო დროს, ბევრი მესიჯი მთავრდება სიტყვებით: „გზავნილების“ მკითხველებო, მიყვარხართ! ასევე, მომრავლდა მესიჯები, სადაც მკითხველები ერთმანეთს რჩევას სთხოვენ ან უბრალოდ, უკვე დაბეჭდილი მესიჯის შესახებ გამოთქვამენ აზრს და ერთმანეთის გაცნობის სურვილსაც ამჟღავნებენ. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მკითხველებს ერთმანეთთან კონტაქტი სურთ. მესიჯების სიმრავლის გამო, მსგავსი შინაარსის გზავნილებს ვერ ვაქვეყნებდით. ახლა კი საშუალება გექნებათ, უშუალოდ დაეკონტაქტოთ ერთმანეთს, ჰკითხოთ რჩევა ან გამოთქვათ გაცნობის სურვილი და ჩვენი ჟურნალის საშუალებით იმესიჯოთ კიდეც. ორმხრივი სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ტელეფონის ნომრების გაცვლაც. აი, ასეთი სიახლეა ჩვენს ჟურნალში. იმედია, ამ სიახლესაც ხალისით აუბამთ მხარს.

მარი ჯაფარიძე

„35 წლის გაუთხოვარი გოგო ვარ. ბედის ირონია კი ის არის, რომ მთელი ცხოვრება ცოლიან კაცებს მოვწონვარ. არ მინდა ცოლიანი, მინდა, ერთი ჩემსავით უბრალო ბიჭი, რომელიც სიგიჟემდე მეყვარება“.

„ბედის ირონიაა, აბა, რა არის, როცა მთელი 2 წელი ვხვდებოდი კაცს, რომელიც ახლა ჩემი ქმარია და რაც მთავარია, მასთან ყოფნა აღარ მინდა. სულ ახლახან გვქონდა ქორწილი, მე კი მგონია, რომ მთელი საუკუნე გავიდა. იმდენი რამ მოხდა... თურმე, როგორ იცვლება კაცი, როცა მისი ცოლი ხდები. მე თათა ვარ, ვაკის „გალიიდან“. ჩემს სახელზე გამოქვეყნებული მესიჯიც ვნახე, მამაკაცი მიმესიჯებდა, რომელსაც ეჭვიანი ცოლი ჰყავს. ასე რომ... მე უკვე დაგიმესიჯე“.

„წინა ნომერში გამოქვეყნებულმა „ყაჩაღის აღსარებამ“ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ. როდესაც პროფესიად იურისტობა ავირჩიე და სტუდენტი გავხდი, სიხარულით დავფრინავდი. მეგონა, მთებს გადავდგამდი, მაგრამ ჯერ მხოლოდ მეორე კურსზე ვარ და უკვე ვხვდები, რა რთულია დღევანდელ დღეს პატიოსანი იურისტი წარმატებული იყოს. თუმცა, როცა ასეთ ამბებს ვიგებ, სტიმული მემატება — აუცილებლად უნდა მოვახერხო და ერთმანეთს შევუთავსო წარმატებაც და პატიოსნებაც. თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი ადამიანების მსხვერპლთა რიცხვის შემცირებაში ჩემი წვლილი შევიტანო. ამ ბიჭს კი მინდა ვუთხრა, რომ როცა გათავისუფლდება, შეეცადოს, იმ საძაგელი ციხის კართან დატოვოს ბოღმა და ვიდრე შინ მივა, პირველ რიგში, ეკლესიაში მივიდეს, ღმერთი უჩვენებს გზას. ახლა, ამ მესიჯს გწერთ და თან ვტირი. ამ ცრემლებს თავისი მიზეზი აქვს. პროკურორობა კი მართლაც საზიზღარი პროფესიაა. გკოცნით, სოფო“.

„მინდა, გამოვეხმაურო პატიმარს, რომელსაც ცხოვრებაზე გული აქვს აცრუებული. გულს ნუ გაიტეხ და იმედი არ დაკარგო. გამოხვალ ციხიდან და ცხოვრებას თავიდან დაიწყებ. გწამდეს ღმერთის. მთავარია, მონდომება. აბა, მაგრად! გაუძელი! შოკო“.

„წინა ნომერში „ყაჩაღის აღსარება“ დაიბეჭდა. ძალიან მომინდა მისი გაცნობა. რა თქმა უნდა, თუ თვითონ არ იქნება წინააღმდეგი. მარიკა“.

„ხუთშაბათს ისეთი გახარებული ავდექი, მეგონა, მარი ჩემს მესიჯს გამოაქვეყნებდა, მაგრამ... მარი, კარგი, რაااა... სწორედ ბედის ირონიაა, რადგან მოგწერე, რომელ ანრის ეხმიანება ლიზი-მეთქი, შენ კი არ დამიბეჭდე. ჩემთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ანრი, რომელ სკოლაში სწავლობ?“

„მარი, გთხოვ, იმ ბიჭს დამაკავშირე, შეყვარებული რომ მოუკვდა და აქამდე მის საფლავს დასტირის. რჩევა მინდა ვთხოვო“.

„ვეხმაურები პატიმარს, რომელმაც წინა ნომერში მესიჯი მოგწერა. მინდა, გავამხნევო და ვუთხრა, რომ ცხოვრება გრძელდება“.

„23 წლის ბიჭი ვარ. პირველად 12 წლის ასაკში შემიყვარდა, მაგრამ 3 წელიწადში ერთმანეთს დავშორდით. იმის შემდეგ სიყვარული არ მწვევია. სიამოვნებით გავიცნობდი კარგ გოგოს, „გზავნილების“ მკითხველს, რომლის გული ცარიელია და სიყვარულს ელის. P.S. მომწონს შავგვრემანი გოგონები. „ატბოი“.

„ბედის ირონიაა ჩემი ცხოვრება, აბა, რა არის? სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ დედამისს არ მოვწონდი და ამის გამო ვკამათობდით ხოლმე. ვიდრე ჩვენ ურთიერთობას ვარკვევდით, სხვამ მომიტაცა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. 3 შვილი მყავს, მაგრამ თავს საშინლად ვგრძნობ. ქუჩაში გასვლა მარტო იმიტომ მიხარია, რომ მას მოვკრა თვალი. სულ 1 წამიც საკმარისია, რომ მის დანახვაზე გული გამიჩერდეს. ვიცი, ისიც იმავეს გრძნობს, რასაც მე, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა სულ ამით შემოიფარგლება. მიჭირს იმის აღიარება, რომ კვლავ სიგიჟემდე მიყვარს. თუმცა, ისიც ვიცი, რომ ამას უკვე აზრი აღარ აქვს. ჩემი ქმარი კი იცით, რას აკეთებს? 24 საათის განმავლობაში ვიღაც გოგონებს ემესიჯება და მიაჩნია, რომ ჩემი საქმე არ არის, რას გააკეთებს. ხანდახან მგონია, რომ მისმა საქციელმა უფრო დამაბრუნა წარსულში. მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს: თუ არ ვუყვარდი, რისთვის მომიტაცა? რატომღაც მგონია, რომ ჩემს სიყვარულთან ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი. გამუდმებით ვფიქრობ ჩემს ცხოვრებაზე. გინდა, უიღბლობა დაარქვით, გინდაც, ბედის ირონია, მაგრამ ჩემი მეორე ნახევარი მაგრად ერთობა, მე კი სიგიჟემდე მინდა სხვისი ხმის გაგონება. ხშირად ვკრებ ხოლმე მის ნომერს, მაგრამ იმის შნოც არ მომცა ღმერთმა, რომ თითი „ოქეის“ ღილაკს დავაჭირო. რას მირჩევთ, გავბედო? მარი, ძალიან მიყვარხართ შენც, „გზავნილებიც“ და შენი მკითხველებიც“.

„ბედის ირონია არ არის? მე და ჩემი დაქალები დავბერდით (თუმცა, ჯერ 18 წლისები ვართ და თან მშვენიერი გარეგნობაც გვაქვს) და შეყვარებული ჯერ არც ერთს არ გვყოლია. ვინ დაგვწყევლა, არ ვიცით. თან მეცინება, ამას რომ ვწერ, მაგრამ მაინც გამომიქვეყნე, რაااა... იქნებ, გვეშველოს?“

დარწმუნებული ვარ, იცით, რა ნომერზე უნდა დაამესიჯოთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: 8(77)45.68.61. ნახვამდის.

■

აღამიანის გატაცებაში ექიმიც მონაწილეობდა

„ასჯერ დაითვალე და მერე ადექ“, — ასე უბრძანეს გამტაცებლებმა არასრულწლოვან მძევალს, რომელიც 44 დღე ხელბორკილით რადიატორზე ჰყავდათ მიბმული.

მეგი ცანავა

სასტიკმა დანაშაულმა, რომელშიც 50 წელს მიღწეული ოთხი მამაკაცი — ამჟამად მსჯავრდებულები და მათთან ერთად კიდევ გამოძიებით დაუდგენელი რამდენიმე პირი მონაწილეობდა, ყველა აღაშფოთა და გააოგნა. მომხდარი ფაქტი განსაკუთრებით მსჯავრდებულთა ახლობლებისა და ნაცნობებისთვის აღმოჩნდა წარმოუდგენელი. როცა ჩადენილი დანაშაული საქვეყნოდ გამოაშკარავდა, უდანაშაულო და უმწეო მოზარდის გატაცებისა და დატყვევების შემზარავი დეტალებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი, ბრალდებულების ახლობლები, ნათესავები თუ ნაცნობები აცხადებდნენ, რომ მომხდარის დაჯერება ძალიან უჭირდათ და მათ ბრალშიც ეჭვი ეპარებოდათ. ამბობდნენ, რომ ამ განცხადების საფუძველს მათ თითოეული ბრალდებულის შეუბღალავი წარსული და მათი ცხოვრების წესი აძლევდა.

პროკურატურის მასალები კი სრულიად საპირისპიროზე მეტყველებდა. მართალია, ბრალდებულები (რომელთა შორისაც, ტიტულოვანი სპორტსმენები და კვალიფიციური ექიმიც გახლდათ) წარსულში ნასამართლევები არ ყოფილან და ოფიციალური ცნობების თანახმად, არც რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში იყვნენ შემჩნეულები; თუმცა, მოზარდის გატაცებისა და მისი მძევლად აყვანის საქმეში არსებული მტკიცებულებები თითოეულ მათგანს ამხელდა დანაშაულში და მათი ცხოვრების წესზე, შეგნებასა თუ მორალზე რადიკალურად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნიდა.

დაძაბულ სასამართლო სხდომებზე დანაშაულის რამდენიმე ვერსია განიხილებოდა. პროცესი ბევრისთვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა. სასამართლომ ოთხივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო და მათ საკმაოდ მკაცრი სასჯელიც შეუფარდა. დაზარალებული მხარე სასჯელის სიმკაცრით კმაყოფილი არ იყო და სასამართლოს ლოიალურობაში ადანაშაულებდა. საქმეზე საბოლოო განჩინების გამოტანისას კი, როცა ერთ-ერთ მსჯავრდებულს სასჯელი გაუნახევრეს, დაზარალებულებმა მოსამართლეების ობიექტურობაში სერიოზული ეჭვი შეიტანეს და გავლენიანი პირების გავლენაზე ალაპარაკდნენ...

საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულ ოჯახს ამჟამად მსჯავრდებულები წლების მანძილზე იცნობდნენ. ბარაბაძეების (გვარები შეცვლილია) ოჯახს განსაკუთრებით ახლოს რამაზ ბაღათურია იცნობდა. ის იმავე სოფელში ცხოვრობდა, სადაც ბარაბაძეები და მათთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა და ახლობლობა აკავშირებდა. რამაზ ბაღათურია ოჯახს ხშირად სტუმრობდა და მათი ცხოვრების დეტალები, მატერიალური მდგომარეობა — შემოსავალი და გასავალიც კარგად იცოდა. გამოძიების მასალებში ზუსტი დრო და მიზეზი იმისა, თუ როდის და რატომ გაუჩნდა ბაღათურიას ბარაბაძეებისთვის დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვის იდეა, დაფიქსირებული არ არის. სამართალდამცველებმა ეს ვერ დაადგინეს, მაგრამ სრული კატეგორიულობით აცხადებდნენ, რომ დანაშაულის ინიციატორი და ორგანიზატორი სწორედ ის გახლდათ.

გამოძიების მასალების მიხედვით, განზრახვა, რომელიც თავში კარგა ხანია, უტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა, ბაღათურიამ უახლოეს მეგობრებს გაანდო. 47 წლის არჩილ ნოზაძემ, 47 წლის ვახტანგ გაბუნიამ და 45 წლის გოჩა წიკლაურმა წინადადება მიიღეს. დეტალების შესათანხმებლად ისინი ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ. მოლაპარაკებისას იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩანაფიქრის წარმატებით განსახორციელებლად, სხვა პირების დახმარება დასჭირდებოდათ და შესაბამისად, საქმეში მათი ჩართვაც მოუწევდათ. გამოძალული ფულის განაწილებაც როლისა და დამსახურების მიხედვით მოხდებოდა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები (როგორც საქმის მასალებში მათ პროკურატურა უწოდებს) შეთანხმდნენ, რომ ბარაბაძეების არასრულწლოვანი შვილი — დათო ბარაბაძე წინასწარ მომზადებული ავტომანქანით, მოულოდნელად გაეტაცებინათ და ასევე, წინასწარ შერჩეულ ბინაში საიმედოდ გამოეკეტათ. ავტომანქანის და ბინის პატრონიც სანდო პირები უნდა ყოფილიყვნენ. ამ საკითხის მოგვარება ბაღათურიამ ნოზაძეს დაავალა. ბევრი თუ ცოტა ფიქრის შემდეგ, ნოზაძემ გადაწყვიტა, ეს საქმე ეთავა მის ბიძაშვილს — გოჩა წიკლაურს. დაითანხმა კიდევაც ის და კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის გასაღები გამოართვა. გატაცებული ბავშვის გადამალვა ვახტანგ გაბუნიამ ითავა. მეგობრებს უთხრა, რომ ბავშვს თბილისის გარეუბანში მდებარე თავის ბინაში გამოკეტავდა...

იმ დღეს დათო ბარაბაძის მშობლები საავადმყოფოში უნდა წასულიყვნენ. ბოლო დროს დათოს მამა ძალიან ავადმყოფობდა, მკურნალობის კურსს გადიოდა და ექიმთან მორიგ ვიზიტზე მიდიოდა. მასთან ერთად ოჯახის კუთვნილ ავტომანქანაში მისი მეუღლე და შვილიც ისხდნენ. მანქანას მათი მეზობელი და ახლობელი — ვაჟა ბარაბაძე მართავდა.

ბარაბაძეების იმდღევანდელი მარშრუტის გარკვევა ბაღათურიას არ გასჭირვებია. თანამზრახველებიც საქმის კურსში ჩააყენა და თითოეულ მათგანს გეგმის მიხედვით მოქმედება დაავალა. ბაღათურია ბარაბაძეების ავტომანქანას მათთვის შეუმჩნევლად, კვალდაკვალ მიჰყვებოდა. თან მობილური ტელეფონით სისტემატურად უკავშირდებოდა თანამონაწილეებს. გამტაცებლები საავადმყოფოს ტერიტორიაზე განლაგდნენ და ბარაბაძეების გამოჩენას დაელოდნენ.

ვაჟა ბარაბაძემ მანქანა საავადმყოფოს ეზოში გააჩერა და იქიდან ცოლ-ქმარ ბარაბაძეებთან ერთად გადავიდა, რათა ისინი ექიმის კაბინეტამდე მიეცილებინა და იქვე დალოდებოდა. რაც შეეხება დათო ბარაბაძეს, უფროსებმა ის ავტომანქანაში მარტო დატოვეს, მანქანისთვის ყურადღების მიქცევის მიზნით. დაახლოებით 10-15 წუთში, ბარაბაძეების ავტომანქანასთან ახლოს წიკლაურის თეთრი „მერსედესი“ გაჩერდა. „მერსედესს“ ნოზაძე მართავდა, თუმცა მის გარდა მანქანაში, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, გამოძიებით დაუდგენელი ოთხი პირი იჯდა. ყველანი გადმოვიდნენ მანქანიდან და იმ მიზნით, რომ დათო ბარაბაძე გარეთ გამოეტყუებინათ, საბურავის დასაბერი ტუმბო სთხოვეს მას. მაგრამ ტუმბო მანქანაში არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ სახრახნისი მოითხოვეს. დათო ბარაბაძე მანქანიდან გადავიდა, რათა ნოზაძისთვის სახრახნისი მიეწოდებინა. რამდენიმე წამში, დაბრუნების ნაცვლად, სახრახნისი „მერსედესის“ უკანა კართან დააგდეს. კარი ღია იყო. მოზარდი სახრახნისის ასაღებად დაიხარა თუ არა, მომენტალურად ნოზაძე დაესხა თავს და თანამონაწილეების დახმარებით, მანქანის ღია კარში შეაგდო იგი. გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ ბავშვს ამ დროს ხელები გადაუგრიხეს, დამუქრნენ და უბრძანეს, ხმა არ ამოეღო და იქიდან გარეუბანში წაიყვანეს. ვახტანგ გაბუნიას კუთვნილ ბინაში მისვლისთანავე, მოზარდი მძევალი ბოროტმოქმედებმა რადიატორზე ხელბორკილით მიაბეს...

მძევალს მორიგეობით დარაჯობდნენ ნოზაძე და წიკლაური. ისინი, ისევე როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის დანარჩენი წევრები, მობილური ტელეფონით პერიოდულად უკავშირდებოდნენ დათო ბარაბაძის მშობლებს და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ მათ 70 ათას დოლარს სთხოვდნენ. აღსანიშნავია, რომ გამოძიების მასალების მიხედვით, თავდაპირველად გამტაცებლებმა დაზარალებულ ოჯახს ერთი მილიონი დოლარის გადახდა მოსთხოვეს. ბარაბაძეებს ამ თანხის გადახდის საშუალება რეალურად არ ჰქონდათ. თავზარდაცემული და შეშინებული მშობლები სატელეფონო საუბრისას ემუდარებოდნენ ბოროტმოქმედებს ბავშვი დაენდოთ, თან აღნიშნავდნენ, რომ ამდენი ფულის მოგროვებას ისინი ვერაფრით შეძლებდნენ. ბოროტმოქმედები ერთხანს არანაირ კომპრომისზე არ მიდიოდნენ, დათმობას არ აპირებდნენ, თუმცა ბოლოს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედ-

ეგად, დაზარალებული ოჯახი და გამტაცებლები 70 ათას დოლარზე შეთანხმდნენ. ამასობაში ერთ თვეზე მეტი დრო გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, არასრულწლოვანი მძევალი ბოროტმოქმედებს ხელბორკილით ჰყავდათ დაბმული...

გამოსასყიდი თანხა — 70 ათასი დოლარი მძევლის მამამ საკუთარი ხელით გადასცა ბაღათურიას თავისი სამსახურის კაბინეტში. საქმის მასალების მიხედვით, გამოსასყიდი თანხის აღების შემდეგ, ბაღათურია თანამონაწილეებს დაუკავშირდა, მათ ფულის გადაცემის შესახებ შეატყობინა და ბავშვის გათავისუფლების განკარგულებაც გასცა. წიკლაურმა და ნოზაძემ დათო ბარაბაძე ბინიდან გაიყვანეს და ტაქსიში ჩასვეს, ვახტანგ გაბუნია კი იმავე ბინაში — შინ დარჩა. *„მანქანა რომ გაჩერდა, გარეთ გადამიყვანეს. არჩილ ნოზაძემ 10 ლარი და ის მობილური ტელეფონი გამომიწოდა, რომლითაც ჩემს მშობლებს ელაპარაკებოდნენ... გზის მეორე მხარეს გადამიყვანა, ტრასიდან მოშორებით. ამის შემდეგ მიწაზე გულაღმა დამაწვინა და მითხრა — ასჯერ დაითვალე და მერე ადექიო. იქ დამტოვა, თვითონ საითკენ წავიდა, არ ვიცი...“* — თქვა დაკითხვისას დაზარალებულმა. გამტაცებლების მანქანა რომ თვალს მიეფარა, დათო ბარაბაძემ მშობლებს დაურეკა და უთხრა, რომ დიღმის ტერიტორიაზე იმყოფებოდა...

როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, აღებული ფულიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ბაღათურიამ თვითონ დაიტოვა, დანარჩენი თანამონაწილეებს, მათ შორის, გამოძიებით დაუდგენელ პირებს გაუნაწილა. მცირედი თანხა ხვდა წილად ექიმ გაბუნიას, რომელსაც საქმის მასალების მიხედვით, უშუალოდ გატაცებაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია — მან მხოლოდ ბინა დაუთმო ბოროტმოქმედებს და დროდადრო მძევალსაც დარაჯობდა. საქმის ძიების პროცესში, გაბუნია ყოველივე ამას კატეგორიულად უარყოფდა და ამბობდა, რომ მართალია, მეგობრებმა მას ბინა დროებით სთხოვეს, მაგრამ იქ თუ მძევალი ჰყავდათ დამწყვდეული, არ იცოდა და ამას ვერც ვერასდროს წარმოიდგენდა. თუმცა, ის ჩადენილ დანაშაულში სამართალდამცველების წინაშე თავად დათო ბარაბაძემ ამხილა, ხელი დაადო და თქვა, რომ რადიატორზე მიბმულს, სხვებთან ერთად, მას ისიც დარაჯობდა.

დამნაშავეთა კვალზე დამდგარმა პოლიციამ დასახელებული პირები ჯერ ეჭვმიტანილების სახით დააკავა, შემდეგ მათი საცხოვრებელი ბინები და სამსახურის კაბინეტებიც გაჩხრიკა. სწორედ, ასეთი ჩხრეკისას, ბაღათურიას სეიფში 9 ათასი დოლარი უპოვეს, ჯიბეში — 800 დოლარი. წიკლაურს რკინის კარადაში 2.300 დოლარი აღმოაჩნდა, ნოზაძეს კი 5.500 დოლარი. რაც შეეხება გაბუნიას, პოლიციელებმა მისი ბინიდან ორი ცალი ასდოლარიანი კუპიურა ამოიღეს. სამართალდამცველების მტკიცებით, ეს სწორედ ის ფული იყო, რაც გაბუნიას გატაცების საქმიდან ერგო.

ყველაფერთან ერთად, ბაღათურიას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენის, შენახვისა და ტარების ბრალდებაც წაუყენეს. ჩხრეკის დროს, პოლიციელებმა მისგან „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი და 8 ცალი საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ასეთივე ბრალი წაუყენეს წიკლაურსაც, რომელსაც საკუთარ ბინაში, ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, ვაზნები და „პფ-2“ ტიპის საიერიშო ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე მსჯავრდებულების ადვოკატებმა საბრალდებო დასკვნა მთლიანად უარყვეს და მოსამართლეებს განუცხადეს, რომ საქმის გამოძიება კანონდარღვევებით, პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესი კი სრულიად უსამართლოდ ჩატარდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ დამნაშავეებად ცნობილებს — ბაღათურიასა და ნოზაძეს 10-10 წლით, ხოლო წიკლაურსა და გაბუნიას 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ადვოკატები ამ განაჩენს აპროტესტებდნენ და მათი დაცვის ქვეშ მყოფებისთვის არათუ სასჯელის შემსუბუქებას, არამედ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ხსენებული პირები მომხდარ დანაშაულში სრულიად უდანაშაულოები იყვნენ. პალატამ ადვოკატების პოზიცია არ გაიზიარა, მაგრამ ექიმ გაბუნიას მიმართ განაჩენში ცვლილება მაინც შეიტანა.

მოსამართლეებმა დაადასტურეს, რომ გაბუნიამ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობა მიიღო, რასაც ძირითადად, დაზარალებულის — დათო ბარაბაძის მამხილებელი ჩვენებები დაედო საფუძვლად. თუმცა, გააუქმეს წაყენებული მუხლის ერთ-ერთი ქვეპუნქტი, რომელიც დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას გულისხმობდა. ბარაბაძეების ოჯახის წევრები აღნიშნავდნენ, რომ გამოსასყიდი თანხის გადახდის გამო, ეკონომიკური თვალსაზრისით, ისინი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაცივდნენ.

„მხოლოდ ის გარემოება, რომ მსჯავრდებულებმა ოჯახს დიდი რაოდენობით თანხა გამოსძალეს, არ ნიშნავს იმას, რომ მათმა ქმედებამ მძიმე შედეგი გამოიღო. მძიმე შედეგად კანონი გულისხმობს დაზარალებულისთვის მძიმე დაზიანების მიყენებას, მძიმე დაავადების გამოწვევას და *ა.შ.“* — განმარტეს მოსამართლეებმა. ამ მოტივით, გაბუნიას პირველი ინსტანციის მიერ შეფარდებული სასჯელი — 8 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახევრეს.

„ამ დანაშაულში ამ ადამიანებს ბრალი არ მიუძღვით. ისინი უკანონობისა და *დაზარალებული მხარის უსაფუძვლო ვარაუდების გამო დაისაჯნენ“,* — აცხადებდნენ პროცესის შემდეგ ადვოკატები. გატაცებული მოზარდის მშობლები კი აღნიშნავდნენ, რომ მომხდარმა ამბავმა ისინი არა მარტო მატერიალური თვალსაზრისით, არამედ მორალურადაც გაანადგურა, მათ შვილს კი უმძიმესი და წარუშლელი სულიერი ტრავმა მიაყენა. ■

ტელეფონის აპარატში ჩამონტაჟებული მოსასმენი „ხოჭო“

ანუ როგორ ამზადებდნენ თბილისში სამხედრო კონტრმზვერავებს

დასაწყისი იხ. გვ. 58

— პავლე სუდოპლატოვი ომის დამთავრების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ ფიზიკოსთა მოძიების პროცესშიც, ვისაც რამე კავშირი ჰქონდა ყველაზე გასაიდუმლოებულ — „ატომურ პროექტთან“. რამაც დასაბამი დაუდო სოხუმში ატომური ლაბორატორიის დაარსებას...

— ომი ახალი დამთავრებული იყო, როდესაც სტალინისგან ბერიამ მიიღო ბრძანება, მოექიათ გერმანიის ტერიტორიაზე ის ხალხი, ვინც ატომურ პროექტზე მუშაობდა. მათ მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ ამერიკელები და ინგლისელებიც. საბჭოთა მზვერავების მონდომებამ შედეგი გამოიღო — მათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გერმანელების ბირთვული რეაქტორის გადმოტანა და დამონტაჟება მოახერხეს. ამასთან ერთად, 200-ზე მეტი გერმანელი მეცნიერი გადმოიყვანეს. ისინი, როგორც პრივილეგირებული ტყვეები, 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ დახურულ სპეცლაბორატორიებში. მათთვის არ იშურებდნენ სტალინურ პრემიებს და სოციალისტური შრომის გმირის წოდებასაც კი. მათი დახმარებით შეიქმნა სოხუმის ატომური ლაბორატორია, რომელსაც გუსტავ ჰერცი და მანფრედ ფონ არდენე ხელმძღვანელობდნენ. ლაბორატორია ძირითადად, ბირთვული ფიზიკის თეორიულ საკითხებზე მუშაობდა. გერმანელებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართველი მეცნიერებიც. ტყვეებს მხოლოდ 10 წლის შემდეგ მისცეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნების უფლება. მთელი სიცოცხლის მანძილზე, მათი ფარული და ღია თვალთვალი წარმოებდა.

— თუ არის თქვენთვის რაიმე ცნობილი იმის შესახებ, თუ რა ხდება ამჟამად აღნიშნულ ლაბორატორიაში?

— ეს ყველაფერი აფხაზი სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა. ბუნებრივია, ჩვენთვის იქ არსებული მდგომარეობის შესწავლა შეუძლებელია. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციებიც ინდიფერენტულობას იჩენენ ამ საკითხში. მათ აქვთ უფლება, მოითხოვონ იქ შესვლისა და შესწავლის უფლება, მაგრამ ამ უფლებას არ იყენებენ. ■

გამოკითხვა — „გზის“ ერთგული მკითხველებისთვის!

ძვირფასო მკითხველო! ჩვენ ყოველდღე ვგრძნობთ თქვენს ყურადღებას „გზის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გამო. ამას უამრავი გამოხმაურება (სატელეფონი ზარი, მესიჯი, წერილი) მოწმობს, მაგრამ მაინც გვსურს, რომ კავშირი ჩვენ შორის კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს. ამიტომ გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა: თქვენი შეხედულებები დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ჟურნალი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის:

გთხოვთ, შევსებული ანკეტა ამოჭრათ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით, რომლებიც განლაგებულია თბილისისა და საქართველოს ყველა ქალაქის ცენტრალურ უბნებში.

1) სქესი:

☐ ქალი ☐ კაცი

2) ასაკი:

☐ 18 წლამდე ☐ 45-54
☐ 18-24 ☐ 55-64
☐ 25-34 ☐ 65 წელზე მეტი
☐ 35-44

3) რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

☐ 100 ლარამდე ☐ 700-1200
☐ 100-300 ☐ 1200-ზე მეტი
☐ 300-700

4) რა სიხშირით კითხულობთ ჟურნალ „გზას“?

☐ ჟურნალის ყოველ ნომერს ვკითხულობ;
☐ მხოლოდ მაშინ ვყიდულობ, როცა გავიგებ, რომ მასში ჩემთვის საინტერესო ინფორმაციას წავიკითხავ;
☐ მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა შემთხვევით ჩამივარდება ხელში.

5) პირველ რიგში, რომელ რუბრიკას კითხულობთ? (ჩამოთვალეთ რიგითობის მიხედვით)

1. _____
2. _____
3. _____

6) „გზის“ ფურცლებზე კიდევ რა რუბრიკების ნახვას ისურვებდით? (მიუთითეთ)

1. _____
2. _____
3. _____

7) რა სიხშირით კითხულობთ აქ ჩამოთვლილ ჟურნალებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	იშვიათად	არასდროს
1. „გზა“;				
2. „სარკე“;				
3. „თბილისელები“;				
4. „ბომონდი“;				
5. „რეიტინგი“;				
6. „ბარი“;				
7. სხვა (მიუთითეთ)				

8) რატომ ანიჭებთ (მეშვიდე კითხვაში) თქვენ მიერ პირველ რიგში დასახელებულ ჟურნალს უპირატესობას?

1. მრავალფეროვანი რუბრიკების გამო;
2. საინტერესო სტატიების გამო;
3. ფასის გამო;
4. შეეჩვიეთ და ამიტომ;
5. სხვა ქართულ გამოცემებს სჯობია.
6. სხვა (მიუთითეთ) _____

9) როგორ ფიქრობთ, რითი განსხვავდება ჩვენი ჟურნალი სხვა ჟურნალებისგან?

1. შედარებით ობიექტური სტატიები იბეჭდება;
2. კარგი იმიჯი აქვს;
3. უფრო მრავალფეროვანია;
4. უფრო შემეცნებითია;
5. არაფრით არ განსხვავდება;
5. სხვა (მიუთითეთ) _____

10) რომელ ყოველკვირეულ გაზეთებს კითხულობთ ყველაზე ხშირად? (დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)

1. _____
2. _____
3. _____

11) რა სიხშირით უყურებთ აქ ჩამოთვლილ სატელევიზიო არხებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	არცუ ძუ ხშირად	იშვიათად
1. „რუსთავი 2“:				
2. „იმედი“;				
3. „მზე“;				
4. „პირველი სტერეო“;				
5. „საზოგადოებრივი არხი“;				
6. სხვა (მიუთითეთ)				

12) რა სიხშირით უსმენთ აქ ჩამოთვლილ რადიოტალღებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	არცუ ძუ ხშირად	იშვიათად
1. „იმედი“;				
2. რადიო „უცნობი“;				
3. „ფორტუნა“;				
4. „ფორტუნა+“				
5. „არ დაიდარდო“;				
6. სხვა (მიუთითეთ)				

ციყვი: „ხოხობთან ერთად თბილისში არ შემოვფრენილვარ, მაგრამ...“

„დავიბადე 1977 წლის 26 ოქტომბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლებში“, — ამბობს გადაცემა „ფარული კამერის“ ერთ-ერთი პერსონაჟი — ციყვი, იგივე, დათო გოგიშვილი.

— ისე, ჩემო ციყვო, შენი დაბადებიდან კარგა ხანი კი გასულა.

— აბა, აბა, ჩემი ხნის ქვა აღარ დაგორავს.

— როგორი სოფელია ტოლები?

— ლამაზი. ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა. ჩემი თინეიჯერობა თბილისის ომის პერიოდს დაემთხვა. სკოლის დამთავრების დრო რომ მოახლოვდა, ოჯახში კონსილიუმი შეიკრიბა. ისინი ფიქრობდნენ ჩემს მომავალზე, თუ სად უნდა გამეგრძელებინა სწავლა-განათლება. ჯერ თქვეს: ქუთაისშიო, რადგან მანძილი ამ ქალაქსა და ჩემს სოფელს შორის, სულ რაღაც 40 კილომეტრია. მაგრამ დედამ მოისურვა, რომ სწავლა თბილისში გამეგრძელებინა. ის ფილოლოგია, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ოცნებად ჰქონდა ქცეული. რადგან ამას თვითონ ვერ მიაღწია, იფიქრა — ამას ჩემი შვილი შეძლებსო. დედაქალაქში რომ მოვდიოდი, მითხრა: 5-ზე ნაკლები ნიშანი თუ დაგიწერეს, იცოდე, რიკოთი არ გადმოლახოო.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხე?

— კი და დედას ოცნება ახდა. ისტორიულ ფაკულტეტზე მოვხვდი. გამიტაცა სტუდენტობამ, შემიყოლია „კავეენის“ გუნდმაც. მერე ჩამოვაყალიბეთ გუნდი — „ისტერიკები“, სადაც ჩემთან ერთად თამაშობდნენ გიგა ნასარიძე და ზვიო. მოკლედ, ყველაფერს ავუღე ალღო.

— შენი სოფლიდან დედაქალაქში რა წამოიღე?

— დიდი სიმდიდრე: სწავლა-განათლება და ოჯახიშვილობა. დედაქალაქი ადამიანის პროფესიული და შემოქმედებითი ზრდისთვის აუცილებელია. 4 წელი ნათესავთან ვცხოვრობდი. მას ჩემთვის არასდროს უთქვამს: წადი, ბატონოო, მაგრამ თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება უნდა ისწავლო. მეგობრებმა — მე, ხონელმა კაკო აბზიანიძემ და ზესტაფონელმა ზაზა კვეტენაძემ ბინა ვიქირავეთ, ვერაზე დავსახლდით. მერე ოჯახში ფუნქციები გავინაწილეთ: მე საჭმელს ვამზადებდი, კაკო ჭურჭელს რეცხავდა, ზაზა კი, სახლს ალაგებდა. ყველანაირ კერძს ვამზადებდი, მაგრამ თავიდან, მჭადის გამოცხობა მიჭირდა. ერთხელ ცხელი მჭადით, როცა მის გადაბრუნებას ვცდილობდი, ხელი გვარიანად დავიწვი. *Вот так закалялся Дато* (*იცინის*).

— რუსულიც გისწავლია.

— აბა, რა.

— როგორც ვიცი, ასპირანტურაც დაამთავრე და დღეს, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ფილიალში ლექციებს კითხულობ.

— კი, ბატონო, ლექტორი ვარ. ალბათ, მე ვარ პირველი და უკანასკნელი ლექტორი, ვინც რუსთაველის გამზირზე პამპერსით გაიარა.

— ამაში ციყვისა და კვერნის ოინებს გულისხმობ, არა?

— დიახ...

— ლექტორისა და ციყვის იმივეს ერთმანეთს ადვილად უთავსებ?

— დიახ. თუ დღეს ციყვი ვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ არ შემიძლია, ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანი ვიყო. ვიღაცას თავი კულტურული იმიტომ ჰგონია, რომ განათლება, ინტელექტი აქვს. თუ შინაგანი კულტურა არა გაქვს, მაღალი დონის ინტელექტუალი ვერასდროს გახდები. დახვეწილი, ინტელიგენტური მანერების მქონე ადამიანები სოფელშიც ბევრი მინახავს და ისინი ქალაქელებს არაფრით „ჩამოუვარდებიან“.

— დედაქალაქში ჩამოსვლის დღე თუ გახსოვს?

— როგორ არა, 1994 წლის 31 აგვისტო. მატარებლით ვიმგზავრე — სამტრედიიდან დილის 8 საათზე გამოვედით და დედაქალაქში ღამის 1-ის ნახევარზე ჩამოვედით. გახსოვთ, ალბათ, როგორი მძიმე პერიოდი იყო.

— ბარგი თუ გქონდა?

— კი, მცირეოდენი ჯამ-ჭურჭელი, ბაწრით გაკრული ნალი და საბანი. ოჩამჩირიდან ან გალიდან წამოსულ ადამიანს ვგავდი... მეამაყება, რომ სოფელ ტოლებში დავიბადე, მაგრამ როგორც რიგითი ქართველი, საქართველოს დედაქალაქს პატივს ვცემ და მზად ვარ, ხოხობთან ერთად შემოფრენილი თბილისელების გარემოცვაში, თბილისის სიყვარულში დავიხარჯო!

ბაბლუანების ქინოს თაეისებური ხიბლი აქვს

რამდენიმე დღის წინ, ბაბლუანების შემოქმედებითმა ოჯახმა, ხელოვან ადამიანებსა და ჟურნალისტებს თავიანთი ახალი ფილმი — „მემკვიდრე“ წარუდგინეს, რომლის პრეზენტაცია კინოთეატრ „ამირანში“ შედგა.

გიორგი ბაბლუანი (*ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი*):

— როლი გულთან მივიტანე. ფილმი ქართველების ძველ ტრადიციებზეა აგებული. ამასთან, მამაჩემთან და ჩემს ძმასთან ერთად ვმუშაობდი, გადაღებები საქართველოში მიმდინარეობდა. ფილმში მონაწილეობს ჩემი და — ოლიკო და მისი ფრანგი მეუღლე — ოუგუსტინიც. ამ ყველაფრის გამო, ჩემთვის ფილმზე მუშაობა საინტერესოც იყო.

— იმ ტრადიციის შესახებ, რაც ფილმშია მოთხრობილი, მამისგან შეიტყვე?

— დიახ, მაგრამ გაირკვა, რომ ასეთი ტრადიცია — სისხლის აღების წესი, საფრანგეთში, კორსიკაშიც არსებობდა.

გელა ბაბლუანი (*ფილმის რეჟისორი*):

— ოჯახის წევრებთან ერთად მუშაობა საინტერესო იყო. ფილმის სცენარი მამაჩემს ეკუთვნის... პროფესიულად კარგი გამოცდილება მივიღე.

— რისი თქმა გინდოდათ?

— ფილმში ადამიანი ადამიანის გამო საკუთარ თავს სწირავს ანუ ადამიანი ადამიანის გამოა დაჯყრობილი. ჩვენი სურვილია, რომ ამ ყველაფრისგან გათავისუფლდეს, წინ, უკეთესობისკენ წავიდეს.

ყოფილმა შეფმა ყოფილ ხელქვეითს დაბადების დღე მიულოცა

ყოფილმა ტელესახემ, ამჟამად კი ერთ-ერთი კომპანიის პიარმენეჯერმა — სალომე გოგიაშვილმა „სითი ქლაბში“ უამრავი სტუმარი მიიწვია და დაბადების დღის ორიგინალურად აღნიშვნა გადაწყვიტა. ამ დღისთვის დარბაზი საგანგებოდ იყო მოწყობილი, რაზეც ბუშტები, ყვავილები და ფეიერვერკი მეტყველებდა. სტუმართა შორის იყვნენ: მერაბ სეფაშვილი, „ქუჩის ბიჭები“, დათო გომართელი, კახა კუხიანიძე, ნინი ბადურაშვილი, დათუნა სირბილაძე... თითოეულმა მათგანმა იუბილარს სიმღერა მიუძღვნა. პირველად სცენაზე ქართული ესტრადის კაშკაშა ვარსკვლავი — მერაბ სეფაშვილი ავიდა. ასე რომ, ყოფილმა შეფმა ყოფილ ხელქვეითს უმღერა (მერაბი და სალომე ტელეკომპანია „I სტერეოში“ ერთად მუშაობდნენ)... იუბილარს გვერდიდან არც ხატია სიჭინავა მოსცილებია.

ისინი გარდა იმისა, რომ მეგობრები არიან, რაღაც ახალ პროექტზეც მუშაობენ და დიდი გეგმები აქვთ. ასე რომ, ქართველები ხალისობენ, ერთობიან და ხმაურიან დაბადების დღეებსაც იხდიან...

ნუცა ჯანელიძე: „ფორტე" ვარ და ხმამაღალი ლაპარაკიც მიყვარს"...

— ქალბატონო „ფორტე", როგორ ბრძანდები?

— გადასარევად და ამიტომ, სამი ძახილის ნიშანი დამიწერე ბოლოში.

— შენი ასეთი განწყობილების მიზეზი რა არის?

— დღეს ლილიკო ნემსაძის ახალ სიმღერას გავეცანი, რომელსაც ცოტა ხანში, „ფორტე" ჩაწერს. ამ ნამუშევარმა კარგ ხასიათზე დამაყენა.

— როგორც ქალბატონ „ფორტეს", ხმამაღალ ლაპარაკი გიყვარს, არა?

— ძალიან.

— სიცილი?

— სიცილიც, ხითხითიც, კისკისიც და ხარხარიც... თუმცა, გაბრაზებაც ვიცი, როცა მოსწავლეებს ვამეცადინებ და რაღაც არ მომეწონება, ვკივი ხოლმე. მათ ჩემი ხმა აფხიზლებს. ასე რომ, ხანდახან გაბრაზებაც სასარგებლოა.

— ჯგუფ „ფორტეში" რომელი შემსრულებელია „პიანო"?

— ყველაზე მკვდარი, მანანა მაისურაძეა, ირინა კახნიაშვილსაც არა უშავს. ნინო ახობაძე „მეცო-ფორტეა", ხოლო მე და ზურა მანჯავიძე საშინელი „ფორტეები" გახლავართ. ალბათ ამიტომაც არის, რომ სულ ვკამათობთ.

— შენი საყვარელი ნივთი ფორტეპიანოა?

— არა, მაგნიტოფონი. ის ყოველთვის თან დამაქვს და ქუჩაშიც მუსიკას ვუსმენ.

— ფორტეპიანოსთან დღეში რამდენ საათს ატარებ?

— თითქმის მთელ დღეს. ხან მოსწავლეებს ვამეცადინებ, ხან — „ნუცას სკოლაში" ვარ, ხან კი, „ფორტეს" რეპეტიციაა.

— ფორტეპიანოს კლავიატურა წითელი და შავი ფერის რომ ყოფილიყო, ამაზე არასდროს გიფიქრია?

— ჭრელი უკეთესი იქნებოდა: შავი, ლურჯი, ყვითელი, ცისფერი, თეთრი...

— ნოტი — ფა რა ფერია?

— ვარდისფერი.

— ლა?

— ნარინჯისფერი.

— სანამ პროექტი — „ნუცას სკოლა" დაიწყებოდა, ეს სიტყვები შენთვის რასთან ასოცირდებოდა?

— როცა ვიღაცას ეტყოდი: „ნუცას სკოლელი" ხარო, ეს ცოტა არ იყოს, დამამცირებლად ჟღერდა. არადა, იაკობ გოგებაშვილმა თავის ნაწარმოებში სულ სხვა რამ ჩადო: ნუცამ დასვა თავისი თოჯინები და ანბანის სწავლა დააწყებინა, ასე ვთქვათ, დაწყებითი სკოლა გახსნა... იგი ჩემთვისაც პირველ ნაბიჯებთან, რაღაცის დასაწყისთან ასოცირდება.

— „ნუცას სკოლაში" დირექტორი ხარ თუ სასწავლო ნაწილის გამგე?

— სასწავლო ნაწილის გამგე და სამხატვრო ხელმძღვანელი.

— ეი. მკაცრი პედაგოგი ხარ, არა?

— ძალიან! თუმცა, ბავშვების დიდი მეგობარიც ვარ, მათთან ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობ.

— რას უწუნებ ქართველ მომღერლებს?

— გემოვნებას, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ.

— ხუთიანს ვის დაუწერდი?

— ზოგიერთებს. ისე, არც ისე ბევრი ხუთოსანი გვყავს.

— ორიანს?

— ოროსნებიც ცოტანი არიან, სამოსნები ჭარბობენ.

— სულ რამდენ მომღერალთან გიმუშავია?

— აუუ!!!

— მაშინ, რომელიმე სიმღერიდან შენი საყვარელი ფრაზა მითხარი.

— „საიდუმლოდ შევინახოთ, ისევ შენ და ისევ მე, გიყვარვარ თუ მართლა ამოგიჩემე?"

— ბოლოს, რას ბრძანებდი?

— დავლევდი? თეთრ მარტინის და მივაყოლებდი გრეიპფრუტის წვენს. შენც გეპატიჟები.

— გმადლობ, მაგრამ ეგ კითხვა არ დამისვამს. თუმცა, როგორც იტყვიან — მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო...(ვიცინით)

ანრი ჯოხაძის თამამი ნაბიჯი

6 ნოემბერს, მომღერალ ანრი ჯოხაძეს დაბადების დღე ჰქონდა. ის 26 წლის გახდა. მან ამ დღეს საკუთარი, ახალი სკანდალური კლიპის — „მომატყუე" — პრეზენტაცია დაამთხვია და სტუმრები კინოთეატრ „რუსთაველში" მიიწვია. მანამდე კი, გიორგი თარგამაძემ თავისი გადაცემისთვის — „დროება", ჟურნალისტებს მომღერლის ახალ ნამუშევარზე ხმაურიანი სიუჟეტი მოამზადებინა.

პრეზენტაციამდე ვიდეორგოლის რეჟისორს — ანი მაღლაკელიძესა და თავად ანრი ჯოხაძეს გავესაუბრეთ.

— რას განიცდით ახლა, როცა თქვენი ნამუშევარი პრეზენტაციაზე მოსულმა მაყურებელმა უნდა შეაფასოს?

ანი მაღლაკელიძე:

— მაყურებლის წინაშე წარდგომა ყოველთვის საპასუხისმგებლოა და ამ ყველაფერს განცდა მუდმივად თან ახლავს.

— კლიპში ანრის გაშიშვლება რატომ გადაწყვიტეთ?

— მინდოდა, რაღაც ახალი გაგვეკეთებინა და ანრიც დავითანხმე. მან საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა. მიმაჩნია, რომ ყველაფერი ლამაზად, ესთეტიკურად არის გაკეთებული. ბოლო სცენით ნაჩვენებია ადამიანის უმწეო, განადგურებული მდგომარეობა ჩანასახის პოზაში. ის სიყვარულში მწარედ მოატყუეს.

— ეი. შენ აიძულე ანრი, რომ გაეხადა?

ანრი ჯოხაძე:

— ანრის არავინ არ აშიშვლებს, ის თვითონ იხდის. რაც შეეხება ჩანასახის პოზას, ეს ანის იდეა იყო. თქვა: კარგი იქნებოდა, ბოლოს ასეთი ეპიზოდი რომ ყოფილიყოო, მაგრამ არ უთქვამს: უნდა გაშიშვლდეო, რადგან მისი ქალური კდემის ფონზე, ეს აზრადაც არ მოუვიდოდა (ამის გამო მას ძალიან ვაფასებ). ანის იდეა მომეწონა და ვუთხარი: ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სცენა გავითამაშოთ და უფრო დამაჯერებელი რომ იყოს, გავშიშვლდები-მეთქი. ეს მისთვის შოკი იყო.

— ანრი, სიმღერას „მომატყუე" რატომ ჰქვია, ვინ მოგატყუა?

— პირადად მე არავის მოვუტყუებივარ. სიმღერა პოეტ ბერდია ბერიაშვილის ლექსზეა შექმნილი, მუსიკა დედაჩემს — რუსუდან ჩხაიძეს ეკუთვნის. ოპერატორი ლევან აბულაძე გახლდათ, ხოლო ვიდეომონტაჟი კოსტა ჯორბენაძეს ეკუთვნის. გადაღებები თბილისის ზღვაზე, მცხეთასა და უფლისციხეში მიმდინარეობდა. ის სულ 24 საათში გადავიღეთ.

ანრი ჯოხაძის კლიპი დარბაზში ორჯერ უჩვენეს და ის მაყურებელმა მხურვალე აპლოდისმენტებით დაჯილდოვა. ანი მაღლაკელიძემ სწორად აღნიშნა, ანრი ნოვატორიაო. მეჩვენება, რომ მომღერლის ამ კლიპით ქართულ შოუბიზნესში რაღაც ახალი ტალღა დაიძრა, ახალი სტილი და მიმართულება. ქართული შოუბიზნესის ჩანასახისებურ მდგომარეობაზე ბევრი ლაპარაკობს. ჩემი აზრით, ანრიმ ამ კლიპით თავისი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი კი არ გვიამბო, არამედ ქართული შოუბიზნესის უნუგეშო და განადგურებული ყოფა ასახა.

სიმღერა შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „მომატყუე, შენ ტყუილიც გეპატიება". ისეთი ვოკალის პატრონს, როგორიც ანრია, ვფიქრობ, ეს გაშიშვლება და სკანდალიც ეპატიება, მით უფრო, რომ კლიპში სკანდალური არაფერია!

kviris astrologiuri prognozi

(9 – 15 noemberi)

ვერძი 21.03-20.04

კვირის დასაწყისში ვარსკვლავები სასიამოვნო შეხვედრას გპირდებიან, მაგრამ არ გირჩევთ, საკუთარ გეგმებზე ბევრი ილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, თქვენთვის ძვირფას არსებას უიღბლო მეოცნებედ მოეჩვენოთ.

კურო 21.04-20.05

ნუ გაიმეორებთ წარსულის შეცდომებს. მოუფრთხილდით იმ ადამიანებს, რომლებთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა გაკავშირებთ და თუ რომელიმე მათგანთან თავს დამნაშავედ გრძნობთ, ნუ მოგერიდებათ ამის საჯაროდ აღიარება.

ტყუბი 21.05-21.06

ნუ აჰყვებით ხმამაღალ საუბარში აღშფოთებულ ადამიანს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საპირისპირო აზრის ბრძანდებით. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. უქმე დღეები ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

კიბო 22.06-22.07

შეეცადეთ, ცხოვრებას უფრო ოპტიმისტურად შეხედოთ. იმხიარულეთ! თუ ამას მარტო ვერ ახერხებთ, მეგობრები მოიშველიეთ. მოკლედ, ნუ განმარტოვდებით. იყავით უფრო პრინციპული და მომთხოვნი როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ.

ლომი 23.07-23.08

ამ კვირას ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. ამიტომ ნუ იზარმაცებთ და დროს უქმად ნუ დაკარგავთ. იმაზეც დაფიქრდით, ხომ არ სჯობს იმიჯი შეიცვალოთ? შეიარეთ მაღაზიაში და შეარჩიეთ ტანსაცმელი, რომელიც თქვენს ინდივიდუალობას გაუსვამს ხაზს.

ქალწული 24.08-23.09

კარგი იქნება, თუ ამ კვირაში სამსახურის შეცვლაზე იფიქრებთ. შეაგროვეთ ინფორმაცია იმ სამსახურის ხელმძღვანელის უნარ-ჩვევებზე და მუშაობის სტილზე, რომელთანაც თანამშრომლობას აპირებთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება.

სასწორი 24.09-23.10

თქვენი მატერიალური მდგომარეობა თქვენსავე გეგმების განსახორციელებლად საკმარისი არ იქნება, რის გამოც, გარშემო მყოფთა მხარდაჭერა გახდება საჭირო. გირჩევთ, გაუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას, რათა მსუბუქი გაცივება სერიოზულ დაავადებაში არ გადაგეზარდოთ.

მორიელი 24.10-22.11

ამ დღეებში გაბედულად მოითხოვეთ ინფორმაცია იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც გაინტერესებთ. ეს თქვენ გადაწყვეტილების მიღებაში ძალიან გამოგადგებათ. უქმე დღეები შოპინგებზე სიარულს დაუთმეთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12

მთელი კვირის განმავლობაში, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის შეკავებას გირჩევთ. დაინტერესდით იმ ადამიანების წარსულით, ვინც საქმეში პარტნიორობას გთავაზობთ და როცა მათზე ინფორმაციას შეაგროვებთ, მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ.

თხის რქა 22.12-20.01

ამ კვირაში შეიძლება საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ, მაგრამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისგან თავის შეკავებას გირჩევთ, ჰკითხეთ რჩევა მეგობრებს და ისინი თქვენს დახმარებას შეძლებენ.

მერწყული 21.01-19.02

ეს კვირა თქვენთვის სიმშვიდის მომტანი არ იქნება. ამ დღეებში ადვილად დაკარგავთ წონასწორობას, თუ ემოციების გაკონტროლებას მაქსიმალურად არ შეეცდებით. ამიტომ ჯობს კონფლიქტურ სიტუაციებს მოერიდოთ და სარისკო საქმეებისგან თავი შეიკავოთ.

თევზები 20.02-20.03

ამ კვირაში ხიფათების რისკი დიდია. გირჩევთ, თავი შეიკავოთ მგზავრობისგან. ჯობია მთელი კვირა ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ და საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნოთ.



Mercedes-Benz-ის ახალი ჯიოსოვეიი

კომპანია Mercedes-Benz-ის სპეციალისტები მომავალი კომპაქტური კროსოვერის გამოცდის აქტიურ ფაზაში შევიდნენ. ახალ ავტომობილს GLK ან MLK ერქმევა. მისი მსოფლიო პრემიერა 2007 წლისთვისაა დაგეგმილი და დეტროიტის ავტოსალონზე ან ოდნავ მოგვიანებით, ჟენევის ავტოშოუზე შედგება. როგორც ვარაუდობენ, ორი ბენზინის ძრავათი — 231 და 272 ცხ.ძ. სიმძლავრის V6-ით, აგრეთვე — 205 და 272 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბოდიზელით იქნება აღჭურვილი. გამორიცხული არც AMG-ს ვერსიაა — 483 ცხ.ძ-ის მქონე V8 მოტორით. Mercedes GLK-ის მთავარი კონკურენტები პოპულარული BMV X3 და Audi Q5 იქნებიან, რომლის პრემიერა მომავალ წელს შედგება. სიახლის ძირითად ბაზრად კი, ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა უნდა იქცეს. ■

Genaddi Design-ის სპორტული მოდელი

ლას-ვეგასში მიმდინარე საავტომობილო გამოფენა SEMA-ზე Genaddi Design-მა სპორტული როდსტერი — LSR Roadster წარმოადგინა, რომელიც საკუთარი ძალებით Chevrolet Corvette Z 06-ის ბაზაზე ააწყო. ამასთან, საქმე მხოლოდ სახურავის გადაჭრით არ შემოფარგლულა — დიზაინერებმა ავტომობილის ძარას უკანა ნაწილი მთლიანად გადააკეთეს. უკნიდან LSR Roadster-ი Ferrari F430-ის ვერსია Spyder-ს მოგვაგონებს. LSR Roadster-ის ძრავა, საბაზო Corvette Z 06-ის რვალიტრიანი V8 გახლავთ, რომელიც, მართვის ბლოკის პროგრამის შეცვლისა და ახალი აირგამწოვი სისტემის წყალობით, 545 ცხ.ძ. სიმძლავრემდეა ფორსირებული. გარდა ამისა, ექსკლუზიურ ავტომობილზე სპორტული სავარძლები და გაზრდილი ბორბლებია დაყენებული. Genaddi Design Group-ის წარმომადგენელთა თქმით, ასეთი მანქანების გამოშვება მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთებით განხორციელდება. მის ფასზე ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი. ■

Jaguar XKR-ი FIA GT3-ის ხბოლებში ჩაეთვება

Apex Motorsport, რომელსაც რიჩარდ ლოიდი ხელმძღვანელობს, Jaguar XKR-ს ბაზაზე სარბოლო ავტომობილის შექმნას გეგმავს. ახალი მოდელი FIA GT3-ის სერიაში მიიღებს მონაწილეობას. ამ მანქანას გუნდი ცნობილ სარბოლო სპეციალისტთა მხარდაჭერით აწყობს. Apex Motorsport-ის წარმომადგენელთა განცხადებით, Jaguar XKR მსუბუქი, მაგრამ გამძლე ალუმინის ძარათია აღჭურვილი, რომელიც უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, სპეციალური კარკასითაა გამაგრებული. ამის შედეგად, სპორტულ ავტომობილებში, ძარას სიმტკიცის მხრივ, Jaguar XKR ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. როგორც ვარაუდობენ, პირველი ტესტებისთვის მანქანის მზადება უკვე დეკემბერში დასრულდება. 2007 წლის დასაწყისში, სარბოლო Jaguar XKR-ი FIA-ს პირველ ტესტირებაში მიიღებს მონაწილეობას. რამდენიმე თვის შემდეგ კი, FIA GT3-ის ევროპის ჩემპიონატის სარბოლო ტრასაზეც გამოჩნდება. ■

Bristol-ის სუპერსწრაფი მოდელი

ბრიტანულმა მარკამ — Bristol — გაავრცელა ინფორმაცია თავისი ახალი მოდელის — Bristol Fighter — შესახებ, რომელიც შეიძლება, მსოფლიოში ყველაზე მძლავრ სერიულ ავტომობილად იქცეს და თვით Bugatti Veyron-იც დაჯაბნოს. ახალ მანქანას Fighter T ეწოდა, რომელიც უკვე ცნობილი, V10 ტიპის ძრავათია აღჭურვილი. ამ აგრეგატის სიმძლავრე 1012 ცხ.ძ-ს შეადგენს. შესაძლებელი იყო, მისი წყალობით, Bristol Fighter პლანეტაზე ყველაზე სწრაფი ავტომობილი ყოფილიყო: მისი მაქსიმალური სიჩქარე სავარაუდოდ, 435 კმ/სთ იქნება. თუმცა, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მისი შემქმნელები ავტომობილზე სიჩქარის შემზღუდავი საშუალების დაყენებას აპირებენ. ამ შემთხვევაში, მაქსიმალური სიჩქარე 362 კმ/სთ-ს ვერ გადააჭარბებს. ამასთანავე, 100 კმ/სთ სიჩქარეს Fighter T 3,5 წმ-ში ავითარებს. მისი ფასის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ■

ორივ შეჯდა მწყერი ხესა...

ინგა ჯაყელი

ღარიბად დაიბადა ივანე და სიღარიბეშივე ხდებოდა სული 88 წლის ომის ვეტერანს, რომელსაც სულზე მოუსწრო ნაციონალური მოძრაობის მიერ გახსნილმა უფასო სასადილომ...

21 წლის ბიჭი წაიყვანეს ჯარში და პირდაპირ ბრძოლის წინა ხაზზე ამოყო თავი. ბევრიც აღარ უფიქრია ცეცხლის წვიმაში მოხვედრილს და შიშისგან „გაფუჭებულს“, ასწია ხელები და ჩაჰბარდა ტყვედ გერმანელებს, რომლებმაც ვირის ნაცვლად ამუშავეს ყველაზე მძიმე სამუშაოზე. საღამოობით იმის ცქერით „ირთობდა თავს“, გათხელებული კანის ქვეშ როგორ მოძრაობდა სისხლი დაბურცულ ძარღვებში...

ომი დამთავრდა და რომ ეგონა — მეშველაო! — ციმბირში უკრეს თავი როგორც საეჭვოს, ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ. არც იქ უცხოვრია დალხენილად. თუ რაიმე ხორცი ჩამოჰყვა გერმანიიდან, ტილებმა გამოუღრღნეს, რწყილებმა კი სისხლიც ამოუშრეს ძარღვებში. მოკლედ, რომ დაბრუნდა საქართველოში, ვენახის ბოლოში დასასვენებლად ჯოხზე დაყრდნობილი, საფრთხობელაში ეშლებოდათ კარგა ხანს მეზობლებს.

კარგა ხანს ცოლიც ვერ შეირთო და ასაკიც შემოეპარა. მერე კი, თავისნაირი „ჩამორჩენილი“ რომ იპოვა და დაითანხმა, „ქალის ხალისი“ ვეღარ გაიღვივა და დარჩა მემკვიდრის გარეშე. სანამ ცოლი ჰყავდა, მაინც არა უშავდა, მაგრამ ისიც რომ მიწას მიაბარა, ისევ გაუთამამდნენ რწყილები და ტილები და ისევ გაუყვითლეს უსისხლოდ და უხორცოდ დარჩენილი ძვალ-ტყავი...

...იმ უფასო სადილის მადლმა ჩაუბრუნა სხეულში ამოსასვლელად გამზადებული სული და სიკვდილის მოლოდინიც გაუადვილა, სხვას აღარც რამეს ელოდებოდა, როცა რაიონიდან კაცები ესტუმრნენ — წინ გაცრეცილი სურათი დაუდეს, საიდანაც 18 წლის ბიჭი შემოჰყურებდა და ჰკითხეს — შენა ხარო?!

ხან სათვალით დააცქერდა, ხან ისე და ვერ გაიხსენა, როდის გადაიღო ეს სურათი ან იყო კი ოდესმე ასეთი ჯეელი და სურათი გვერდზე გასწია:

— რა ვიცი, მაგის დედა ვატირე!

მაშინ მეორე სურათი დაუდეს წინ:

— ეს ქალი თუ გეცნობა?!

— ვინ ოხერია, რა უნდა?! — ისევ ვერაფერი გაიხსენა ივანემ.

— მოკლედ, შენ გაბრალებს თავისი შვილის მამობას, ომიანობას გერმანიაში ნაყვარებხარ!

— მერე მაგისთვინ ახლა მჭორავს ეგ შობელძაღლი?! — შეიცხადა შეშინებულმა.

— კი არ გიჩივის და, ის თქვენი შვილი მდიდარი კაცი ყოფილა, მამას ეძებს. თუ მართლა შენა ხარ ის ივანე, ყელამდე ოქროში ჩაგსვამს და გეშველება! — მხარზე დაუტყაპუნა ხელი მსუქანმა პოლიციელმა.

— ჰა, შენი „ნავაჟკაცარია“?! — გულზე ხელი დაჰკრა ადვოკატმა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

დაფიქრდა ივანე და ვერაფერი გაიხსენა, ვერც ტყუილი იკადრა, პასუხი შეუგვიანდა...

— შეეშვით, ხომ ხედავთ, კაცი იმ ასაკშია, აღარც ახსოვს, ქალებში რისთვის დადიან! — შეეცოდა ისევ მსუქან პოლიციელს და სხვა ქაღალდები გადმოიღო:

— ივანე ჩიხლაძე ხომ ხარ?!

— კი!

— 1918 წლის მაისში დაიბადე თუ არა?!

— აღარ მახსოვს! — ისევ არ იკადრა ტყუილი ივანემ და გულდაწყვეტილმა გაიხსენა დაკარგული „პაჩპორტი“...

— მოკლედ, ამას დაპირისპირების მეტი არაფერი უშველის! — დაასკვნა ადვოკატმა და ივანეს ამცნო, ი, შენი გერმანელი საყვარელი და მისი ნაბუშარი ათ დღეში ჩამოდიან, შეგახვედრებთ და იქნებ, რაიმე გაიხსენოო!

...მართლაც, ჩამოვიდნენ ათ დღეში და უფასო სასადილოში მიუსწრეს ბორშჩის ხვრეპისას გულისპირდაწუწულს, წინ კარგად შენახული თავისივე ტოლი დედაბერი დაუყენეს, რომელმაც დიდხანს უცქირა და რაღაც წაიბუტბუტა თავის ენაზე:

— არა, ის არ არის, იმას სხვა თვალები ჰქონდა! — გადაუთარგმნა თარჯიმანმა.

— რაღა დროს ამათი თვალებია! — გულდაწყვეტილმა ჩაიბუზღუნა პოლიციელმა.

შეტრიალდნენ და წავიდნენ, ივანეს თვალიც არ გაუყოლებია მათთვის — „გრეჩიხა“ და კატლეტი უცივდებოდა...

თუმცა, ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა და ორიოდე თვეში ისევ მოაკითხეს ივანეს, თარჯიმანთან ერთად, გერმანელმა დედა-შვილმა:

— რადგან ის ნამდვილი ივანე ვერ ვიპოვეთ და შენც არ გყოლია შვილები, ნება მოგვეცი, მის სახელზე გიპატრონოთ!

— ღმერთო, კიდევ გახსოვართ?! — ცრემლი გაუჩნდა ივანეს დამშრალ თვალებში...

გერმანიაში წასვლაზე უარი თქვა:

— რაღა დროს ჩემი სადმე წასვლაა? ცალი ფეხით მიწაში ვარ კოჭამდე!..

ანგარიში გაუხსნა ბანკში იმ დალოცვილი სხვა ივანე ჩიხლაძის მილიონერმა ნაბუშარმა, მოსამსახურე დაუქირავა და ცალკე მძღოლი მანქანით, რომელსაც იმ უფასო სასადილოში დაჰყავდა, რომელსაც ვერა და ვერ შეელია...

■

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

რამდენიმე დღის წინ, კლუბ „ბერიკონში“ მიმიწვიეს, სადაც როგორც ამიხსნეს, რაღაც „ტუსოვკა“ იმართებოდა. ყველაზე მეტად იმან დამაინტერესა, რომ სცენაზე შიშველი გოგონები უნდა გამოსულიყვნენ, რომელთაც მთელი სხეული მოხატული ექნებოდათ (ამ ხელოვნებას კი, თანამედროვე ენაზე, მოგეხსენებათ, ბოდი-არტი ჰქვია) და რა თქმა უნდა, ამ ამბავს ვერ გამოვაკლდებოდი.

მოხატული სხეულის ხელოვნება, შიშველი გოგონები და ჩამოთვლილი ბიჭების ყალყზე დაამდგარი თმა

ლიკა ქაჯაია

ე.წ. „ტუსოვკა“ ღამის 10 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვინაიდან ერთ-ერთ მომღერალს მოსვლა დაგვიანდა (როგორც წესი, ასეთ შეკრებაზე ვიღაც ყოველთვის იგვიანებს), საღამო ცოტა დაგვიანებით დაიწყო. ამის გამო, იქ შეკრებილი თინეიჯერები „რაღაცის“ მოლოდინში ცქმუტავდნენ, ორგანიზატორები ღელავდნენ. ამიტომ, სანამ კონცერტს გახსნილად გამოაცხადებდნენ და „ზვეზდა“ მოვიდოდა, მათ გადაწყვიტეს, რიტმული მუსიკით გაერთოთ დამსწრე საზოგადოება. მუსიკის ჰანგების გაგონებაზე, გოგონები და ბიჭები სცენაზე აცვივდნენ, ცეკვა დაიწყეს... მალე დარბაზში მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ „ნანატრი“ მომღერალი მობრძანდა და საღამოც დაიწყებოდა...

სცენაზე წამყვანი — კახა მიქიაშვილი გამოჩნდა, რომელსაც თავზე ე.წ. პანამა ჰქონდა ჩამოფხატული და თვალები ძლივს უჩანდა. სამაგიეროდ, ის საკმაოდ კარგ განწყობილებაზე იყო და ხალხს გართობისკენ მოუწოდა, მერე კი იმდენად ჩქარა ალაპარაკდა, რომ ნახევარზე მეტი ვერ გავიგე. სამაგიეროდ, ის გავიგონე, რომ კონცერტი გახსნილად გამოაცხადა და სცენა მარი ნაცვლიშვილს დაუთმო, რომელიც შავ სამოსში გამოპრანჭული გამოგვეცხადა და „შეუბერა“... როგორც წინასწარ მითხრეს, მას რამდენიმე სიმღერა უნდა შეესრულებინა, მაგრამ ერთი სიმღერის შემდეგ ჩამოვიდა სცენიდან, რომელზეც, კახა მიქიაშვილის ნაცვლად, რატომღაც, „ტუსოვკის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, პროდიუსერი — ზვიად შელია ავიდა, ხალხს მიესალმა და საღამოს გაძღოლაც ითავა. ამის შემდეგ, სცენაზე რამდენიმე მომღერალი ენაცვლებოდა ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, თინეიჯერებს მათთვის ტაშის დაკვრა ეზარებოდათ. ამიტომ, წამყვანის ამპლუაში მოვლენილი პროდიუსერი მათ აპლოდისმენტებისკენ ხშირად მოუწოდებდა. სამაგიეროდ, მათ ამის თქმა არ დასჭირვებიათ მაშინ, როცა ზვიადმა განაცხადა: ხელოვნება — ბოდი-არტი საქართველოში არც ისე განვითარებულია, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცადეთ, ის თქვენთვის მთელი თავისი ეშხითა და სილამაზით გვეჩვენებინა, ასე რომ, მოემზადეთ, თქვენ წინაშე მშვენიერი მანდილოსნები დახატული სხეულებით წარდგებიანო. ხალხმა ყიჟინა დასცხო, სცენაზე დიჯეი კასპერი ავიდა, რომელმაც რიტმული მუსიკა ააჟღერა, რომლის ფონზეც, გოგონები ტანის რხევით გამოდიოდნენ და როგორც დარბაზში ამბობდნენ: ისინი სხეულს „ამარიაჟებდნენ“.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა იმ დღეს „ბერიკონში“! ბიჭები ადგილებიდან წამოხტნენ, თანმხლები გოგონები დაავიწყდათ და სცენას მიაწყდნენ. მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ისეთი მობილური ტელეფონი, რომლითაც ფოტოების გადაღებაა შესაძლებელი, თორემ, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს რა ეშველებოდათ?! — ყველა მათგანი ცდილობდა, სხვებზე უკეთესი ფოტო გადაეღო, რომელსაც ალბათ, საკუთარი მობილურის ეკრანზე დააყენებს და ხშირად ნახავს ბოდი-არტს ან სხვებს აუხსნის, რას ნიშნავს ეს ხელოვნება, ან სულაც, ამით „იმარიაჟებს“. დარბაზში მყოფი გოგონები „ბოდიარტელებზე“ იცინოდნენ, ჩურჩულებდნენ, ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ — სცენასთან ახლოს მიდიოდნენ და ცეკვავდნენ, თან ისე დგებოდნენ, რომ სურათის გადაღებაში ბიჭებისთვის ხელი შეეშალათ... მოკლედ, იქ ამბავი იყოოო!..

სამაგიეროდ, ის ბიჭები, რომლებიც არ იმჩნევდნენ, რომ ერთი სული ჰქონდათ, სცენას მიახლოებოდნენ (მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ, რადგან ან ისეთი მობილური არ ჰქონდათ, რომლის „გამარიაჟებაც“ ღირდა, ან გვერდს საცოლეები თუ ცოლები უმშვენებდნენ, ან კიდევ რაღაც სხვა მიზეზი ჰქონდათ), დარბაზიდან უცენზურო სიტყვებს ისროდნენ. ერთ-ერთი ყმაწვილი, რომელსაც თმა ისევე, როგორც ძლიერი სქესის უმეტესობას, ყალყზე ჰქონდა შემდგარი, ლამის სცენაზე ავარდა და ერთ-ერთ დახატულ გოგონას მიაძახა: აუ, რა მაგარი „პუტანკა“ ხარო! გოგონამ ის ენის გამოყოფითა და ღიმილით დაასაჩუქრა და თავისი საქმე (ანუ სცენაზე სიარული) განაგრძო. ბოლოს, სცენაზე ყველა „ბოდიარტელი“ ერთად გამოვიდა და ცეკვა დაიწყო. მათ პროდიუსერ-წამყვანიც შეუერთდა და გოგონები სათითაოდ მკლავზე „დაიხვია“. მასთან ცეკვის დროს, გოგონები ცდილობდნენ, რაიმე არ გამოსჩენოდათ და ძალიან მოკლე ქვედაბოლოს (თუ ქსოვილის ნაგლეჯს), რომლიდანაც ყველაფერი მოუჩანდათ, ხელით ექაჩებოდნენ (მაგრამ ის არა და არ დაგრძელდა; ისე, ნეტავ, რის დაფარვას ცდილობდნენ?..). ბიჭებმა ცოტა ხანი ითმინეს, მერე კი სცენაზე აცვივდნენ და შიშველ გოგონებს „დაერივნენ“. მათ დაცვაც ვერ გაუმკლავდა და ამიტომ, „დახატულები“ სცენიდან გაიყვანეს...

ასაკოვანი ხალხი ამბობს: ეს თინეიჯერები გიჟები არიან, როგორ იქცევიანო...

მაგრამ საღამო ამით არ დამთავრებულა. სცენაზე ტამტამიანმა ბიჭებმაც თავისებურად „შეუბერეს“. თინეიჯერები, თითქოს ამას ელოდნენო, ყველანი ადგილს მოსწყდნენ და ცეკვა ანუ, მათ ენაზე რომ ვთქვათ, — „გახურება“ დაიწყეს. ვინ ვის ან რას ეცეკვებოდა, ვერ გეტყვით, რადგან ისინი თითქმის ერთ სხეულად იქცნენ და ვერაფერი გავარჩიე... ვიფიქრე, ახლა უკვე აქ ჩემი ადგილი აღარ არის-მეთქი და შინ წასვლა გადავწყვიტე. კლუბიდან გამოვედი და იქვე მდგომ ტაქსის დავუქნიე ხელი. მძღოლმა მე და ჩემს მეგობარ გოგონას მანქანა ფეხებთან გაგვიჩერა, გვკითხა: სად მიდიხართო? — და როცა პასუხად მიიღო: რუსთაველზე, — რატომღაც, თვალები გაუბრწყინდა. გვითხრა: ჩასხედითო. გზაზე კი „გაჭედა“ — ეტყობა, ბოდი-არტს საიდანღაც მანაც მოჰკრა თვალი და გვეკითხებოდა: ის როგორ იყო, სცენაზე ბიჭები რომ ამოგიცვივდნენ, ჯერ „ბერიკონი“ დაიპყარით და ახლა, რუსთაველზე რესტორანში მიდიხართ, ხომ გამოვიცანიო?!. ვუმტკიცებდი, რომ ცდებოდა და, როგორც ჟურნალისტი, „ტუსოვკის“ გასაშუქებლად ვიყავი მისული, მაგრამ ვინ დამიჯერა?! ბოლოს, ხელი ჩავიქნიე და კითხვებზე აღარ ვპასუხობდი. როცა მან ადგილზე მიგვიყვანა, კარგა ხანი გვადევნებდა თვალს და მანქანა ადგილიდან არ დაუძრავს: ეტყობა, იფიქრა — ვნახავ, რომელ რესტორანში შევლენო... რას გაუგებ ადამიანს?.. ასაკოვანი ხალხი ამბობს: ეს თინეიჯერები გიჟები არიან, როგორ იქცევიანო! — მაგრამ, ბიძიებო და დეიდებო, ოდესმე იმაზე თუ დაფიქრებულხართ, თვითონ როგორ იქცევით?.. ■

კონსტიტუციურად ღარიბი თუ კონსტიტუციურად მდიდარი?

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სიმდიდრე და სიღარიბე, არა იმდენად მატერიალური კატეგორიებია, რამდენადაც სულიერი მდგომარეობა. ფსიქოლოგიაში არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანები კონსტიტუციურ მდიდრებად და კონსტიტუციურ ღარიბებად იყოფიან. თანაც ამას არანაირი კავშირი არა აქვს მათ რეალურ შემოსავალთან — შესაძლოა, ყველაფერი პირიქითაც კი იყოს. უბრალოდ, კონსტიტუციურად მდიდრებს ფულთან შედარებით მსუბუქ დამოკიდებულება ახასიათებთ, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, საარსებო სახსრის გარეშე დარჩენა ემუქრებათ. აი, კონსტიტუციურად ღარიბები კი, წინასწარ გულდასმით გეგმავენ ყოველგვარ ხარჯს და საკუთარი სიმდიდრიდან სიამოვნებას ნაკლებად იღებენ. ბუნებრივია, ჭეშმარიტი ფინანსური კეთილდღეობისგან ეს ორივე უკიდურესობა შორს დგას. ცხოვრების როგორი სტილი გაქვთ თქვენ? ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ მოყვანილი ტესტი გაგაცემთ. ყოველ შეკითხვაზე, შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხის ვარიანტი.

1. შეგიძლიათ თუ არა, ყოველთვის ზუსტად დასახელოთ ის თანხა, რომელიც იმ დღეს ჯიბეში გიდევთ (თან გაქვთ)?

ა) ზუსტად ამის თქმა გამიჭირდება;

ბ) როგორც წესი, შემიძლია და საკმაოდ მცირე თანხაში ვცდები ხოლმე;

გ) ყოველთვის შემიძლია ზუსტი ციფრის დასახელება.

2. ჩვეულებრივ, მაღაზიაში რა მიზნით შედიხართ ხოლმე?

ა) იმედი მაქვს, რომ საინტერესო რამეს წავაწყდები და მისი შეძენით საკუთარ თავს ვასიამოვნებ;

ბ) როგორც წესი, რაც წინასწარ მაქვს დაგეგმილი, მხოლოდ იმის შესაძენად შევდივარ ხოლმე;

გ) ფასების გასარკვევად შევდივარ ხოლმე.

3. რა მდგომარეობაშია თქვენი საბანკო ანგარიში?

ა) ანგარიში საერთოდ არა მაქვს გახსნილი ან თუ მაქვს, მასზე მხოლოდ სიმბოლური თანხა დევს;

ბ) ვცდილობ, ჩემი შემოსავალი აჭარბებდეს გასავალს და ამას ვახერხებ კიდეც;

გ) ძალზე იშვიათად გამომაქვს ფული ანგარიშიდან, ამიტომ საკმაოდ სოლიდურ თანხას მოვუყარე თავი.

4. მათხოვრებს განიკითხავთ ხოლმე?

ა) ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ყველა მათხოვარს დავეხმარო;

ბ) ზოგჯერ განვიკითხავ მათ, ვინც ჩემში თანაგრძნობას აღძრავს;

გ) პრინციპულად არ გავცემ მოწყალებას: ამ გზით ხომ სიღარიბის პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელია.

5. გიყვართ თუ არა საჩუქრების მიძღვნა?

ა) მიხარია, როცა ჩემი საჩუქარი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე, ვისთვისაც ის არის განკუთვნილი;

ბ) ახლობლებს დიდი სიამოვნებით ვუძღვნი საჩუქრებს;

გ) საჩუქრის შერჩევა, იოლი საქმე არ გახლავთ, ამიტომ ეს პროცესი საკმაოდ მთრგუნავს.

6. გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა ფული არარაციონალურად დაგიხარჯავთ?

ა) მსგავსი რამ ხომ ყველას შეიძლება შემთხვევა, ასე რომ, არც მე ვარ გამონაკლისი და არაერთხელ აღმოვჩენილვარ ამ დღეში;

ბ) მქონია მსგავსი შემთხვევა, ოღონდ დიდი თანხა არ დამიხარჯავს;

გ) მსგავსი რამ რამდენჯერმე შემმთხვევია და დღემდე მწარედ მახსენდება ხოლმე.

7. ეკონომიურად მოიხმართ თუ არა ელექტროენერგიას?

ა) ამგვარი ეკონომია წვრილმანობად მიმაჩნია;

ბ) ვცდილობ, ელექტროენერგიის უაზროდ ხარჯვა არ დავუშვა;

გ) ამაზე გამუდმებით ვზრუნავ.

8. ხომ არ გიჭირთ ფულის გასესხება?

ა) კარგ ნაცნობს უყოყმანოდ ვასესხებ ფულს;

ბ) თუკი დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ჩამასესხებენ, ფულის გასესხება არ მიჭირს;

გ) ფულის გასესხებისგან თავს ვიკავებ, ტყუილად ხომ არ ამბობენ: თუ არ გინდა მეგობარი დაკარგო — ფული არ უნდა ასესხო.

9. რამდენად ხშირად მიირთმევთ დელიკატესებს?

ა) ყოველთვის, როცა ამის შესაძლებლობა მაქვს, პირის ჩატკბარუნებაზე უარს არ ვამბობ;

ა) არცთუ ისე ხშირად;

გ) ჩემი აზრით, დელიკატესები საღღესასწაულო სუფრას უნდა ამშვენებდეს და მისი ყოველდღიურად ჭამა იგივეა, ყოველ საღამოს ფეიერვერკი რომ მოიწყო.

10. რას ანიჭებთ უპირატესობას ტანსაცმლის შეძენისას?

ა) პრესტიჟულ მარკასა და მოდურ ფასონს;

ბ) პრაქტიკულობასა და ელეგანტურობას;

გ) ხელმისაწვდომ ფასს.

ტესტის შედეგები:

დაანგამეთ ქულები: პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

15 ქულაზე ნაკლები: ხელგაშლილი ადამიანი ბრძანდებით. ცხოვრებით ტკბობის უნარიც გაქვთ, როცა საამისოდ საჭირო თანხას ფლობთ, მაგრამ სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა ყოველთვის არ გაქვთ. საქმიანი წამოწყებისადმი მსგავსი მიდგომა ზედმეტად სარისკოა და არც დიდ პერსპექტივას გიქადით. ზედმეტი არ იქნება, თუკი ცოტა მეტ წინდახედულებას გამოიჩენთ. თქვენთვის კეთილდღეობის ფორმულა ბენჯამინ ფრანკლინმა გამოიყვანა: „დახარჯეთ იმაზე ნაკლები, ვიდრე შოულობთ, — აი, თქვენი ფილოსოფიური ქვა“.

15-20 ქულა: არც მფლანგველობით გამოირჩევით და არც სიძუნწით. ცხოვრების ასეთი ჰარმონიული სტილი, ფინანსურ კეთილდღეობას გიქადით.

20 ქულაზე მეტი: თქვენ ანგარიშიანი, ეკონომიური და ნუ გეწყინებათ და, ძუნწიც კი ბრძანდებით. ფულის ხელიდან გაშვება ძალიან გიჭირთ, სარისკო საქმეებს ახლოსაც არ ეკარებით. მართალია, მსგავსი ქმედებით წაგებას თავს არიდებთ, მაგრამ სამაგიეროდ, არც დიდი მოგების იმედი უნდა გქონდეთ.

1 ვენესუელის დედაქალაქი
2 მდიდრული სასადილო
3 ერთგვარი გრძელი დღე
4 უკრაინის დედაქალაქი
5 სიბრძნის ქალღმერთი რომ. მით.
6 ვიოლინოს ჯოხი
7 ჯუჯა კაჭი
8 სამოთხე
9 ბუდისტური სამლოცველო
10 ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
11 შენობის შიგნითა ნაწილი
12 დერეფანი
13 ფრანგი კომპოზიტორი
14 ნაპოლეონის მარშალი
15 დახელოვნებული მზარეული
16 უალკოჰოლო სასმელი
17 ღვთაებრივი ხარი
18 მსახიობი ... ჯადი
19 მახრჩობელა გველი
20 თაქთაქშვილის ოპერა
21 მუსლიმანთა მარხვა
22 უძველესი ხარისხის ბროლი
23 კაკაოს ნაწარმი
24 სამართალდამცავი ორგანო
25 წლოვანება
26 უნაკლო ბრილიანტი
27 ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
28 ჩუქურთმიანი ქვა ან ნიკარა
29 გრძელი თონის პური
30 საჭინლის გულ-ღვიძლი
31 გალაკტიონის ლექსი
32 ცხენების ჯოგი
33 ქარის მოტანილი სილის ბორცვი
34 უნგრეთის ფულის ერთეული
35 მსახიობი ... სმიტი
36 ანტელოპის სახეობა
37 იაპონური ჭიდაობა
38 საარჩევნო ყუთი
39 ბლოგზე ზეთში მოხარშული კრტოფილი
40 შხამიანი მთრობელა მცენარე
41 ქართველი კომპოზიტორი
42 წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომში



ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. აპისი; 2. ფიზიკა; 3. სენატი; 4. მალი; 5. ხანუმა; 6. ნამგალი; 7. მამული; 8. რაინი; 9. კარამელი; 10. რიხი; 11. რიტორი; 12. ანოდი; 13. ტალავერი; 14. გავა; 15. ლადა; 16. კეხურა; 17. ოტელო; 18. აუდი; 19. ჩვარი; 20. ვაქცინა; 21. ნერბი; 22. ბისკვიტი; 23. ის; 24. კიურე; 25. მიამიტი; 26. ელვის; 27. ევროპა; 28. კარაბადინი; 29. ალიმენტი; 30. ტრატორია; 31. პაიკი; 32. ბანკი; 33. ერიკ; 34. დელი; 35. ტრალი; 36. ტუნიკა; 37. რეტი; 38. მედია; 39. რემა; 40. ტაბურეტი; 41. პლატონი; 42. გრიგი; 43. ტიკი; 44. კილიტა.

სურათზე: ადრიანო ჩელენტანო; ორნელა მუტი.

სამხედრო გადატრიალება, რომელიც ზეიმში გადაიზარდა

ამ ორი კვირის წინ, ბანგკოკის ქუჩები სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გოგონებით გაივსო, რომლებიც ცეცხლოვან ცეკვებს თავდავიწყებით ცეკვავდნენ. იმპროვიზირებულ სცენად ქალაქის მთავარი მოედანი იქცა, დეკორაციებს კი ტანკები და ტაილანდის შეირაღებული ძალების ჯარისკაცები წარმოადგენდნენ. ე.წ. Go-go girls-მა არმიის გამხნევება და ქალაქში ხალისიანი ატმოსფეროს შექმნა ამგვარად სცადა. უსისხლო სამხედრო გადატრიალება ნამდვილ ზეიმში გადაიზარდა, მით უმეტეს, რომ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხალხში განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობდა. ადგილობრივ მცხოვრებთა და ტურისტთა ბრბო სამსახსოვრო ფოტოსურათების გადასაღებად სამხედროთა რაზმს მიაწყდა. ხალხს ჯარისკაცებთან საკვები და ყვავილები მიჰქონდა, მაგრამ ტაილანდის შეიარაღებული ძალების ლიდერებმა განაცხადეს, რომ მეომრებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში დროს ტარება ეკრძალებათ და Go-go girls-ის გამოსვლები აკრძალეს. „ხალხმა გართობა და სერიოზული სიტუაცია ერთმანეთისგან უნდა განასხვაოს. სამხედრო გადატრიალება, სახუმარო საქმე როდია“, — განაცხადა პოლკოვნიკმა აკრა ტიპროუტმა მას შემდეგ, რაც შორტებსა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გოგონების გარშემო გაჩაღებული ჯარისკაცთა ცეკვათამაში საკუთარი თვალით იხილა. ■

საკუთარი ნებით – ლომის ხახაში!

სოციალური იზოლაციით გამოწვეული საშიშროებისა და ადამიანებისათვის ურთიერთობათა თვალსაჩინო მაგალითის მიცემის მიზნით, ჩინელმა უე ფუმ და მისმა ასისტენტმა არაორდინარული ნაბიჯი გადადგეს. ისინი 2 კვირით ლომის გალიაში დასახლდნენ. მოქმედების არენად ცინდაოს ველური ბუნების პარკი შეირჩა. გულადი ექსპერიმენტატორები სამი მეტრის სიგანისა და 4 მეტრი სიმაღლის რკინის გალიაში შეიკეტნენ. ნებაყოფლობითი პატიმრები ლომის საზოგადოების დატოვებას არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ. ისინი ერთმანეთს არ დაელაპარაკებიან და ლომის მსგავსად, უმი ხორცითა და ონკანის წყლით იარსებებენ. აღსანიშნავია, რომ ეს ექსპერიმენტი მამაცი ჩინელის პირველი „გმირობა“ არ არის. შარშან, უე ფუ ცხოვრების ამაოებას განერიდა და ხეზე სპეციალურად მოწყობილ ბუდეში დასახლდა, სადაც განდეგილი ლექსების წერითა და მარტოობაზე ფიქრით ერთობოდა. უე ფუს თანამემამულენი კარგად იცნობენ. მის პოპულარობას ორი მიზეზი განაპირობებს: ჯერ ერთი, უე ფუ ჩინეთში ცნობილი მსახიობია, ამავე დროს, ის მართლაც შესანიშნავი პოეტი და უკვე 40 კრებულის ავტორი გახლავთ. ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	4	1	9	5	3	2	6	8
6	3	2	8	7	1	4	5	9
9	8	5	2	4	6	7	1	3
5	1	6	7	9	8	3	4	2
3	2	7	4	6	5	8	9	1
8	9	4	1	3	2	5	7	6
1	5	9	3	2	7	6	8	4
4	6	3	5	8	9	1	2	7
2	7	8	6	1	4	9	3	5

1	5	3	8	6	4	9	7	2
6	7	4	2	3	9	8	1	5
9	2	8	7	5	1	3	6	4
8	3	2	9	4	6	7	5	1
5	6	7	3	1	2	4	9	8
4	9	1	5	8	7	2	3	6
2	1	9	4	7	5	6	8	3
3	4	5	6	9	8	1	2	7
7	8	6	1	2	3	5	4	9

9	1	6	8	7	2	5	3	4
7	5	8	3	4	9	1	2	6
3	2	4	5	6	1	7	8	9
6	4	7	1	8	3	9	5	2
5	8	2	7	9	6	4	1	3
1	9	3	2	5	4	6	7	8
8	6	1	9	2	7	3	4	5
4	3	5	6	1	8	2	9	7
2	7	9	4	3	5	8	6	1

* მარტივი

3	5		9		6	4		
		8	5			1	9	
		4			1	3		
2				5		8		7
1				9				6
5		6	2		8			3
		2	8			6		
	1	5			9	7		
		7	1		2		8	9

* * საშუალო

	7		3	4			1	
	5				6	9		
		4			7			6
	2	7			1	6		
9								1
		8			4	3	5	
4			8			2		
		9	4				7	
	3			9	5		6	

* * * რთული

6			1			8		
		5					2	
3					9			
	4						8	
	1			2			7	
	3			6			1	
			7					2
	7					1		
		4			3			9

ფოტოკუიიოზები



TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ლიმალელე — გურამიშვილი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოჯირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი